

ადმინისტრაციული დავების  
განსჯადობის პრობლემები




## ადმინისტრაციული დაგეგმვის განსჯადობის პრობლემები

კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო  
პრაქტიკა

თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები

ტ 0 0 0 1



ნაშრომი წარმოადგენს ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის თაობაზე სასამართლო შორის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პროცესუალური აქტების კრებულს. მასში სისტემატიზებული და გამარტივებული ფორმით არის მოტანილი კონკრეტულ საქმეებზე უზენაესი სასამართლოს განჩინებები, რომლებიც, ერთობლიობაში აღებული, წარმოადგენს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებულ დავებზე დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას. პროცესუალური აქტების რაოდენობიდან გამომდინარე (ორასამდე), იგულისხმება, რომ ისინი თითქმის სრულად მოიცავენ განსჯადობის თაობაზე წამოჭრილი დავების ნაირსახეობას.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს მოსამართლეებს, ადვოკატებს, ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს და ყველას, ვისაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების მეშვეობით საკუთარი უფლებების დაცვა სურს. კრებულში მოტანილი საპროცესო აქტები, როგორც კვლევის ობიექტი, საინტერესო იქნება სამეცნიერო საქმიანობით დაკავებული პირებისთვისაც.

კრებული შეადგინა და დაამუშავა **ჯუმბერ რუსიაშვილმა**



ნიგნი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოცემული დასკვნები და შეფასებები არ უნდა იქნეს განხილული, როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მოსაზრება.



© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014

ISBN

ISBN

## შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა .....	7
საგნობრივი საძიებელი .....	14
საგნობრივი განსჯადობა .....	21
განსჯადობის თაობაზე დავების განხილვასთან დაკავშირებული საპროცესო საკითხები .....	53
<b>თავი I.</b> ტერიტორიული განსჯადობა .....	55
<b>თავი II.</b> საგნობრივი განსჯადობა .....	163
<b>თავი III.</b> განსჯადობის თაობაზე დავების განხილვასთან დაკავშირებული საპროცესო საკითხები .....	561



ტრანსფორმაციის პროცესის კვლევა ე.წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, არსებითად, ფოკუსირებული იყო დემოკრატიის ასპექტებზე. შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ზოგადად, სახელმწიფოს პრობლემატიკას და, მათ შორის, სახელმწიფო მმართველობის საკითხს. მართვის დემოკრატიული ასპექტები უმნიშვნელოვანესი თემაა, ისინი აყალიბებენ ნებისმიერი მმართველობის სისტემის ფუნდამენტს. ამავე დროს, სახელმწიფო მართვა არ ამოიწურება მხოლოდ დემოკრატიული ასპექტების ანალიზით. ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ის ხარვეზი, რომელიც არსებობს სახელმწიფო მართვის სპეციფიკური პრობლემების კვლევაში.

სახელმწიფო მმართველობა სოციალური რეალობის ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც ვერ ამოიწურება მხოლოდ ნორმატიული ანალიზით. მართვის ფართო სოციალურ კონტექსტში შესწავლა მოითხოვს როგორც ნორმათა მოქმედების, ისე იმ სიტუაციის ანალიზსაც, რომლის პირობებშიც ჩამოყალიბდა ესა თუ ის ნორმა. ასევე, მნიშვნელოვანია ნორმის მოქმედებით განპირობებული შედეგების ანალიზიც.

მართვის სფეროში ჩამოყალიბებული რეალობის შესასწავლად აუცილებელია პრაქტიკის, მათ შორის, სასამართლო პრაქტიკის ტიპოლოგია და განზოგადება. სახელმწიფო მართვის პოლიტიკის ანალიზი არასრულყოფილი და ცალმხრივი იქნება მართლმსაჯულების პრაქტიკის შესაბამისი კლასიფიკაციის გარეშე.

ადმინისტრაციულ მეცნიერებას ხშირად ახასიათებენ, როგორც მეცნიერებას „არსის შესახებ“. მართვა არ ყოფიერებს მხოლოდ ნორმატიულ სამყაროში. მართვის ფაქტობრივი ყოფიერების შესწავლის გარეშე შეუძლებელია მისი თეორიული ანალიზი. წმინდა დესკრიფციული მიდგომა გამორჩეული „დოზით“ არის დამახასიათებელი მართვის შემსწავლელი მეცნიერებებისათვის. მხოლოდ ნორმატიული ასპექტით ვერ შემოვიფარგლებით ისეთი საკითხების კვლევისას, როგორიცაა გადანაცვლებათა მიღების პროცესი, ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა ქცევა, მართვის წმინდა ტექნოკრატიული და ორგანიზაციული ასპექტები, მოტივი, ფუნქცია და სხვ.

ამავე დროს, მეცნიერება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმის ანალიზით რაც „არის“ – მეცნიერებას აინტერესებს ის, „რაც უნდა

იყოს“. სახელმწიფო მართვის საკითხებისადმი ნორმატიული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „კარგი მმართველობის“ პრაქტიკის დასამკვიდრებლად. პრაქტიკის ნორმატიული ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, პირველ რიგში, სწორედ მართვის პრაქტიკის სრულყოფას ისახავს მიზნად.

სასამართლო პრაქტიკა არ არის სამართლის წყარო. სასამართლო პრაქტიკა არის სამართლის შემეცნების წყარო. მოსამართლე ვერ შეითავსებს კანონმდებლისა და სამართალშემოქმედის ფუნქციას. ამავე დროს, სამართლის ნორმის სწორი ინტერპრეტაცია და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი დიდ დახმარებას გვინებს „კარგი მმართველობის“ დამკვიდრებისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების არგუმენტაციისათვის.

შემთხვევითი არ არის, რომ თსუ-ის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გრიფით გამოცემული პირველი წიგნი სწორედ სასამართლო პრაქტიკის მასალებია. ბატონ ჯუმბერ რუსიაშვილის წიგნი სერიოზულ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო მართვის პრაქტიკით დაინტერესებულ საზოგადოებას. წიგნი არ წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა „მექანიკურ“ ნაკრებს. ავტორის მიერ გაწეულია დიდი შრომა პრაქტიკის მასალების სათანადო კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციისათვის.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) წიგნის გამოცემისა და ინსტიტუტის მიმართ გაწეული დახმარებისათვის.

სასამართლო გადაწყვეტილებათა სისტემატიზებული მასალების გამოქვეყნების შემდეგი ეტაპი უნდა იყოს მისი სამეცნიერო ანალიზი. ახლო მომავალში ინსტიტუტი გეგმავს ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე როგორც ანალოგიური სახის ნაშრომების, ასევე მათი კომენტარის გამოცემასაც, რომელთა მომზადებაშიც დიდ დახმარებას გაგვინებს ბატონი ჯუმბერ რუსიაშვილის მიერ განხორციელებული სასამართლო პრაქტიკის სისტემატიზაცია.

გ ი ო რ გ ი ხ უ ბ უ ა

*პროფესორი, თსუ-ის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა  
ინსტიტუტის აკადემიური დირექტორი*



## კ რ ე ბ უ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცალკეული კატეგორიების საქმეებზე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, მან ნორმატიული გამოხატულება ჰპოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმად, საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ან სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საპროცესო აქტებში (განჩინებებში, გადაწყვეტილებებში) მოცემული დებულებების მეშვეობით ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვანწილად (თუ არა სრულად) განაპირობებს ყოველი ცალკეული საქმის განხილვის შედეგს, და, საბოლოო ჯამში, მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად მიმართულებებს.

სწორედ ამ გარემოებით გამოწვეული აუცილებლობის გამო, თსუ-ის, ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტის გათვალისწინებული აქვს ნაშრომთა ციკლის გამოცემა დასახელებით „კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა“. მასში გაერთიანებული, ცალკეულ კრებულებში ასახული იქნება ზოგადი ადმინისტრაციული და საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე საქმეების განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ის დებულებები, რომლებსაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვთ შესაბამისი კატეგორიის საქმეთა განხილვისას და უზრუნველყოფენ საქმის კანონის შესაბამისად გადაწყვეტას. უკვე გამოიცა ამ სახის კრებული – ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურებაზე,<sup>1</sup> რომელმაც პრაქტიკოს იურისტთა ინტერესი გამოიწვია და დადებითი შეფასება მიიღო.

წინამდებარე კრებული ეთმობა სარჩელების ადმინისტრაციულ განსჯადობას და მასში, შეძლებისდაგვარად, მარტივი (რამდენადაც ამის შესაძლებლობას საპროცესო აქტი იძლევა) და იოლად აღსაქმელი ფორმით გადმოცემულია საქართველოს უზენაესი სა-

<sup>1</sup> „კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა“. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურება“, „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

სამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა ადმინისტრაციული სარჩელების ტერიტორიულ და საგნობრივი განსჯადობის თაობაზე.

სარჩელების განსჯადობის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილების ჩარჩოები დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილებით. პირველი მათგანის თანახმად უზენაესი სასამართლო განიხილავს განსჯადობის თაობაზე მხოლოდ სასამართლოებს შორის წამოჭრილ დავებს, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საკასაციო სასამართლო საგნობრივ და ტერიტორიულ განსჯადობას ამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ამიტომაც ნაშრომში, ცალკეული გამონაკლისების გარდა, არ არის მოტანილი ადმინისტრაციული სარჩელების განსჯადობის განმსაზღვრელი ყველა განჩინება. კრებულში მოთავსებულია მხოლოდ სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წამოჭრილ დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეები. განსჯადობის თაობაზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების პოზიციები საქმეებზე, რომლებიც უზენაეს სასამართლოში არ წარმართულა, კრებულში ასახული არ არის.

კრებულში მოტანილი პროცესუალური აქტების ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საიტზე <http://www.supremecourt.ge/court-decisions/administrative-cases/> განთავსებული ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები და მათი რაოდენობიდან (ას სამოცზე მეტი) გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ისინი იძლევიან პასუხს სარჩელების განსჯადობასთან დაკავშირებით წამოჭრილ სადავო საკითხთა უმრავლესობაზე.

წარმოდგენილი საპროცესო აქტები მოიცავს დროის საკმაოდ დიდ, ძირითადად, 2005 წლის და შემდგომ პერიოდს. გვხვდება უფრო ადრინდელი პერიოდის განჩინებებიც და მათი კრებულში შეტანა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შემდეგი გარემოების გამო: განსჯადობის თაობაზე „ძველ“ განჩინებებში მოცემული უზენაესი სასამართლოს დასკვნები დამკვიდრდა სასამართლო პრაქტიკაში, რასაც ადასტურებს მიმდინარე პერიოდში ამ საკითხებზე დავების არარსებობა, ამიტომაც, მათი ხელმისაწვდომობის გასაიოლებლად შესაბამისი განჩინებების ტექსტი კრებულში კვლავ მოვიყვანეთ.

კრებულში მოტანილი განჩინებები მიღებულია დროის საკმაოდ დიდი შუალედის განმავლობაში და, რიგ შემთხვევებში, მათში

მითითებულმა ნორმატიულმა მასალამ (სამართლებრივმა აქტებმა, ცალკეულმა მუხლებმა) სახეცვლილება განიცადა. ტექსტის გადატირთვის და გართულების თავიდან ასაცილებლად, ეს გარემოება ყოველთვის არ ფიქსირდება, მით უფრო, რომ განსჯადობის საკითხი განხილული და გადაწყვეტილია საქმის განხილვის დროს მოქმედი ნორმატიული აქტის საფუძველზე. ჩავთვალოთ, რომ ამგვარ შემთხვევებში ორიენტირის მნიშვნელობა გააჩნია განჩინების (გადაწყვეტილების) დასათაურებაში მითითებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პროცესუალური აქტის მიღების თარიღს.

კრებულის შედგენისას გათვალისწინებული იქნა მისი პრაქტიკული დანიშნულება, ამიტომაც, საგნობრივ საძიებელში, განსჯადობასთან დაკავშირებულ საკვანძო დებულებასთან ერთად, დასახელებულია სასარჩელო მოთხოვნაც. განჩინების სრული რეკვიზიტები (ნომერი, მიღების თარიღი) მითითებულია კრებულის შესაბამის ნაწილში განჩინების სრულ (რედაქტირებულ) ტექსტთან ერთად. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ გვაროვნული ნიშნით დავის საგანი – გამოყოფილ კრებულის რიგ თავებში (შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული დავები, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნები) არ არის დასახელებული სასარჩელო მოთხოვნები, რადგანაც ისინი გავლენას არ ახდენენ განჩინების სათაურში დასახელებულ, განსჯადობასთან დაკავშირებულ სადავო საკითხზე.

მოცემული ნაშრომი არ ახდენს განსჯადობის საკითხზე უზენაესი სასამართლოს მიერ ბეჭდვითი სახით გამოცემულ კრებულებში შეტანილ ანდა უზენაესი სასამართლოს საიტზე განთავსებულ განჩინებების დუბლირებას. მათგან განსხვავებით, კრებულში ისინი დაჯგუფებული და სისტემატიზებულია ცალკეულ თავებად და პარაგრაფებად, ერთი ზოგადი და შეძლებისდაგვარად დაკონკრეტებული კრიტერიუმის საფუძველზე. ეს უკანასკნელი მითითებულია შესაბამისი თავის (პარაგრაფის) დასახელებაში. თითოეული განჩინების სათაურში გამოტანილია ის დებულება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული სახის სარჩელის ტერიტორიული ან საგნობრივი განსჯადობის განსასაზღვრად. საილუსტრაციოდ მოტანილი განჩინებების ტექსტი დაყოფილია ნაწილებად სათანადო ნუმერაციით და თითოეულ მათგანში ასახულია განსჯადობის სადავო საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქ-

ტობრივი და სამართლებრივი გარემოებანი (სარჩელის შინაარსი, დავის მონაწილე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოების მოსაზრებანი საქმის განსჯადობის თაობაზე შესაბამისი მოტივაციით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია, შესაბამისი დასაბუთებით). განჩინებების შინაარსის დუბლირების თავიდან ასაცილებლად, არ მოგვყავს საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ქვემდგომი სასამართლოს არგუმენტები, მაგრამ სრულად მოტანილია განსჯადობასთან დაკავშირებით იმ სასამართლოს პოზიცია, რომელიც სადავოა და რაც წარმოადგენდა სასამართლოებს შორის დავის დაწყების და საქმის უზენაეს სასამართლოში წარმართვის საფუძველს. აღნიშნულით, ერთი მხრივ, არ ირღვევა სასამართლოს მსჯელობის ის ლოგიკური ჯაჭვი, რომლის შედეგსაც უზენაესი სასამართლოს შესაბამისი დასკვნა წარმოადგენდა, ხოლო მეორე მხრივ, მცდარად მიჩნეული სასამართლოს პოზიციის მოტივაციის სრულად მოყვანა ხელს შეუწყობს მათი გამეორების თავიდან აცილებას.

კრებულის დანიშნულება სასამართლო პროცესის მონაწილეებისათვის (მოქალაქე, ადმინისტრაციული ორგანო, კერძო სამართლის იურიდიული პირი) სრული სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიწოდებაა, თუ რა სახის სარჩელები განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. იმავდროულად, სარგებლობის გაიოლების თვალსაზრისით, კონკრეტული პროცესუალური აქტები წარმოდგენილია რედაქტირებული, „გამარტივებული“ ფორმით. ამასთანავე, ამგვარი სახეცვლილებისას დაცულია ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები.

რიგ შემთხვევებში, განსხვავებულ საქმეებზე გამოტანილ როგორც ქვემდგომ, ასევე უზენაესი სასამართლოს განჩინებებში, შესაბამისი მოსაზრების დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტაცია იგივეობრივია. ამისდა მიუხედავად, მათი ტექსტი უცვლელად არის მოტანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემცირდებოდა მოცემული კრებულის პრაქტიკული დანიშნულება: მკითხველი იძულებული იქნებოდა მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია (პოზიციის სამართლებრივი დასაბუთება) მიეღო არა იმ კონკრეტული განჩინებიდან, რომელსაც ეცნობოდა, არამედ მოეძიებინა კრებულში შეტანილ სხვა განჩინებებში, რაც საკმაოდ შრომატევადი საქმიანობაა.

განჩინებების ტექსტში არ არის შეტანილი გარემოებები, რომლებსაც დასათაურებაში მოტანილი დებულებისათვის არ გააჩნიათ

არსებითი მნიშვნელობა (საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა, ცალკეული სასამართლო აქტების გამოტანის თარიღი). ასევე, როგორც წესი, სრულად არ არის გადმოცემული სარჩელში დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები (მაგ., უძრავი ქონების ფართობი, მისი ადგილმდებარეობა და ა.შ.), რადგანაც მათ მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ ცალკეული საქმისათვის, მისი ყველა კონკრეტული გარემოების ერთობლიობაში აღსაქმელად და არ წარმოადგენენ ზოგადი ხასიათის ორიენტირს. ფაქტობრივი გარემოებები განჩინებების ტექსტში სრულად გადმოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ მათ შემხებლობა აქვთ საქმის სამართლებრივ ასპექტთან.

სამართლებრივად ერთგვაროვანი დებულების შემცველი (მაგრამ ფაქტობრივი გარემოებებით განსხვავებული) უზენაესი სასამართლოს რამდენიმე განჩინების არსებობისას, ნაშრომის ტექსტის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად, მათი შინაარსის სრულად მოყვანის გარეშე, ისინი მიეთითება მხოლოდ ტექსტის სქოლიოში.

ნაშრომს არ აქვს პრეტენზია ადმინისტრაციული განსჯადობის ინსტიტუტის მეცნიერულ გამოკვლევაზე, რაც დამოუკიდებელი შესწავლის საგანია. მასში მხოლოდ სისტემატიზებული სახით, საკვანძო დებულებების გამოყოფით, მოტანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წარმოადგენენ სარჩელის სათანადო სამართალწარმოების ფორმით განხილვის მაგალითს. კრებული პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, მასში მოტანილი პროცესუალური აქტების ტექსტი, ზემოთ აღნიშნული გამარტივებების მიუხედავად, ემთხვევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი განჩინების ტექსტს, ამიტომაც, ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას ისინი შეიძლება მიჩნეული იქნეს დადგენილი სასამართლო პრაქტიკის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ჯ უ მ ბ ე რ რ უ ს ი ა შ ვ ი ლ ი

## ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

### ტერიტორიული განსჯადობა

1. სარჩელს, სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნის და მის საფუძველზე გამოცემული ბრძანების, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბათილად ცნობის თაობაზე, განიხილავს სასამართლო ბრძანების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის №ბს-856-1818 განჩინება

2. ერთ სარჩელში გაერთიანებულ ორი სასარჩელო მოთხოვნის განსჯად სასამართლოში წარდგენისას, რომელიმე მათგანზე საქმის წარმოებით შეწყვეტის შემდეგ დარჩენილ მოთხოვნაზე მიღებულ გადაწყვეტილების გაუქმებისას, საქმე ხელახლა უნდა განიხილოს განსჯადმა სასამართლომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ოქტომბრის №ბს-858-820 განჩინება

3. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სამართლებრივ ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის №ბს-1721-1677(გ-10) განჩინება

4. უძრავი ქონების ან ადგილთან დაკავშირებული უფლების ან სამართლებრივ ურთიერთობის შესახებ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე დავები იმ სასამართლოს განსჯადია, რომლის იურისდიქციის სფეროშიც იმყოფება ქონება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და  
სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
8 ოქტომბრის №ბს-1126-1075(გ-09) განჩინება

**5. სარჩელი საჯარო რეესტრის მიმართ, მიწის ნაკვეთზე სა-  
კუთრების უფლების აღიარების თაობაზე, განიხილება მიწის  
ნაკვეთის ადგილსამყოფელი სასამართლოს მიერ.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის  
№ბს-201-194(გ-10) განჩინება

**6. სარჩელი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის, მასში ასა-  
ხული მონაცემებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-  
ტოს შესაბამისი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობა-  
ზე მიწის ნაკვეთის ადგილსამყოფელის მიხედვით სასამარ-  
თლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ოქტომბრის  
№ბს-1081-1050 (გ-10) განჩინება

**7. ადმინისტრაციული დავების განხილვა, რომლებიც უძ-  
რავ ქონებას ან ადგილთან დაკავშირებულ უფლებას ან სამარ-  
თლებრივ ურთიერთობას ეხება, იმ სასამართლოს კომპეტენცი-  
ას მიეკუთვნება, რომლის იურისდიქციის სფეროშიც იმყოფება  
ქონება ან ადგილი, იმისდა მიუხედავად რომ მეორე მოპასუხეს  
სხვა ადგილმდებარეობის ადმინისტრაციული ორგანო წარმო-  
ადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და  
სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
11 მაისის №ბს-252-242(გ-09) განჩინება

**8. სარჩელი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიღებულ  
ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბა-  
თილად ცნობის თაობაზე მისი გამომცემი ადმინისტრაციული  
ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის  
№ ბს-425-414(გ-13), განჩინება

9. სარჩელი, უძრავი ქონების გასხვისების შესახებ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილ, საერთო განსჯადობის წესების გამოყენებით მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის №ბს-1823-1777(გ-10) განჩინება

10. მიწის ნაკვეთის გასხვისების თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოს ბრძანებების ბათილობაზე სარჩელის განხილვისათვის განსჯადს წარმოადგენს სასამართლო არა უძრავი ქონების, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ოქტომბრის №ბს-1078-1048 (გ-10) განჩინება

11. სარჩელი საჯარო რეესტრის ორგანოების აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი უძრავ ქონებასთან (მიწის ნაკვეთთან) დაკავშირებით არის გამოცემული, განიხილება მათი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით და არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილი განსაკუთრებული განსჯადობის წესები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ნოემბრის №ბს-1179-1146(გ-10) განჩინება

12. სარჩელზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემულ სარეგისტრაციო მოწმობის და ამონაწერის ბათილად ცნობის თაობაზე, სათანადო მოპასუხეს სააგენტოს ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს და საქმე მისი ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 22 მარტის № ბს-46-46(გ-06) განჩინება



13. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების განსჯად სასამართლოს განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები, არამედ, აქტების გამომცემ ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელის მიხედვით გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივნისის №ბს-430-425(გ-12) განჩინება

14. დაყადაღებული ქონების ღია აუქციონზე რეალიზაციის შესახებ შუამდგომლობის (განცხადების) განხილვაზე უფლებამოსილია სასამართლო გადასახადის გადამხდელის იურიდიული მისამართის და არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ოქტომბრის №ბს-1128-1076(გ-09) განჩინება

15. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სააღსრულებო წარმოების აქტების ბათილობაზე სარჩელი ქონების და არა სააღსრულებო ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის №ბს-631-609 (გ-10) განჩინება

16. საბაჟო შეტყობინების და მისგან გამომდინარე ადმინისტრაციული აქტების ბათილობაზე დავა შეტყობინების გამომცემი ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის №ბს-539-510 (გ-09) განჩინება

17. სარჩელი საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო შეტყობინების ბათილობის თაობაზე ინსპექციის, და არა უძრავი ნივთის, რომლის თაობაზეც იქნა დარიცხული გადასახადი, ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის  
№ ბს-479-452(გ-09) განჩინება

18. ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიიჩნევა არა ანგარიშსწორების, როგორც მისგან გამომდინარე ერთ-ერთი ვალდებულების, არამედ ხელშეკრულების შინაარსით განსაზღვრული ძირითადი მოვალეობების შესრულების ადგილი, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება საქმის განსჯადი სასამართლო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის  
№ ბს-417-404(გ-10) განჩინება

19. კონტრაქტის პირობების დარღვევიდან გამომდინარე, სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია, მიუხედავად ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ მიღწეული სხვაგვარი შეთანხმებისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
17 დეკემბრის № ბს-1477-1410 განჩინება

20. იძულებით გადაადგილებული პირის სარჩელი, აფხაზეთის ა/რ შესაბამისი სასამართლოს ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის  
№ ბს-126-120 (გ-10) განჩინება

21. საქმის განხილვისათვის ტერიტორიულად განსჯადად შესაძლებელია მიჩნეული იქნეს სასამართლო საქმეში სათანადო მოპასუხედ ჩასაბმელ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
9 თებერვლის № ბს-1411-1369(გ-08) განჩინება

22. სარჩელი უნებართვოდ, უპროექტოდ აშენებული ნაგებობის დემონტაჟის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობის შესახებ, მათი გამომცემი ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის  
7 თებერვლის № ბს-85-80(გ-07) განჩინება

**23. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით  
გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული აქტისა და ხელშეკრულები  
საარადად აღიარების შესახებ სარჩელი იმ ადმინისტრაციუ-  
ლი ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით განსახილველია,  
რომელიც, საბოლოოდ, მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასა-  
ხელდა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
25 ნოემბრის №ბს-1444-1378(გ-09) განჩინება

**24. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მი-  
სი ტერიტორიული ორგანოს აქტების ბათილად ცნობის თაობა-  
ზე სარჩელის წარდგენისას, განსჯადი სასამართლო განისაზღ-  
ვრება მოსარჩელის არჩევით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
15 ივლისის №ბს-622-590 განჩინება

**25. სარჩელი პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის  
აპარატის მიმართ საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებუ-  
ლების თაობაზე აპარატის ადგილმდებარეობის მიხედვით სასა-  
მართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის  
18 იანვრის № ბს-1405-980(გ-05) განჩინება

**26. სარჩელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქ-  
მის ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს წარედგინება მი-  
სი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს – საპატრულო პო-  
ლიციის დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს  
ადგილსამყოფელის მიხედვით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
28 აპრილის №ბს-478-451(გ-09) განჩინება

27. ტერიტორიული განსჯადობის წესების დაცვით წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს იმ სასამართლომ, რომელმაც იგი წარმოებაში მიიღო, თუნდაც შემდგომში ეს საქმე სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე სადავოდ არ ხდის განსჯადობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივლისის № ბს-353-337(გ-06), განჩინება

28. ტერიტორიული განსჯადობის დაცვით სარჩელის წაროებაში მიღების შემდეგ მოპასუხე – ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი სტრუქტურის (სამინისტროს) მიერ იმავე საკითხზე მიღებული აქტის გასაჩივრება არ ცვლის დავის განსჯადობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 მარტის №ბს-102-101 (გ-10) განჩინება

29. მოთხოვნა მოვალის უფლებამონაცვლე პირის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, სააღსრულებო ფურცლის გაცემის კომპეტენციის მქონე, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს წარედგინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის №ბს-787-749(გ-07) განჩინება

## საგნობრივი განსჯადობა

### §.1 სარჩელები მარეგისტრირებული და სანოტარო ორგანოების მიმართ

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა არ წარმოადგენს საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნით, საჯარო რეესტრის მიმართ აღძრული სარჩელის საფუძველს, დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის №ბს-1736-1690 (გ-08) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობა*

2. სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სახლთმფლობელობის დაკანონების და საერთოს საკუთრებიდან წილის გამოყოფის თაობაზე, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს და დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის №ბს-1357-932(გ-05) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: სახლთმფლობელობის ნაწილზე საკუთრების აღიარება და წილის გამოყოფა*

3. სარჩელი საჯარო რეესტრის მიმართ ქონების რეგისტრაციის და საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის №ბს-1822-1776(გ-10) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: ბინის მესაკუთრედ ცნობა და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია*

4. სარჩელი საჯარო რეესტრის მიმართ საცხოვრებელ სახლზე და მიწის ნაკვეთზე უკვე არსებული საკუთრების უფლების

**რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ივლისის №ბს-654-623(გ-07)

*სასარჩელო მოთხოვნა: საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურისათვის სახლისა და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის დავალებულება*

**5. სარჩელი საჯარო რეესტრის სამსახურის მიმართ სახლზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 მარტის № ბს-1510-1085(გ-05) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია*

**6. სარჩელი საჯარო რეესტრის მიმართ ნაგებობის და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის დავალებულების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის №ბს-936-897(გ-07) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია*

**7. თუ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნა არ წარმოადგენს სარჩელის დამოუკიდებელ საგანს, არამედ სამოქალაქო უფლებასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნის თანამდევი შედეგია, საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 მარტის № ბს-151-141(გ-07) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: საჯარო რეესტრის ჩანაწერის, ყიდვა-გაყიდვის და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის სამსახურის დავალებულება ქმედების განხორციელების თაობაზე*

**8. სარჩელი საჯარო რეესტრის მიმართ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების ფლობით დადგენისა და საჯარო რეესტრის სამსახურისათვის სააღრიცხვო ჩანაწერში ცვლილებების შეტანის დავალებულების თაობაზე ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის №ბს-1016-969(გ-06) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების ფლობით ფაქტის დადგენა და საჯარო რეესტრის სამსახურისათვის სააღრიცხვო ჩანაწერში ცვლილებების შეტანის დავალებულება*

**9. სარჩელი საჯარო რეესტრის ორგანოს მიმართ საკადასტრო გეგმის ბათილად ცნობის და ახალი აქტით მხარეთა შორის მონათსარგებლობის წესის განსაზღვრის შესახებ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის №ბს-707-684(გ-10) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის ბათილად ცნობა, ახალი აქტით სავალი გზის დადგენა, ჭიშკრის აღება და სასაზღვრე მიწების საერთო სარგებლობის გზებთან შესაბამისობაში მოყვანა*

**10. სარჩელი ქმედების განხორციელების – საკადასტრო რუკის ჩანაწერის საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანისა და უზუსტობის გასწორების დავალებულების თაობაზე ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის №ბს-32-32(გ-08) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: საკადასტრო რუკის ჩანაწერის საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა და უზუსტობის გასწორება*

**11. სარჩელი ტექნიკურიზაციის ბიუროს საარქივო მასალაში უზუსტო ჩანაწერის შესწორების თაობაზე საჯარო სა-**

**მართლებრივ კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინ-  
სიტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
14 დეკემბრის №ბს-854-818(გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ტექნიკური ბიუროს საარ-  
ქივო მასალაში უზუსტო ჩანაწერის შესწორება*

**12. სარჩელი შენობის ტექნიკური პასპორტის გაუქმების  
თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განი-  
ხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
25 მაისის №ბს-234-16 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ადმინისტრაციული აქტის ბათილად  
ცნობა და შენობაზე უფლების აღდგენა*

**13. სარჩელი საკრებულოს მიმართ, საკომლო წიგნში სა-  
კომლო ქონების აღრიცხვის კანონიერების თაობაზე, ადმინის-  
ტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის  
18 იანვრის №ბს-1519-1094(გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საკომლო წიგნის ჩანაწერის გაუქმება*

**14. ქორწინების რეგისტრაციის გაუქმებაზე სამოქალაქო  
რეესტრის ორგანოთა უარი გამომდინარეობს საჯარო კანონ-  
მდებლობიდან, საქართველოს კანონიდან „სამოქალაქო აქტე-  
ბის რეგისტრაციის შესახებ“ და მათი გაუქმების თაობაზე სარ-  
ჩელი ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით უნდა იქ-  
ნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
6 მაისის №ბს-900-866 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სამოქალაქო რეესტრის ორგანოთა  
გადაწყვეტილებების გაუქმება და ქორწინების ჩანაწერის რეგის-  
ტრაციის გაუქმების დავალდებულება*

**15. სარჩელი მმაჩის განყოფილების მიმართ შვილად აყვა-  
ნის და დაბადების აქტების ჩანაწერების სიყალბის დადგენის  
თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება**



საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
2 ივლისის №ბს-806-770(გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: შეილად აყვანის და დაბადების აქტე-  
ბის ჩანაწერების ყალბად აღიარება*

**16. სარჩელი მმჩის ორგანოს მიმართ ქორწინების ჩანაწე-  
რის ბათილად ცნობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმო-  
ების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
26 თებერვლის №ბს-1735-1689(გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ქორწინების აქტის ბათილად ცნობა*

**17. სარჩელი ბავშვებისთვის გვარის შეცვლაზე განიხილება  
სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის  
11 ივნისის №ბს-383-337-კ-04 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ბავშვებისათვის გვარის შეცვლა*

**18. დაბადების და მშობლების ქორწინების აქტების ჩანაწერ-  
ში მამის სახელისა და გვარის შესწორებაზე უარის შესახებ სა-  
მოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს (სარო) დადგენი-  
ლებაზე სარჩელი, როდესაც იგი საქართველოს კანონს „სამოქა-  
ლაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ ემყარება, ადმინისტრა-  
ციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
26 ოქტომბრის №ბს-1156-732(გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: დაბადების მოწმობასა და ქორწინების  
მოწმობაში მამის სახელის ჩასწორება*

**19. სარჩელი გარდაცვალების მოწმობაში ცვლილების შე-  
ტანის თაობაზე (გარდაცვალების ადგილის შეცვლა) ადმინის-  
ტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას  
წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის  
2 თებერვლის №ბს-1610-1184(გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: გარდაცვალების მოწმობაში ცვლილე-*  
*ბის შეტანა*

**20. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების  
მიერ გვარის შესწორებაზე უარი ემყარება საჯარო კანონმდებ-**  
**ლობის, საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგის-**  
**ტრაციის შესახებ“ დებულებებს და იგი ადმინისტრაციული სა-**  
**მართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის  
№ბს-677-645(გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: დაბადების მოწმობაში ცვლილებების*  
*შეტანა*

**21. სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სა-**  
**ქართველოს არქივის მიმართ, დაბადების მოწმობის აღდგენის**  
**შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართ-**  
**ლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე, ადმი-**  
**ნისტრაციული კატეგორიის დავას წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის  
24 ივლისის №ბს-557-549(გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-*  
*სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და შვილის დაბადების*  
*მოწმობის აღდგენის შესახებ მოპასუხისათვის ახალი აქტის გამო-*  
*ცემის დავალდებულება*

**22. სანოტარო წესით დამტკიცებულ ხელშეკრულებაში მე-**  
**ქანიკური შეცდომის გასწორებაზე სანოტარო ორგანოს მიმართ**  
**სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გა-**  
**ნიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
14 იანვრის №ბს-1257-1219 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სანოტარო აქტში შესწორების შეტანა*

23. სანოტარო აქტით დამონებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე სარჩელი იმისდა მიუხედავად, რომ დავის ერთ-ერთ მხარეს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო, ნოტარიუსი წარმოადგენს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 19 ოქტომბრის №ბს-1148-724(გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ხელშეკრულების გაუქმება და ზიანის ანაზღაურება

24. სარჩელი ნოტარიუსის მიმართ, მემკვიდრედ ცნობისა და მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაწილის გაცემის თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის №ბს-1629-1557(გ-09) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: მემკვიდრედ ცნობა და სამკვიდრო მონაწილის გაცემა

## **§2. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების განსჯადობა**

1. ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავა, თუნდაც საქმის განხილვისას მისი მხარეები უკვე კერძო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენდნენ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის №ბს-463-442(გ-09) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: იჯარის ხელშეკრულების შესრულება

2. დავა ფინანსთა სამინისტროს მიერ შპს-თვის გაცემული სესხის ხელშეკრულების შეუსრულებლობის თაობაზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების თაობაზე

**ტრაციულ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დავას წარმოადგენს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის №ბს-202-196 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა*

**3. ფინანსთა სამინისტროსა და ინდ. მენარმეს შორის არა-საჯარო მიზნის მისაღწევად დადებული სესხის ხელშეკრულების შესრულების თაობაზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის №ბს-1461-1395(გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სესხის ხელშეკრულების შესრულება*

**4. ენერგეტიკის სამინისტროსა და სს-ს შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების თაობაზე ხელშეკრულება გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან და მისი პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის საურავის დაკისრება წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მაისის №ბს-250-240 (გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება*

**5. თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, კერძო მენარმის მიმართ სურსათის მიწოდების ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას წარმოადგენს და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის №ბს-1467-1401 (კ-09) განჩინება

*დავის საგანი – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება*

**6. ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 11 თებერვლის №ბს-467-57-(გ-03) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა*

**7. საბინაო სამშენებლო კოოპერატივის საკუთრებაში მყოფი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას და მისი ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილველია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მარტის №ბს-76-76(გ-08) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: საბინაო სამშენებლო კოოპერატივის ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა*

**8. ადმინისტრაციულ ორგანოსთან საერთო საცხოვრებელი საარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის გამო მობინადრეთა გამოსახლების თაობაზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 29 აპრილის №ბს-60-30 (გ-03) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: საერთო საცხოვრებელიდან გამოსახლება*

**9. პირის ბინის მესაკუთრედ ცნობის და საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციის თაობაზე სარჩელი, თუ იგი არ უკავშირდება ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების შეცვლის მოთხოვნას, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის  
8 სექტემბრის №ბს-23-25 (გ-03) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ბინის თანამესაკუთრედ ცნობა, რე-  
გისტრაციის აღდგენა და ფართობის გამოყოფა*

**10. სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულე-  
ბა (კონტრაქტი) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოად-  
გენს და მისი დარღვევის შედეგების თაობაზე დავა ადმინის-  
ტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
10 აპრილის №ბს-248-238 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სამხედრო სამსახურის გავლის შესა-  
ხებ ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობების შეუსრულებლო-  
ბით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება*

### **§ 3. შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული დავების განსჯადობა**

**1. სარჩელი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-  
ტროს აკადემიის მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაუ-  
რების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წე-  
სით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის,  
№ბს-22-21 (გ-10) განჩინება

**2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის მუშაკები (გარ-  
და ხელმძღვანელისა) არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს.  
ამიტომაც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონ-  
დის რაიონული ფილიალის უფროსის მოადგილის განთავისუფ-  
ლების ბრძანების, როგორც შრომის კანონმდებლობის საფუძ-  
ველზე გამოცემულის, ბათილად ცნობაზე დავა სამოქალაქო სა-  
მართალწარმოების წესით განსახილველია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
13 მაისის №ბს-1007-971(გ-08) განჩინება

3. სსიპ ხელმძღვანელის, „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის ბრძანება მუშაკის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და ამის თაობაზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის №ბს-309-301 (2კ-08) განჩინება

4. სსიპ შემოსავლების სამსახურის რეგიონული ცენტრის მომსახურების სამმართველოს რაიონული სერვისის ცენტრის მთავარი ოფიცერი არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, მასზე არ გავცელდება საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, ამიტომაც დავა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის №ბს-150-149 (გ-12) განჩინება

5. სარჩელი დარგობრივი პროფკავშირის ყრილობის შედეგების და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 თებერვლის №ბს-107-106 (გ-12) განჩინება

6. დავა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების კანონიერებაზე, იმისდა მიუხედავად, რომ იგი საჯარო მოსამსახურეს არ წარმოადგენს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 თებერვლის №ბს-106-105(გ-12) განჩინება

7. სარჩელი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ იგი საჯარო მოსამსახურეს არ წარმოადგენს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის №ბს-1392-1329 (გ-09) განჩინება

8. სსიპ წარმომადგენლობითი საბჭო ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მისთვის მინიჭებულ საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, ამიტომაც დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის №ბს-372-357 (გ-09) განჩინება

9. გასული პერიოდის სახელფასო დავალიანების თაობაზე დავის განსჯადობა განისაზღვრება სადავო პერიოდში მხარეთა შორის არსებულ სამართალურთიერთობის შინაარსით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის №ბს-604-599 (გ-11) განჩინება

10. სარჩელი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო იურიდიული პირის – საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ მისი გამომცემი ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის №ბს-726-702 (გ-10) განჩინება

11. სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის და მის საფუძველზე გამოცემულ მინისტრის ბრძანების, რომლითაც



საჯარო სკოლას მიეცა წერილობითი გაფრთხილება, ბათილად ცნობის თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2010 წლის 9 ნოემბრის №ბს-1217-1184 (გ-10) განჩინება

12. სარჩელი რექტორის მოადგილის და უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე რექტორის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის №ბს-142-138(გ-08) განჩინება

13. სსიპ – ინსტიტუტის დირექტორის მიერ თანამშრომელთა მიმართ გამოცემული ბრძანების ბათილობის თაობაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის № ბს-527-503(გ-07) განჩინება

14. სარჩელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიმართ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სახელფასო დავალიანების გადახდის შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის №ბს-1719-1675(გ-10) განჩინება

#### **§ 4. სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ დავების განსჯადობა**

1. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის მონაცემების რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოების (შემოსავლების სამსახური, რეგიონალური ცენტრი) ბრძანებებზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის  
№ბს-181-174 (გ-10) განჩინება

**2. სარჩელი საგადასახადო ორგანოს წინაღმდეგ შპს-ს  
ლიკვიდაციის რეგისტრაციის და სამეწარმეო რეესტრის ჩანა-  
წერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე სამოქალაქო  
სამართალწარმოების წესით განსახილველი დავა.**

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის  
2009 წლის 1 ივნისის №ბს-383-368 (გ-09) განჩინება

**3. არაკომერციული იურიდიული პირის სარჩელი საგადა-  
სახადო ორგანოს მიმართ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლი-  
ლებების შეტანის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების  
წესით განიხილება.**

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის  
2009 წლის 13 მაისის №ბს-1583-1538 (გ-08) განჩინება

**4. სამინისტროს (ადმინისტრაციული ორგანოს) სარჩელი  
გაკოტრების რეჟიმში მყოფ სს-ის (კერძო სამართლის იურიდი-  
ული პირი) მიმართ ქონების დაბრუნების და ზიანის ანაზღაუ-  
რების თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გან-  
სახილველი დავა.**

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის  
2008 წლის 27 მარტის №ბს-133-132 (გ-08) განჩინება

**5. გაკოტრების მასაში შემავალი ქონების საგადასახადო  
ყადაღისაგან განთავისუფლების კანონიერებზე დავა სამოქალაქო  
სამართალწარმოების წესით განიხილება**

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის  
2008 წლის 17 აპრილის №ბს-180-176(გ-08) განჩინება

**6. გაკოტრების რეჟიმში მყოფი სს-ის ადმინისტრაციულ  
სამართალწარმოების წესით განსახილველ სარჩელზე არ  
ვრცელდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“  
საქართველოს კანონით დადგენილი განსაკუთრებული განსჯა-  
ლობა.**

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის  
2009 წლის 26 მარტის №ბს-330-319 (გ-09) განჩინება

7. სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ ბრძანება შპს-ს წესდებაში ცვლილების შეტანის და სამეთვალყურეო საბჭოს შემდგენლობის შევლის შესახებ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს და სარჩელი მისი ბათილობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილება.

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის  
2006 წლის 11 იანვრის № ბს-1341-916(გ-05) განჩინება

## **§ 5. გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული დავების განსჯადობა**

1. ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების მოთხოვნით აღძრული სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: ქონების დაყადაღების შესახებ აღმასრულებლის აქტის ბათილად ცნობა*

2. მესამე პირის სარჩელი სააღსრულებო ორგანოს მიმართ, მის ქონებაზე არასწორად დადებული ყადაღის გაუქმების შესახებ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: ქონების დაყადაღების აქტის გაუქმება*

3. შპს-ს სარჩელი სააღსრულებო ბიუროს მიმართ, საქართველოს კანონიდან “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” გამომდინარე მოქმედების განხორციელების თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: სააღსრულებო ბიუროს მიერ სასამართლოსათვის გადაცემული სააღსრულებო ფურცლების უკან დაბრუნება*

4. აღმასრულებლის უმოქმედობის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: აღმასრულებლის უმოქმედობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება*

5. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე დავის განსჯადობა განპირობებულია იმ გადაწყვეტილების იურიდიული ბუნებით, რომლის საფუძველზეც სააღსრულებო ფურცელი იყო გაცემული.

*დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა*

6. სააღსრულებო ფურცლის გაცემა უნდა განხორციელდეს იმავე სამართალწარმოების წესით, რა წესითაც მიღებულ იქნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ამიტომაც, სამოქალაქო საქმეზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე განცხადება სამოქალაქო სასამართლოს მიერ განიხილება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოპასუხედ ადმინისტრაციული ორგანოა დასახელებული.

*დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა*

7. სარჩელი სააღსრულებო ორგანოს მიმართ, სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილების აღსრულებისაგან თავის შეკავების მოთხოვნაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: გადაწყვეტილების აღსრულებისაგან თავის შეკავების დავალდებულება*

8. სარჩელი სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების აკრძალვის შესახებ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესრულების აკრძალვა*

9. სამოქალაქო დავაზე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმების და სააღსრულებო მოქმედების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმება, მის საფუძველზე გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის და სააღსრულებო ბიუროს წინადადების ბათილად ცნობა*

10. სპეციალისტის მიერ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ნივთის აუქციონზე რეალიზაცია, კერძო აღმასრულებლის საქმიანობისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილების განხორციელებას და მის თაობაზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: სპეციალისტის მიერ ჩატარებული აუქციონის ოქმების და განკარგულების ბათილად ცნობა*

11. აღმასრულებლის განცხადება უდავო სამართალწარმოების წესით განკარგულების გაუქმების თაობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ იგი ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება. დავა ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი გახდება მხოლოდ შესაბამისი მოთხოვნის სასარჩელო განცხადების ფორმით წარდგენისას.

*დავის საგანი: აუქციონის შედეგების თაობაზე განკარგულების გაუქმება*

12. გადაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის მოვალისათვის ფულადი ჯარიმის გადახდევინების შესახებ საკითხი საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ შესაბამისად, განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

*განმცხადებლის მოთხოვნა: გადაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის დაჯარიმება*

13. სააღსრულებო ორგანოს მიმართ წარდგენილი თავდაპირველი სარჩელის (სააღსრულებო წარმოების შეჩერება და ბინის ყადაღისაგან განთავისუფლება), კერძო სამართლებრივი მოთხოვნით (ბინის წილზე მესაკუთრედ ცნობა) შეცვლის შემთხვევაში დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: აღსრულების შეჩერება და წილის ყადაღისაგან განთავისუფლება*

14. უფლებამოსილი სასამართლო ვალდებულია თვით, განმცხადებლის მოთხოვნის ტრანსფორმაციის შემდგომ, გასცეს

მისთვის განსჯადობით განსახილველად გადაცემულ განცხადების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელი.

*დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაცემა*

15. სააღსრულებო ორგანოს მიმართ წარდგენილი სარჩელი, თუ მოთხოვნის საფუძველს სამოქალაქო კანონმდებლობა წარმოადგენს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: იპოთეკის უფლების ჩანაწერის აღდგენა საჯარო რეესტრში, სანოტარო აქტის ბათილად ცნობა და შესაბამისი ჩანაწერის შეტანა საჯარო რეესტრში*

16. სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების (სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება) თაობაზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

*დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება*

17. კერძო საჩივრის განხილვის მომწესრიგებელი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლები, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას საკასაციო სასამართლოში არ ითვალისწინებს, მაგრამ კერძო საჩივრის განსჯადობის თაობაზე დავის არსებობისას, ანალოგიით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი უნდა იქნეს გამოყენებული.

*კერძო საჩივრის მოთხოვნა: აღსრულების შეჩერება*

§ 6. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელების განსჯადობა

1. იმისდა მიუხედავად, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ აღძრული სარჩელის სამართლებრივი საფუძველი დელიქტური ვალდებულებაა, იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის №ბს-523-499 (გ-07) განჩინება*

2. ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელი ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განიხილება, იმისდა მიუხედავად, რომ მის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის ნორმები წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 თებერვლის №ბს-1479-1411 (გ-09) განჩინება

3. ლიცენზიის მქონე კერძო სამართლის იურიდიული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი, როდესაც ზიანის მიყენება არ არის დაკავშირებული ლიცენზიით ნებადართულ საქმიანობასთან, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 29 აპრილის №ბს-1147-36-გ-04 განჩინება

4. საწარმოს პრივატიზების გაუქმებით აქციონერისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 აპრილის № ბს-223-211 (გ-07) განჩინება

5. სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუ იგი არასათანადო მოპასუხეობის გამო კერძო სამართლის პირით არ შეიცვლება, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 მაისის №ბს-52-51 განჩინება

6. ფიზიკური პირის სარჩელი სსიპ „საზოგადოებრივი მუნიციპალიტეტის“ მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე სსიპ და, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
29 იანვრის №ბს-1585-1539 (გ-08) განჩინება

**7. მიწის ნაკვეთის გადაცემაზე ქ. თბილისის მთავრობის  
დაუსაბუთებელი უარით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზ-  
ღაურებაზე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების  
წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის  
4 აპრილის № ბს-226-214 (გ-07) განჩინება

**8. შს სამმართველოს უფროსის მოადგილის მოქმედებით  
(ინტერვიუს მიცემით), რომელიც მის საჯარო-სამართლებრივი  
უფლებამოსილებაში არ შედის, მიყენებული მორალური ზიანის  
ანაზღაურებაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების  
წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
5 აპრილის №ბს-498-19 (გ-04) განჩინება

**9. ფიზიკური პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს უფ-  
როსის მიმართ, რომელიც საჯარო მოსამსახურეს წარმოად-  
გენს, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი ადმინისტრაცი-  
ული სამართალწარმოების წესით განსახილველია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
24 მარტის №ბს-1433-92-გ-04 განჩინება

**10. სარჩელი კერძო სამართლის იურიდიული პირის მი-  
მართ იძულებით გადაადგილებული პირისათვის საცხოვრებ-  
ელი სადგომის სანაცვლო კომპენსაციის გადახდის თაობაზე სა-  
მოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
6 მარტის №ბს-1738-1691 (გ-08) განჩინება

**11. სარჩელი პოლიციის საკუთრებაში მყოფი ავტომობი-  
ლის მძღოლის მიერ შრომითი მოვალეობის შესრულების დროს**



**მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ივლისის №ბს-687-655 (გ-07) განჩინება

**12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს რეგრესული სარჩელი მისი თანამდებობის პირის მიმართ უფლებამოსილების გადამეტებით ჩადენილი მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის №ბს-1700-1656 (გ-10) განჩინება

**13. პირველი ინსტანციის სასამართლოში სსიპ მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილული სარჩელი, მისი შპს გარდაქმნის გამო, სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იყოს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის №ბს-569-542 (კ-07) განჩინება

**14. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შედეგად უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლების ანაზღაურების შესახებ სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის №ბს-1047-1000 (გ-07) განჩინება

**15. მართლმსაჯულების განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის მოსამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე სარჩელი, უწყებრივად სასამართლოს განსჯადია მხოლოდ მოსამართლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი დარღვევისას, რაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით უნდა იყოს დადასტურებული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
20 აპრილის №ბს-181-23 (კს-05) განჩინება

**16. სასამართლო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე საქმის  
განსჯადობა დამოკიდებულია სარჩელის განსჯადობაზე და არა  
მოპასუხის სტატუსზე.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის  
№ბს-224- 212 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სასამართლო ხარჯების ანაზღაურება*

## **§ 7. სასჯელალსრულების დაწესებულებებთან დავების განსჯადობა**

**1. სარჩელი სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიმართ,  
მარჩენალის დაკარგვის გამო სარჩოს დანიშვნის თაობაზე, ად-  
მინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
3 ივნისის №ბს-480-68 (გ-05) განჩინება

**2. სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის შესახებ დავა ად-  
მინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
15 ოქტომბრის №ბს 1069-1027 განჩინება

**3. სასჯელალსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფერო-  
ში შემავალ საკითხებზე დავა საქართველოს ადმინისტრაციული  
საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული  
ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ  
სხვა საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება, ამიტომაც სარჩელი სას-  
ჯელალსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების გაუმჯო-  
ბეების თაობაზე ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
11 ნოემბრის №ბს-1118-1074 განჩინება

4. პატიმრობის რეჟიმის შეცვლის შესახებ სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსის გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის №ბს-1204-1149 განჩინება

5. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილება მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებით განსახილველი დავას წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის №ბს-1442-377 განჩინება

6. სასჯელის გადავადების თაობაზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის დავალდებულება, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის №ბს-1205-1150 განჩინება

#### **§ 8. საქმის წარმოების განახლების მოთხოვნებზე საქმეების განსჯადობა**

1. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსჯადია მხოლოდ მის მიერ გამოტანილ განწყვეტილებაზე და იგი არ დაიშვება ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის №ბ-129-3 (ა-09) განჩინება

2. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამოძიან სასამართლოში, რომელიც მას განიხილავს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის №ბ-593-4 (ა-09) განჩინება

3. ზემდგომი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების და ხელახლა განსახილველად დაბრუნების, ხოლო დანარჩენ ნაწილის უცვლელად დატოვების შემთხვევაში, ამ ნაწილში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვისათვის განსჯადს გადაწყვეტილების დამდგენი სასამართლო წარმოადგენს, ხოლო გაუქმებულ და ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ ნაწილში ის სასამართლო, რომელიც არსებითად გადაწყვეტს დავას (გამოიტანს გადაწყვეტილებას).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის №ბ-1982-18 განჩინება

4. დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათი არ გამორიცხავს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას, თუ მოთხოვნა ეხება სამოქალაქო პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის №ბს-540-126-კ-05 განჩინება

5. ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნის დასაშვებობის და დასაბუთებულობის საკითხს ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს და მხოლოდ საქმის წარმოების განახლების შემთხვევაშია შესაძლებელი საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად წარმართვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
16 ნოემბრის №ბს-1298-875 (გ-05) განჩინება

**6. საქმის წარმოების განახლების მოთხოვნაზე უარის შესახებ განჩინების თაობაზე განცხადება მხოლოდ მაშინ მიიჩნევა კერძო საჩივრად და ზემდგომი სასამართლოს განსჯადად, თუ იგი შეიცავს განჩინების გაუქმების მოთხოვნას და არა მხარის მოსაზრებას განჩინების უსწორობის შესახებ.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
17 ნოემბრის № ბს-616-202 (კს-05) განჩინება

## **§ 9. სხვა სახის დავათა განსჯადობა**

**1. პატენტის გაუქმების შესახებ დავა, სამართლებრივად, ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს და განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის  
22 თებერვლის №ბს-1580-1154 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: პატენტის ბათილად ცნობა და  
ზიანის ანაზღაურება*

**2. სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოების (ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს) მიმართ საავტორო უფლების დარღვევის გამო კომპენსაციის გადახდის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
15 ივლისის №ბს-477-450 (გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საავტორო უფლების დარღვევისათვის კომპენსაციის ანაზღაურება*

**3. ადმინისტრაციული აქტებიდან (არქიტექტურის სამსახურის ბრძანება, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის აქტი) გამომდინარე, დავა მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტის, კანონდარღვევით გადაკეთებული შენობის პირვანდელ**

**მდგომარეობაში მოყვანის დავალდებულების თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის №ბს-584-561 (გ-08) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანების, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის წერილის ბათილად ცნობა, გადაკეთების მოშლა და ნაგებობის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა*

**4. კერძო სამართლის პირებს შორის დავა მშენებლობის აკრძალვისა და უნებართვო ნაგებობის დემონტაჟის თაობაზე, საქმეში ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობისა და მიუხედავად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 თებერვლის №ბს-33-10 (გ-05) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: უკანონო ნაგებობის დემონტაჟი და მშენებლობის აკრძალვა*

**5. განცხადება გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული სამართალწარმოებით იგი განიხილება მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი პროტესტის (შესაგებლის) საფუძველზე საქმის სასარჩელო წარმოებაში გადაზრდის შემთხვევაში.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის №ბს-165-155 (გ-06) განჩინება

**6. უდავო წარმოების წესით წარდგენილი განცხადების განსჯადობა შესაძლოა არ დაემთხვეს სარჩელის განსჯადობას, ამიტომაც, სარჩელის აღძვრამდე განცხადების სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა არ გამორიცხავს დავის წარმოქმნის შედეგად აღძრული სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის  
№ბს-824-808 (გ-12) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქ-  
ტის კუთვნილების დადგენა*

**7. დოკუმენტის ნამდვილობის თაობაზე გამოტანილ დაუ-  
სწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივარი სამოქალაქო  
სამართალწარმოების წესით განიხილება, თუნდაც მოპასუხეს  
ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდეს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
12 ოქტომბრის № ბს-1150-726(გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ბინის ჩამორთმევა*

**8. სარჩელი გამგეობის მიმართ, საქართველოს სამოქალა-  
ქო კოდექსის ნორმების საფუძველზე სახლის კეთილსინდისიერ  
მფლობელად ცნობის თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმო-  
ებს წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის  
11 იანვრის № ბს-1356-931(გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სახლის კეთილსინდისიერ  
მფლობელად ცნობა*

**9. სარჩელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, მი-  
წის ნაკვეთის საკუთრებად აღიარებისა და საკომლო წიგნსა და  
საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე,  
ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივნისის  
№ბს-630-608 (გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარე-  
ბა და შესაბამისი ცვლილების შეტანა საკომლო წიგნსა და  
საჯარო რეესტრში*

**10. კომლთან დაკავშირებული ადგილობრივი მმართველო-  
ბის ორგანოს აქტი – საკომლო წიგნის ჩანაწერი არ წარმოად-  
გენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი გაუქმე-**

**ბის თაობაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 31 ოქტომბრის № ბს-358-342 (გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: კომლის სტატუსის აღდგენა და საკომლო ჩანაწერის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა*

**11. სარჩელი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღრიცხვის, მასზე განლაგებული შენობის ექსპლუატაციაში მიღების და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 ოქტომბრის № ბს-500-475 (გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღრიცხვა, მასზე განლაგებული შენობის ექსპლუატაციაში მიღება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია*

**12. სარჩელი უკანონო ნაგებობის დაკანონებაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის № ბს-720-686 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: უკანონო ნაგებობის დაკანონება*

**13. სარჩელი საკრებულოს მიმართ, სასოფლო (საჯარო) გზის აღდგენის თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება, რადგან დაუშვებელია საჯარო-სამართლებრივი დავის მიჩნევა კერძო-სამართლებრივად იმის გამო, რომ მოსარჩელე თავის საჯარო-სამართლებრივ მოთხოვნას კერძო სამართლის ნორმების მეშვეობით ასაბუთებს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის № ბს-305-298 (გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაში გატარება, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა და სასოფლო (საჯარო) გზის აღდგენა*



14. შპს-ის მიერ შედგენილი მშენებლობის პროექტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, მაგრამ არქიტექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ პროექტი იძენს ადმინისტრაციული აქტის ბუნებას, რომლის ბათილობის თაობაზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის №ბს-1291-51-გ-04 განჩინება  
*დავის საგანი: პროექტის ბათილად ცნობა*

15. ქ. თბილისის მერიისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ რემონტის ჩატარების მოვალეობიდან გამომდინარე, სარჩელი კონკრეტული ბინის შეკეთების თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ივნისის №ბს-522-498 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ქ. თბილისის მერიისათვის სარემონტო სამუშაოების ჩატარების დავალდებულება ან ამისათვის აუცილებელი თანხის დაკისრება*

16. სარჩელი ზედმეტად დარიცხული პენსიის თანხის დაკავების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 აპრილის №ბს-214-203 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ზედმეტად დარიცხული პენსიის დაკავება*

17. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაში წევრობასთან დაკავშირებული დავა, როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს მათთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს აქტის ბათილობა, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის

**18. მემკვიდრეობით მიღებული პრივატიზებულ ბინის თაობაზე მემკვიდრეთა შორის დავა, თუ სარჩელის საგანს არ წარმოადგენს პრივატიზაციის სელშეკრულება, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 29 იანვრის №ბს-497-62-გ-03 განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: მემკვიდრეობით მიღებული პრივატიზებული ბინის გაყოფა

**19. ქ. თბილისის მერიის მიმართ აღძრული სარჩელი ქონებრივი რესტიტუციის თაობაზე, ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის №ბს-1005-963 განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ქონებრივი რესტიტუციის საფუძველზე საკუთრების უფლების აღდგენა

**20. საქართველოს კანონით „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ დადგენილი კომპენსაციის მიღების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ აღძრული სარჩელი, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის №ბს-537-508 (გ-09) განჩინება  
დავის საგანი: სარგებლობის უფლების დათმობის სანაცვლო კომპენსაციის მიღება

**21. მინიჭებული საჯარო უფლებამოსილებების საფუძველზე, საჯარო სკოლის მიერ უძრავი ქონების ნაწილის გამოთხოვის თაობაზე აღძრული ვინდიკაციური სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის

9 დეკემბრის №ბს-872-839 (კ-08) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: უკანონო მფლობელობიდან ქონების  
გამოთხოვა

**22. საჩივარი ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გა-  
დაწყვეტილებაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სა-  
დისციპლინო პალატის განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ივნისის  
№ბ-869-ს-10 განჩინება

სასარჩელო მოთხოვნა: ადვოკატის დისციპლინური  
პასუხისმგებლობა

**23. სარჩელი ბუნებრივი გაზის (აირის) უკანონოდ მოხმა-  
რების აქტის და დატაცების სამართალდარღვევის ოქმის გაუქ-  
მების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წე-  
სით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის  
11 მაისის №ბს-47-47 (გ-05) განჩინება

სასარჩელო მოთხოვნა: ადმინისტრაციული სამართალდარ-  
ღვევის აქტისა და ოქმის ბათილად ცნობა

**24. სარჩელი სტუდენტის უმაღლესი სასწავლებლიდან გა-  
რიცხვის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე ადმინისტრაცი-  
ული სამართალწარმოების წესით განიხილება, თუ დადგინდა,  
რომ იგი საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესა-  
ხებ“ საფუძველზე არის გამოცემული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის  
№ბს-956-930 (გ-10) განჩინება

სასარჩელო მოთხოვნა: სტუდენტის გარიცხვის ბრძანების  
ბათილად ცნობა

**25. განცხადება მარჩენალდაკარგულად ცნობის თაობაზე  
არ არის მიმართული კონკრეტული მოპასუხის მიმართ, იგი  
უდავო წარმოების მომწესრიგებელი პროცესუალური ნორმე-**

**ბის გამოყენებით უნდა იქნეს განხილული და სამოქალაქო სა-  
სამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
29 ივნისის №ბს-920-506 (კ-05) განჩინება  
*განმცხადებლის მოთხოვნა: მარჩენალდაკარგულად ცნობა*

**26. მოთხოვნა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობი-  
სათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედების მონაწილედ აღი-  
არების და შესაბამისი შეღავათების გავრცელების შესახებ, გა-  
ნხილვა არა უდავო, არამედ სასარჩელო წარმოების წესით და  
ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 19 აპრილის  
№ ბს-96-94 (გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საგანი: აფხაზეთის ტერიტორიაზე წარ-  
მოებული საბრძოლო მოქმედებების მონაწილედ ცნობა  
და შეღავათების გავრცელება  
სასარჩელო მოთხოვნა: გამარტივებული წესით დავალიანების  
გადახდევენების შესახებ ბრძანების გაცემა*

**27. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადების  
განხილვისათვის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს გადა-  
წყვეტილების გამომტანი სასამართლო, რომელსაც უნდა გადა-  
ეცეს არაგანსჯად სასამართლოში წარდგენილი განცხადება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
10 სექტემბრის №ბ-2312-7 (გან-09) განჩინება  
*განმცხადებლის მოთხოვნა: განჩინების განმარტება*

**28. ადმინისტრაციულ საქმეზე სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის მიერ გამოტანილ განჩინებაზე წარდგენილი კერძო სა-  
ჩივარი ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის  
19 მარტის №ბს-853-817 (გ-06)  
*კერძო საჩივრის მოთხოვნა: სარჩელის უმოძრაოდ დატოვება*

განსჯადობის თაობაზე დავების განხილვასთან  
დაკავშირებული საპროცესო საკითხები

**1. მიუხედავად საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტისა, არაგანსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის № ბს-340-271 (კ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება*

**2. სარჩელი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადია და ეს უკანასკნელი არ არის უფლებამოსილი თვით განსაზღვროს მისი უდავო წარმოების ფორმით და შესაბამისად, სამოქალაქო სასამართლოს მიერ განხილვის მიზანშეწონილობა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ივლისის № ბს-557-549 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და დაბადების მონუმობის აღდგენის შესახებ ახალი აქტის გამოცემის დაეალდებულება*

**3. სააპელაციო სასამართლოს მიერ არასათანადო მხარის შეცვლის შემდეგ საქმის განსჯადობა განისაზღვრება პროცესის ახალი მონაწილეების სტატუსის მიხედვით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 6 ივლისის № ბს-627-214 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ვალდებულების ნატურით შესრულება და ზიანის ანაზღაურება*

**4. დავაში სამოქალაქო წესით განსახილველ ძირითადი სარჩელისა და შეგებებული ადმინისტრაციული სარჩელის არსებობისას ისინი სხვადასხვა სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის

8 მაისის №ბს-204-194 (გ-06) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება (ძირითადი სარჩელით), ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა (შეგებებული სარჩელით)*

**5. ადმინისტრაციული სასამართლო არ არის უფლებამოსილი ტერიტორიული განსჯადობით მისთვის სწორად დაქვემდებარებული საქმე განსჯად, სამოქალაქო პალატისათვის გადაცემის გარეშე, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად უზენაეს სასამართლოში წარმართოს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის №ბს-1099-1048 (გ-06) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, მიუღებელი ხელფასის, იძულებითი განაცდურის და მორალური ზიანის ანაზღაურება*

**6. განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე უზენაეს სასამართლოში წარიმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს რომ არასწორია მისთვის საქმის გადაცემა და განსჯადს თვით საქმის გადამცემი სასამართლო წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის №ბს-1079-931 (გ-07) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, მარეაბილიტირებელი შინაარსის ინფორმაციის გამოქვეყნება და საჯაროდ ბოდიშის მოხდა*

**7. განსჯადობის თაობაზე დავის გადაწყვეტისას უზენაესი სასამართლო არ იხილავს საკითხს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, რაც საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 17 იანვრის №ბს-1721-1677 (გ-10) განჩინება

*განმცხადებლის მოთხოვნა: საჯარო რეესტრის გასაჩივრებული ჩანაწერის მოქმედების შეჩერება*

## თავი I. ტერიტორიული განსჯადობა

**1. სარჩელს, სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნის და მის საფუძველზე გამოცემულ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, განიხილავს სასამართლო ბრძანების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის №ბს-856-1818 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნის, თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და იძულებით გაცდენილი ხელფასის ანაზღაურება*

### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ხ. მ-ქმ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს, საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოს შს სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნის, საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ბრძანების დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ბრძანების მისი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბათილად ცნობა და იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში ხელფასის ანაზღაურება.

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ხ. მ-ძის სარჩელი განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ განჩინებაში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემ-

თხვევაში, სასამართლო სარჩელს უგზავნის განსჯად სასამართლოს. ამავე კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად კი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვლება, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, ასეთ აქტებს წარმოადგენდა საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ზემოთ აღნიშნული ბრძანებები. ორივე მოპასუხის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, რის გამოც ხ. მ-ძის სარჩელზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას და მიუთითა, რომ რამოდენიმე მოპასუხის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ ხ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე ხ. მ-ძე ითხოვდა საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნის, საქართველოს შს სამინისტროს საპატ-



რულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ბრძანების მისი დაკავებული თანამდებობიდან და შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ, საქართველოს შს მინისტრის პირველი მოადგილის ბრძანების, მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

მოსარჩელის მიერ მოპასუხეებად დასახელებულნი იყვნენ საქართველოს შს სამინისტრო, ამავე სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო.

საკასაციო სასამართლომ, ზოგადად, დაადასტურა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობის მართებულობა ადმინისტრაციული სასამართლოს მხრიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის გამოყენების სავალდებულობის თაობაზე და აღნიშნა, რომ მითითებული მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საქმე რამოდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. იმავდროულად, საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოთხოვნის შინაარსს და განმარტა შემდეგი: ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამოუკიდებლად დასკვნა არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მოიაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს შედეგი, მაგრამ არა სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არამედ დამოუკიდებლად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გარეშე.

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართვე-

ლოს სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნა, საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ბრძანებისაგან დამოუკიდებლად, არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგს, რის გამოც მისი ცალკე გასაჩივრება არ დაიშვებოდა.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ წინამდებარე შემთხვევაში საჩივრდებოდა მხოლოდ დასკვნის საფუძველზე გამოცემული ბრძანება მოსამსახურის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, რაც არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს სასამართლო არ ეხება დასკვნის საფუძვლიანობას. სასამართლო ვალდებულია, იმსჯელოს ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე და შეაფასოს დასკვნის საფუძვლიანობა, როგორც ადმინისტრაციული წარმოების ერთიანი ეტაპი.

ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ რომ დავის მითითებულ ნაწილში მოპასუხეს წარმოადგენდა არა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო, არამედ შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, რისი გათვალისწინებითაც, საქმე განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო.

**2. ერთ სარჩელში გაერთიანებული ორი სასარჩელო მოთხოვნის განსჯად სასამართლოში წარდგენისას, ერთ მათგანზე საქმის წარმოებით შეწყვეტის, ხოლო მეორე მოთხოვნაზე მიღებულ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, საქმე ხელახლა უნდა განიხილოს განსჯადმა სასამართლომ.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ოქტომბრის №ბს-858-820 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: დავალიანების გადახდა*

## რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. სს „...“ დირექტორმა ა. ტ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების ქუთაისის საგადასახადო ინსპექციისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, საგადასახადო ინსპექციის საინკასო დავალებების გაუქმებისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის დავალიანების გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის საინკასო დავალებების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება, ხოლო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სს „. . .“ სარჩელი დაკმაყოფილდა: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2. საქმის ხელახლა განხილვისას, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობა და სს „. . .“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე მითითებით, არ დაეთანხმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებას და საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწი-

ლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დასახელებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სს „...-მა“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში აღძრა ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ საინკასო დავალებების გაუქმების და, ასევე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, დავალიანების დაკისრების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, საინკასო დავალებების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება, ხოლო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი. შესაბამისად, განსახილველ საქმეში უკვე ერთადერთ მოპასუხე მხარეს წარმოადგენს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, ეს იწვევს საპროცესო ნორმების იმ სახის დარღვევას, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალურ საფუძველს წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ საქმე განხილულ უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი

ნაწილით გათვალისწინებული საერთო განსჯადობის წესების დაცვით და დაეთანხმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომლის მიხედვითაც, რადგან საქმეში ერთადერთ მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, რომლის იურიდიული მისამართიც ქ. თბილისი იყო, სარჩელი განხილულ უნდა ყოფილიყო იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც წარმოადგენდა მოპასუხის ადგილსამყოფელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სარჩელის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეს წარმოადგენდა.

**3. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სამართლებრივ ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი.<sup>2</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის  
№ბს-1721-1677(გ-10) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა*

---

<sup>2</sup> სამართლებრივი თვალსაზრისით, ანალოგიურ დებულებებს შეიცავს მომდევნო: №ბს-1126-1075(გ-09) №ბს-201-194 (გ-10, №ბს-1081-1050 (გ-10) №ბს-252-242(გ-09) განჩინებები. მათი ტექსტის სრულად მოტანა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მის გამო, რომ ამ კატეგორიის დავების განსჯადობაზე არსებობს უზენაესი სასამართლოს სხვაგვარი პოზიცია – იხ. აქვე, № ბს-425-414(გ-13), №ბს-1823-1777(გ-10), №ბს-1078-1048 (გ-10), №ბს-1179-1146(გ-10), №ბს-430-425(გ-12) განჩინებები.

## რედაქტირებული ამონარიდი

1. ზ. ქ-ქმ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 23 ოქტომბრის საკუთრების უფლების მონაპოვით მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ დაბა აგარაში მდებარე 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. 2010 წლის 9 თებერვალს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება „ზ.ქ-ძის უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ“, ხოლო 2010 წლის 10 სექტემბერს იგივე სამსახურის გადაწყვეტილებით გაუქმდა წინა, 2010 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ზ. ქ-ძის ადმინისტრაციული საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება ზ. ქ-ძის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაწილში. ქარელის სარეგისტრაციო სამსახურს დაევა ქარელის რაიონში, სოფელ აგარაში მდებარე უძრავ ნივთზე ზ. ქ-ძის საკუთრების უფლების რეგისტრაციის აღდგენა (დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით) და დაინტერესებული პირის სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“ გადაწყვეტილების მიღება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ზ. ქ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

3. ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. ქ-ძის სარჩელი მოცემულ შემთხვევაში არასწორად იყო გადაგზავნილი ხაშურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგი-

ლის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

ამავე კოდექსის მე-18 მუხლი, რომლის საფუძველზეც იქნა სარჩელი ხაშურის რაიონულ სასამართლოში გადმოგზავნილი, იმპერატიულად კი არ ადგენდა, არამედ იძლეოდა შესაძლებლობას („...შეიძლება შეტანილ იქნეს...“) სარჩელი უძრავ ნივთზე დავის არსებობის შემთხვევაში წარედგინილი ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი ადგენდა, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით, ანუ კანონმდებელი ადგენდა ალტერნატივას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი იყო, ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი როგორც ხაშურის რაიონული, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო. ზ. ქ-ძემ კი გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის თაობაზე და მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ამიტომაც, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი სწორად წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებით ზ. ქ-ძის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ხაშურის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენე-

ბა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. დასახელებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით და, შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. სარჩელი აღძრული იყო მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ამასთან უძრავი ნივთი, რომლის სასამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობდა ქ. ხაშურში და სახეზე იყო საქმის ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის უპირატესობა დავის სხვა სახის განსჯადობების მიმართ.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია რა, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს ხაშურის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზ. ქ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად მას დაუქვემდებარა.

**4. უძრავი ქონების ან ადგილთან დაკავშირებულ უფლების ან სამართლებრივ ურთიერთობის შესახებ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე დავები იმ სასამართლოს განსჯადია, რომლის იურისდიქციის სფეროშიც იმყოფება ქონება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის №ბს-1126-1075(გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება*

რ ე და ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. მ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს მიმართვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ნ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს.

3. საგარეჯოს რაიონული სასამართლოს განჩინებით ნ. მ-ძის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, სარჩელი რამოდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში ადგილი ქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და მოსარჩელემ, გამოხატა რა თავისი ნება, განსჯად სასამართლოდ აირჩია სასამართლო ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი ნივთობრივი განსჯადობა იმპერატიულ ხასიათს არ ატარებს და არ ზღუდავს მოსარჩელეს მისთვის სასურველ სასამართლოს არჩევაში.

4. **საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ ნ. მ-ძის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებარებოდა საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი ზოგადად უშვებს სასამართლოებს შორის დავას, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სასამართლოებისაგან განსხვავებით, დაიშვება არა მხოლოდ საგნობრივ განსჯადობასთან, არამედ ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებული დავაც.

მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ზემოაღნიშნულ სასამართლოებს შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე წარმოშობილ დავა და, თავის მხრივ, განმარტა შემდეგი: ადმინისტრაციული სამართალწარმოება ცალკე არ შეიცავს და ანესრიგებს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას, რაც საკასაციო სასამართლოს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

ტერიტორიული განსჯადობა წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15–24-ე მუხლებით. მისი არსი გამოიხატება პრინციპში, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელე მართავს მოპასუხის სასამართლოს. ეს საერთო პრინციპია და ასახულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლში. მის შესაბამისად აღიძვრება ნებისმიერი სარჩელის სასამართლოში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არაა დადგენილი.

მიუხედავად აღნიშნული საერთო პრინციპისა, კანონმდებელი უშვებს გამონაკლისს, რომლის რეგულაციებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16–24-ე მუხლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი შეიცავს იმ სარჩელების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება აღიძრას ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, ამასთან, საკითხი შეეხება მხოლოდ უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ უფლებებს. მართალია, მითითებული ნორმა ამკვიდრებს ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით სარჩელის აღძვრის მხოლოდ შესაძლებლობას, მაგრამ ეს არ გამორიცხავს საერთო განსჯადობას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, ადმინისტრაციული დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, შეადგენს იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება.

გამომდინარე იქიდან, რომ უძრავი ნივთი, რომლის უფლებრივ მდგომარეობასაც ეხებოდა დავა, მდებარეობდა ქ. საგარეჯოში, ამასთან, საქმეზე ფაქტობრივად მოპასუხე მხარის ადგილსამყოფელიც ქ. საგარეჯო იყო, საკასაციო სასამართლო ჩათვალა,

რომ ნ. მ-ძის სარჩელი განჯადობით განსახილველად საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს ექვემდებარებოდა.

**5. სარჩელი საჯარო რეესტრის მიმართ, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე, განიხილება მიწის ნაკვეთის ადგილსამყოფელი სასამართლოს მიერ.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის  
№ბს-201-194(გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. მ. თ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მას 1990 წლიდან იჯარით ჰქონდა აღებული გარდაბნის რაიონში, ... მდებარე მიწის ნაკვეთი და 2009 წელს საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მაგრამ მოსარჩელეს სააგენტოს მიერ განემარტა, რომ მისი მოთხოვნა დასაზუსტებელი იყო.

მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის 2009 წლის 15 სექტემბრის განცხადების განხილვისა და გარდაბნის რაიონში, ... მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით, სარჩელი განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ

საქმის განმხილველ უფლებამოსილ სასამართლოს გარდაბნის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა.

3. გარდაბნის რაიონული სასამართლოს განჩინებით სასარჩელო განცხადება, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ განსჯადობით მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ დავაში მოპასუხეებს წარმოადგენდნენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო დავის საგანს – საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს განსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის ვალდებულებას. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნებოდა არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის

დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნული თავის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დასახელებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ ეს ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც ქონების უფლებრივი დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს სპეციალურ წესს, რომლის თანახმად განსჯადი სასამართლო განისაზღვრება უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ №4173-რს დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა და სადავო ნაკვეთი ქ. თბილისის შემადგენლობაში შევიდა.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა საქმეში წარდგენილ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წერილზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არ შედის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სადავო უძრავი ქონება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს, წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეს წარმოადგენდა.

**6. სარჩელი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის, მასში ასახული მონაცემებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე მიწის ნაკვეთის ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ოქტომბრის №ბს-1081-1050 (გ-10) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. ნ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ბ.ა-შვილის, ი.მ-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის, მასში ასახული მონაცემებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით გ. ნ-ძის სარჩელი განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად კი, სარჩე-

ლი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხებოდა უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილი ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, სადავო უძრავი ნივთის ადგილსამყოფელი იყო გარდაბანი, ხეხილსანერგე მეურნეობა, სარჩელი ნივთობრივი განსჯადობის შესაბამისად, გარდაბნის რაიონულ სასამართლოს უნდა განეხილა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად მოსარჩელის მიერ მოპასუხედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მითითებისა, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე სარეგისტრაციო წარმოება გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს ჰქონდა განხორციელებული, შესაბამისად, დავის საგნიდან გამომდინარე, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სარჩელის გარდაბნის რაიონული სასამართლოსათვის დაქვემდებარება.

3. გარდაბნის რაიონული სასამართლოს განჩინებით სარჩელი განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას.



ბას, კერძოდ, მისი 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. ამ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადი სასამართლო განსაზღვრის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ №4173-რს დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა და სადავო მიწის ნაკვეთის ტერიტორია ქ. თბილისის შემადგენლობაში შევიდა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გ. ნ-ძის სასარჩელო მოთხოვნას მიწის ნაკვეთის აზოშვითი ნახაზის, მასში ასახული მონაცემებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი გადანაცვეტილებების ბათილად ცნობა წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სადავო უძრავი ქონება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობდა, წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება, ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაქვემდებარებოდა.

**7. ადმინისტრაციული დავების განხილვა, რომლებიც უძრავ ქონებას ან ადგილთან დაკავშირებულ უფლებას ან სამართლებრივ ურთიერთობას ეხება, იმ სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება, რომლის იურისდიქციის სფეროშიც იმყოფება ქონება ან ადგილი, იმისდა მიუხედავად რომ მეორე მოპასუხეს სხვა ადგილმდებარეობის ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის №ბს-252-242(გ-09) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: აუქციონის ბათილად ცნობა და მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადანაცვეტილების არარა აქტად ცნობა

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. შპს „ . . “ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდი-

ული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მუდმივმოქმედმა კომისიამ დააკმაყოფილა შპს „...“ დირექტორის განცხადება ქ. ხაშურში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად აღიარების თაობაზე. საკრებულომ შპს „...“ სახელზე . . . კვ.მ მიწის ნაკვეთზე გასცა საკუთრების უფლების მონობა და იგი იმავე დღეს წარედგინა ხაშურის საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურს. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ ამ მონობაში მითითებული მიწის ნაკვეთი წარმომადგენდა ნაკვეთის ნაწილს, რომელიც რეგისტრირებული იყო სახელმწიფო საკუთრებად, ეს კი შეუძლებელს ხდიდა აღნიშნული უძრავი ქონების შპს „...“ სახელზე რეგისტრაციას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, გამოცხადდა პირობებიანი აუქციონი ქ. ხაშურში, მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაგებობისა და მასზე დამაგრებული იმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომლის შემადგენელ ნაწილადაც რეგისტრირებული იყო . . . კვ.მ სადავო ნაკვეთი. აუქციონის შედეგად ობიექტი გასხვისდა.

მოსარჩელემ მოითხოვა: აუქციონის თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების და მასთან დაკავშირებული აქტების, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების, რომლითაც მიწის ნაკვეთი სხვა პირთა საკუთრებად იქნა აღიარებული, არარა აქტად ცნობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

3. ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებით სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს „...“ სარჩელი უნდა განეხილა იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა სადავო უძრავი ქონება, რომელსაც მოცემულ საქმეში წარმოადგენდა ხაშურის რაიონული სასამართლო.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იურიდიული პირის მიმართ, იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის (განსაკუთრებული განსჯადობა) პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კოდექსის მე-20 მუხლის (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი იყო, ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის №ბს-786-748(გ-07), №ბს-703-669(გ-06) განჩინებებზე, რომელთა თანახმად თუ სარჩელში დასახელებული იყო სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლება იყო, რასაც იგი განსაზღვრავდა სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევდა იმ სასამართლოს, სადაც წარადგენდა სარჩელს. გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელი იყო როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. სასამართლოს არ გააჩნდა უფლებამოსილება, ჩარეულიყო მოსარჩელის მიერ აღნიშნული უფლების რეალიზებაში.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ხაშურის რაიონული სასამართლო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო სასამართლოთა შორის

დავა ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, კერძოდ, განსჯადობა ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. ამ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება ამ უკანასკნელის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, დასახელებული ნაწილი შეიცავდა სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებდა, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით და, შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის (განსაკუთრებული განსჯადობა) 1-ლ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული დავეების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. სარჩელი აღძრული იყო ორი მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ. ამასთან, უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს ქ. ხაშურში, სახეზეა საქმის ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის უპირატესობა დავის სხვა სახის განსჯადობების მიმართ.

**8. სარჩელი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის №ბს-425-414(გ-13) განჩინება  
სარჩელის საგანი: პრეზიდენტის განკარგულების, სამინისტროს ბრძანებების, საკუთრების უფლების მონუმბის ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2013 წლის 16 მაისს რ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მესამე პირის – გ. პ-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რ. ბ-ეს უკანონოდ შეძენისა და დაუსაბუთებლობის მოტივით ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა მისი ქონება.

ქონების ჩამორთმევის საფუძველი გახდა რ. ბ-ის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც სარჩელი წარადგინა აჭარის ა/რ პროკურორმა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. აღნიშნულ წარმოებაში რ. ბ-ე ან მისი წარმომადგენელი არ მონაწილეობდნენ. გადაწყვეტილება მისთვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი წლის შემდეგ და იგი, გასაჩივრების მიუხედავად, არ შეცვლილა. აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილებით რ. ბ-ის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

მოსარჩელემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების, ასევე, საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს 1/906 ბრძანებების და ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა) მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით რ. ბ-ის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის სასამართლოში წარდგენისას დაცული უნდა ყოფილიყო როგორც საგნობრივი, ისე ტერიტორიული განსჯადობის წესები და, შესაბამისად, სარჩელი უნდა წარდგენილი იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა ადმინისტრაციული საქმე. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლების გათვალისწინებით, რ. ბ-ის სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. ყოველივე აღნიშნული კი წარმოადგენდა სარჩელის განსახილველად ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარმართვის საფუძველს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში რ. ბ-ემ დააზუსტა რა სარჩელი, მასში დასახელებულ ადმინისტრაციულ აქტების ბათილად ცნობასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდენასთან ერთად, მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გ. პ-ზე გაცემული №352-პ საკუთრების მონაწილის ბათილად ცნობაც.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას და საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე რომ მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ამიტომაც, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი განსჯადობის თაობაზე დავათა გადასაწყვეტად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, მითითებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, სანარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით და, შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ



დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებების და ამ უკანასკნელის მიერ გ. პ-ის სახელზე გაცემული საკუთრების დამადასტურებელი №352-პ მოწმობის ბათილად ცნობა, ასევე, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. შესაბამისად, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი საერთო განსჯადობის წესები და რ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

**9. სარჩელი, უძრავი ქონების გასხვისების შესახებ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხ-**

**ლით დადგენილ, საერთო განსჯადობის წესების გამოყენებით  
მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და  
სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2011 წლის  
10 იანვრის №ბს-1823-1777(გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სამინისტროს ბრძანების, საკუთრების უფლების  
მოწმობის, აუქციონში გამარჯვების ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებების  
ბათილად ცნობა და მოსარჩელისათვის მოსასვლელი გზის გამოყოფა*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. შპს „ფ-ის“ დირექტორმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, სამინისტროს ბრძანების, საკუთრების უფლების მოწმობის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის და მოსარჩელისათვის მოსასვლელი გზის გამოყოფის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გაასხვისა ხაშურის ბაზრის ტერიტორია. ამის შედეგად გასხვისდა ტერიტორია, რომელიც შპს „ფ-ის“ ერთადერთ სამოძრაო გზას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო აღნიშნულის თაობაზე, მან ეს არ გაითვალისწინა, რის გამოც პრაქტიკულად გამოუყენებელი გახდა შპს „ფ-ის“ საკუთრებაში არსებული ქონება, რითაც უხეშად დაირღვა საკუთრების უფლება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებული იყო სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელ სასამართლოს უნდა განეხილა სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. მითითებული კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი

იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავდა და თანაბრად ვრცელდებოდა ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესი იყო დადგენილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმა ადგენდა განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხებოდა უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლებოდა შეტანილი ყოფილიყო სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, ასევე, აღნიშნა, რომ დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა ფიზიკურ პირებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, რომლის საგანსაც წარმოადგენდა ქ. ხაშურში, ბორჯომის ქუჩის (აგრარული ბაზრის) მიმდებარე უძრავი ნივთი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ვინაიდან სადავო ხელშეკრულებები დადებული იყო ერთ შემთხვევაში ფიზიკურ პირებს შორის, ხოლო მეორე შემთხვევაში ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს და იგი განსჯადობით გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში ხაშურის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა.

3. ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებით სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, მითითებულ ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით და, შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, კერძოდ გასაჩივრებული იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარე-

ბის სამინისტროს ბრძანება, საკუთრების უფლების მონაპოვად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, ასევე, მოსარჩელე ითხოვდა სადავო მიწის ნაკვეთზე მისასვლელი გზის გამოყოფას და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას. სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლის იურიდიული მისამართია, ქ. თბილისი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილისა) ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები. აღნიშნულის გამო, გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი საერთო განსჯადობის წესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლო და შპს „ფ-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად მას დაექვემდებარა.

**10. მიწის ნაკვეთის გასხვისების თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოს ბრძანებების ბათილობაზე სარჩელის განხილვისათვის განსჯადს წარმოადგენს სასამართლო არა უძრავი ქონების, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ოქტომბრის №ბს-1078-1048 (გ-10) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის გასხვისების თაობაზე ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. ხ-ძემ და ნ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვე-

მო ქართლის სამხარეო სამმართველოს (შემდგომ, ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო – ჯ.რ.) მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელები ითხოვდნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის და ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს ბრძანებების ბათილად ცნობას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ხოლო იურიდიული პირის მიმართ, მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. სასამართლო კოლეგიამ ასევე მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად სასამართლოში სარჩელის წარდგენისას დაცული უნდა იქნეს როგორც საგნობრივი, ისე ტერიტორიული და დარგობრივი განსჯადობის წესები, რის შესაბამისად, ჩათვალა, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც ზემოხსენებული საპროცესო ნორმების შესაბამისად უფლებამოსილია გადანაცვლოს ადმინისტრაციული საქმე. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, იმ მოტივით, რომ სადავო უძრავი ქონების ადგილსამყოფელს წარმოადგენდა გარდაბანი, სოფელი კრწანისი, წინამდებარე სარჩელი განსჯადობით გარდაბნის რაიონული სასამართლოს ქვემდებარე იყო.

3. გარდაბნის რაიონული სასამართლოს განჩინებით.გ. ხ-ძის და ნ. მ-ის სარჩელი წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს ბრძანებები წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლითაც გაუქმდა ამავე ორგანოს მიერ მიღებული მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმები, რომლებიც, ასევე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღებ ორგანოს ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს აქტების გასაჩივრების წესსა და პირობებში მითითებული აქვს, რომ ისინი შეიძლება გასაჩივრდეს ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ორგანოს, ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე არის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენცია, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით კი, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი განსჯადობით უნდა დაქვემდებარებოდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ გ.ბ-ძისა და ნ.მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად რუსთავის საქალაქო სასამართლოს ქვემდებარე იყო შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი ზოგადად უშვებს სასამართლოებს შორის დავას, რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სასამართლოებისაგან განსხვავებით, დაიშვება არა მხოლოდ საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა, არამედ აგრეთვე ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და თანაბრად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი განსაკუთრებულ განსჯადობას ადგენს და მიუთითებს, რომ ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ დავაზე აღნიშნული მუხლი ვერ გავრცელდებოდა, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელები სადავოს ხდიდნენ ქართლის სამხარეო სამმართველოს ბრძანებებისა და, ასევე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანების კანონიერების საკითხს, რომლითაც მოსარჩელებს უარი ეთქვათ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე იმ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან სარჩელის წარდგენის მომენტისათვის უნდა დადგინდეს.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2007 წლის 11 იანვრის №1-1/24 ბრძანებით დამტკიცებული ქვემო ქართლის სამხარეო



სამმართველოს დებულების 1-ლი მუხლით სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო, საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს, რომლის იურიდიული მისამართია: რუსთავი, კოსტავას ქუჩა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სარჩელის შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით უნდა დაქვემდებარებოდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელეთა მიერ მეორე მოპასუხედ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მითითებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამინისტროს სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად, ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოსათვის არის საქმიანობის თვითკონტროლის საშუალება, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადასტურა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მართლობიერება. ამიტომაც, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით და, აგრეთვე, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დედაქალაქის სასამართლოში თავმოყრის ტენდენციის შესუსტების მიზნით, სასამართლოში პროცესის ეკონომიურობის, მართმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების თაობაზე საქმის ტერიტორიული განსჯადობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – გამოცემულია ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს მიერ, რომლის მისამართია ქ. რუსთავი, კოსტავას ქუჩა.

**11. სარჩელი საჯარო რეესტრის ორგანოების აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი უძრავ ქონებასთან (მიწის ნაკვეთთან) დაკავშირებით არის გამოცემული, განიხილება მათი გამომცემ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით და არ გამოიყენება სამო-**

**ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილი გან-  
საკუთრებული განსჯადობის წესები.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ნოემბრის  
№ბს-1179-1146(გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა  
და სარეგისტრაციო სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ვ. ი-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ვ. ი-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული განსჯადობა, რის გამოც ვ. ი-ის სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, ხოლო, განსახილველ შემთხვევაში, სადავო უძრავი ქონება მდებარეობდა გარდაბნის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში.

3. გარდაბნის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. შემდეგი არგუმენტების საფუძველზე:

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ვ. ი-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება მოცემული საქმის გარდაბნის რაიონულ სასამართლოს განსჯად საქმედ მიჩნევისთან დაკავშირებით, ვინაიდან სასამართლოს საერთოდ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო უძრავი ქონების ადგილსამყოფელი – სოფელი ტაბახმელა გარდაბნის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს არა განსაკუთრებული, არამედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოებმა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება მოცემული აქტები, არამედ, აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

მოცემულ საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენდნენ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და მისი ტერიტორიული ორგანო – გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, მოსარჩელე რამდენიმე მოპასუხის მიმართ აღძრული მოთხოვნების პირობებში აღჭურვილია პროცესუალური პრივილეგირებული უფლებით – აირჩიოს სასამართლო, თუკი საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ისარგებლა საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით და სასამართლოს მიმართა ერთ-ერთი მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ-

ლი სააგენტოს ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯად – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლომ დამატებით დასძინა, რომ თვით განსაკუთრებული განსჯადობის (რომლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში არასწორია) პირობებშიც კი, თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნა საქმის განსჯადობის თაობაზე არასწორი იყო, და მიუთითა გარდაბნის რაიონული სასამართლოს განჩინებაში დასახელებულ გარემოებაზე.

**12. სარჩელზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობის და ამონაწერის ბათილად ცნობის თაობაზე, სათანადო მოპასუხეს სააგენტოს ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს და საქმე მისი ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 22 მარტის №ბს-46-46(გ-06) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სარეგისტრაციო მოწმობისა და მინის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრიდან ამონაწერის ბათილად ცნობა

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ც. ქ-მა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი აღძრა საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, ხოლო მესამე პირად მიუთითა ნ. ქ-ზე.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის დედის – ნ. ქ-ის სარჩელი სოფ. მანავში მდებარე, მოსარჩელის მამის მიერ აშენებული ბინიდან მეუღლესა და შვილებთან ერთად, მოსარჩელის გამოსახლების თაობაზე.

ნ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიეთითა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული მინის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. მოპასუხემ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო-

ტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურმა კი მიუთითა, რომ ნ. ქ-ის სახელზე საცხოვრებელი ბინის საკუთრების შესახებ არ არსებობდა სათანადო ჩანაწერები.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ ნ. ქ-ს მიაკუთვნა გარდაცვლილ შ. ქ-ის უძრავი ქონება, მაშინ, როდესაც ნ. ქ-ს სანოტარო წესით არ მიუღია აღნიშნული სამკვიდრო. მოსარჩელის გამოცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემამ შელახა მოსარჩელის ქონებრივი უფლებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ც. ქ-მა მოითხოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ნ. ქ-ის სახელზე გაცემული, სარეგისტრაციო მონუმბისა და მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრიდან ამონაწერის ბათილად ცნობა.

2. საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი აღძრული იყო არა იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც პასუხი უნდა ეგო მასზე, ხოლო მოსარჩელე თანახმა იყო მოპასუხის შეცვლაზე. ამიტომაც, სასამართლოს განჩინებით არასათანადო მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახური შეიცვალა სათანადო მოპასუხით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი. საქმე ქვემდებარეობით განსახილველად გადაეცა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადსაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად საგარეჯოს რაიონული სასამართლოს ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მოსაზრება, ვინაიდან არასათანადო მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახური, შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოთი, მოცემული საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნიდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, ვინაიდან საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ ც. ქ-ის სარჩელი წარმოებაში მიიღო განსჯადობის წესების დაცვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, არ არსებობდა აღნიშნული სარჩელის სხვა სასამართლოში გადაგზავნის საფუძველი და საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს მოცემული საქმე უნდა განეხილა და გადაეწყვიტა არსებითად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე საგარეჯოს რაიონული სასამართლოს განსჯადს წარმოადგენდა.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ მოსარჩელემ თვით განსაზღვრა დავის საგანი და სრულიად მართებულად მიუთითა მოპასუხედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურიზე. ც. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ნ. ქ-ის სახელზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობისა და მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრიდან ამონაწერის ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ ისე მიიჩნია, რომ სარჩელი აღძრული იყო არა იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც პასუხი უნდა ეგო მასზე და ისე შეცვალა არასათანადო მოპასუხე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახური სათანადო მო-

პასუხით – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო სარჩელი აღძრული არა იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც პასუხი უნდა ეგო მასზე, ანუ – რატომ იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახური მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არასათანადო მოპასუხე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეროვნული სააგენტო თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების მეშვეობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურებს შორის დასახელებულია საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურიც.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების მეშვეობით, საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილების განხორციელება ჩაითვლება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებად. აქედან, გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ არასწორად შეცვალა თავდაპირველი მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახური საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი.

**13. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების განსჯად სასამართლოს განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები, არამედ, აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელის მიხედვით გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივნისის

№ბს-430-425(გ-12) განჩინება

სასარჩელო მოთხოვნა: საჯარო რეესტრის ორგანოების ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა და მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება

## რედაქტირებული ამონარიდი

1. შ. ქ-იამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სოფ. კიკეთში მდებარე . . . კვ.მ. მიწის ნაკვეთის მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებულება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით შ. ქ-იას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

სასამართლო კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს, რომლის მიხედვითაც ხდება ნებისმიერი სარჩელის (განცხადების) აღძვრა სასამართლოში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს მითითებით, ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 და 24-ე მუხლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ხოლო იურიდიული პირის მიმართ, მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

მოსარჩელე მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებად მიუთითებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურების გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სოფ. კ-ში მდებარე . . . კვ.მ. მიწის ნაკვე-



თის მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სადავო გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თავისი უფლებამოსილება განახორციელა ტერიტორიული სამსახურის – გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მეშვეობით, რომლის ადგილსამყოფელსაც გარდაბნის რაიონი წარმოადგენს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასთან და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ზონას წარმოადგენდა გარდაბნის რაიონი, სარჩელი, დავის საგნიდან გამომდინარე, ნივთობრივი განსჯადობის შესაბამისად, გარდაბნის რაიონული სასამართლოს განსჯადს წარმოადგენდა.

3. გარდაბნის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას საქმის განსჯადობის თაობაზე და საკითხის გადასაწყვეტად, საქმე წარიმართა უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ შ. ჭ-იას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად ჩათვალა საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე მისი იურისდიქციის ტერიტორიაზე. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლში, რომელიც ადგენს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლო არაგანსჯადი ხდება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება. ადმინისტრაციული სასამართლო, სამოქალაქო სასამარ-

თლოსაგან განსხვავებით, საქმის განსჯადობას ამონებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, რადგანაც სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნული თავის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დასახლებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ განსახილველ დავაში მოპასუხეებს წარმოადგენენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო დავის საგანს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის გადანაცვლებების ბათილად ცნობა და სოფ. კიკეთში მდებარე . . კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს განხორციელებული რეალაქტები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოებმა სადავო რეალაქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქ-

ტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოტივაციას, რომ სარჩელის საგანია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის და გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურების გადანაცვლების ბათილად ცნობა და სოფ. კიკეთში მდებარე . . . კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება და რომ სადავო ნივთის სარეგისტრაციო ზონა არის გარდაბნის რაიონი. ამასთანავე პალატამ არ გაიზიარა სასამართლოს მოტივაცია იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული დავის განხილვა, რომელიც უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობას ეხება, წარმოადგენს იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის ტერიტორიულ იურისდიქციის სფეროშიც შედის მოცემული ქონება და აღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნია გარდაბნის რაიონული სასამართლო განსჯად სასამართლოდ. ვინაიდან, ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა „ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის №574 განკარგულებით მოწონებული ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის მიხედვით. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ცვლილების შესაბამისად, სოფ. კიკეთი ქ. თბილისის შემადგენლობაში შევიდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოებმა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები, არამედ, აქტების ავტორი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლომ დამატებით დასძინა, რომ თვით განსაკუთრებული განსჯადობის (რომლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში არ დიშვებოდა) პირობებშიც კი, თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმის განსჯადობის თაობაზე დასკვნა არასწორი იყო, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული

კონფლიქტი, არამედ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებების – უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ჩანაწერების კანონიერება, რა დროსაც, საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფელის შესაბამისმა სასამართლო ორგანომ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა.

**14. დაყადაღებული ქონების ღია აუქციონზე შესახებ რეალიზაციის შესახებ შუამდგომლობის (განცხადების) განხილვაზე უფლებამოსილია სასამართლო გადასახადის გადამხდელის იურიდიული მისამართის და არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.<sup>3</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ოქტომბრის №ბს-1128-1076(გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მოვალის ყადაღადაღებული ქონების ღია აუქციონზე რეალიზაცია*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია), მოვალის ყადაღადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით, ღია აუქციონის გამართვის შესახებ შუამდგომლობით (განცხადებით) მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

განმცხადებლის განმარტებით, შპს „...“ რეგისტრირებული იყო 2005 წლის 28 ივნისს გარდაბნის საგადასახადო ინსპექციაში, გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე იყო რუსთავის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია). მას გააჩნდა ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება, რომელსაც ნებაყოფლობით არ ასრულებდა კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალოგიური პოზიციაა გამოხატული 2009 წლის 28 მაისის №ბს-479-452(გ-09), 2010 წლის 8 თებერვლის № ბს 1129-1077 განჩინებებშიც.

აღნიშნულის საფუძველზე განმცხადებელმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-ე და 88-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 და №14 დადგენილებების და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>5</sup> თავის შესაბამისად, ყადაღის აქტში ჩამოთვლილ შპს „...“ საკუთრებაში არსებული ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ღია აუქციონის გამართვის შესახებ ბრძანების მიღება მოითხოვა.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებით შუამდგომლობა განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

3. გარდაბნის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა საქმის მის განსჯადად მიჩნევის შესახებ განჩინების შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>21</sup> მუხლის თანახმად, გადამხდელის ადგილსამყოფელად ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, იგულისხმება გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის ადგილი (მოცემულ შემთხვევაში ქ. რუსთავი) და არა ამ მეურნე სუბიექტის იურიდიული მისამართი ან ქონების ადგილსამყოფელი. თუ ამ კანონის მიერ ნაგულისხმები იქნებოდა იურიდიული მისამართი ან ქონების ადგილსამყოფელი, აღნიშნულს არეგულირებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლები. მის მიმართ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>21</sup> მუხლი ჩაითვლებოდა სპეციალურ ნორმად და განსჯადობის საკითხიც მის საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო.

საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ რუსთავის რეგიონალური ცენტრის დაყადაღებული ქონების ღია აუქციონის გზით რეალიზაციის შესახებ შუამდგომლობის (განცხადების) განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს გარდაბნის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>21</sup> მუხლზე, რომლის თანახმად, ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სა-

სამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის პირველის ნაწილის თანახმად იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი, საქმის მასალებიდან კი ირკვეოდა, რომ შპს „...“ ადგილსამყოფელს გარდაბნის რაიონი, სოფელი ... წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა გარდაბნის რაიონული სასამართლოს განმარტებას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21<sup>21</sup> მუხლში აღნიშნული გადამხდელის ადგილსამყოფელი გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის ადგილია და განმარტა, რომ დასახელებულ მუხლში მითითებულ გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელში იგულისხმება არა გადამხდელის რეგისტრაციის ადგილი, არამედ მისი იურიდიული მისამართი.

**15. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სააღსრულებო წარმოების აქტების ბათილობაზე საჩივრი ქონების და არა სააღსრულებო ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის №ბს-631-609(გ-10) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სააღსრულებო ბიუროს განკარგულებების ბათილად ცნობა

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ც. ს-ძემ, ე. ს-მა, ზ. ს-მა და თ. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ. მოსარჩელეების განმარტებით, ნ. ჩ-სა და თ. ს-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ამ უკანასკნელის თანასაკუთრებაში არსებული მცხეთის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით. აღნიშნული უძრავი ქონების თანამესაკუთრეებს წარმოადგენდნენ თ. სი, ც. ს-ძე, ე. ს-ი, ზ. ს-ი და თ. ს-ი. შესაბამისად, თ. ს-ის საკუთრების უფლება შეადგენდა 1/5-ს.

მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ თ. ს-ის მიერ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობის გა-

მო, ნ. ჩ-მა საარბიტრაჟო სარჩელის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით თ. ს-ს ნ. ჩ-ის სასარგებლოდ . . . ლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის . . . ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად, მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ განმეორებით იძულებით საჯარო აუქციონზე გაიყიდა თ. ს-ის თანასაკუთრებაში არსებული მცხეთის რაიონში მდებარე უძრავი ქონება, რომლის თანამესაკუთრებს ასევე წარმოადგენდნენ ც. ს-ძე, ე. ს-ი, თ. ს-ი და ზ. ს-ი.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის №10/10-04/9-1016 განკარგულების შესაბამისად, ნ. ჩ-მა თ. ს-ის თანასაკუთრებაში არსებული, ხოლო №10/10-04/9-1021 განკარგულების თანახმად, ნ. ჩ-მა შეიძინა როგორც თ. ს-ის, ასევე ც. ს-ძის, ე. ს-ის, თ. ს-ისა და ზ. ს-ის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს განკარგულებების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

2. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოები, მათ შორის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებულ სააღსრულებო ბიუროს დებულების მე-6 მუხლის საფუძველზე მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავდა მცხეთის მუნიციპალიტეტსაც, ხოლო ამავე დებულების მე-8 მუხლის თანახმად კი, ბიუროს მისამართად მიეთითა ქ. გორი, სამეფოს ქ. №52.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე და განმარტა, რომ ვინაიდან სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მისამართს ქ. გორი, სამეფოს ქ. №52 წარმოადგენდა, აღნიშნული საქმე განსჯადობით განსახილველად გორის რაიონულ სასამართლოს ექვემდებარებოდა.



3. გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. განსახილველ დავაში მოპასუხეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო წარმოადგენდა, ხოლო დავის საგანს – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მითითებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ ადგენს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგი-

ნება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეებმა მცხეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის მეშვეობით გამოხატეს ნება და ორი განსჯადი სასამართლოდან აირჩიეს ერთი – მცხეთის რაიონული სასამართლო. საკასაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2010 წლის 8 აპრილის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელები არ დაეთანხმნენ მოცემული საქმის განსჯადობით განსახილველად გორის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნის საკითხს.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც ქონების უფლებრივი დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები სადავოდ ხდინენ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვას, რასაც საფუძვლად დაედო მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს №10/10-04/09-1016 და №10/10-04/09-21 განკარგულებები. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერზე,

რომლის თანახმად, ზემოაღნიშნული სადავო უძრავი ქონება მცხეთის რაიონის სარეგისტრაციო ზონას მიეკუთვნებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სადავო უძრავი ქონება მცხეთის რაიონში მდებარეობს, წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეს წარმოადგენდა.

**16. საბაჟო შეტყობინების და მისგან გამომდინარე ადმინისტრაციული აქტების ბათილობაზე დავა შეტყობინების გამომცემი ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.<sup>4</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის

15 ივლისის №ბს-539-510 (გ-09) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების,*

*შემოსავლების სამსახურის ბრძანების, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის,*

*რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საბაჟო*

*შეტყობინების ბათილად ცნობა*

## რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. გ-ოვმა სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს და მოითხოვა დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების, შემოსავლების სამსახურის ბრძანების, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის და გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საბაჟო შეტყობინების ბათილად ცნობა.

2. გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით ნ. გ-ოვის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

---

<sup>4</sup> იხ, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის №ბს-538-509 (გ-09) განჩინება.

ნ. გ-ოვმა გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი საკონტროლო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგის“ მხრიდან, სადაც გამოიწერა შსტფორმა, რომელიც კონტროლიდან არ მოხსნილა; გასაჩივრებული აქტის თანახმად კი ნ. გ-ოვს საქონლის საქართველოში შემოტანიდან 2 დღის ვადაში უნდა წარედგინა საბაჟო დეკლარაცია. ამ ფაქტზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებულ იქნა გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი; ასევე, იმავე კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

გორის რაიონულმა სასამართლომ არ მიიჩნია მოცემული დავა მის განსჯადად და განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორია და მასში შევიდა ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის მუნიციპალიტეტებიც. მართალია, გორის საგადასახადო ინსპექციის იურიდიული მისამართი ქალაქი გორია, მაგრამ თვით დარღვევა მოხდა არა გორის, არამედ ყაზბეგის ტერიტორიაზე, რაზეც სამართლებრივი რეაგირება განხორციელდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცა გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორია, ასევე, განისაზღვრება ყაზბეგის მუნიციპალიტეტითაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემული დავა მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯადია, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც განისაზღვრება, აგრეთვე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტითაც; საქმე კი არ განეკუთვნებოდა მაგისტრატი სასამართლოს განსჯადს.

3. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ნ. გ-ოვის სასარჩელო განცხადება განსჯადობის შესახებ დავის გადასანყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

**4. საკასაციო სასამართლომ** ჩათვალა, რომ ნ. გ-ოვის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა გორის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ დავაში მოპასუხეს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო, ხოლო დავის საგანს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, საბაჟო შეტყობინება, შემოსავლების სამსახურის ბრძანება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული აქტი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. ამ კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ხოლო იურიდიული პირის მიმართ, – იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა მცხეთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნა, რომ საბაჟო დავის დაწყების საფუძველია საბაჟო შეტყობინება, სწორედ ამიტომ, საქმის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს ადგილმდებარეობას. მოცემულ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტი – საბაჟო შეტყობინება გამოცემული იყო გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ, რომლის მისამართია ქ. გორი.

მოსარჩელის მიერ, ასევე, გასაჩივრებულია სამინისტროს დავების განმხილველი საბჭოს წერილი და შემოსავლების სამსახურის ბრძანება. ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია გორის რეგიონალური ცენტრის შეტყობინების კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით ნ. გ-ოვის საჩივარზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი განხილული უნდა ყოფილიყო საბაჟო შეტყობინების გამომცემ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით, ქ. გორის სასამართლოს მიერ.

**17. სარჩელი საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო შეტყობინების ბათილობის თაობაზე ინსპექციის, და არა უძრავი ნივთის, რომლის თაობაზეც იქნა დარიცხული გადასახადი, ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის  
№ბს-479-452 (გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. მ-ქმ სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე გორის საგადასახადო ინსპექციამ არასწორად დაარიცხა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადი. საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით, მოსარჩელემ საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს. მისი განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით, მხარის მიწვევისა და დასწრების გარეშე, განიხილა საჩივარი და წარდგენილი მტკიცებულებების იგნორირებით მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული გარემოებები-

დან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ბათილად ყოფილიყო ცნობილი გორის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო მოთხოვნა. . . საკრებულოში მდებარე . . . ჰა მიწის ნაკვეთის სარგებლობისათვის გადასახადის დარიცხვის ნაწილში.

2. გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით, ნ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

რაიონულმა სასამართლომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 31 ივლისის ბრძანებაზე (რომლითაც ძალადაკარგულად ჩაითვა 2008 წლის 26 თებერვლის №199 ბრძანება), რომლითაც განისაზღვრა გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორია. ბრძანების თანახმად, აღნიშნული ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიაში შევიდა ყაზბეგის, დუშეთის, თაინეთის, ხაშურის მუნიციპალიტეტებიც. გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორია ანალოგიურად იყო განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 აგვისტოს №550 და 2008 წლის 8 მაისის №419 ბრძანებებითაც.

გორის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, გორის საგადასახადო ინსპექციის იურიდიული მისამართი ქალაქი გორია, მაგრამ თვით საგადასახადო სამართალურთიერთობა წარმოშობილია არა გორის, არამედ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. იმის გამო, რომ მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება ხაშურის მუნიციპალიტეტითაც სამართლებრივი რეაგირება განხორციელდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადს წარმოდგენდა.

3. ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილს წარმოადგენდა გორის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის

თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. განსახილველ დავაში მოპასუხეს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექცია, ხოლო დავის საგანს – გორის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო მოთხოვნის ბათილობა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნული თავის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მითითებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ ადგენს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამიტომაც, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და თანაბრად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა ხაშურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი განსაკუთრებულ განსჯადობას ადგენს და მიუთითებს, რომ ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ დავაზე დასახლებული მუხლის მოქმედება ვერ გავრცელდებოდა, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა გორის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო შეტყობინების ბათილობა და არა უძრავ ნივთზე რაიმე უფლება, რაც, მოცემულ დავასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავდა.



**18. ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიიჩნევა არა ანგარიშსწორების, როგორც მისგან გამომდინარე ერთ-ერთი ვალდებულების, არამედ ხელშეკრულების შინაარსით განსაზღვრული ძირითადი მოვალეობების შესრულების ადგილი, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება საქმის განსჯადი სასამართლო.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის  
№ბს-417-404 (გ-10) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სესხის ხელშეკრულების შესრულება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის – ჯ. ხ-ის მიმართ და მისთვის სესხის ხელშეკრულებით გაცემული თანხის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

სარჩელი დასაბუთებული იყო შემდეგ გარემოებებზე მითითებით: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და იაპონიის პროგრამა 2-კრ-ის საპარტნიორო ფონდიდან გამოყოფილი თანხების გაცემის მიზნით გამოცხადებული კონკურსის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სამინისტრომ თითოეულ კონკურსანტს სესხის სახით გამოუყო თანხა. მოსარჩელესა და ჯ. ხ-ს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, ამ უკანაკნელს მიღებული თანხა რაიონში აგრო-საინჟინრო ცენტრის დაფუძნებისათვის, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, დანადგარებისა და მოწყობილობის, აგრეთვე, მათი მარაგნაწილებისა და სარემონტო მასალების შესასყიდად ან სარემონტო ტექნიკის შესაკეთებლად უნდა გამოეყენებინა. ამასთან, მექანიზირებული სამუშაოებით უნდა მომსახურებოდა კერძო და იურიდიულ პირებს.

სამინისტრომ მიუთითა, რომ ჯ. ხ-მა დააბრუნა სესხის მხოლოდ ნაწილი და მისთვის თანხის დარჩენილი ნაწილის დაბრუნების მოვალეობის დაკისრება მოითხოვა.

2. სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინებით, სარჩელი გადაეგზავნა განსჯად – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით. საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარიმართა.

3. საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს სილნალის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ დავაში მოსარჩელეს – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოპასუხეს – ჯ. ხ., ხოლო დავის საგანს – სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დასახლებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ ეს ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელი სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჯ. ხ-ს შორის დადებულ სესხის ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, მსესხებელს მიღებული თანხა რაიონში აგრო-საინჟინრო ცენტრის დაფუძნებისათვის, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, დანადგარებისა და მოწყობილობის, აგრეთვე მათი მარაგ-ნაწილებისა და სარემონტო მასალების შესასყიდად ან სარემონტო ტექნიკის შესაკეთებლად უნდა გამოეყენებინა. ამასთან, მექანიზირებული სამუშაოებით უნდა მომსახურებოდა კერძო და იურიდიულ პირებს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს პუნქტი ცალსახად განსაზღვრავდა ხელშეკრულების შესრულების ადგილს. მსესხებ-

ლის ვალდებულებას სწორედ მიღებული თანხის სიღნაღის რაიონში აგრო-საინჟინრო ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირებისათვის გამოყენება წარმოადგენდა, ამიტომაც ხელშეკრულების მიხედვით, მისი შესრულების ადგილად აღნიშნული რაიონის ტერიტორია უნდა ჩათვლილიყო.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან, ხელშეკრულების შესრულების ადგილს სიღნაღის რაიონის სასამართლოს დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორია წარმოადგენდა, სასარჩელო განცხადება ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, განსჯადობით განსახილველად სიღნაღის რაიონული სასამართლოს ქვემდებარე იყო, რომელსაც საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განეხილა.

**19. კონტრაქტის პირობების დარღვევიდან გამომდინარე, სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია, მიუხედავად ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ მიღწეული სხვაგვარი შეთანხმებისა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის №ბს-1477-1410 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობების შეუსრულებლობა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში – კ. ბ-ის მიმართ და მოითხოვა მარეთა შორის არსებული კონტრაქტის დარღვევისათვის მოპასუხისათვის ჯარიმის, ზიანის ანაზღაურების, საკომპენსაციო თანხის და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრება.

2. სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინებით, განსჯადობით განსახილველად საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნა.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ იყო ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის

შესაბამისად, მხარეებს შეეძლოთ შეთანხმების გზით დაედგინათ სასამართლოს განსჯადობა, რაც ფორმდებოდა წერილობით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელზე თანდართული „თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ ხელშეკრულების 8.4 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების 8.3 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის საცხოვრებელი ადგილის მიუხედედად, განსჯად სასამართლოდ ითვლებოდა სამინისტროს ადგილსამყოფელის რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე. სილნალის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიულ მისამართად სარჩელში მითითებული იყო ქ. თბილისი, სარჩელი წარდგენილი იქნა არაგანსჯადად სასამართლოში.

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

2. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სილნალის რაიონული სასამართლო, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღნიშნული მუხლის საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულების 8.4 პუნქტში დაფიქსირებული მხარეების შეთანხმება, რომ სამხედრო სამსახურის მიერ სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე დავას განიხილავდა სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მოცემული საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საფუძველს, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე თავით დადგენილი განსჯადობის ზოგად დებულებებს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული სახელშეკრულებო დათქმა ვერ ცვლიდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ დებულებებს განსჯადობის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად აღიარებს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები საქმეებს განიხილვენ ამ კოდექსით დადგენილი წესით და მათი განხილვა ხორციელდება საპროცესო კოდექსის ნორმათა შესაბამისად, რაც გულისხმობს შემდეგს: სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას უპირატესად მოქმედებს ამ კოდექსით დადგენილი ნორმები და მხარეთა მიერ დადებული შეთანხმების საფუძველზე მათი შეცვლა დაუშვებელია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლი).

საკასაციო პალატამ, ასევე, გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის გამოყენების საპროცესო საფუძველები. ეს ნორმა ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმების გზით განსჯადი სასამართლოს დადგენის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებოდა დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი საერთო განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე, არ არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელის განხილვის საფუძველი.

**20. იძულებით გადაადგილებული პირის სარჩელი, აფხაზეთის ა/რ შესაბამისი სასამართლოს ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის  
№ბს-126-120 (გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საშუალო სკოლაში სწავლების ფაქტის აღიარება  
და ქმედების განხორციელების დავალდებულება (ზოგადი განათლების  
ატესტატის აღდგენა)*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. მ. ზ-აიამ სასარჩელო განცხადებით მიმართა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე – აფხაზეთის ა/რ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიმართ და 1982-1993 წლებში გალის რაიონი, სოფ. ... ი. გოგებაშვილის სახელობის №1 საშუალო სკოლაში სწავლების ფაქტის აღიარება და ზოგადი განათლების ატესტატის აღდგენა მოითხოვა.

2. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს განჩინებით სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად – ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. განჩინებაში მიეთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ა/რ იურიდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ა/რ სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ამიტომაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო მოპასუხე იურიდიული პირის, გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ადგილსამყოფელის მიხედვით – ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის ადგილსამყოფელს ქ. ზუგდიდი, წარმოადგენდა.

3. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი მის განსჯადს არ წარმოადგენდა და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ მ. ზ-აიას სარჩელი გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს განსჯადს წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხებოდა ტერიტორიული განსაჯობის საკითხს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. ამასთანავე, მითითებული მუხლით სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება გულისხმობს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის მომწესრიგებელ ნორმებს, ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. მისი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მართალია, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე და, საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარედგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა აფხაზეთის სასამართლოებისათვის ადგენს ამ წესისაგან განსხვავებულ, განსაკუთრებულ განსჯადობას, რაც განაპირობა დევნილობაში მყოფი აფხაზეთის სასამართლოებისათვის შემუშავებულმა არაორდინალურმა სტატუსმა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გა-



დაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ა/რ სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. მრიგად, აფხაზეთის ა/რ სასამართლოების იურისდიქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთის სასამართლოები საქმეებს განიხილავენ თავიანთი მოსახლეობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების დროებითი, ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე გალის რაიონის სოფ. ... №1 საშუალო სკოლის ატესტატის აღდგენასა და იმის დადასტურებას ითხოვდა, რომ მან ნამდვილად დაამთავრა აღნიშნული სკოლა. მოცემულ სარჩელზე მოპასუხეს წარმოადგენს გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ტიპური დებულების“ 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის, აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე, აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის მინისტრის 2007 წლის 2 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული „გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დროებითი დებულების“ 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ტერიტორიაზე. მითითებული დებულების თანახმად, თავისი ფუნქციის განხორციელებისას, სამინისტრო წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, რომლის მისამართია თბილისი, ხოლო მისი ტერიტორიული ორგანოს – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დროებითი ადგილსამყოფელია ქ. ზუგდიდი.

ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, ქ. ზუგდიდი გალის რესურს-ცენტრის დროებითი ადგილსამყოფელია. მისი დროებითი ხასიათისდა მიუხედავად, სარ-

ჩელი მართებულად წარედგინა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს, რომლის ადგილსამყოფელად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე, ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი განისაზღვრა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მიუხედავად მოპასუხის, გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფაქტობრივი ადგილსამყოფელისა, იგი წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის მიმართ წარდგენილი სარჩელი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის შესაბამისად, უნდა განიხილოს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, მხოლოდ მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით საქმეთა დაქვემდებარების შემთხვევაში, აფხაზეთის ა.რ. სასამართლოებში არ იარსებებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, ვინაიდან, ფაქტობრივად, არცერთი ადმინისტრაციული საქმე, ადგილსამყოფელის პრინციპის გათვალისწინებით, არ დაექვემდებარება მითითებულ სასამართლოს.

**21. საქმის განხილვისათვის ტერიტორიულად განსჯადად შესაძლებელია მიჩნეული იქნეს სასამართლო საქმეში სათანადო მოპასუხედ ჩასაბმელი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის №ბს-1411-1369(გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ხელფასიდან არასწორად დაბეგრული სამემოსავლო გადასახადის დაბრუნება*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2005 წლის 29 ნოემბერს ნ. გ-ძემ, რ. გ-ძემ, და სხვ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს ხაშურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზის“ გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ნ. გ-ძე და რ. გ-ძე მანამდე, ხოლო დანარჩენები იმუამადაც მუშაობდნენ შპს „საქართველოს რკინიგზის“ გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციაში, სოფელ წიფაში, რომელიც საქართველოს კანონის „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ თანახმად, 2002 წლის 25 დეკემბრიდან მიეკუთვნებოდა მაღალმთიან რეგიონს და მოსარჩელები იმავე სოფელში ცხოვრობდნენ. მათ საშემოსავლო გადასახადზე ვრცელდებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი შეღავათები, რაც არ იქნა გათვალისწინებული და 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით მათ არასწორად დაუკავეს სხვადასხვა ოდენობის თანხები.

მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხისთვის საშემოსავლო გადასახადის სახით უკანონოდ დაბეგრული თანხების გადახდის მათ სასარგებლოდ დაკისრება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელმაც საქმე განიხილა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, სარჩელი დაკმაყოფილდა: შპს „საქართველოს რკინიგზის“ გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციას დაეკისრა ხელფასიდან დაქვითული საშემოსავლო გადასახადის თანხების მოსარჩელეთათვის დაბრუნება.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება.

აპელანტმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო, რადგან საქმე განხილული იყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგრის კანონიერებას და მოითხოვდნენ უკანონოდ, ანუ ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნებას, რაც უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ამიტომაც, სახეზე იყო საგადასახადო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ადმინისტრაციული დავა. გარდა აღნიშნულისა, აპელანტმა მიუთითა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ ამ საქმეში იყო არასათანადო მოპასუხე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თა-

ნახმად, იგი უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით. საქართველოს როგორც ძველი, ასევე ახალი საგადასახადო კოდექსების 23-ე და 218-ე მუხლების თანახმად, შპს „საქართველოს რკინიგზა“, როგორც დამკირავებელი, იყო საგადასახადო აგენტი, რომელიც ახდენდა საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებას, გადამხდელისათვის მის დაკავებას და გადასახადის თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვას. საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში, ანუ მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადის თანხა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშზე არ ჩარიცხულა და შპს-ს რაიმე ფინანსური სარგებელი არ მიუღია, რადგან საშემოსავლო გადასახადის მთლიანი თანხა ჩარიცხა ადგილობრივ ბიუჯეტში. შესაბამისად, მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადის თანხა უნდა დაბრუნებულიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო მოცემულ საქმეში შპს „საქართველოს რკინიგზა“ იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა სადავო ურთიერთობაში, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადანყვეტილების გამოტანა იყო შესაძლებელი.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იდენტურ საქმეზე მიღებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 თებერვლის №ბს-834-799(გ-06) განჩინებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ურთიერთობა მოსარჩელებს, როგორც საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის, ხოლო მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზა“ წარმოადგენდა შუამავალს, ე.წ. საგადასახადო აგენტს, რომელსაც სახელმწიფოსაგან დაკისრებული ჰქონდა გადასახადის გამოანგარიშების, გადამხდელთათვის მისი დაკავებისა და შესაბა-

მის ბიუჯეტში გადარიცხვის სპეციალური მოვალეობა (საქართველოს 1997 წლის საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლი).

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში. ამიტომაც, პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა თავდაპირველი მოპასუხის – შპს „საქართველოს რკინიგზის“ სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით შეცვლაზე, ასევე, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ამ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმაზე. შპს „საქართველოს რკინიგზის“ გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანცია არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს და იგი დამოუკიდებლად არ შეიძლება ყოფილიყო მოპასუხე, ამიტომაც მის ნაცვლად საქმეში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო შპს „საქართველოს რკინიგზა“.

ხაშურის რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინებით თავდაპირველი მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზა“, მოსარჩელეთა თანხმობით, შეიცვალა სათანადო მოპასუხით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შპს „საქართველოს რკინიგზა“ მოცემულ საქმეში ჩაება მესამე პირად.

3. ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებით ნ. გ-ძისა და სხვ. სარჩელი მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის (მესამე პირი – შპს „საქართველოს რკინიგზა“) მიმართ, განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიულ განსჯადობასა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილ სარჩელის უფლე-

ბამოსილი სასამართლოსთვის წარდგენაზე და მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისათვის განსჯადს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ შესაგებელში აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია მოცემულ საქმეში ვერ იქნებოდა მოპასუხე მხარე და იგი უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრით (საგადასახადო ინსპექციით).

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილს წარმოადგენდა გორის რაიონული სასამართლო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) დადგენილი განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ხოლო იურიდიული პირის მიმართ – ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრი-

გად, დასახელებული სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელი საპროცესო ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით და, შესაბამისად, სარჩელის განხილვისათვის უფლებამოსილს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება მოპასუხე იურიდიული პირის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე სარჩელის საგანს წარმოადგენდა ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის კანონიერება და ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხების ანაზღაურება, ანუ, როგორც მოსარჩელეთა ხელფასების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის უკანონოდ მიჩნევა და შემდგომში ამ გადასახადით მათი (იმ მოსარჩელების, რომლებიც კვლავ მუშაობენ სასარჩელო განცხადებაში მათ მიერ მითითებულ ორგანიზაციაში) არდაბეგვრა, ისე უკვე დაბეგრილი თანხების დაბრუნება. ამრიგად, კონკრეტული სარჩელის საგანი (იმჟამადაც მომუშავე მოსარჩელებთან მიმართებაში) მოიცავდა ორ სასარჩელო მოთხოვნას, პირველი მათგანი – მომავალში მოსარჩელეთა (რომლებიც კვლავ მუშაობენ სასარჩელო განცხადებაში მათ მიერ მითითებულ ორგანიზაციაში) ხელფასების საშემოსავლო გადასახადით არდაბეგვრა, მიმართული იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“, ხოლო მეორე მათგანი – მანამდე დაბეგრილი თანხების დაბრუნება – შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიმართ, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სასამართლო უნდა დახმარებოდა მოსარჩელებს (რომლებიც კვლავ მუშაობენ სასარჩელო განცხადებაში მათ მიერ მითითებულ ორგანიზაციაში), აღნიშნულის შესაბამისად მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული სარჩელის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის მიერ აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ,

ერთ ან ორშვილიან პირს აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდებოდა 50 პროცენტით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 აგვისტოს №550 ბრძანების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ 1-ლ პუნქტზე, რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გამგებლობაში შექმნილი საგადასახადო ორგანოები, რომელთა შორისაც იყო გორის საგადასახადო ინსპექცია. დასახელებული ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ბრძანების 1-ლ პუნქტში მითითებული საგადასახადო ორგანოების სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 ოქტომბრის №829 ბრძანების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ“ 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლები.

საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში უთითებდა მოცემულ საქმეში შპს „საქართველოს რკინიგზის“ არასათანადო მოპასუხეობის შესახებ, რის გამოც იგი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით. ამ უკანასკნელის სამოქმედო ტერიტორიას ქ. ხაშური წარმოადგენდა, რადგან საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში, ანუ მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგ-



რილი საშემოსავლო გადასახადის მთლიანი თანხა ჩაირიცხა ადგილობრივ ბიუჯეტში, საიდანაც მოსარჩელებს ზედმეტად დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადის თანხა უნდა დაბრუნებოდათ.

გარდა ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განჩინებაში, რომლითაც საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა, მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა თავდაპირველი მოპასუხის – შპს „საქართველოს რკინიგზის“ სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით შეცვლაზე, ასევე – შპს „საქართველოს რკინიგზის“ ამ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმაზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შპს „საქართველოს რკინიგზა“ მოცემულ საქმეში ჩააბა მესამე პირად, მაგრამ იმავე სასამართლომ, მიუხედავად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ზემოხსენებული, მისთვის სავალდებულო მითითებისა, თავდაპირველი მოპასუხე – შპს „საქართველოს რკინიგზა“ (მოსარჩელეთა თანხმობით) შეცვალა არა სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით, არამედ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციით, ანუ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არ შეასრულა სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მითითება და არასწორად გადასცა საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამასთანავე, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხაშურის რაიონული სასამართლოს მხრიდან სააპელაციო სასამართლოს დასახელებული მითითების შეუსრულებლობა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, გავლენას ვერ მოახდენდა საკასაციო სასამართლოს მიერ განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტასა და საქმის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრაზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიერ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ შესაგებელის მითითებისა, რომ იგი მოცემულ საქმეში ვერ იქნებოდა მოპასუხე მხარე და უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ისე გადაუგზავნა ნ. გ-ძის და სხვ. სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს, რომ არ შეუცვლია არასათანადო მოპასუხე სათანადოთი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, რომელიც ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასს უხდის დაქირავებულს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში. ამრიგად, ვინაიდან მოსარჩელები მუშაობდნენ შპს „საქართველოს რკინიგზის“ გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციაში, შესაბამისად, მათთვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადიც გადაიხდებოდა მათი ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, ნ. გ-ძის, და სხვ. სარჩელის განხილვის ამ სტადიაზე, ჯერ კიდევ არ იყო შეცვლილი საქმეში მოპასუხედ მონაწილე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით, მაგრამ საქმე მაინც განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა გორის რაიონულ სასამართლოს. მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული მითითება და არასათანადო მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია, მოსარჩელეთა თანხმობით, შეცვალოს სათანადო მოპა-

სუბით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეები არ იქნებიან აღნიშნულზე თანახმა, მიიღოს საპროცესო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა გორის რაიონული სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ნ. გ-ძის, და სხვ. სარჩელი განსჯადობით განსახილველად გორის რაიონულ სასამართლოს უნდა დაქვემდებარებოდა.

**22. სარჩელი უნებართვოდ, უპროექტოდ აშენებული ნაგებობის დემონტაჟის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობის შესახებ, მათი გამომცემი ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის

7 თებერვლის №ბს-85-80(გ-07) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: გამგეობისა და სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. ხ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მცხეთის რ-ნის გამგეობის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მცხეთის რ-ნის სოფ. დიღმის საკრებულოს გამგეობის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოსარჩელეს სარგებლობაში გადაეცა . . . ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, და სოფ. დიღმის საკრებულოს გამგეობის გადაწყვეტილებით ნება დაერთო მასზე აეშენებინა ავტოპროფილაქტორიუმი, რაზედაც გაკეთდა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, პროექტი. საკითხი შეთანხმებულ იქნა ყველა საჭირო სამსახურთან, მათ შორის, მცხეთის რ-ნის მთავარ არქიტექტორთანაც.

ავტოპროფილაქტორიუმის აშენების შემდეგ, მოსარჩელეს მცხეთის რ-ნის მთავარი არქიტექტორის წერილით ეცნობა, რომ ობიექტი მიღებული იყო ექსპლუატაციაში და შეეძლო ფუნქციონირება. წერილი, სათანადო დოკუმენტებთან ერთად, მოსარჩელემ წარადგინა მცხეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის, სადაც არ აღმოჩნდა ჩანაწერები მიწისა და შენობა-ნაგებობების შესახებ, თუმცა, ყოველივე აღნიშნული აღრიცხული ჰქონდათ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს.

მოსარჩელესთვის განმარტებით, მცხეთის რ-ნის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა (შემდგომ, მცხეთის რაიონის ზედამხედველობის სამსახური – ჯ.რ.) მიიღო დადგენილება კანონდარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების დანგრევის შესახებ რომელშიც მითითებული იყო, რომ გ. ხ-ძემ უკანონოდ აწარმოა მშენებლობა მესაკუთრე გ. გ-ნის კუთვნილ ტერიტორიაზე, მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე, რითაც დაარღვა საქართველოს კანონის „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის „კ.ა.“ და „კ.ბ.“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

გ. ხ-ძემ უკანონო დადგენილება მისი ბათილობის მოთხოვნით გაასაჩივრა შემდგომ ორგანოში – მცხეთის რ-ნის გამგეობაში, რომელმაც იგი არ დააკმაყოფილა.

მოსარჩელის მტკიცებით, არცერთი ზემოთ დასახელებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ პასუხობდა მათი გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და სასარჩელო განცხადებაში კონკრეტულად დაასახელა ისინი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ხ-ძემ მოითხოვა მცხეთის რ-ნის გამგეობის წერილისა და მცხეთის რაიონის ზედამხედველობის სამსახურის დადგენილების ბათილად ცნობა.

2. მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ხოლო იურიდიული პირის მიმართ, მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. აღნიშნული კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით კი, სარჩელი

საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივად დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული იყო მცხეთის რ-ნის გამგეობისა და მცხეთის რ-ნის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მაგრამ, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის დადგენილების „ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა 2007 წლის 10 იანვრიდან, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კილომეტრზე მდებარე სადავო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შესული იყო ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აღარ წარმოადგენდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს. საქართველოს კანონის „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ შესაბამისად კი, ხსენებული მიწის ნაკვეთის განკარგვის ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნდა ქ. თბილისის მერიას, როგორც თვითმმართველობის განმახორციელებელ აღმასრულებელ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ხ-ძის სარჩელი არ წარმოადგენდა მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯადს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ საქმე ამ ეტაპზე მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ. ხ-ძემ მცხეთის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ სასარჩელო განცხადებაში მოპასუხედ დაასახელა მცხეთის რ-ნის გამგეობა და მისი წერილისა და მცხეთის რ-ნის ზედამხედველობის

სამსახურის დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა, რის გამოც მოსარჩელეს მოპასუხედ მცხეთის რ-ნის ზედამხედველობის სამსახურიც უნდა დაესახელებინა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ – მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილი თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და, ამავე დროს, იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით ამ ნორმის ანალიზი ცხადყოფდა, რომ იგი ადგენდა სპეციალურ განსჯადობას და იძლეოდა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განსაზღვრულიყო უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ დავასთან მიმართებაში გამოყენებულ უნდა იქნეს ის საპროცესო ნორმები, რომლებიც სპეციალური და ნიშანდობლივია ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობისათვის, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსჯადი სასამართლო განსაზღვრებოდა იმ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობით, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

**23. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული აქტისა და ხელშეკრულების არარად აღიარების შესახებ სარჩელი იმ ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით განსახილველია, რომელიც, საბოლოოდ, მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელდა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის №ბს-1444-1378(გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ბრძანების ბათილად ცნობა და მიწის იჯარის ხელშეკრულების არარად აღიარება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. რ. გ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე – სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ბრძანების ბათილად ცნობასა და ამავე სამმართველოს ოქმის საფუძველზე დადებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების არარად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად აღიარებას.

2. თელავის რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინებით, რ. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს იმ საფუძველით, რომ მოსარჩელის პირველად მოთხოვნას წარმოადგენდა სიღნაღის რაიონის გამგეობასა და ა. ბ-ს შორის . . . ოქმის საფუძველზე დადებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების არარად ადმინისტრაციულ აქტად აღიარება, რომელიც გაფორმდა სიღნაღის რაიონში.

3. სილნალის რაიონული სასამართლოს განჩინებით რ. გ-ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქარ-თველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ რ. გ-ის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თელავის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი ზოგადად უშვებს სასამართლოებს შორის დავას, რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სასამართლოებისაგან განსხვავებით, დაიშვება არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებული დავაც.

მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია თელავისა და სილნალის სასამართლოებს შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავა და, თავის მხრივ, განმარტა შემდეგი:

ადმინისტრაციული სამართალწარმოება ცალკე დამოუკიდებლად არ შეიცავს და არ აწესრიგებს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას, რაც საკასაციო სასამართლოს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აძლევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.

ტერიტორიული განსჯადობა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 – 24-ე მუხლებით. მისი არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. აღნიშნული წარმოადგენს საერთო წესს და ასახულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლში, რომლის შესაბამისადაც, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში რ. გ-მა მოპასუხედ მიუთითა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამმართველო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თელავი. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დაუშვებელია სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის შეცვლა მარტოოდენ იმ გარემოე-



ბებზე დაყრდნობით, თუ რომელი მოთხოვნა უფრო აქტუალურად მიაჩნია მოსარჩელეს და მით უფრო, მოსარჩელის თანხმობის გარეშე სასარჩელო მოთხოვნაზე მოპასუხის განსაზღვრა და აღნიშნულის შედეგად ტერიტორიული განსჯადობის შეცვლა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, თუ თელავის რაიონული სასამართლო მიიჩნევდა, რომ სარჩელი აღძრული იყო არა იმ პირის მიმართ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, ამ უკანასკნელს მხოლოდ მოსარჩელის თანხმობით არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შემთხვევაში შეეძლო საქმე განსჯადობით გადაეგზავნა უფლებამოსილი სასამართლოსათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული იყო მხოლოდ ერთი მოპასუხე – სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამმართველო, რომლის ადგილსამყოფელი იყო ქ. თელავი, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ რ. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად თელავის რაიონულ სასამართლოს ქვემდებარეს წარმოადგენდა.

**24. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის ტერიტორიულ ორგანოს აქტების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის წარდგენისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვრება მოსარჩელის არჩევით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის, №ბს-622-590 განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: უძრავი ქონების რეგისტრაციის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რაიონული სარეგისტრაციო სამსახურის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. ნ-ქემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მი-

მართ და მოითხოვა სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ქ. სიღნაღში, ... ქ. №2-ში მდებარე ყოფილი სამრეცხაოს შენობა-ნაგებობის სახელმწიფოს სახელზე არსებული უკანონო რეგისტრაციისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის ბათილად ცნობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით გ. ნ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ასევე, წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების კანონიერებას, ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ნ-ძის სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, მოცემულ შემთხვევაში სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, მე-16 მუხლები.

3. სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინებით ერთი დონის სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად სარჩელი წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ნ-ძის სარჩელი წარდგენილ იქნა განსჯად სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს მოცემული ადმინისტრაციული საქმე იმის მიუხედავად, იქნებოდა თუ არა შემდგომ თანამოპასუხედ ჩაბმული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახური. სასამართლოს მოსაზრებით, მართალია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ადგენს განსაკუთრებული განსჯადობის წესებს რამდენიმე მოპასუხის არსებობის ან უძრავ ნივთებთან დაკავშირ-

რებული დავების შემთხვევაში, მაგრამ იგივე ნორმა ადგენს ასეთის შესაძლებლობას და არა აუცილებლობას, ამიტომ, სილნალის რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გ. ნ-ძის მიერ სარჩელის წარდგენა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, დისპოზიციურობის შესაბამისად მის მიერ განსაზღვრული მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 (საერთო განსჯადობა), მე-16 (განსაკუთრებული განსჯადობა) და მე-18 (ნივთობრივი განსჯადობა) მუხლებთან. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელე, ხსენებული ნორმების შესაბამისად არჩევანს აკეთებს სარჩელის წარდგენისას და მას ასეთივე ექსკლუზიური უფლება აღარ აქვს შენარჩუნებული უფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის სწორად წარდგენის შემდგომ, მით უფრო, როდესაც სასამართლომ განსჯადობისამებრ იგი უკვე მიიღო წარმოებაში და შეუდგა საქმის განხილვას.

სილნალის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლზე, თანახმად სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოყენებულიყო სწორედ ეს დანაწესი. საპროცესო კოდექსის მოცემული ნორმა მოქმედებს, თუნდაც წარმოებაში მიღებული საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ გ. ნ-ძის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა სილნალის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე გ. ნ-ძემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სილნალის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ქ. სილნალში მდებარე ყოფილი სამრეცხაოს შენობა-ნაგებობის სახელმწიფოს

სახელზე არსებულ უკანონო რეგისტრაციის, ასევე, წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის ბათილად ცნობა. მას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ რეგისტრირებული მონაცემებზე ადმინისტრაციული საჩივარი უნდა წარდგენილიყო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, მოსარჩელეს განესაზღვრა სარჩელში არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვადა იმის გამო, რომ სარჩელის მეორე მოთხოვნასთან მიმართებაში უნდა დაეზუსტებინა მოპასუხე. მოსარჩელემ ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და მოპასუხეებად მიუთითა როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სილნალის სარეგისტრაციო სამსახურიც.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ვინაიდან სახეზე იყო ეს პირობა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში უნდა გამოყენებული იყოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით გათვალისწინებული განსჯადობის წესები. ამ თავის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, ეს ნორმა ადგენს ტერიტორიულ განსჯადობის წესს. იმავე კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთვისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, იგი გადაეცემა სასამართლოს მოსარჩელის არჩევით. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სხდომაზე მოსარჩელე გ. ნ-ძის წარმომადგენლის განმარტებით, ერთ-ერთ მოპასუხეს წარმომადგენდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სილნალის სარეგისტრაციო სამსახური, რის გამოც მოსარჩელე გ. ნ-ძე თანახმა იყო, საქმე განსჯადობით განსახილველად გადაცემოდა სილნალის რაიონულ სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად სწორად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე; ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

**25. სარჩელი პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მიმართ საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალებების თაობაზე აპარატის ადგილმდებარეობის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 18 იანვრის №ბს-1405-980 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალებებზე*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ტელეკომპანია „...ის“ ჟურნალისტმა ნ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს წარუდგინა განცხადება . . . გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ფონდში შესული და ფონდიდან გასული თანხების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, რაზედაც ფონდიდან მიღებული პასუხი არასრული იყო. კერძოდ, . . . ლარიდან მხოლოდ . . . ლარის შემტანზე იყო ინფორმაცია, ხოლო დანარჩენი თანხის წარმომავლობა მოსარჩელისთვის გაურკვეველი დარჩა და, ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე მოტივირებული უარიც არ მიუღია.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ქმედებით მოპასუხემ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი, რადგან ამავე კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, აღნიშნული ინფორმაციის გაცემა უნდა მომხდარიყო დაუყოვნებლივ, თუმცა მოპასუხემ არ დაიცვა დასახელებული მუხლით დადგენილი ათდღიანი მაქსიმალური ვადაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხემ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლი და მოითხოვა მოპასუხისთვის დავალდებულება, მისთვის სრულად გადაეცა ზემოაღნიშნულ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია.

ჟურნალისტის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოცემული საქმის გადაგზავნა ამ საქმის განხილვაზე უფლებამოსილი თბილისის საოლქო სასამართლოსთვის.

2. გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ფონდის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის საქმიანობა გამომდინარეობდა შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილებიდან. აღნიშნული ფონდის თავმჯდომარის სახელით მიღებული სამართლებრივი აქტი უნდა ჩათვლილიყო პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და მისი კანონიერების შემოწმების საკითხის გადასაწყვეტად მოცემული საქმე უნდა გადაცემოდა უფლებამოსილ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას<sup>5</sup>.

---

<sup>5</sup> საქმის განილვისას მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის. . . თანახმად, დავები საქართველოს პრეზიდენტის

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას იმ მოტივით, რომ საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა 35-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ 2005 წლის 15 ივლისამდე წარმოებაში მიღებული საქმეები, რომელთა განხილვა წარმოადგენდა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს უფლებამოსილებას, გადაეცემოდა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, ხოლო აღნიშნული ნორმა ამოქმედდებოდა და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის უფლებამოსილება შეწყდებოდა 2005 წლის 15 ივლისს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის, სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, მოცემული საქმე გორის რაიონული სასამართლოს განსჯადს წამოადგენდა და იგი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად ეკუთვნოდა გორის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სექტემბრის განჩინების მოტივაცია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მოცემული საქმე გორის რაიონული სასამართლოს განსჯადი იყო და მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ

---

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე, პირველი ინსტანციით თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო.

არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ – მისი ადგილსამყოფელის მიხედვით (საერთო განსჯადობა). აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ სასამართლოს წარედგინება ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო განსჯადობის განმსაზღვრელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, ტელეკომპანია „...-ის“ გადაცემის ჟურნალისტის სარჩელი მოპასუხე, შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მიმართ, გორის რაიონული სასამართლოს განსჯადს წარმოადგენდა, ვინაიდან აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელია ქ. გორი.

**26. სარჩელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს წარედგინება მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს – ადგილსამყოფელის მიხედვით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის №ბს-478-451 (გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. შ. გ-ქემ სარჩელი აღძრა გორის რაიონულ სასამართლოში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვა შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი ადმინის-



ტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელეს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმის გადახდა.

2. გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით, სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებით, შ. გ-ძის სარჩელი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, წარიმართა საკასაციო სასამართლოში, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა გორის რაიონული სასამართლოს მოსაზრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების შესახებ, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს თავისი დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოსათვის არ მიუმართავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-272-ე მუხლების შესაბამისად საჩივრით. მოსარჩელემ დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია სასარჩელო წარმოება, რაც წესრიგდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, პირველი ინსტანციით მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია საქმეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ – მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს მისამართია ქ. გორი, ... ქ. №1.

ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის

მთავარი სამმართველოს უფლებამოსილება ვრცელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არ წარდმოადგენს მოცემული საქმის განსჯადობის განმსაზღვრელს.

**4. საკასაციო სასამართლოს** განჩინებით შ. გ-ძის სარჩელი განსახილველად დაექვემდებარა გორის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე გორის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გორის რაიონული სასამართლოს დასკვნა დავის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნია, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს.

პალატამ აღნიშნა, რომმოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოცემულია საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ. შესაბამისად, შ. გ-ძემ აღძრა რა სარჩელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის შესახებ, მოპასუხედ მიუთითა მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველო, რომლის იურიდიული მისამართია ქ. გორი. საკასაციო სა-

სამართლომ გაიზიარა ხაშურის რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ სარჩელი გორის რაიონულ სასამართლოში აღიძრა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნის დაცვით, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნია დავის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გორის რაიონული სასამართლოს მითითება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს ადმინისტრაციული გადაცდომის ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ადგილს, რაც ვერ გავრცელდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე, რადგან საერთო სასამართლოების მიერ სამართალწარმოების განხორციელების წესები განისაზღვრება მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სახეებს, ადგენს მათი ჩადენის თავიდან აცილებისა თუ კონკრეტული სამართალდარღვევის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების უზრუნველყოფის მიზნით მმართველობითი საქმიანობის განხორციელების წესს. შესაბამისად, ამ კოდექსში კოდიფიცირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მომწესრიგებელი ნორმები და იგი ადგენს მისი განხორციელების მექანიზმებს. სამართალწარმოების მომწესრიგებელი ნორმები გათვალისწინებულია საპროცესო კანონმდებლობაში. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, დავის ტერიტორიული განსჯადობა მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილით, რომელიც განსაზღვრავს იურიდიული პირის მიმართ წარდგენილი სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის ნეგატიური დათქმის პრინციპის შესაბამისად, ასევე, გამოიყენება ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის მიმართაც.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გორის რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ საქართველოს საპატრულო პოლი-

ციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება ხაშურის მუნიციპალიტეტი-თაც, რაც სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილს ხდიდა ხაშურის რაიონულ სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ ნორმის ამგვარი განმარტება არასწორად მიიჩნია, რადგან ტერიტორიული განსჯადობა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრება არა სამოქმედო ტერიტორიისა და ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების გავრცელების ადგილით, არამედ მისი ადგილ-სამყოფელის მიხედვით. სამოქმედო ტერიტორიაში კი მოიაზრებო-და ის ტერიტორიული ერთეული, რომლის ფარგლებშიც ადმინის-ტრაციული ორგანო იყო უფლებამოსილი განეხორციელებინა მის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობა. აღნიშნულის საფუძ-ველზე, საკასაციო პალატამ სარჩელი განსახილველად გორის რაი-ონულ სასამართლოს ქვემდებარედ მიიჩნია.

**27. ტერიტორიული განსჯადობის წესების დაცვით წარმო-ებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გა-დაწყვიტოს იმ სასამართლომ, რომელმაც იგი წარმოებაში მიი-ღო, თუნდაც შემდგომში ეს საქმე სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე სადა-ვოდ არ ხდის განსჯადობას.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივლისის №ბს-353-337 (გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: უკანონოდ დაკავებული გადასახადის დაბრუნება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. რ. წ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა მარტვილის რა-იონულ სასამართლოს მოპასუხე მარტვილის რაიონის საფინანსო განყოფილების მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ რ. წ-აია იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილე, მუშაობდა მარტვილის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მორიგის თანაშემწედ და ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის სახით უკანონოდ დაუკავდა . . . ლარი. აღნიშნულიდან გამომდინა-რე, მოსარჩელემ მოითხოვა ამ თანხის მისთვის უკან დაბრუნება.

მოპასუხე მარტვილის რაიონის საფინანსო განყოფილებამ მარტვილის რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც არ ცნო რ. წ-იას სარჩელი და აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში და, ამდენად, მოსარჩელეს არასწორად ჰქონდა სასარჩელო განცხადებაში მითითებული საშემოსავლო გადასახადის მიმღები ორგანიზაცია. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ზედმეტად გადახდილი თანხა უნდა დაბრუნებოდა საგადასახადო ინსპექციის დასკვნის საფუძველზე და, მაშასადამე, აღნიშნული საგადასახადო ინსპექციის და არა მარტვილის რაიონის საფინანსო განყოფილების კომპეტენციას წარმოადგენდა, ხოლო მოსარჩელეს შეეძლო, ხსენებული საკითხის მოგვარება იმ ორგანიზაციასთან, ვისთანაც დადებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, მარტვილის რაიონის საფინანსო განყოფილებამ მოითხოვა არასათანადო მოპასუხედ ცნობა.

მარტვილის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა ზემოხსენებულ შესაგებებელზე და საოქმო განჩინებით დაადგინა, რომ მოსარჩელეს უნდა დაეზუსტებინა, თუ ვინ იყო მოცემულ საქმეზე სათანადო მოპასუხე.

რ. წ-იამ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მოპასუხედ მიუთითა ქ. ფოთის საგადასახადო ინსპექცია.

2. მარტვილის რაიონული სასამართლოს განჩინებით ადმინისტრაციული საქმე მოსარჩელე რ. წ-იას სარჩელის გამო მოპასუხე ქ. ფოთის საგადასახადო ინსპექციის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეცა ფოთის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო მე-15 მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით და აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე მოპასუხე იყო ქ. ფოთის საგადასახადო ინსპექცია.

3. ფოთის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ამავე სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ მიუთითა მარტვილის შინაგან საქმეთა სამმართველოზე, როგორც მის წინაშე ვალდებულ

ბულ პირზე – მოპასუხეზე, მოცემულ საქმეზე განსჯადი სასამართლო იყო მარტვილის რაიონული სასამართლო, ხოლო ხელფასიდან თანხის დაბრუნებაზე ვალდებულ პირს წარმოადგენდა მარტვილის შინაგან საქმეთა სამმართველო და არა მარტვილის საფინანსო განყოფილება ან ფოთის საგადასახადო ინსპექცია.

ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად მარტვილის რაიონული სასამართლოს ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თავიდანვე არ არსებობდა მარტვილის რაიონული სასამართლოს მიერ ფოთის საქალაქო სასამართლოში რ. წ-იას სასარჩელო განცხადების განსჯადობით გადაგზავნის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან, როგორც მოცემული საქმის მასალებიდან ირკვეოდა, მარტვილის რაიონულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო რ. წ-იას სარჩელი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილით რეგლამენტირებულია საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესი, რომლის თანახმად, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მარტვილის რაიონულმა სასამართლომ რ. წ-იას სასარჩელო განცხადება წარმოებაში მიიღო ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესის დაცვით, კერძოდ, აღნიშნული რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნებოდა მოპასუხე – მარტვილის რაიონის საფინანსო განყოფილების ადგილსამყოფელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თა-

ვის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. ამავე კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი, საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მოითხოვს, რომ ტერიტორიული განსჯადობის წესების დაცვით წარმოებაში მიღებული საქმე განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს იმ სასამართლომ, რომელმაც იგი წარმოებაში მიიღო, თუნდაც შემდგომში ეს საქმე სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. აღნიშნული წესი, სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, გამოყენებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე სადავოდ არ ხდის განსჯადობას.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვინაიდან მარტვილის რაიონულმა სასამართლომ რ. წ-ის სასარჩელო განცხადება წარმოებაში მიიღო განსჯადობის წესების დაცვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, არ არსებობდა აღნიშნული სარჩელის სხვა სასამართლოში გადაგზავნის საფუძველი და მარტვილის რაიონულ სასამართლოს მოცემული საქმე უნდა განეხილა და გადაეწყვიტა არსებითად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მართალია, მოსარჩელემ მარტვილის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში მოპასუხედ მიუთითა ქ. ფოთის საგადასახადო ინსპექციაზე, მაგრამ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ საქმეში დაზუსტებული სარჩელით მოპასუხედ ჩაბმული ქ. ფოთის საგადასახადო ინსპექცია არაგანსჯადი სასამართლოს – მარტვილის რაიონული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა განსჯადი სასამართლოსათვის – ფოთის საქალაქო სასამართლოსათვის საქმის გადაცემას. მოპასუხის ასეთი მოთხოვნის არარსებობის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მოთხოვნის გათვალისწინებით, მარტვილის რაიონული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით შეეცვალა

ტერიტორიული განსჯადობა და საქმე განსახილველად გადაეცა ფოთის საქალაქო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო განცხადებაზე მოპასუხეს ნებისმიერ შემთხვევაში განსაზღვრავს მხოლოდ მოსარჩელე. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოტივაცია, რომ, ვინაიდან საბოლოოდ, მოსარჩელემ მიუთითა მარტვილის შინაგან საქმეთა სამმართველოზე, როგორც მის წინაშე ვალდებულ პირზე – მოპასუხეზე, მოცემულ საქმეზე განსჯად მარტვილის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა, ხოლო ხელფასიდან თანხის დაბრუნებაზე ვალდებულ პირს – მარტვილის შინაგან საქმეთა სამმართველო და არა მარტვილის საფინანსო განყოფილება ან ფოთის საგადასახადო ინსპექცია.

**28. ტერიტორიული განსჯადობის დაცვით სარჩელის წარებაში მიღების შემდეგ მოპასუხე – ადმინისტრაციული ორგანოს შემდგომი სტრუქტურის (სამინისტროს) მიერ იმავე საკითხზე მიღებული აქტის გასაჩივრება არ ცვლის დავის განსჯადობას.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 მარტის  
№ბს-102-101 (გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სამინისტროს ბრძანების ბათილად ცნობა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. ვ-ქემ, ო. ვ-ქემ და სხვ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს:

ა. ნინოწმინდის რაიონის გამგეობის დადგენილებისა და ოქმების ბათილად ცნობა, რომლითაც დაკმაყოფილდა ა. ა-ის განცხადება საიჯარო ხელშეკრულების დადების თაობაზე;

ბ. ნინოწმინდის რაიონის გამგეობასა და ა. ა-ს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებულ საჯარო რეესტრის მონაცემების ბათილად ცნობა;

გ. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს ინდივიდუალური ადმი-



ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, რომლითაც მოსარჩელე ო. ვ-ძეს საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე ეთქვა უარი, ბათილად ცნობა;

დ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ო. ვ-ძეს უარი ეთქვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს წერილის ბათილად ცნობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ უძრავი ნივთი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთში, ამასთანავე, მოსარჩელეთა ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლის თაობაზე სარჩელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც იგი უნდა შესრულებულიყო, რის გამოც მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი აღძრული იყო არა-განსჯად სასამართლოში და, შესაბამისად, იგი განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად უნდა გადაცემოდა განსჯად – ახალციხის რაიონულ სასამართლოში.

სასამართლომ, ასევე, გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, მე-18, მე-16–24-ე მუხლები და მიუთითა, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა ნინოწმინდის რაიონის გამგეობასა და ა. ა-ს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ხოლო მოსარჩელის ყველა სხვა მოთხოვნა გამომდინარეობდა აღნიშნულიდან. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სათანადო მოპასუხეებს ეს სუბიექტები და არა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენდნენ.

3. ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებით სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად – ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს.

4. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განჩინებით საქმეს დამოუკიდებელ წარმომადგენელს გამოეყო მოსარჩელების მოთხოვნა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, მის მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ განჩინებით, იმის გამო, რომ ახალციხის რაიონულ სასამართლოში არსებობდა დავა იგივე მხარეებს შორის, იგივე საგანზე, იგივე საფუძვლით, მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნები ნინოწმინდის რაიონის გამგეობის, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, საიჯარო ხელშეკრულების და საჯარო რეესტრის მონაცემების ბათილად ცნობის შესახებ დარჩა განუხილველი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, ფაქტობრივად, სარჩელში ახალ მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომელიც დამოუკიდებელი დავის საგანი იყო. სწრაფი და ეფექტური სამართალწარმოების მიზნით მიზანშეწონილი იყო ამ მოთხოვნის განცალკევებული განხილვა, ამიტომაც ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის და სხვ. სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად წარიმართა საკასაციო სასამართლოში.

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ერთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს წერილი გასაჩივრდა სასამართლოში და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოშიც. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი, მაგრამ შეაჩერა საქმის განხილვა ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე უნდა გასაჩივრებულიყო იმავე სასამართლოში, რომლის წარმოებაშიც განსჯადობის ნესების დაცვით იყო შეტანილი სარჩელი სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს წერილის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არსებითად ახალი სამართლებრივი აქტი არ მიუღია. მან ძალაში დატოვა მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურის წერილი, რის გამოც კოლეგიამ მიიჩნია, რომ მინისტრის ბრძანების კანონიერება უნდა შეფასდეს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს წერილის კანონიერებასთან ერთად. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს მისამართია ქ. ახალციხე, კეცხოველის №6. ამიტომაც, განსახილველი სარჩელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის და მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ახალციხის რაიონულ სასამართლოში უნდა წარდგენილიყო.

**6. საკასაციო სასამართლომ** ჩათვალა, რომ ა. ვ-ძის და სხვ. სარჩელი ახალციხის რაიონული სასამართლოს განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განხილვის საგანს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს შორის განსჯადობის შესახებ დავა ა. ვ-ძის და სხვ. სარჩელის მხოლოდ იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ეხებოდა. დანარჩენ სასარჩელო მოთხოვნების განსჯადობას სასამართლოებს შორის დავა არ გამოუწვევია.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოს მიერ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას მხოლოდ სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ დავის არსებობისას, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებდა ა. ვ. ძის და სხვ. დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნის განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხებოდა არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსაჯობის საკითხს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციის ტერიტორიულ არეალზე. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი). საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სადავო აქტი, კერძოდ, სამხარეო სამმართველოს პასუხი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილი ერთი და იგივე სამართალურთიერთობას ეხება, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები – სამხარეო სამმართველო და სამინისტრო არიან ერთიანი სისტემის ქვედა და ზედა ორგანოები, დუბლირების და პარალელიზმის, სასამართლო გადაწყვეტილებებს შორის კოლიზიის თავიდან აცილების, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დედაქალაქის სასამართლოში თავმოყრის ტენდენციის შესუსტების მიზნით, სასამართლო პროცესის ეკონომიურობის, მართმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით არ დაიშვება მათი დამოუკიდებლად, სხვადასხვა სასამართლოებში განხილვა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამინისტროს სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად. აღნიშნულით ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადასტურა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის

მართლზომიერება, ამიტომაც საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია ამ ორი აქტის განცალკევებით განხილვა.

სამხარეო სამმართველოს სადავო აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნებით სარჩელი წარმოებაში იყო მიღებული ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ ეკონომიკური განვითარების მინისტრის სადავო აქტის გამოცემამდე. ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაში მყოფ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავა არ წარმოშობილა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თავდაპირველი სარჩელი წარდგენილი იყო სწორედ ახალციხის რაიონულ სასამართლოში, რომელმაც სარჩელი წარმოებაში მიიღო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ახალციხის რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს არასათანადო მოპასუხედ ცნობისა და საქმის ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში განსჯადობით გადაგზავნის თაობაზე. არ გასაჩივრებულა, აგრეთვე, კერძო საჩივრით მოპასუხე ა. ა-ის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განჩინება, რომლითაც განუხილველად იქნა დატოვებული მოსარჩელეთა სასარჩელო განცხადება იმის გამო, რომ ახალციხის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს დავა იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე იმ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქმედების სფეროშიც არის მითითებულ ორგანოს ადგილსამყოფელი. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან სარჩელის წარდგენის მომენტისათვის უნდა დადგინდეს. გარემოებების შემდგომი შეცვლა, განსჯადობის შეუცვლელობის პრინციპის თანახმად, არ ინვეს განსჯადობის შეცვლას. საქმის სასამართლოს წარმოებაში მიღების შემდგომ მოპასუხე – ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი სტრუქტურის (სამინისტროს) მიერ იმავე საკითხზე აქტის მიღება არ ცვლის სასამართლოს განსჯადობას, ვინაიდან საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღე-

ბული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. თავის მხრივ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის განსჯად სასამართლოში გადაგზავნას მხოლოდ არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საკითხი სადავო აქტების კანონიერების, აგრეთვე, იმის შესახებ, თუ რამდენადაა დასაშვები ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა, სადავო სამართალურთიერთობების მიმართ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის გამოყენება საქმის არსებითი განხილვის შედეგად უნდა დადგინდეს და ვერ იქნება გადაწყვეტილი განსჯადობის შესახებ დავის განხილვისას.

სარჩელის წარდგენა რამოდენიმე მოთხოვნით, რამოდენიმე მოპასუხის მიმართ, რომლებსაც სხვადასხვა ტერიტორიული ადგილმდებარეობა აქვთ, განაპირობებს რამოდენიმე სასამართლოში სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნების შესწავლა ადასტურებდა მოსარჩელეთა შესაძლებლობას აღეძრათ სარჩელი მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის, მოპასუხე – ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის ან უძრავი ქონების მდებარეობის მიხედვით ერთ-ერთ განსჯად სასამართლოში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, მოსარჩელეს აქვს სასამართლოს არჩევის უფლება. ასეთ შემთხვევაში არ დაიშვება მოპასუხის მოთხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი, სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება ჩაერიოს მოსარჩელის მიერ აღნიშნული უფლების რეალიზაციაში. ამრიგად, მოსარჩელის არჩევით განსჯადობის დამდგენი ნორმა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი), განსაკუთრებული განსჯადობის წესთან ერთად (მე-16 მუხლი), რომლის თანახმად სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამი-

ნისტროს ბრძანების თაობაზე საქმის ტერიტორიული განსჯადობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო წერილი გამოცემული იყო სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს მიერ, რომლის მისამართია ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანების კანონიერების საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს წერილის კანონიერების საკითხის განხილვასთან ერთად, ამიტომაც ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის და სხვ. სარჩელი ტერიტორიული განსჯადობით განსახილველად ახალციხის რაიონულ სასამართლოს ქვემდებარე იყო.

**29. მოთხოვნა მოვალის უფლებამონაცვლე პირის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, სააღსრულებო ფურცლის გაცემის კომპეტენციის მქონე, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს წარედგინება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის №ბს-787-749 (გ-07)  
*სასარჩელო მოთხოვნა: სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოვალის უფლებამონაცვლის მიმართ*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. გორის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. ბ-ძემ მოპასუხე გორის რაიონის სოციალური დახმარების განყოფილების მიმართ სანარმოო ტრავმის გამო ხელფასსა და პენსიას შორის არსებული სხვაობის ანაზღაურების შესახებ. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. ბ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გორის რაიონის სოციალური დახმარების სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება . . . ლარის ოდენობით. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-აძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალი შეიცვალა სათანადო მოპასუხით – სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდით, ამასთან, მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

აპელანტის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და სააპელაციო საჩივარზე უარი განაცხადა, რის საფუძველზეც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

გორის რაიონული სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. ბ.-ძემ მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ და მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოპასუხე მხარის სწორად განსაზღვრის მიზნით ცვლილების შეტანა.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების, რომლითაც გორის რაიონის სოციალური დახმარების სამსახურს დააკისრა მის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება შესრულება ვერ მოხერხდა იმ მიზეზით, რომ მასში მოპასუხედ, ნაცვლად საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა, არასწორად დასახელდა გორის რაიონის სოციალური დახმარების სამსახური. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 3 მაისის ბრძანებულებიდან „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე გამომდინარე, გორის რაიონის სოციალური დახმარების სამსახურს მოცემულ საქმესთან შეხება არ ჰქონია. ამიტომაც მოსარჩელემ მოითხოვა, რომ სასამართლოს მოპასუხესთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილება შეეტანა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო სააღსრულებო ფურცლის გამოწერა თანხის ანაზღაურებაზე რეალურად ვალდებული პირის მიმართ.



2. გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სასარჩელო განცხადებით და მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებით დასტურდებოდა, რომ გ. ბ-ძეს სარჩელი აღძრული ჰქონდა მოპასუხე სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, რომლის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა ქ. თბილისი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ბ-ძის სასარჩელო განცხადება სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ განსახილველად ექვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა გორის რაიონული სასამართლოს მოსაზრებას საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილვის შესახებ და განცხადება განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ მოცემული განცხადება უნდა შეფასებულიყო მისი შინაარსის მიხედვით და განხილულიყო, როგორც სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნა მოვალის უფლებამონაცვლე პირის მიმართ. აღნიშნული საკითხის კონკრეტულ მონესრიგებას კი შეიცავს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგე-

ნილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა სარჩელი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა შეიტანოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში „სააღსრულებო წარმოება-თა შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა განცხადების შეტანას სააღსრულებო ფურცლის გაცემის კომპეტენციის მქონე, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, რომელსაც გორის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა.

## თავი II. საგნობრივი განსჯადობა

### § 1. სარჩელები მარეგისტრირებული და სანოტარო ორგანოების მიმართ<sup>6</sup>

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა არ წარმოადგენს საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნით, საჯარო რეესტრის მიმართ აღძრული სარჩელის საფუძველს, დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის I ივლისის №ბს-1736-1690 (გ-08) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობა

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ვ. ნ-ქმმ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. თ-ს, თ. ჯ-ს, თ. მ-ს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე, მოპასუხის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება გააუქმოს უკანონო ჩანაწერი, რომელიც განხორციელდა ბინაზე ყადაღის დადების შემდეგ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, საქმიდან ცალკე წარმოებად გამოეყო სასარჩელო მოთხოვნა – საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმების თაობაზე, ხოლო სარჩელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების

<sup>6</sup> ნოტარიატის, როგორც საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტის ამოცანას წარმოადგენს პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. იგი განსხვავდება საჯარო და სამოქალაქო რეესტრის ორგანოების მარეგისტრირებული ფუნქციისაგან, მაგრამ ახლოს დგას მათთან, ამიტომაც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სანოტარო ორგანოების მიმართ აღძრული სარჩელების განსჯადობის თაობაზე უზენაესი სასამართლო პოზიციის ამსახველი დებულებების ამ ნაწილში მოთავსება.

ბათილად ცნობის თაობაზე განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ვ. ნ-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა დაზუსტებული სარჩელით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მესამე პირი თ. მ-ის მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრში სადავო ბინაზე გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ვ. ნ-ძის სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირის თ. მ-ს მონაწილეობით, საჯარო რეესტრის რეგისტრაციის ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლოს განჩინება დასაბუთებული იყო მასზე მითითებით, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ჩანაწერის ბათილად ცნობა, კერძოდ, მოპასუხემ საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა ფიზიკურ პირებს, თ. ჯ-სა და თ. თ-ს შორის გაფორმებული, ასევე, ამ უკანასკნელსა და თ. მ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით ვ. ნ-ძის მიერ აღძრული სარჩელი, განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული დავა სამოქალაქო ურთიერთობის საფუძველზე იყო წარმოშობილი და მხოლოდ ის გარემოება, რომ ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ბინაზე სადავო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების შედეგად განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა და მოპასუხედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იყო მითითებული, არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის სამართლებრივ საფუძველს; სასამართლოს მოსაზრებით, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა არ წარმოადგენს სარჩელის დამოუკიდებელ საგანს, რომელიც სასარჩელო მოთხოვნის, ხელშეკრულებების ბათილად ცნობის დაკმაყოფილების თანმდევი შე-

დეგია. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნდა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ვ. ნ-ძის სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საკასაციო სასამართლოში.

4. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ე. ნ-ძის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ვ. ნ-ძემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საცხოვრებელი ბინის საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, მისგან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგით, რაც დამოწმდა სანოტარო წესით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვამდე თ. ჯ-მა ბინა გაასხვისა თ. თ-ზე, რომელმაც, თავის მხრივ, იგი თ. მ-ს მიჰყიდა. მოსარჩელის განმარტებით, მისი განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად სადავო საცხოვრებელ ბინას დაედო ყადაღა, აიკრძალა მისი გასხვისება ან სხვაგვარი უფლებით მისი დატვირთვა; დადგენილი წესით გაიცა სააღსრულებო

ფურცელი, რომელიც წარედგინა ნოტარიუსთა პალატას, საჯარო რეესტრს და ტექალრიცხვის სამსახურს. ვ. ნ-ძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრს ყადაღის დადების მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ კი სარეგისტრაციოდ წარედგინა ნასყიდობის ხელშეკრულება რომელმაც ყადაღის მიუხედავად მესაკუთრედ აღრიცხა თ. მ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, რომლებიც ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს სასამართლოში; ამავე მუხლის მე-3 ნაწილით ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ ვ. ნ-ძის სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დადგენილ უნდა იქნეს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა ყადაღადადებული ქონების რეგისტრაციით საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას, ხომ არ დაარღვია ადმინისტრაციული კანონმდებლობა.

საკასაციომ სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არასწორი შეფასება მისცა დავის შინაარსს, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ უძრავი ქონების რეგისტრაციის კანონიერება, რომელიც განხორციელდა ყადაღადადებულ ქონებაზე და არა სადავო ბინაზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების, როგორც მისი თანმდევი შედეგის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება. ამიტომ

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ნ-ძის სარჩელი, თავის არსით, მიმართული იყო სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ და, ფაქტობრივად, სახეზეა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავა ფიზიკურ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნია, რომ სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული ადმინისტრაციული საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსახილველი იყო.

**2. სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სახლთმფლობელობის დაკანონების და საერთოს საკუთრებიდან წილის გამოყოფის თაობაზე, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს და დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის №ბს-1357-932 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სახლთმფლობელობის ნაწილზე საკუთრების აღიარება და წილის გამოყოფა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ რ ი დ ი

1. ც. ნ-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა სახლთმფლობელობისა და მიწის ნაკვეთის დაკანონება.

2. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელი არ უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ექვემდებარებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას, ვინაიდან დავის საგანი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული დავის საგანს მიეკუთვნებოდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სამოქალაქო კოლეგიის მოსაზრებას ც. ნ-ს სარჩელის განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ ც.ნ-ს სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი სარჩელით ც. ნ. ითხოვდა სახლთმფლობელობის დაკანონებას და საერთო საკუთრებიდან წილის გამოყოფას, ხოლო მოპასუხედ დასახელებული პყავდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ც. ნ-ს სარჩელი წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველს, რადგან დავის საგანი განეკუთვნებოდა სასკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სარჩელს. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის აღნიშნული მოსაზრება, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანი, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დავა, თუმცა არ მიუთითა, ამ ნორმით განსაზღვრულ რომელი სახის დავას განეკუთვნებოდა, რადგან იგი ითვალისწინებს ადმინისტრაცი-



ული ორგანოს ვალდებულებას ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ც. ნ-ია სასარჩელო განცხადებით არ ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოსაგან ზიანის ანაზღაურებას, ასევე, ადმინისტრაციული აქტის გამოცემას და არც რაიმე ქმედების განხორციელებას, რადგან სარჩელის მოთხოვნას სახლთმფლობელობის დაკანონება და საერთო საკუთრებიდან წილის გამოყოფა წარმოადგენდა.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ მე-8 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრი ახორციელებს უძრავ ნივთებზე საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებების, უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 215-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ბინის მესაკუთრეთა შორის დადებული შეთანხმებების, აგრეთვე, მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებების რეგისტრაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უძრავი ქონების რეგისტრაციის დროს არანაირ ადმინისტრაციულ აქტს არ გამოსცემს. იგი დროის კონკრეტული მომენტისათვის აფიქსირებს უძრავი ქონების ფაქტობრივ-სამართლებრივ მდგომარეობას და ახდენს მესაკუთრის სამართლებრივ რეგისტრაციას, რომელიც არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტებს, ვინაიდან ისინი გამოცემული არ არის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. სარჩელით ირკვეოდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა არა საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნა, არამედ იგი დაობდა სახლთმფლობელობის ნაწილზე საკუთრების აღიარებასა და წილის გამოყოფაზე, რომელიც უნდა გადაწყდეს სამოქალაქო კოდექსითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ის გარემოება, რომ ც. ნ-ს მოპასუხედ დასახელებული ჰყავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს, რადგან განსახილველი დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება განსახილველი სარჩელის განსჯადობის თა-

ობაზე და მიიჩნია, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო.

**3. სარჩელი საჯარო რეესტრის მიმართ ქონების რეგისტრაციის და საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის №ბს-1822-1776 (გ-10) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ბინის მესაკუთრედ ცნობა და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ი.დ-მა სარჩელი აღძრა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ქ. სამტრედიაში მდებარე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ცნობა და

მოპასუხისათვის აღნიშნული ბინის ი.დ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის დავალდებულება მოითხოვა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ი. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და მან იგი სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ი. დ-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ ი. დ-ის სასარჩელო მოთხოვნას არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენა, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უკვე მოპოვებული, აღიარებული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენდა.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენდა, აღნიშნული დავა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და მისი განხილვის უფლებამოსილება მხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გააჩნდა.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველ კონკრეტულ საქმეთა ჩამონათვალს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი უთითებს თუ დავათა რომელი ნაირსახეობები განიხილება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს ი. დ-ის ქ. სამტრედიისში, მდებარე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ცნობა და სამტრედიისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის აღნიშნული ქონების მის საკუთრებად დარეგისტრირების დავალდებულება წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობა სადავო საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნას საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ცნობა წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 477-ე მუხლების საფუძველზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო სამართალურთიერთობა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში არ ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და არ მიესადაგებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს. სადავო სამართალურთიერთობა რეგულირების საგნის, საფუძვლის, შინაარსის გათვალისწინებით კერძოსამართლებრივ (ჰორიზონტალურ) ურთიერთობას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ მართალია ი. დ-ის მეორე სასარჩელო მოთხოვნა – სამტრედიისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ქონების რეგისტრაციის დავალდებულება, თავისი შინაარსით ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, მაგრამ აღნიშნული საკითხი ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის – ბინის მესაკუთრედ ცნობის თანმდევ შედეგს წარმოადგენს. ამასთან, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამტრედიისის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, სადავო ბინის მოსარჩელის საკუთრებად ცნობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო სამსახური უფლებამოსილი იქნებოდა მიეღო გადაწყვეტილება სადავო ქონების მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის თაობაზე. მიტომაც, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არსებითად დამოკიდებული იყო აღნიშნული ქონების ი. დ-ის საკუთრებად ცნობაზე.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობა სადავო საკითხთან დაკავშირებით და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სამოქალა-

ქო საქმეთა პალატამ მოცემული საქმის დავის საგნად მხოლოდ მოპასუხისათვის საჯარო რეესტრში ჩანაწერების განხორციელების დავალდებულება მიიჩნია, მაშინ როდესაც როგორც რაიონულ, ისე სააპელაციო სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნას უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა და ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა (სადავო ბინის მესაკუთრედ ცნობა) სამოქალაქო დავათა კატეგორიის მიეკუთვნებოდა, ხოლო მეორე სასარჩელო მოთხოვნა (სადავო ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) მის თანმდევ შედეგს წარმოადგენდა, პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების მიზნით საქმე განსჯადობით განსახილველად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას უნდა დაქვემდებარებოდა.

ამასთანავე, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე ერთადერთ მოპასუხეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახური წარმოადგენდა, მაშინ, როდესაც ი. დ-ის ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა იყო. მიტომაც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესთან ერთად უნდა დააზუსტოს თუ ვინ არის სათანადო მოპასუხე მესაკუთრედ აღიარების ნაწილში და, კანონმდებლობის შესაბამისად, ჩააბას იგი საქმეში.

**4. სარჩელო საჯარო რეესტრის მიმართ საცხოვრებელ სახლზე და მიწის ნაკვეთზე უკვე არსებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.<sup>7</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ივლისის, №ბს-654-623 (გ-07) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურისათვის სახლისა და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის დავალდებულება

<sup>7</sup> იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ივნისის №ბს-531-507 (გ-07) განჩინება.

## რედაქტირებული ამონარიდი

1. ს. ხ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებულ სახლსა და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოპასუხისათვის დავალდებულება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით მოცემული განსჯადობის წესით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-სა და მე-2 მუხლებზე და განმარტა, რომ ს. ხ-ს სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ქონების საკუთრების უფლებით მის სახელზე აღრიცხვა, აღნიშნულს კი აწესრიგებდა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ამდენად მასზე ვერ გავრცელდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დანაწესები.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას საქმის სამოქალაქო კატეგორიისად მიჩნევის თაობაზე და იგი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ს. ხ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციომ სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეს – ადმინისტრაციულ ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დავალდებოდა ქმედების განხორციელება, კერძოდ, მოსარჩელის სახელზე მის საკუთრებაში არსებული სახლისა და მიწის ნაკვეთის აღრიცხვა. სარჩელის განს წარმოადგენდა არა საკუთრების აღიარება, არამედ უკვე არ-

სებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია და მოთხოვნას სწორედ საკუთრების უფლების არსებობა ედო საფუძველად. შესაბამისად, იგი ადმინისტრაციული კატეგორიის დავას წარმოადგენდა, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში, მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების 1-ლი მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონით „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“, ხოლო მისი საქმიანობა ამავე დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს კანონებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული იყო ადმინისტრაციული ორგანოსათვის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ქმედების განხორციელების, კერძოდ, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის სამართლებრივი რეგისტრაციის დავალდებულება, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების თაობაზე, სარჩელი კი აღძრულია ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, კერძოდ, დავა დაკავშირებული იყო იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

**5. სარჩელი საჯარო რეესტრის სამსახურის მიმართ სახლზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 მარტის №ბს-1510-1085 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ლ. ჩ-მა სარჩელით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიუთითა, რომ 1997 წელს მას და გ. მ-ს შორის გაფორმდა საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება. 2005 წელს ლ. ჩ-მა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციის თხოვნით მიმართა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს. მას აცნობეს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დროს მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ხელშეკრულება ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში სამი თვის განმავლობაში უნდა დაერეგისტრირებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ითვლებოდა ბათილად. აღნიშნული ნორმის საფუძველზე ნასყიდობის



ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურმა არ განახორციელა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უძრავ ნივთებზე ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმები ვრცელდება, თუ იგი ახალ წესებს ითვალისწინებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების გამოტანა, რომლითაც სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციას დაავალებდა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საქმე მისი ქვემდებარე არ იყო შემდეგ გარემოებათა გამო: კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ ცნობას და მის საფუძველზე საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანას ითხოვდა.

მესაკუთრედ ცნობის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის ნორმებით რეგულირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს განეკუთვნებოდა. სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ.ჩ-ის სარჩელი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა და განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ლ. ჩ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმი-

ნისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. სარჩელი აღძრული იყო ქმედების განხორციელების დავალებაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის გამო, დავა წარმოშობილი იყო არა საკუთრების უფლების, არამედ მისი რეგისტრაციაში გატარების თაობაზე. ლ. ჩ-ის მოთხოვნა გამომდინარეობდა საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციის განხორციელებიდან. ლ. ჩ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოსთვის ქმედების განხორციელების დავალდეზულება, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს. ამიტომაც, განსახილველი დავის საგანი დაკავშირებული იყო იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და სარჩელი აღძრული იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მითითებული მუხლის შესაბამისად.

**6. სარჩელი საჯარო რეესტრის მიმართ ნაგებობის და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის დავალდეზულების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის №ბს-936-897 (გ-07) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია

1. მ. ბ-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მიმართ უძრავი ქონების რეგისტრაციის მოთხოვნით. სარჩელის თანახმად, ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩატარდა აუქციონი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით. აუქციონზე გაიმარჯვა მ. ბ-ძემ, გადაიხადა ქონების გადასახადი და უძრავი ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მის სახელზე. უძრავ ქონებას, კერძოდ, საცხოვრებელ სახლს დაშენებული ჰქონდა მანსარდი, რომელიც წარმოადგენდა საცხოვრებელი სახლის განუყოფელ ნაწილს, თუმცა არ იყო აღნიშნული საჯარო რეესტრში. ამასთან, მოსარჩელის კუთვნილ ეზოში იდგა ორი ფაცხის სტილის ნაგებობა და ეზო შემოსაზღვრული იყო დამატებით 208 კვ.მ მიწის ნაკვეთით, რომლებიც, ფაქტობრივად, მოსარჩელის მფლობელობაში იმყოფებოდა, ვინაიდან წარმოადგენდა იმ უძრავი ქონების განუყოფელ ნაწილს, რომელიც მან აუქციონზე შეიძინა. მან განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს მის სახელზე მანსარდის ტიპის ნაგებობის, ორი ფაცხის სტილის ნაგებობისა და 208კვ.მ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის მოთხოვნით, მაგრამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. მ. ბ-ემ მოითხოვა საჯარო რეესტრისათვის . . . მდებარე უძრავი ქონების, კერძოდ, მანსარდის ტიპის ნაგებობის, ორი ფაცხის სტილის ნაგებობისა და 208 კვ.მ მიწის ნაკვეთის მის სახელზე აღრიცხვის დავალებულიყვნა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

კოლეგიის მოსაზრებით, მოსარჩელეს დავა აღძრული ჰქონდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების საფუძველზე, კერძოდ, იგი ითხოვდა უკანონოდ აშენებული მანსარ-

დის ტიპის ნაგებობის, ორი ფაცხის სტილის ნაგებობისა და 208კვ.მ მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსჯადობის შესახებ და მ. ბერძენაძის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალი წერტილია სადავო სამართალური თეორიის შინაარსი და, შესაბამისად, ამ სამართალური თეორიის სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქ. თბილისში, . . . მდებარე ქონების, კერძოდ, მანსარდის ტიპის ნაგებობის, ორი ფაცხის სტილის ნაგებობისა და 208კვ.მ მიწის ნაკვეთის მ. ბ-ძის სახელზე აღრიცხვის დავალდებულება. დავა გამოწვეული იყო რეგისტრაციაზე მოპასუხის უარით, იმ მოტივით, რომ განმცხადებელს რეგისტრაციისათვის არ წარუდგენია მითითებულ ქონებაზე საკუთრების უფლების კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა დაკავშირებული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საქართველოს კანონით „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციის განხორციელებასთან, ანუ საკითხი ეხებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის სა-

ფუძველზე მისთვის მინიჭებული კომპეტენციის განხორციელების მართლზომიერებას.

საქართველოს კანონი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ადგენდა მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციაზე უარის თქმის კონკრეტულ საფუძვლებს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხეს ედავება, როგორც საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ ადმინისტრაციულ ორგანოს, აღნიშნული კანონით მის უშუალო კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე, რის გამოც სახეზე იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საქმე.

**7. თუ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნა არ წარმოადგენს სარჩელის დამოუკიდებელ საგანს, არამედ სამოქალაქო უფლებასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნის თანამდევი შედეგია, საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის

14 მარტის № ბს-151-141(გ-07) განჩინება

სასარჩელო მოთხოვნა: საჯარო რეესტრის

ჩანაწერის, ყიდვა-გაყიდვის და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად

ცნობა საჯარო რეესტრის სამსახურის

დავალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ჯ. ჯ-იამ, და ნაირა ჯ-შვილმა მოპასუხეების – თ.ა-შვილის, ბ. ქ-ნის, ქ. წყალტუბოს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურის, ქ. წყალტუბოს ნოტარიუსების მიმართ და მოითხოვეს:

1. ქ. წყალტუბოში მდებარე №2 სამწვადესა და შესაბამის მიწის ნაკვეთზე თამარ ალხაზაშვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ქ. წყალტუბოს მიწის მართვის სამმართველოს რეგისტრატორის მიერ შესრულებული ჩანაწერის ბათილად ცნობა;

2. თ.ა-შვილსა და ბ. ქ-ნს შორის დადებული სამწვადის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

3. სს „თიბისი ბანკსა“ და ბ. ქ-ნს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

4. საჯარო რეესტრის სამსახურისათვის რეესტრში ჩანაწერის შეტანის დავალება იმის შესახებ, რომ თ. ა-შვილი, ჯ. ჯ-ია და ნ. ჯ-შვილი იყვნენ შპს „ლაშარელას“ კუთვნილი ქონების, მათ შორის, ქ. წყალტუბოში მდებარე სამწვადისა და მისი მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრები შესაბამისი წილებით.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ჯ. ჯ-იასა და ნ. ჯ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

2. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ჯ. ჯ-იასა და ნ. ჯ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელებმა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს საკასაციო წესით. იგი დაკმაყოფილდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით. გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, რამდენად იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადი მოსარჩელის მოთხოვნები, რომლებიც არ უკავშირდებოდა პრივატიზების საკითხების გამორკვევას (მოთხოვნები №2 სამწვადის ყიდვა-გაყიდვის და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრში თანამესაკუთრებად ცნობისა და მათი წილის განსაზღვრის შესახებ).

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა არ გამომდინარეობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნებიდან და საქმე განსჯადობით განსახილვე-

ლად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან წყალტუბოს რაიონულმა სასამართლომ მოცემული საქმე განიხილა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, იგი განხილული უნდა ყოფილიყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლომ, პირველ ყოვლისა, მიუთითა რომ ჯ. ჯ-ის სარჩელი კომბინირებული ხასიათისაა – შედგება ერთმანეთთან ორგანულად ურთიერთდაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნისაგან, კერძოდ, ჯ. ჯ-იამ და ნ. ჯ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მოითხოვეს ქ. წყალტუბოს სამწვადესა და შესაბამის მიწის ნაკვეთზე თ. ა-შვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერის ბათილად ცნობა; №2 სამწვადის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; საჯარო რეესტრის სამსახურისათვის რეესტრში ჩანაწერის შეტანის დავალება იმის შესახებ, რომ თ. ა-შვილი, ჯ. ჯ-ი და ნ. ჯ-შვილი იყვნენ შპს „ლაშარელას“ კუთვნილი ქონების, მათ შორის, ქ. წყალტუბოში მდებარე სამწვადისა და მისი მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეები შესაბამისი წილებით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, ჯ. ჯ-იამ და ნ. ჯ-შვილმა სასარჩელო განცხადებაში მოპასუხეებად მიუთითეს ქ. წყალტუბოს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახური, ნოტარიუსები რის გამოც მოცემულ დავაში ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა, საკასაციო სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ არის საკმარისი და გადამწყვეტი წინაპირობა კონკრეტული და-

ვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის და საამისოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის საგნის არსა და ფაქტობრივ შინაარსს, ასევე, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და მის იურიდიულ ბუნებას, ანუ იმ გარემოებას, თუ მოქმედი კანონმდებლობის რომელი დარგიდან გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნები და შესაბამისი სამართალურთიერთობა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო განცხადებაში მოყვანილი სასარჩელო მოთხოვნებიდან პირველად და ძირითადად, რომელიც არსებითად განსაზღვრავს მოცემულ საქმეზე დავის საგანს, წარმოადგენს საჯარო რეესტრში ჩანაწერის შეტანა თანამესაკუთრეთა წილების განსაზღვრისა და აღრიცხვის თაობაზე. აღნიშნულ მოთხოვნას გააჩნია მატერიალური შინაარსი და, იმავდროულად, თავისი არსით დაკავშირებულია საკუთრების საწინვით უფლებასთან, ანუ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, ვინაიდან სწორედ სამოქალაქო კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს ასევე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნები. კონკრეტულ შემთხვევაში თანამესაკუთრეთა წილების განსაზღვრასა და აღრიცხვასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნის ძირითადი, განმსაზღვრელი ხასიათი დასტურდება მოცემული საქმის მასალებით.

საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ სახელმწიფო ქონების კონკურსის წესით პრივატიზების შედეგად სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების კანონიერება, სასარჩელო განცხადება არ შეეხება პრივატიზების განხორციელების კანონიერებას, რის გამოც იგი მხოლოდ ფორმალურად არის დაკავშირებული პრივატიზებასთან, ანუ იმ კუთხით, თუ რამდენად კანონიერად განხორციელდა პრივატიზების შედეგად დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების ფორმალური ასახვა საჯარო რეესტრის ჩანაწერში. ამიტომაც ქ. წყალტუბოს სამწვადესა და შესაბამის მიწის ნაკვეთზე თამარ ალხაზაშვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ შესრულებული ჩანაწერის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული სასარჩელო



მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებულია შპს „ლაშარელას“ კუთვნილი ქონების, მათ შორის, ქ. წყალტუბოს სამწვადისა და მისი მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეების წილების განსაზღვრასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და ამ მოთხოვნასთან არსებითად, ორგანულად დაკავშირებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების საფუძვლიანად გარკვევასა და სარწმუნოდ დადგენაზე.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული ზემოთ დასახელებული სასარჩელო მოთხოვნა არ წარმოადგენდა სარჩელის დამოუკიდებელ საგანს, არამედ ჯუმბერ ჯიქიას დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებისა თანამდევი შედეგს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ საქმეების ჩამონათვალი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი არცერთი ელემენტი, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართანარმოების წესით. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოდ დაასკვნა, რომ მოცემული საქმე წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“

ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო საქმეს და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადი იყო.

**8. სარჩელი საჯარო რეესტრის მიმართ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების ფლობით დადგენისა და საჯარო რეესტრის სამსახურისათვის სააღრიცხვო ჩანაწერში ცვლილებების შეტანის დავალდებულების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის №ბს-1016-969 (გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების ფლობით ფაქტის დადგენა და საჯარო რეესტრის სამსახურისათვის სააღრიცხვო ჩანაწერში ცვლილებების შეტანის დავალდებულება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის კრწანისი-მთანმინდის სასამართლოში გ. და დ. კ-მა სარჩელი აღძრეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვეს ქ. თბილისში, . . . მდებარე მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების ფლობით ფაქტის დადგენა და საჯარო რეესტრის სამსახურისათვის სააღრიცხვო ჩანაწერში ცვლილებების შეტანის დავალდებულება, რაც მათ სახელზე სადავო მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით აღრიცხვის საფუძველი გახდებოდა.

თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. და დ. კ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიამ და მოითხოვა გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმეზე წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ დააკმაყოფილა რა გ. და დ. კ-ის სარჩელი, ისე განკარგა სახელმწიფო მიწის ნაკვეთი, რომ სათანადო მხარედ არ მიიწვია ქ. თბილისის მერია, როგორც დედაქალაქის საზღვრებში მიწის ერთადერთი განმკარგველი. სარჩელზე მიწის ნაკვეთის

ფლობა-სარგებლობის დადგენისა და სამართლებრივი რეგისტრაციის შესახებ პასუხი უნდა გაეცა ქ. თბილისის მერიას და არა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. სასამართლოს მოსარჩელისათვის უნდა შეეთავაზებინა პირველი მოთხოვნის ნაწილში არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა, ხოლო თუ მოსარჩელე თანახმა არ იქნებოდა, უარი უნდა ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ამიტომაც, არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლით გათვალისწინებული, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იმ საფუძველით, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა გამომდინარეობდა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან, და იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური შეიცვალა სათანადო მოპასუხით – ქ. თბილისის მერიით, განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმეზე განახლდა წარმოება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის“ შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემის შესახებ იღებენ რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, ამ კანონით რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება: სახელმწიფო მიწის განკარგვის ორგანიზება და სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო მიწის განკარგვის შესახებ მოლაპარაკების წარმოება. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერიის“ დებულების მე-2 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მერია არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემა, რომელიც უზ-

რუნველყოფს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. შესაბამისად, ქალაქ თბილისის ფარგლებში სახელმწიფო მიწის განკარგვის კომპეტენცია გააჩნდა ქ. თბილისის მერიას. საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო წითელ ხაზებში, რაც ნიშნავდა იმას, რომ იგი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში.

2. საქმეზე წარმოების განახლების შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას და გ. და დ. კვალიაშვილების სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მიეთითა შემდეგ გარემოებებზე:

საქართველოს კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-16 მუხლის თანახმად, საქალაქო სასამართლოს განსჯადობით მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული გარიგების დადება ან შესრულება, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება

ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე, რაც გამომდინარეობს საჯარო, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. გ. და დ. კ-შვილების სასარჩელო მოთხოვნა – მინის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტის დადგენა და მესაკუთრედ აღიარება, წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით რეგულირებულ სამართლებრივ ურთიერთობას. მოცემულ შემთხვევაში, გ. და დ. კ-ის სარჩელის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიისათვის განსაჯდობით განსახილველად გადმოცემა იმის გამო, რომ მიწათსარგებლობის ურთიერთობა რეგულირდება „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონით და თბილისის მერიის დებულებით, რომელიც განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს. დავაში მართოდენ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ განსაზღვრავს დავის ხასიათს. განსჯადი სასამართლო გამომდინარეობს დავის ხასიათიდან, თუ რომელი კანონმდებლობით რეგულირდება იგი, რა არის მისი არსი და საგანი. ფლობისა და სარგებლობის ფაქტის დადგენა და მესაკუთრედ აღიარება წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც გამომდინარეობდა არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, რადგან სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულია ფლობის, სარგებლობისა და საკუთრების უფლების საკითხები

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ გ. და დ. კ-შვილების სარჩელი უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალი წერტილია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი და, შესაბამისად, ამ სამართალურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა.

მოცემულ საქმეზე გ. და დ. კ-ის სარჩელის საგანს წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტის დადგენა, მესაკუთრედ ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელება. სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად დასახელებული იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელები 1921 წლიდან ფლობდნენ და სარგებლობდნენ საინვენტარიზაციო გეგმაზე წითელ ხაზებში მითითებული მიწის ნაკვეთით, რის გამოც მიაჩნდათ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა უნდა მოახდინოს აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამართლებრივი რეგისტრაცია. დასტურდებოდა, რომ სადავო მიწა, რომლის ფლობისა და სარგებლობის ფაქტის დადგენას მოსარჩელები ითხოვენ, წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. საქართველოს კანონის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გადანყვებილებას სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემის შესახებ იღებენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნებოდა სახელმწიფო მიწის განკარგვის ორგანიზება, სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო მიწის განკარგვის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება. საქართველოს კანონის „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მერიის კომპეტენციას ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებში განეკუთვნება მიწის ნაკვეთების მართვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში განსახილველი ურთიერთობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის მოსარჩელეთა ფლობისა და სარგებლობის აღიარებასა და მესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით, წესრიგდება რეგულირდება ადმინისტრაციული კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს კანონებით „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მინის მართვისა და განკარგვის შესახებ“, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“. შესაბამისად, მითითებული ნორმატიული აქტებიდან წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

მოსარჩელეთა მოთხოვნა საჯარო რეესტრის შესაბამისი სამსახურისათვის სააღრიცხვო ჩანაწერში ცვლილებების შეტანის და ვალდებულების თაობაზე, ზემოაღნიშნული მოთხოვნის შედეგობრივად თანმდევს წარმოადენდა, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასევე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

**9. სარჩელი საჯარო რეესტრის ორგანოს მიმართ საკადასტრო გეგმის ბათილად ცნობის და ახალი აქტით მხარეთა შორის მონათსარგებლობის წესის განსაზღვრის შესახებ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის №ბს-707-684 (გ-10) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: მინის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის ბათილად ცნობა, ახალი აქტით სავალი გზის დადგენა, ჭიშკრის აღება და სასაზღვრე მიჯნების საერთო სარგებლობის გზებთან შესაბამისობაში მოყვანა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ს. და პ. ვ-ძეებმა სარჩელი აღძრეს საჩხერის რაიონის სასამართლოში მოპასუხეების – პ. ვ-ძის, პ. ვ-ძის, საჩხერის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საჩხერის რაიონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელებმა პ. ვ-ძის სახელზე გაცემული მინის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციული აქტით სავალი გზის დადგენა, ასევე, მოპასუხეების მიერ ჩამდგარი ჭიშკრის აღება და სასაზღვრე მიჯნების საერთო სარგებლობის გზებთან შესაბამისობაში მოყვანა მოითხოვეს.

საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვე-

ვეტლად ბათილად იქნა ცნობილი რეგისტრაციის თაობაზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში. ამასთან, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შემდეგ მოპასუხეებს დაევალათ შესაბამისობაში მოეყვანათ სასაზღვრე მიჯნები საერთო სარგებლობის გზებთან მიმართებაში საჯარო რეესტრის ახალი საკადასტრო გეგმით დაფიქსირებული საზღვრების გათვალისწინებით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობის წესით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ფიზიკურ პირებს შორის ძირითად დავის საგანს წარმოადგენდა საზღვრების გამიჯვნა, რომელსაც საფუძვლად არ ედო ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან არარა აქტად აღიარება, არამედ მიმართული იყო საზღვრების დადგენით მათი ქონების გამიჯვნისაკენ. მხარეთა მოთხოვნას წარმოადგენდა უკანონოდ დაკავებული მიწის ნაკვეთიდან მოპასუხის გამოსახლება და წყაროსთან მისასვლელი გზის გახსნა, რომელიც რაიმე ადმინისტრაციული აქტით არ ყოფილა მონესრიგებული და არ იყო მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, ამიტომაც, სასამართლოს მითითებით, აღნიშნული დავა ეხებოდა კერძოსამართლებრივ ურთიერთობას. საკადასტრო გეგმის ბათილად ცნობის საკითხიც განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რადგან საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებელი იყო უძრავი ნივთის მესაკუთრე.



აღნიშნულის საფუძველზე სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონდებლობიდან, შესაბამისად, იგი არ უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას და საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეების კონკრეტული ჩამონათვალი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს – საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა). მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო დავის საგანი არის – ადმინის-

ტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალდებულება.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორს, გარდა იმ გარემოებისა რომ ერთ-ერთ მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. ამასთანავე, უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობების ბუნებას და არა მხოლოდ დავის სუბიექტთა შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ მისი ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული და განსჯადობით ადმინისტრაციულ პალატას უნდა დაექვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გარდა იმ ფაქტისა, რომ მხარეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახური, საქმის მასალებით ასევე დგინდებოდა, რომ დავის საგანი იყო ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალდებულება, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და მოცემული საქმე განეკუთვნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს, ამიტომაც იგი განსახილველად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო.

**10. სარჩელი ქმედების განხორციელების – საკადასტრო რუკის ჩანაწერის საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანისა და უზუსტობის გასწორების დავალდებულების თაობაზე ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის №ბს-32-32 (გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საკადასტრო რუკის ჩანაწერის საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა და უზუსტობის გასწორება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ლ. ს-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საკადასტრო რუკის ჩანაწერის საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა და უზუსტობის გასწორება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის წესით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რადგანაც მოსარჩელის მოთხოვნა წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის ნორმებით მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას აღნიშნული საქმის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

3. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ს-ის სარჩელი განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქმედების განხორციელების დავალდებულება, კერძოდ, უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ჩანაწერში არსებული უზუსტობის შესწორება, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კონკრეტულად უთითებს საქმეების ნაირსახეობებს, რომლებიც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს და მისი „გ“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელსაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა აწესრიგებს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რადგანაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების 1-ლი მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონით „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“, ხოლო მისი საქმიანობა, ამავე დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს კანონებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული ურთიერთობიდან, რომლის დროსაც ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალებულება ძირითადი სარჩელის, სამოქალაქო მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის თანამდევი იურიდიული შედეგი იქნებოდა. მოთხოვნა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოსათვის უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ჩანაწერში არსებული უზუსტობის შესწორების დავალებულება ამ უკანასკნელის საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. შესაბამისად, ლ. ს-ის სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების თაობაზე და, შესაბამისად, აღძრული იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე – ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნდა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, კერძოდ, დავა დაკავშირებული იყო იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის წესი რეგულირდება საჯარო სამართლის ნორმატიული აქტით – საქართველოს კანონით, „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“, ასევე სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზე არსებობდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობები, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

**11. სარჩელი ტექნიკენტარიზაციის ბიუროს საარქივო მასალაში უზუსტო ჩანაწერის შესწორების თაობაზე საჯარო სამართლებრივ კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 14 დეკემბრის №ბს-854-818 (გ-06) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ტექნიკენტარიზაციის ბიუროს საარქივო მასალაში უზუსტო ჩანაწერის შესწორება

1. ბ. ო-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის (ყოფილი ტექნიკური ინჟინერიზაციის ბიუროს სამართალმემკვიდრე) მიმართ საარქივო მასალაში უზუსტო ჩანაწერის შესწორების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ცხოვრობდა სამგორის რ/ნ-ის სოფ. . . -ში სახლი რომელშიც ცხოვრობდა მის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ არ ჰქონდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. მოსარჩელის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს სახლთმფლობელობის დაკანონების თაობაზე, მაგრამ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან ყოფილი ტექნიკური ინჟინერიზაციის ბიუროს (რომლის სამართალმემკვიდრეც არის საჯარო რეესტრი) საარქივო მასალებში მის კანონიერ სარგებლობაში აღრიცხულია 530 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

მოსარჩელის განმარტებით, საკადასტრო აზომვითი რუკის შესაბამისად, რომელიც მან წარმოადგინა, მის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთი შეადგენდა 869 კვ.მ-ს, ხოლო ყოფილი ტექნიკური ინჟინერიზაციის ბიუროს 1990 წლის 17 იანვრის მონაცემებით – 681 კვ.მ, რაც არითმეტიკული შეცდომაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა ტექნიკური ინჟინერიზაციის ბიუროს ჩანაწერებში შესწორების შეტანას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

კოლეგიამ მიუთითა, რომ ყოფილი ტექნიკური ინჟინერიზაციის ბიუროს საარქივო მასალაში უზუსტო ჩანაწერის შესწორება განხილულ უნდა იქნეს როგორც რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება, უბრალო მმართველობითი საქმიანობა). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს რა თავის მმართველობით საქმიანობას საჯარო სამართლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძვლებზე, ახდენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვას, რეგისტრაციას. ამიტომაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ჩანაწერის შესწორება განხილულ იქნეს, როგორც ადმინისტრაციული აქტი. სასამართლოს მოსაზ-

რებით, სასარჩელო მოთხოვნა არ შედის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ განსჯად ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიაში.

კოლეგიის მოსაზრებით ადმინისტრაციული ორგანო – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს არსებული მდგომარეობის ფიქსაციას. ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების განხორციელების საფუძველს კი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც კონკრეტული კანონი, ასევე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შეიძლება არსებობდეს სხვა საფუძველიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა სცილდებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალწარმოებას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრებას საქმის სამოქალაქო წესით განხილვის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ბ. ო-ის სარჩელი წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისადმი, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს საარქივო მონაცემებში ცვლილების შეტანა. საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილების განხორციელების წესსა და პროცედურას, ასევე, ცვლილებების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძვლებს არეგულირებს საქართველოს კანონი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“, კერძოდ კი მითითებული კანონის 21-ე, 24-ე და

26-ე მუხლები. ამიტომც, წინამდებარე დავის გადაწყვეტიტისას სასამართლო ვალდებული იყო შეემოწმებინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ადმინისტრაციული ორგანოს უარი, მოახდინოს რეესტრში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დავის საგანი ემყარებოდა საჯარო კანონმდებლობის, კერძოდ კი საქართველოს კანონის „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ დებულებებს, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ სამოქალაქო სასამართლოსადმი ქვემდებარე დავად.

## **12. სარჩელი შენობის ტექნიკური პასპორტის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 25 მაისის №ბს-234-16 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა და შენობაზე უფლების აღდგენა*

### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. მ. ქ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქარელის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ბ. გ-ისა და ქარელის ტექნიკურ-ტარიზაციის ბიუროს მიმართ ადმინისტრაციული აქტის (შენობის ტექნიკური პასპორტის) ბათილად ცნობისა და შენობაზე უფლების აღდგენის თაობაზე.

ქარელის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. ქ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა და იგი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ქ-მა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა არ გამომდინარეობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიდან და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს



სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ იმის გამო, რომ სადავო ტექპასპორტი გაცემული იყო ტექინვენტარიზაციის ბიუროს მიერ, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმე არ ექვემდებარებოდა სამოქალაქო წესით განხილვას და სააპელაციო საჩივარი განსაჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატაში. ამ უკანასკნელმა მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით არ გააჩნდა განსჯადობის თაობაზე დავის გადაწყვეტის უფლებამოსილება და სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადასცა საქართველოს უზენესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ დავა მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული კატეგორიისად, აუცილებელია ორი ძირითადი პირობის არსებობა:

ა) სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან ან ადმინისტრაციული დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა;

ბ) სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო ორივე პირობა, კერძოდ, მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, მაგრამ, საქმეში მარტოდენ ამ უკანასკნელის მონაწილეობა თავისთავად არ ქმნიდა დავის ადმინისტრაციული სამართალწარ-

მოების ჩარჩოებში მოქცევის საფუძველს. იმისათვის, რომ დავა ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი გახდეს აუცილებელია იმავდროულად მეორე პირობის არსებობაც. კერძოდ, დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილს და ჩათვალა, რომ მითითებული მუხლი ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მხედველობის მიღმა დარჩა.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ფიზიკური პირი – მ. ქ. ტექნიკური პასპორტის გაუქმებას ითხოვდა ერთადერთი საფუძვლით – ტექალრიცხვის სამსახურის მიერ პასპორტის კანონდარღვევით გაცემის გამო, რითაც შელახა მოსარჩელის, როგორც მყიდველის კანონიერი უფლებები. ამრიგად, სახეზე იყო ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართული სარჩელი, რომლის საფუძველზეც მხარე ასაჩივრებდა ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობები, რის გამოც წინამდებარე დავა განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის ქვემდებარე იყო.

### **13. სარჩელი საკრებულოს მიმართ, საკომლო წიგნში საკომლო ქონების აღრიცხვის კანონიერების თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 18 იანვრის №ბს-1519-1094 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საკომლო წიგნის ჩანაწერის გაუქმება*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. კ. და ლ. დ-ებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – ა., ზ. და მ. ხ-ძეების მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, 1992 წლის ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს უცნობმა პირებმა ისინი აიძულეს დაეტოვებინათ გორის რაიონის სოფ. . . . მდებარე თავიანთი საცხოვრებელი სახლი და გადასახლებულიყვნენ რუსეთის ფედერაციაში. მოსარჩელეთა საქართველოში არყოფნის დროს მათი სახლი უკანონოდ დაიკავა ა. ხ-ძემ ოჯახთან ერთად და საკუთარ სახელზე გადაიფორმა, რაც დასტურდებოდა ახალუბნის საკრებულოში გორის სახელმწიფო დაზღვევის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით.

მოსარჩელებმა მოითხოვეს ახალუბნის საკრებულოსა და სახელმწიფო დაზღვევის მიერ მოპასუხეთა სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმება.

გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით დადგინდა მოცემული საქმის განხილვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და მოპასუხეთა წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება ახალუბნის თემის საკრებულო.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საკომლო წიგნში ახალუბნის თემის საკრებულოს ჩანაწერი ა., ზ. და მ. ხ-ძეებზე გორის რაიონის სოფ. . . . მდებარე კ. და ლ. დების საკომლო ქონების გადაფორმების შესახებ და მოსარჩელები აღდგენილ იქნენ კომლის ქონებაზე კომლის უფლებებში.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა., ზ. და მ. ხ-ძეებმა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით ა., ზ. და მ. ხ-ძეების სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას, რომლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კ. და ლ. დმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებით გაუქმდა თბი-

ლისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა ლ. და კ. დების წარმომადგენლის შუამდგომლობა და საქმეში თანამოპასუხედ ჩაება ახალუბნის თემის საკრებულო.

ამასთანავე, პალატამ მიიჩნია, რომ მას არ გააჩნდა მოცემული საქმის განხილვის უფლებამოსილება, რადგან საქმე განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული კატეგორიის დავებს. მოცემული საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო: მართალია, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით ა., ზ. და მ. ხ-ძეების სააპელაციო საჩივარი საქმესთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას, რომელსაც მაშინ სადავოდ არ გაუხდია სააპელაციო საჩივრის განსჯადობა და განიხილა იგი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა ლ. და ყ. დების წარმომადგენლის შუამდგომლობა და მოცემულ საქმეში თანამოპასუხედ ჩაება ახალუბნის თემის საკრებულო, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მას არ გააჩნდა მოცემული საქმის განხილვის უფლებამოსილება, ვინაიდან მოცემული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მართებული იყო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება მოცემუ-

ლი დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე. ამ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ახალუბნის თემის საკრებულოს მოქმედების – მის მიერ საკომლო წიგნში მოსარჩელების საკუთრებაში არსებულ საკომლო ქონებაზე მოპასუხეების აღრიცხვის კანონიერება, ანუ მოქმედებდა თუ არა ახალუბნის თემის საკრებულო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და რამდენად იყო იგი უფლებამოსილი, რეგისტრაციაში გაეტარებინა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შესაბამისი, ნოტარიულად დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების წარდგენის გარეშე.

ამრიგად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, მოცემული საქმე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან მოცემული დავის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა გაერკვია, გააჩნდა თუ არა ახალუბნის თემის საკრებულოს კ. და ლ. დ-ების საკომლო საკუთრების მესაკუთრეებად საკომლო წიგნში ჩანერის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

**14. ქორწინების რეგისტრაციის გაუქმებაზე სამოქალაქო რეესტრის ორგანოთა უარი გამომდინარეობს საჯარო კანონმდებლობიდან, კერძოდ, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 116-ე მუხლიდან და მათი გაუქმების თაობაზე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის №ბს-900-866 განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: სამოქალაქო რეესტრის ორგანოთა გადაწყვეტილებების გაუქმება, დაქორწინების ჩანაწერის რეგისტრაციის გაუქმების დავალდებულება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. ჯ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთანმინდა-კრწანისის სამსახურის და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გადაწყვეტილებების გაუქმება და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთანმინდა-კრწანისის სამსახურისათვის რეგისტრირებული ქორწინების ჩანაწერის გაუქმების დავალდებულება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, აშშ-ში ქორწინების რეგისტრაციაში გატარდა ე. ლ. ჯ-ო-ან. ქორწინების შემდეგ დაიტოვა საკუთარი გვარი და მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აირჩიეს საქართველო. საქართველოში ვერ დაადასტურეს, რომ ეპისკოპოსის დასწრებით ქორწინება წარმოადგენდა სამოქალაქო წესით ქორწინების რეგისტრაციას და შეესაბამებოდა ქორწინების რეგისტრაციის ადგილზე მოქმედ კანონმდებლობას, რის გამოც ხელმეორედ, უკვე საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. თბილისში დაქორწინდნენ.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებითაც განისაზღვრებოდა დაქორწინებისა და განქორწინების წესი, ხელმეორედ ქორწინება, ქორწინების ნამდვილობის პირობები, ქორწინების ბათილობის სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლო განიხილავდა საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს შორის.

3. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმე წარმოადგენდა ადმინისტრაციულ კოლეგიის განსჯადს და ამ საკითხის გადასაწყვეტად იგი წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო სასამართლომ** ჩათვალა რომ მ. ჯ-ონის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოდგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ 1-ლი მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტების ჩანაწერ-

ბის შეცვლის, აღდგენისა და გაუქმების, აგრეთვე, სამოქალაქო რეგისტრაციის წიგნების შენახვის წესს, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა სისტემასა და სამართლებრივ სტატუსს. ამავე კანონის 116-ე მუხლით დადგენილია, რომ სამოქალაქო აქტის პირველად და აღდგენილ ჩანაწერებს აუქმებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო გასაუქმებელი ჩანაწერის შესრულების ადგილის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სამოქალაქო აქტის ჩანაწერი გაუქმდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლის შემოსვლის ან დაინტერესებული პირის მიერ წარდგენის შემთხვევაში.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთანმინდა-კრწანისის სამსახურის და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სააგენტოს მთანმინდა-კრწანისის სამსახურისათვის ქორწინების რეგისტრაციის გაუქმების დავალდებულება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით მ. ჯ-ნს უარი ეთქვა სამოქალაქო აქტის გაუქმებაზე და განემარტა, რომ სამოქალაქო აქტის გაუქმების მოთხოვნით უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, მ. ჯ-ნმა არა სამოქალაქო აქტის გაუქმების, არამედ ადმინისტრაციული ორგანოების უარის ბათილად ცნობისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთანმინდა-კრწანისის სამსახურისათვის სამოქალაქო აქტის, ქორწინების რეგისტრაციის, გაუქმების დავალდებულების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს.

აღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ 116-ე მუხლის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციული აქტები. სასამართლოს განხილვის საგანი იყო ამ აქტების კანონიერება. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დავის საგანი – ქორწინების რეგისტრაციის გაუქმებაზე უარი, ემყარებოდა საჯარო კანონმდებლობას, საქართველოს კანონის კერძოდ, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ 116-ე მუხლის დებულებას და იგი ვერ ჩაითვლებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმეთა წრეს. დავა ადმინისტრაციული სამართალ-

წარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული, რადგან სადავო საკითხი არ გამომდინარეობდა კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ქორწინება კერძო სამართლებრივი ინსტიტუტია, განსახილველი დავა არ ეხებოდა საოჯახო ურთიერთობას, მეუღლეთა განქორწინებას, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განიხილება. მოცემულ შემთხვევაში დავა ფიზიკურ პირებს შორის არ არსებობდა, დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქორწინების დადასტურების მართლზომიერება, რეგისტრირებული ქორწინების ხელშეწყობა და დადასტურება. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დავა ეხებოდა არა ორი ფიზიკური პირის საოჯახო ურთიერთობას, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის საკითხს ქორწინების დადასტურების მომენტში მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის) მიხედვით.

**15. სარჩელი მმჩის განყოფილების მიმართ შვილად აყვანის და დაბადების აქტების ჩანაწერების სიყალბის დადგენის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის №ბს-806-770 (გ-09) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: შვილად აყვანის და დაბადების აქტების ჩანაწერების ყალბად აღიარება

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ი. და ნ. ა-ბმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე მ. ა-ის მიმართ. სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ შ. ა-ი და ვ. ა-ი განქორწინდნენ და ერთად ცხოვრების პერიოდში შვილი არ შეძენიათ. შ. ა-ის გარდაიცვალეების შემდეგ მისი სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობის წესით გადავიდა კანონისმიერ მემკვიდრეებზე. მ. ა-მა სამკვიდრო ვადის გაგრძელების მოთხოვნით სარჩელი აღძრა სასამართლოში და მიუთითა, რომ იგი იყო შ. ა-ის შვილი და მოითხოვა ამ უკანასკნელის მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა. სასამართლოში მან წარადგინა დაბადე-



ბის მოწმობის ასლი და ბათუმის მოქალაქეთა აქტების ჩამწერი ბიუროს განყოფილების მიერ გაცემული სააქტო ჩანაწერი.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, თუმცა შემდეგ, აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ზემდგომ სასამართლოში და იგი განხილვის სტადიაში იყო.

მოსარჩელეთა განმარტებით, მ. ა-ის მიერ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტები ყალბი იყო, ვინაიდან შ. ა-ს შვილი არ ჰყავდა და არც ქორწინების განმავლობაში უშვილებია ვინმე და მათ მ. ა-ზე გაცემული დაბადების მოწმობისა და სააქტო ჩანაწერის ყალბად აღიარება მოითხოვეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ი. და ნ. ა-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ მმჩის ორგანოსა და ამ ორგანოს თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებულ ქმედებას, რომელიც საჯარო კანონმდებლობის შესაბამისად, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მათ უნდა ეწარმოებინათ და ითხოვდნენ ამ კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული დოკუმენტების სიყალბის აღიარებას.

კოლეგიის განმარტებით, საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები (ყოფილი მმჩის ორგანოები) წარმოადგენდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე ახორციელებდნენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ სწორედ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებას, რაც არ განეკუთვნებოდა სამოქალაქო კანონმდებლობის მოქმედების სფეროს, ვინაიდან სადავოდ ქცეული დოკუმენტების სიყალბის აღიარების დადგენისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო საჯარო და არა სამოქალაქო კანონმდებლობა.

ამიტომაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ, რადგან აღნიშნული დავის გან-

ხილვისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო საჯარო კანონმდებლობა სარჩელი, როგორც საგნობრივი (შინაარსი), ისე ნორმატიული (საპროცესო) თვალსაზრისითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა,

3. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოტივაციას და საქმე განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია შემდეგ გარმოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო, ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ დავაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა ფიზიკური პირი მ. ა-ი, ხოლო დავის საგანი იყო – დოკუმენტების – შვილად აყვანის და დაბადების აქტების ჩანაწერების – სიყალბის დადგენა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შვილად აყვანის და დაბადების აქტების ჩანაწერების ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღება არ არის საკმარისი და გადამწყვეტი წინაპირობა კონკრეტული დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის. ამისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის საგნის არსა და ფაქტობრივ შინაარსს, ანუ იმ გარემოებას, თუ მოქმედი კანონმდებლობის რომელი დარგიდან გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნები და, შესაბამისად, სამართალურთიერთობა.

საკასაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეებს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა.

**16. სარჩელი მმართველის ორგანოს მიმართ ქორწინების ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის №ბს-1735-1689 (გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ქორწინების აქტის ბათილად ცნობა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თ. გ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დიდუბის რაიონის მმართველის ბიუროს მიმართ ქორწინების აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე ითხოვდა ა. გ-შვილსა და ი. ბ-ძეს შორის 1991 წლის 26 იანვარს რეგისტრირებული ქორწინების ჩანაწერის ამსახ-

ველი დოკუმენტის დედანის გამოთხოვას და ქორწინების აქტის ბათილად ცნობას.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების მოტივაცია და, თავის მხრივ, მიუთითა ქორწინების რეგისტრაციის დროისათვის მოქმედ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 43-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, თუ დარღვეულია ამ კოდექსის მე-14, მე-15 და მე-18 მუხლებით დაწესებული პირობები და, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ ქორწინების რეგისტრაცია მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას (ფიქტიური ქორწინება). დასახელებული მუხლებით, ქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლად დადგენილ პირობებს კი მიეკუთვნებოდა დასაქორწინებელ პირთა თანხმობის არარსებობა, საქორწინო ასაკს – 18 წელს მიუღწევლობა, დაქორწინება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავენ შორის, ღვიძლ და აგრეთვე არაღვიძლ დასა და ძმას შორის; მშობლებსა და ნაშვილებს შორის; იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუნარიანად. კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად არცერთი ზემოაღნიშნული სამოქალაქო-სამართლებრივი პირობა არ იყო მითითებული.

დასახელებული კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, დაქორწინება ფორმდებოდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობდა მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული დაქორწინება, ხოლო მის რეგისტრაციის წესსა და პირობებს აწესრიგებდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 9 მარტის №133 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმატული აქტით ქორწინების საფუძველზე შეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მისი რეგისტრაცია მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოში და მიიჩნია, რომ ქორწინების ჩანაწერის დაფიქსირებისას სახეზე იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ქმედება სააქტო ჩანაწერის განხორციელების სახით, რომლის გარეშეც ქორწინება არ იქნეს სამოქალაქო-სამართლებრივ მნიშვნელობას. აღნიშნული ქმედების შედეგად განხორციელებული ჩანაწერი კი, თავის მხრივ, განხილული უნდა იქნეს, როგორც ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, ამასთან, მისი გამოცემისას მმაჩის ბიუროს საქმიანობა ემსახურებოდა სახელმწიფოებრივ მიზანს და მიიჩნეოდა საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებად.

შემოაღნიშნულის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სარჩელი განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ თ. გ-ის სარჩელი წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავას, შემდეგ გარემოებათა გამო:

სარჩელის შინაარსი ცხადყოფდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო ქორწინების ჩანაწერის ბათილად ცნობისაკენ იმ მოტივით, რომ ქორწინების რეგისტრაცია განხორციელდა მისი ან გარდაცვლილი ძმის ნების საწინააღმდეგოდ.

საკასაციო სასამართლო, არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოტივაციას დავის ადმინისტრაციული სასამართლოსათვის დაქვემდებარების თაობაზე და, თავის მხრივ, განმარტა: საოჯახო სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტს, რომელშიც გაერთიანებულია სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები. როგორც სადავო რეგისტრაციის პერიოდისათვის, ასევე დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ქორწინების ბათილობის საერთო საფუძვლებს, კერძოდ, ქორწინება უნდა გამოცხადდეს ბათილად: დასაქორწინებელ პირთა თანხმობის არარსებობისას; საქორწინო ასაკის მიუღწევლობის შემთხვევაში; იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი დაქორწინებული იყო სხვა პირზე; პირდაპირი აღმავალი და

დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, ღვიძლ და, აგრეთვე, არალ-ვიძლ დასა და ძმას შორის; მშვილებელსა და ნაშვილებს შორის; იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი, სულით ავად-მყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ მიჩნეულია არაქმედუნარიანად.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია ქორწინების ბათილობის ზემოაღნიშნულ საფუძვლებს და მიიჩნია, რომ მათგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს მიეკუთვნება ქორწინების ნებაყოფ-ლობითი ხასიათი, რაც გამორიცხავს ქორწინებას ნების არარსებო-ბის შემთხვევაში. წინამდებარე სარჩელი, ემყარებოდა სწორედ იმ არგუმენტს, რომ ქორწინება რეგისტრირებული იყო ერთ-ერთი პი-რის ნების არარსებობის პირობებში, კერძოდ, ნების გაყალბების გზით. ამიტომაც, მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად, არ-სებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გარემოების დადგენა-გამოკ-ვლევას, არსებობდა თუ არა რეგისტრაციის მომენტში დასაქორწი-ნებელ პირთა ნება და ქორწინების ბათილობის სამოქალაქო კა-ნონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები.

დასახელებულმა მოტივაციამ საკასაციო სასამართლოს მის-ცა საფუძველი დასკვნისათვის, რომ დავა არ გამომდინარეობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიდან, არ ემყარებოდა ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, რაც გამორიცხავდა სარჩელის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-გიისათვის განსჯადობით განსახილველად დაქვემდებარებას.

#### **17. სარჩელი ბავშვებისთვის გვარის შეცვლაზე განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 11 ივნისის №ბს-383-337-(კ-04) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ბავშვებისათვის გვარის შეცვლა*

#### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ლ. ვ-მ. მოპასუხე ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების და მ. გ-ის მიმართ, მე-3 პირი – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და მოითხოვა

მცირეწლოვანი შვილებისათვის და თავისთვის გვარის, ასევე, დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის სახელის შეცვლას.

2. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. გ.-მ.

3. **საკასაციო სასამართლომ** ნაწილობრივ დააკმაყოფილა რა საჩივარი, გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინება და საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად განსჯადობით გადასცა იმავე სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას, მიუთითა: განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს მცირეწლოვანი შვილებისათვის გვარის შეცვლა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლის თანახმად, შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი, ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით.

საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვან მოქალაქეთა სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლა შესაძლებელია მათი მშობლების თანხმობით, ხოლო, როდესაც შვილების დაბადების აქტების ჩანაწერებში მშობლების შესახებ მონაცემების შეცვლაზეა საუბარი, ამავე კანონის 82-ე მუხლის შესაბამისად, მშობლების მამის სახელისა და გვარის შეცვლის შემთხვევაში, მათი სურვილის შესაბამისად, იცვლება მონაცემები არასრულწლოვანი შვილების დაბადების აქტების ჩანაწერებშიც.

ამრიგად, არასრულწლოვანი შვილებისათვის გვარის შეცვლა ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობითობას. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილება მოცემულ შემთხვევაში ახდენს მხოლოდ მშობლების ნების ფიქსაციას და არ ახორციელებს ადმინისტრირების ფუნქციას. ბავშვებისათვის გვარის შეცვლა წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, კერძოდ, საოჯახო სამართლიდან გამომდინარე დავას და არ ეფუძნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, რის გამოც, იგი

არ განეკუთვნება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტიდან გამომდინარე დავების კატეგორიას.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია საქმეში მოპასუხედ ჩართულია ადმინისტრაციული ორგანო, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქცია შემოიფარგლება მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების ფიქსაციით და არა ადმინისტრირებით. რის გამოც ადმინისტრაციული ორგანო, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ წინამდებარე დავა არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს და იგი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნებოდა, რომელიც განსჯადობის წესის დარღვევით, განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ.

**18. დაბადების და მშობლების ქორწინების აქტების ჩანაწერში მამის სახელისა და გვარის შესწორებაზე უარის შესახებ საროს დადგენილებაზე საარჩელო, როდესაც იგი საქართველოს კანონს „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ ემყარება, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის №ბს-1156-732 (გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: დაბადების მონუმბასა და ქორწინების მონუმბაში მამის სახელის ჩასწორება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ვ. ნ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე დიდუბის რაიონის საროს მიმართ დაბადების მონუმბაში და ქორწინების მონუმბაში მამის სახელის ჩასწორების თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, სასარჩელო განცხადება განსჯადობით



განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, არ დაეთანხმა სამოქალაქო კოლეგიის მოსაზრებას, საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის თაობაზე და მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის შესაბამისად, ამ კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქმე განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ვ. ნ-ის სარჩელი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელის საგანს წარმოადგენდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების მიერ გაცემული დადგენილება, კერძოდ კი დაბადების და მშობლების ქორწინების აქტების ჩანაწერში მამის სახელისა და გვარის შესწორებაზე უარი. მის საფუძველად დასახელდა საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ და არა სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაუცველობა, რის გამოც სარჩელი გამომდინარეობდა არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ ჩათვალია რომ დავის საგანი – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების გამგის მიერ გვარისა და სახელის შესწორებაზე უარი – ემყარებოდა საჯარო კანონმდებლობის, კერძოდ კი საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ მე-20 და 108-ე მუხლების დებულებებს და იგი არ შეიძლება მიჩნეულიყო საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დავად.

**19. სარჩელი გარდაცვალების მოწმობაში ცვლილების შეტანის თაობაზე (გარდაცვალების ადგილის შეცვლა) ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 2 თებერვლის №ბს-1610-1184 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: გარდაცვალების მოწმობაში ცვლილების შეტანა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. ვ-მ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მეუღლის – ზ. დ-ის გარდაცვალების მოწმობაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, გარდაცვალების ადგილად, ნაცვლად თბილისისა, ქალაქ გალის მითითება მოითხოვა. მან აღნიშნული მოთხოვნით თავდაპირველად ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №1 განყოფილებას მიმართა, რომლისგანაც უარი მიიღო.

მ. ვ-მ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №1 განყოფილების უარი უკანონოდ მიიჩნია და მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის ზ. დ-ის გარდაცვალების მოწმობაში ცვლილების შეტანის დავალდებულება და ახალი გარდაცვალების მოწმობის გაცემა, რომელშიც გარდაცვალების ადგილად ქალაქ თბილისის ნაცვლად, გალის რაიონის სოფ. ბედია აღინიშნებოდა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო და იგი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადასცა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავად ჩათვალა, იმ მოტივით, რომ იგი გარდაცვალების აქტში ცვლილებების შეტანას შეეხებოდა და აღნიშნული სა-

კითხი სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავას წარმოადგენდა.

სასამართლომ საქმე განსჯადობის საკითხის გასარკვევად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში წარმართა.

**4. საკასაციო სასამართლომ** ჩათვალა, რომ მ. ვ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართალურთიერთობიდან გამომდინარეობს.

მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე, ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებისათვის გარკვეული ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, მოსარჩელის მეუღლის – ზ. დ-ს გარდაცვალების მოწმობაში ცვლილების შეტანა. აღნიშნული ურთიერთობები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ და არა სამოქალაქო კოდექსით, რის გამოც სარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობდა არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და იგი ვერ ჩაითვლებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად განსახილველ დავად.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ მე-7 მუხლის შესაბამისად, საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას. მაგალითისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექ-

სის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, ასევე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, დავა დაკავშირებული იყო იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობდა დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობები.

**20. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების მიერ გვარის შესწორებაზე უარი ემყარება საჯარო კანონმდებლობის, საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ დებულებებს და იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება<sup>8</sup>.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის

№ბს-677-645 (გ-07) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: დაბადების მოწმობაში ცვლილებების შეტანა*

<sup>8</sup> ანალოგიურ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, ასევე მიუთითა, რომ სარჩელი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების მიერ გაცემული დადგენილების, დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის – გვარის შესწორებაზე უარის თაობაზე, გამომდინარეობს საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ ნორმებიდან და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის №ბს-1151-727(გ-05) განჩინება.

1. თ. ბ-მა სარჩელით მიმართა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს დაბადების მოწმობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მისი მშობლები დედა – ბ-ნი ა. ხოლო მამა – ბ-ნი უ. ეროვნებით იეზიდები, ამიერკავკასიაში ქურთი-იეზიდების გადმოსახლებისას (1918-1920 წლებში) დასახლდნენ საქართველოში. საქართველოში დამკვიდრებულ ქურთებს მათი მამებისა და ბაბუების სახელებს უმატებდნენ რუსულ დაბოლოებებს ოვ-ს ან ევ-ს, ხოლო სომხეთში – იანს. ასეთი სახით მიღებული გვარები ქურთების ეროვნული ტრადიციებისათვის უცხო და შეუსაბამო იყო. აღნიშნულის გამო მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს, რომლებმაც შეისწავლეს მისი განცხადება და ოფიციალური წერილობითი პასუხით აცნობეს, რომ ქურთ-იეზიდებს კონსტიტუციურ უფლებათა ეროვნული ტრადიციებისა და რელიგიურ შეხედულებათა შესაბამისად, გვარის საფუძვლად შეუძლიათ აიღონ მამის ან ბაბუის სახელი, პატრონიმი ანდა ტომობრივი ანთროპონიმი, რომელიც აუცილებლად „ი“-ზე მთავრდება.

მოსარჩელის აღნიშვნით, გამოკვლევებისა და მეცნიერული შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ იგი ეკუთვნის დასენის პატრონიმიულ გაერთიანებას და მისი წინაპრების გვარი იყო დ-ნი და არა ბ-ნი, ამიტომაც, მამა-პაპის გვარის დაბრუნების მოთხოვნით მიმართა ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებას, საიდანაც უსაფუძვლოდ მიიღო უარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თ. ბ-მა მოითხოვა მამა-პაპის გვარის დაბრუნება – დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, ბ-ნის ნაცვლად დ-ნის მითითებას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, თ. ბ-ის სარჩელი გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იმ მოტივით, რომ თ. ბ-ის სარჩელი არ განეკუთვნებოდა იმ დავათა კატეგორიას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და, შესაბამისად,

არ ექვემდებარებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და სარჩელი განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საერთო სასამართლოში განხილვა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. განსახილველ შემთხვევაში, დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ვინაიდან საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შეცვლის წესს, ამავე კანონით გათვალისწინებულია სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლის საფუძვლები და წესი.

აქვე სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელება წარმოადგენდა.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ბ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა და განსახილველად მას უნდა დაექვემდებარებოდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსს და აღნიშნა, რომ მითითებული მუხლის საფუძველზე კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის

განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების მიერ გაცემული დადგენილება, კერძოდ კი დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანა და, შესაბამისად, გვარის შესწორებაზე უარის თქმა. საკასაციო სასამართლომ არსებითი მნიშვნელობა მიაჩნა იმ გარემოებას, რომ გვარის შესწორებაზე უარის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ შესაბამისი ნორმების დაუცველობა. ამიტომაც, დავის საგანი – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების გამგის მიერ გვარის შესწორებაზე უარი ემყარებოდა საჯარო კანონმდებლობის, კერძოდ კი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის დებულებებს და იგი ვერ ჩაითვლებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით განსახილველ დავად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების გამგის დადგენილება გვარის შესწორებაზე უარის თქმის შესახებ, შეიცავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ნიშანს, რისი გათვალისწინებითაც მოცემული დავა განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო.

**21. სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქართველოს არქივის მიმართ, დაბადების მოწმობის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე, ადმინისტრაციული კატეგორიის დავას წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ივლისის №ბს-557-549 (გ-07) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და შეიღის დაბადების მოწმობის აღდგენის შესახებ მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება

1. დ. ა-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქართველოს არქივის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და შვილის – ა-ნის დაბადების მონმობის აღდგენის შესახებ მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით საქმე განსჯადობის წესით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლ, მე-2 მუხლებზე და განმარტა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქართველოს არქივის ცნობის თანახმად, ა. ა-ნის დაბადების შესახებ სამოქალაქო აქტების გაცემა შეუძლებელია აფხაზეთში რეგისტრირებული სამოქალაქო აქტების არქივის უქონლობის გამო. სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VI კარის თანახმად, სასამართლომ უდავო წარმოების წესით უნდა დაადგინოს დაბადების რეგისტრაციის ფაქტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაბადების მონმობის აღდგენის თაობაზე აღძრული სარჩელი გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას აღნიშნული საქმის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ დ. ა-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა



კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქართველოს არქივის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც უარი თქვა მოსარჩელეს შვილის – ა. ა-ნის დაბადების მოწმობის აღდგენაზე, ბათილად ცნობა და დაბადების მოწმობის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ადმინისტრაციულ ორგანოსათვის დავალდებულება, რაც ადმინისტრაციული კატეგორიის დავას წარმოადგენდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებს. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელსაც საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა აწესრიგებს.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ 1-ლი მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ ეს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტების ჩანაწერის შეცვლის, აღდგენისა და გაუქმების, აგრეთვე, სამოქალაქო რეგისტრაციის წიგნების შენახვის წესს, ასევე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა სისტემასა და სამართლებრივ სტატუსს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქართველოს არქივი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რადგანაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №835 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 1-ლი მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს იუსტი-

ციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონით „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“, ხოლო მისი საქმიანობა ამავე დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს კანონებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

ამრიგად, ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება, მოახდინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, წარმოადგენს საჯარო, მმართველობით სფეროში მინიჭებულ იურისდიქციას, რომლის განხორციელების პირობებში კერძოსამართლებრივი აქტები იძენს საჯარო აქტების ხასიათს. შესაბამისად, პირის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მართლზომიერების შემოწმება სარჩელის საფუძველზე, სწორედ ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნებოდა.

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ დ. ა-ის სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მოსარჩელის შვილის – ა. ა-ის დაბადების მოწმობის აღდგენის შესახებ, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე და რაც, თავის მხრივ, საჭიროებდა სასამართლოს მიერ სწორ სამართლებრივ კვალიფიკაციას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, ეს კი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის

საგანს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო შეზღუდულია დისპოზიციურობის პრინციპით, რის გამოც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია ადმინისტრაციული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VI კარის შესაბამისად, უდავო წარმოების წესით უნდა დაედგინა ა. ა-ის დაბადების რეგისტრაციის ფაქტი, ამიტომაც დავა გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ დისპოზიციურობის, „ნების ავტონომიის“ პრინციპის გათვალისწინებით, აღძრა არა განცხადება უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენის მოთხოვნით (აღნიშნული მოთხოვნით მას სასამართლოსათვის არ მიუმართავს, არც სხდომის ოქმში ფიქსირდებოდა ამგვარი), არამედ მკაფიოდ განსაზღვრა სასარჩელო წარმოების ფორმით მისაღწევი მოთხოვნა – ადმინისტრაციული აქტის გაუქმება და ახალი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალური თეორიის გააჩნდა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, კერძოდ, დავა დაკავშირებული იყო იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ასევე სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის დადგენილი ყველა პირობა.

**22. სანოტარო წესით დამტკიცებულ ხელშეკრულებაში მექანიკური შეცდომის გასწორებაზე სანოტარო ორგანოს მიმართ სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 იანვრის №ბს-1257-1219 განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სანოტარო აქტში შესწორების შეტანა

## რედაქტირებული ამონარიდი

1. ა. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის ქმედების განხორციელების დავალდებულება – ნასყიდობის ხელშეკრულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სანოტარო ბიუროში გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, მის საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, . . . გამზირზე, 36<sup>ბ</sup>-ში მდებარე №7 ბინა, თუმცა ხელშეკრულებაში ბინის ნომერი შეცდომით იქნა მითითებული, კერძოდ, „№7-ის“ ნაცვლად – „№8“. ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიუროშიც გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, შეუწყდა უფლებამოსილება, რის გამოც ხელშეკრულებაში შესწორების შეტანის მოთხოვნით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, რომელმაც განუმარტა, რომ პალატას არ გააჩნდა პრივატიზაციის ხელშეკრულებაში შესწორების შეტანის უფლებამოსილება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ა. ს-ის სარჩელი განსახილველად ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა. სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა ფიზიკურ პირებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში შესწორების შეტანა და გამომდინარეობდა სამოქალაქო-სამართლებრივი, კერძოდ, სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან.

3. სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრებას და განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ა. ს-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. ს-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის ქმედების განხორციე-

ლების დავალებულება, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, „ბინა №8-ის“ ნაცვლად „ბინა №7-ის“ მითითება. აღნიშნული ხელშეკრულებით ვ. მ-მ, ბინა მიჰყიდა ა. შ-ს. ხელშეკრულება დამოწმებული იყო სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ, რომელმაც შეამოწმა ნასყიდობის საგანზე ვ. მ-ს საკუთრების უფლების არსებობა. საქმის მასალებში წარდგენილი იყო პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომლითაც ნასყიდობის საგანი სახელმწიფოსაგან პრივატიზაციის გზით გადაეცა ვ. მ-ს. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენდა იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ნოტარიუსმა დაადგინა ვ. მ-ს საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე.

საქართველოს კანონის „ნოტარიატის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის მუხლის თანახმად, ნოტარიტი არის საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. სანოტარო აქტში შესწორების შეტანის წესი დადგენილია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის №2359 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ დებულებით, რომლის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნოტარიუსი უფლებამოსილია სანოტარო მოქმედების მონაწილის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, სანოტარო აქტის ტექსტში შეასწოროს სანოტარო აქტის შედგენისას დაშვებული აშკარა მექანიკური შეცდომები. აშკარა მექანიკურ შეცდომად ჩაითვლება სანოტარო აქტის ტექსტში დაშვებული კალმისმიერი, ორთოგრაფიული, არითმეტიკული ან სხვა სახის ხარვეზები, რომელთა მექანიკური ხასიათი თვალნათლივ დასტურდება ამავე სანოტარო აქტის სხვა ნაწილებიდან და/ან თანდართული დოკუმენტებიდან და რომელთა გასწორებაც არ იწვევს სანოტარო აქტის შინაარსის არსებით შეცვლას.

ა. ს-ის მოთხოვნას მოპასუხისათვის ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოქმედების შესრულების დავალებულება წარმოადგენდა და იგი გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სა-

მართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა არ ემყარებოდა სამოქალაქო სამართლის ნორმებს, დავა არ წარმოშობილა ნასყიდობის ხელშეკრულების ირგვლივ, მოსარჩელე მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების მოპასუხისათვის დავალდებულებას ითხოვდა, რაც საჯარო სამართლის კანონმდებლობით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებულ ნოტარიუსის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“, სათანადოობა საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს არ წარმოადგენდა. თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენდა, რომ სარჩელი აღძრული იყო არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეეძლო მოსარჩელის თანხმობით თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ა. ს-ის სასარჩელო განცხადება განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეს წარმოადგენდა.

**23. სანოტარო აქტით დამონმებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე სარჩელი იმისდა მიუხედავად, რომ დავის ერთ-ერთ მხარეს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო, ნოტარიუსი წარმოადგენს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 19 ოქტომბრის №ბს-1148-724 (გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ხელშეკრულების გაუქმება და  
ზიანის ანაზღაურება

1. ნ. ჯ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა გ. ჯ-სა და ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. შ-ის მიმართ და სანოტარო აქტის გაუქმება, ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მოპასუხესთან დადებული ნასყიდობის განვადებით გადახდის ხელშეკრულების გაუქმება და ამ უკანასკნელის თანმხლებ პირებთან ერთად დაკავებული ბინიდან გამოსახლება მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ნ. ჯ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაეცა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არ იყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი, ვინაიდან ნოტარიუსი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სამოქალაქო კოლეგიის მოსაზრებას და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარიმართა.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ნ. ჯ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოსათვის უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეების წრეს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი, მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენდა ნ. ჯ-სა და გ. ჯ-ს შორის დადებული ნასყიდობის განვადებით გადახდის ხელშეკრულება, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ იყო დამოწმებული.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება, როგორც ორ ფიზიკურ პირს შორის დადებული, კერძოსამართლებრივი ხასიათისა იყო. ამიტომაც, განსახილველი საქმე ფიზიკურ პირებს შორის წარმოშობილ კერძოსამართლებრივ დავას წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავაში მარტოოდენ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა მის სამართლებრივ ბუნებას არ განსაზღვრავს, გადამწვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება, სადავო ურთიერთობა კი უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ეს პირობები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა.

**24. სარჩელი ნოტარიუსის მიმართ, მემკვიდრედ ცნობისა და მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაწილის გაცემის თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.<sup>9</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის  
№ბს-1629-1557 (გ-09) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: მემკვიდრედ ცნობა და სამკვიდრო  
მონაწილის გაცემა

<sup>9</sup> დებულება, რომლის თანახმად სამოქალაქო (სამემკვიდრო სამართლებრივი) კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები სანოტარო ორგანოებთან, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება, გაზიარებულია დადგენილი სასამართლო პრაქტიკით და მის საილუსტრაციოდ ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 23 მაისის 23 მაისის № ბს-1358-933, 2 ნომბრის № ბს-879-842(გ-06) განჩინებები.



1. ჟ. ბ-მ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ნოტარიუს ე. კ-ის მიმართ და მისთვის, გარდაცვლილი კ. ბ-ს მემკვიდრედ ცნობისა და მისი დანაშთი ქონების 1/2 წილზე სამკვიდრო მონუმობის გაცემის და-ვალდებულება მოითხოვა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საკასაციო სასამართლოში წარიმართა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავა არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რადგან მოსარჩელე არ ითხოვდა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას, სადავო არ იყო სამკვიდროს გაყოფა და, შესაბამისად, დავა არ შეიძლება განხილულიყო სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.

საქართველოს კანონის „ნოტარიატის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი არის საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. იმავე კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. მრიგად, სამოქალაქო კოლეგიის მოსაზრებით, ნოტარიუსის საქმიანობა სახელმწიფოებრივ, ანუ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილების განხორციელებად მიიჩნევა და, შესაბამისად, მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებას ექვემდებარება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე ქმედების

განხორციელების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელება წარმოადგენდა.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ჟ. ბ-ს სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ფორმალური თვალსაზრისით, სანოტარო მოქმედების მეშვეობით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას საქართველოს კანონის „ნოტარიატის შესახებ“, საფუძველზე. ამასთანავე, დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ნოტარიუსის მოქმედების სადავობის დროს სარჩელის განსჯადობის საკითხის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სანოტარო მოქმედების შინაარსის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში იმას, თუ რა უდევს საფუძვლად სამკვიდრო მონუმობის გაცემის მოთხოვნას – კერძო თუ საჯარო სამართლის კანონმდებლობა.

განსახილველ საქმეზე ჟ. ბ-ს სარჩელის საგანს მემკვიდრედ ცნობა და სამკვიდრო მონუმობის გაცემა წარმოადგენდა. საქმის განმხილველ სასამართლოს მემკვიდრეობითი სამართლის ნორმათა საფუძველზე უნდა დაედგინა სადავო ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სანოტარო მოქმედების შესრულებლობა მისი შესრულებაზე უარის თქმის ტოლფასია. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, ნოტარიუსის სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, განსაზღვრავს ნოტარიუსის უფლებამოსილებას უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, რაც არ განაპირობებს დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას. ნოტარიუსის მიერ სამართლებრივი ურთიერთობების და იურიდიული ფაქტების დადასტურება არ განეკუთვნება მმართველობით სფეროში განხორციელებულ ღონისძიებას,

მას არ გააჩნია ადმინისტრაციული ორგანოსათვის დამახასიათებელი ელემენტები, იგი არ არის მოცული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული დეფინიციით. სამკვიდრო ქონების 1/2 ნაწილზე სამკვიდრო მონაწილის გაცემა სამემკვიდრეო ურთიერთობით არის დეტერმინირებული, ეს უკანასკნელი კი სამოქალაქო კანონმდებლობით რეგულირდება, რის გამოც დავა სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიიჩნია, რომ მოცემული დავა არ ეფუძნებოდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას, იგი წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ექვემდებარებოდა.

## **§ 2. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების განსჯადობა**

**1. ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავა, თუნდაც საქმის განხილვისას მისი მხარეები უკვე კერძო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენდნენ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის №ბს-463-442 (გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: იჯარის ხელშეკრულების შესრულება*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ახმეტის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გ. ბ-ძის მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის

დადებული იჯარის ხელშეკრულების შესრულება და ზიანის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და იგი სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-ძემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით, გ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას, რომლის გადაწყვეტილებით გ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-ძემ.

საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვის სტადიაზე ლიკვიდირებული ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენის უფლებამონაცვლედ დადგენილი იქნა შპს „...“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით გ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, მის გამო, რომ შეიცვალა მოსარჩელის სტატუსი – ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა შპს „...“, საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით გ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოად-

გენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე და განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს სასამართლოში. აღნიშნული ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ არის ამოსავალი ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობისათვის, რადგან შესაძლოა, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორისაც დაიდოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუ-

ბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის ფირმა „...“ (შემდეგში ქვემო ალვანის ჯიშსაშენი, ამჟამად შპს „...“) და გ. ბ-ძეს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება 3 წლის ვადით, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს „ტორგის“ წესით მიემავრა ცხვრის სულადობა, საძოვარი, ცხვრის ფარეხი და მეცხვარეთათვის საცხოვრებელი ბინა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა გარკვეულ ვალდებულებებს ორივე მხრიდან. დავის საგანს, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „...“ წესდების მიხედვით, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იგივე იყო, რაც, უფლებრივად მის წინამორბედს, ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენს გააჩნდა. საზოგადოების საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად კვლავ რჩებოდა „სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“ კანონის საფუძველზე მეცხოველეობაში სანაშენე საქმის სრულყოფის ღონისძიებათა განმტკიცება. სადავო ხელშეკრულება ამ საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად იყო დადებული, რის გამოც იგი ვერ იქნებოდა მიჩნეული სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებად, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ორივე მხარე საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვისას კერძო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების ნაცვლად სარჩელის საგანი გახდა ორ კერძო სამართლის სუბიექტს – ფიზიკურ პირსა და შპს-ს შორის არსებული სამოქალაქო ხელშეკრულების შესრულება და იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალური თეორია გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და ამიტომაც გ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადი იყო.

**2. დავა ფინანსთა სამინისტროს მიერ შპს-თვის გაცემული სესხის ხელშეკრულების შეუსრულებლობის თაობაზე ადმინისტრაციულ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დავას წარმოადგენს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის №ბს-202-196 განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს „...“ მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (სესხის გამომყოფი), სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სესხის მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის განმახორციელებელი), სსიპ „...-სა“ (თანხის გამცემი) და შპს-ს „...“ (სესხის მიმღები) შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება.

აღნიშნული ხელშეკრულების 1-ლი მუხლის მიხედვით, შპს-ს „...“ გამოეყო სესხი – ... ლარი. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა შპს „...-ს“ ვალდებულება, რომ სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში წარმოადგენდა სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის ოდენობით საბანკო გარანტიას, ან შესაბამისი ღირებულების ქონებას დატვირთავდა იპოთეკით ან დააგირავებდა.

შპს „...-მ“ მიიღო სესხი მაგრამ მის უზრუნველსაყოფად არ წარადგენია საბანკო გარანტია და არც იპოთეკით დატვირთა შესაბამისი ღირებულების ქონება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა შპს „...“

დავალეობდა წარმოდგინა საბანკო გარანტია ან იმავე ღირებულების ქონება დაეტვირთა იპოთეკით, ან დაეგირავებინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულმა პალატამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. აღნიშნული მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილება, იყვნენ სამოქალაქო სამართლის სუბიექტები და მონაწილეობდნენ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, გამომდინარეობს აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლიდან, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ



ურთიერთობაში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი.

პალატამ მიუთითა, რომ დავის სპეციფიკის გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ ორგანოს როლის ფუნქციონალურ გაგებას ხელშეკრულებაში. კანონდებელი არ ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოს, რომ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებით და ამით განახორციელოს საჯარო უფლებამოსილება ან დადოს სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება და ამით დაიკმაყოფილოს კერძო ინტერესი.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა რალაც მასშტაბით მაინც ქვემდებარეობს საწყისებზე დაფუძნებულ ურთიერთობას წარმოადგენს. იგი შემოისაზღვრება მხოლოდ სამართლით და, რიგ შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი უფლებამოსილებათა წრით. იმისათვის რომ გაიმიჯნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება ყურადღება უნდა გამახვილდეს არა კონკრეტული ხელშეკრულების ცალკეულ დეტალზე, არამედ ზოგად მომწესრიგებელ ნორმებსა და ხელშეკრულების მიზანზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში სადავო ხელშეკრულებას სამოქალაქო სამართლებრივი შინაარსი გააჩნდა, იგი სესხს წარმოადგენდა და არ შეიძლება განხილულიყო, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, არ დაეთანხმა რა ადმინისტრაციული პალატის მოსაზრებას განსჯადობის თაობაზე, დავის გადასაწყვეტად საქმე წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „...-სა“ და შპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული საბანკო გარანტიის წარმოდგენა, ან ქონების დატვირთვა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსჯადობის თაობაზე დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავად სადავო სამართალურიერთობის ხასიათის განსაზღვრას, რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია იმ ნორმათა ანალიზი, რომლებიც ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას იძლევა.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებული იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების მეშვეობით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას

მხარეები არიან წმინდა სამოქალაქო სამართლებრივი უფლება--  
მოვალეობის მატარებლები.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კანონით „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ გათვალისწინებული საქართველოს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის შესაბამისი მიზნობრივი დანიშნულებით გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვა. მითითებული ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა ბიუჯეტის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საბიუჯეტო თანხების განკარგვა და მათი ხარჯვის მიზნობრიობის გაკონტროლება. იმავდროულად, ხელშეკრულების მონაწილე იურიდიული პირის ვალდებულებას წარმოადგენს მიღებული თანხის მხოლოდ გარკვეული მიზნით გამოყენება. ამრიგად, წინამდებარე შემთხვევაში, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ სარგებლობდნენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლეოდა იმის საფუძველს, რომ განსახილველი ხელშეკრულება მიეკუთვნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განსახილველად ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო.

**3. ფინანსთა სამინისტროსა და ინდ. მეწარმეს შორის არასაჯარო მიზნის მისაღწევად დადებულ სესხის ხელშეკრულების შესრულების თაობაზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 დეკემბრის №ბს-1461-1395 (გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სესხის ხელშეკრულების შესრულება*

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის ინიდვიდუალური საწარმო „...“ მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

საქმის განხილვის პროცესში მესამე პირებად ჩაებნენ საქართველოს მთავრობა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს საკასაციო სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, უშუალოდ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების – კონკრეტული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების მიზნით იქნა დადებული სადავო ხელშეკრულება, შესაბამისად, მის შესრულების საკითხთან დაკავშირებით იყო აღძრული სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თა-ნახმად, სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამიტომაც, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა წარმოადგენდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო დავას და, შესაბამისად, იგი მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებით დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის ძირითად ნიშანს წარმოადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამრიგად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს მისი შინაარსიდან გამომდინარე ხელშეკრუ-

ლების მიზანი. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ინდ. საწარმო „პ. . .“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ი/ს „. . .“ იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ, საკრედიტო რესურსად გამოყოფილი . . . ლარი გაიცა ინდივიდუალურ საწარმო „პანაცაზე“ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისგან ვაშლის შესყიდვის მიზნით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმისდა მიუხედავად, რომ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების, ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გამოიყენოს როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე, კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნა უნდა განხორციელდეს კონკრეტულ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

საკასაციო სასამართლო, ასევე, დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულის ადმინისტრაციასა და ინდივიდუალური საწარმო „. . .“ შორის დადებული სესხის ხელშეკრულება, არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს. სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**4. ენერგეტიკის სამინისტროსა და სს-ს შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების თაობაზე ხელშეკრულება გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან და მისი პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის საურავის დაკისრება წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მაისის  
№ბს-250-240 (გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სს „. . .“ მიმართ და სამუშაოების ვადაგადაცილებით შესრულების გამო საურავის – . . . ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (შემსყიდველი) და სს „...“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე. განისაზღვრა სამუშაოების შესრულების ვადები, რაც აისახა ხელშეკრულების დანართში.

მიმწოდებლმა, სს-მ დაარღვია სახელშეკრულებო ვადები, რის გამოც ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესრულებული სამუშაოების ღირებულების 0,20%-ის ოდენობით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ პირგასამტეხლო ჯამში შეადგენს . . . ლარს, რომლის გადახდაზეც სს-მ უარი განაცხადა.

2. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვალდებულებას, უზრუნველყოს მოქალაქეთა სოციალური დაცვა. ამასთანავე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს „...“-ს შორის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაფეროვანი შესრულების გამო საურავის ანაზღაურების საკითხი არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან. მიტომაც, სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაჰენტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.



4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ენერგეტიკის სამინისტრო შექმნილია კანონის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში, კერძოდ ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად. მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 1 აპრილის №71 დადგენილებით. მათ შორისაა ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, წარმოადგენს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ განმგებლობას მიკუთვნებულ საკითხს. ამიტომაც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს ენერგეტიკის დარგში. მას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია დადოს ამავე კოდექსის 65-65<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული როგორც ადმინისტრაციული ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებები.

ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი, რომელიც მისი შინაარსით განისაზღვრება. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად.

აღინიშნა, რომ ხელშეკრულება დადებულია საქართველოს მთავრობის განკარგულების შესასრულებლად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა რიგ მუნიციპალიტეტებში რუსეთის ფედერაციის აგრე-

სიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი იყო საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს „. .-ს“ შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. კერძოდ, ხელშეკრულების საფუძველზე მენარმე სუბიექტმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, შეესრულებინა სამშენებლოსარემონტო სამუშაოები კონკრეტულ რაიონებში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით.

მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება წარმოდგენს სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად საჯარო სამართლებრივ ფუნქციას და მის განსახორციელებლად დადებული ხელშეკრულება ექცევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის ფარგლებში. შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს „. .-ს“ შორის დადებული ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლით განსაზღვრულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობასთან და წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ პირთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას. აღნიშნულით მენარმე სუბიექტი აღიჭურვა იმ სახის უფლებამოვალეობებით, რომლებიც გულისხმობს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას. სარჩელის დავის საგანი კი საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის საურავის დაკისრებაა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება გამომდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე საურავის დაკისრება, წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

**5. თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, კერძო მეწარმის მიმართ სურსათის მიწოდების ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას წარმოადგენს და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის №ბს-1467-1401 (კ-09) განჩინება  
დავის საგანი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ი/მ დ-ის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სასურსათო უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტსა და ი/მ დ-ქს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მეწარმე ვალდებული იყო თავდაცვის სამინისტროსათვის მიეწოდებინა პროდუქტი. მოპასუხემ ვალდებულება სრულად არ შეასრულა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ი/მ დ-ის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა მოეძებნა სხვა მიმწოდებელი. ი/მ დ-ქს რომ უსაფუძვლოდ არ შეწყვიტა პროდუქტის მიწოდება, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ბიუჯეტიდან დაზოგავდა პროდუქტის შეძენისათვის დამატებით განუღო ხარჯებს, რითაც საერთო ჯამში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიადგა ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელმაც სარჩელი არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

**2. საკასაციო სასამართლომ** საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განეკუთვნებოდა სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ საქმეს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 251 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ი/მ დ. ა-ძესთან გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა სამინისტროსათვის კვების პროდუქტების მიწოდება. მართალია, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით (2005 წელს მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფა, მაგრამ ეს გარემოება არ ქმნიდა დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად, შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების და-

დებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე მენარმე სუბიექტმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, შემსყიდველისათვის მიენოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვების პროდუქტები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო თვით ხელშეკრულება დადებული იყო სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, იგი არ აღჭურავდა ი/მ დ-ქს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავდა ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხოლო ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კანონის საფუძველზე, თავისთავად არ წარმოადგენდა სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. ამასთანავე, დავის საგანს წარმოადგენდა არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა ან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულება თავად სამინისტროს მხრიდან, არამედ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობის საფუძველს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულება წარმოადგენდა, ამიტომაც მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 251 მუხლების, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადს წარმოადგენდა და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული.

**6. ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 11 თებერვლის №ბს-467-57-გ-03 განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ო. გ-მა უკანონოდ განხორციელებული ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და თანასაკუთრების უფლებით წილის გამოყოფის მოთხოვნით სარჩელი აღძრა ბორჯომის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების: ა. ა-ს და ბორჯომის კომუნალური საწარმოო კომბინატის სახლმმართველობის (შპს „ბორჯომის კეთილმოწყობის“) მიმართ.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ომარ გაგლოშვილის სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებით ო. გ-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას გადაეცა.

3. ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად უზენაეს სასამართლოში წარმართა.

4. **საკასაციო პალატამ** ჩათვალა, რომ საქმე თბილისის ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე ო. გ., ა. ა-სა და ბორჯომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატ შპს „ბორჯომის კეთილმოწყობას“ შორის დადებულ ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასა და თანასაკუთრების უფლებით დედამისის წილის გამოყოფას იმ საფუძვლით ითხოვდა, რომ მისი მოსაზრებით, სადავო ბინის პრივატიზაცია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების დარღვევით განხორციელდა.

საკასაციო სასამართლომ მხარეთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და მეხუთე თავის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება – ადმინისტრაციული გარიგებაა<sup>10</sup>. ბორჯომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის სახლმმართველობა (შპს „ბორჯომის კეთილმოწყობა“) ბორჯომის გამგეობის ერთ-ერთი სამსახური იყო, რომელიც ადმინისტრაციულ უფლებამოსილებებს ახორციელებდა და, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს წარმოადგენდა.

ამიტომაც, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული გარიგების კანონიერებას ამოწმებს ადმინისტრაციული სასამართლო, აღნიშნული დავა ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოების წესით უნდა განხილულიყო.

**7. საბინაო სამშენებლო კოოპერაციის საკუთრებაში მყოფი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას და მისი ბათილად ცნობის თაობაზე საარჩევლო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველია<sup>11</sup>.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მარტის №ბს-76-76 (გ-08) განჩინება  
*სასარჩევლო მოთხოვნა: საბინაო სამშენებლო კოოპერაციის ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ს. კ-ძემ სასარჩევლო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის ნოტარიუსის და მესამე პირის -ი. ს-შვილის მიმართ პრივატიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე.

<sup>10</sup> საქმის განხილვის დროს კოდექსის მოქმედი რედაქციით.

<sup>11</sup> იხ. ასევე, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 7 დეკემბრის №ბს-1483-1058 (კ-05) განჩინება.

მოსარჩელე ითხოვდა ნოტარიუს ვ. ჭ-შვილის მიერ 1999 წლის 1 სექტემბერს დამოწმებული პრივატიზაციისა და 1999 წლის 11 ნოემბრის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება მ. კ-ძე.

2. მოსამზადებელ სხდომაზე, მესამე პირის – ი. ს-შვილის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქმის განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაგზავნის თაობაზე, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელე ხ. კ-ძისათვის არანაირი ზიანი არ მიუყენებია და ვერც შეიძლებოდა მიეყენებინა, არც ამხანაგობა და არც ნოტარიუსი არ იყო საჯარო მოხელე, ანუ ადმინისტრაციული ორგანო, რის გამოც მსგავსი სახელშეკრულებო ქონებრივი დავები უნდა განხილულიყო არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციული კოლეგია განჩინებაში მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა პრივატიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების გაუქმებას. საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ზუსტად განსაზღვრავს იმ სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად. ამასთან, ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. კანონი, ასევე, იძლევა კონკრეტულ ჩამონათვალს, თუ რომელ სახელმწიფო დაწესებულებაში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა წარმოადგენდა კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.



3. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ხ. კ-ძის სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში. ამასთანავე, კოლეგიის განჩინებით წინამდებარე საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ხ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე ქ. თბილისის ნოტარიუსის, მესამე პირების -ი. ს-შვილისა და მ. კ-ძის მიმართ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე მოთხოვნის ნაწილში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას პრივატიზაციის ნაწილში დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის თაობაზე და მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ, ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

სასამართლომ მიუთითა, რომ ის სამართლებრივი აქტები, რომელთა საფუძველზედაც ამხანაგობის თავმჯდომარესა და ი. ს-ს შორის დაიდო ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება, წარმოადგენდნენ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას მიეკუთვნებოდა.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე პრივატიზაციის ხელშეკრულების დადებისას, ახორციელებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ფუნქციას, რის გამოც ზემოხსენებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულს, რადგან არსებობდა ამ ხელშეკრულებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი ნიშნები. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილებოდა საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, განსახილველი საქმეც ამ პროცესუალური ფორმით უნდა განხილული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, ხ. კ-ძის სარჩელი პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ ხ. კ-ძის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ ნაწილში კიდევ უფრო დაკონკრეტებულია ეს დანაწესი: კერძოდ, მისი „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის, სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით ცალსახად განისაზღვრა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინის-

ტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ამ პირობებში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიას, ვინაიდან, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სადავო ბინა წარმოდგენდა საბინაო სამშენებლო კოოპერატივის საკუთრებას, რომელიც პაის გადახდის შემდეგ გადავიდა კერძო პირის საკუთრებაში. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთათვის სახელმწიფო საბინაო ფონდში ამ უკანასკნელთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობით შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულების ობიექტი – ბინა, არ მიეკუთვნებოდა სახელმწიფო საბინაო ფონდის კატეგორიას, რაც ნიშნავდა იმას, რომ გამგეობა მას ვერ განკარგავდა როგორც სახელმწიფო საკუთრებას, რაც გამორიცხავდა სადავო ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას და რაც, თავის მხრივ, იძლეოდა სადავო სამართალურთიერთობის სამოქალაქო წესით განსახილველ დავათა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

**8. ადმინისტრაციულ ორგანოსთან საერთო საცხოვრებელით სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის გამო მობინადრეთა გამოსახლების თაობაზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 29 აპრილის №ბს60-30(გ-03) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საერთო საცხოვრებელიდან გამოსახლება*

## რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების კ. ქ-ის, მ. ა-ის, ნ. ჯ-ის, ნ. ტ-ის ვილდიანის მიმართ და მოითხოვა მათი გამოსახლება აკადემიის კუთვნილი საერთო საცხოვრებლიდან.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას, ვინაიდან სასკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული გარიგების დადება ან შესრულება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივრები საქმესთან ერთად განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

3. ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საერთო საცხოვრებელი იმყოფებოდა მოპასუხეების უკანონო მფლობელობაში, რის გამოც აკადემიამ ვინდიკაციური სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ნივთის უკან დაბრუნება სკ 172-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ დავა კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ ნ. ჯ-ის, მ. ა-ის და სხვ. სააპელაციო საჩივრები განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ მე-2 მუხლის I-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სა-

მართლმადიდებელი ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქმის მასალების მიხედვით დასტურდებოდა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კუთვნილი საერთო საცხოვრებელიდან, მოპასუხეების, ფიზიკური პირების თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლება. მოსარჩელის, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სასარჩელო განცხადების თანახმად საერთო საცხოვრებლის ფართი დროებით, გარკვეული პერიოდის უფლებით მოპასუხეებმა თავის დროზე დაიკავეს რექტორისა და პრორექტორის რეზოლუციით, ვინაიდან იყვნენ აკადემიის კურსანტები, ასპირანტები და თანამშრომლები. ამიტომაც მოპასუხეებს საცხოვრებელი ფართი თვითნებურად არ დაუკავებიათ და მათ საერთო საცხოვრებლის ფართში შესახლებისას არსებობდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, აპელანტებს, როგორც საერთო საცხოვრებელში მაცხოვრებელ პირებს, ჰქონდათ საერთო საცხოვრებლის საყოფაცხოვრებო დანიშნულების სადგომებით, ინვენტარით, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით სარგებლობის უფლება, ეკისრებოდათ გარკვეული მოვალეობანი, მათ შორის, სადგომით სარგებლობის, კომუნალური მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულება. თავის მხრივ, ადმინისტრაციას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა საერთო საცხოვრებლის სწორი ექსპლუატაციის და სანიტარული მდგომარეობისათვის, საერთო საცხოვრებლის მოვლა-პატრონობისათვის, ანუ მხარეებს შორის დამყარებული იყო სამართალურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად ედო ზეპირი ან წერილობითი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმება ფართით სარგებლობის შესახებ. ვინაიდან სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო – დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია წარმოადგენდა, ადგილი ჰქონდა დავას მხარეებს შორის არსებული ადმინისტრაციული გარიგებიდან გამომდინარე წარმოშობილი სამართალურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. სასკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული გარიგების დადება და შესრულება ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა.

**9. პირის ბინის მესაკუთრედ ცნობის და საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციის თაობაზე სარჩელი, თუ იგი არ უკავშირდება ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების შეცვლის მოთხოვნას, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 8 სექტემბრის №ბს-23-25 (გ-03) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ბინის თანამესაკუთრედ ცნობა, რეგისტრაციის აღდგენა და ფართობის გამოყოფა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

ე. ჩ-ამ, როგორც არასრულწლოვანი შვილის, გ. ჩ-ას წარმომადგენელმა, სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების: ვ. ჩ-ასა და ელ. ჩ-ას მიმართ და მოითხოვა:

ა. მისი შვილის, გ. ჩ-ას, ცნობა ქ. თბილისში, ... მდებარე №12 ბინის 1/3 იდეალური წილის მესაკუთრედ, მისთვის ბინაში შესაბამისი საცხოვრებელი ფართის გამოყოფა და ტექალრიცხვის სამსახურისთვის დავალება, რათა ამ უკანასკნელს შეეტანა სათანადო ცვლილებები რეესტრში;

ბ. ქ. თბილისში, ... მდებარე №12 ბინაში გ. ჩ-ას რეგისტრაციის აღდგენა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ვ. ჩ-თან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა 1982 – 1991 წლებში. 1987 წელს ნ. 25 ივლისის შეეძინათ შვილი გ. ჩ-ა. 1992 წელს მოპასუხე ვ. ჩ-ამ მოახდინა ქ. თბილისში, . . . მდებარე №12 ბინის პრივატიზება. იმ დროს აღნიშნულ ბინაში ჩაწერილები იყვნენ თავად ვ. ჩ-ა, დედამისი, და მოპასუხის არასრულწლოვანი შვილი გ. ჩ-ა 2000 წელს ვ. ჩ-ამ გააუქმა სადავო ბინაში გ. ჩ-ას რეგისტრაცია.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მის არასრულწლოვან შვილ გ. ჩ-ას სადავო ბინაში შესაბამის ფართზე მოპოვებული ჰქონდა საკუთრების უფლება მოპასუხის თანაბრად.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ჩ-ამ.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით

საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას იმ საფუძვლით, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყო ბინის პრივატიზაციის გარიგებიდან გამომდინარე ბინაზე საკუთრების უფლების ცნობა, საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანა და სადავო ბინის მისამართზე რეგისტრაციის აღდგენა, რაც განეკუთვნებოდა საჯარო სამართლის სფეროს.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადი იყო იმ საფუძვლით, რომ, მართალია, დავის საგანი გამომდინარეობდა ბინის პრივატიზების ხელშეკრულებიდან, მაგრამ არც სარჩელში და არც სააპელაციო საჩივარში პრივატიზების ხელშეკრულების გაუქმების ან ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ ყოფილა. მიტომაც, მოცემული საქმის სასამართლო განხილვის საგანი არ იყო ბინის პრივატიზების ხელშეკრულება, ხოლო მოთხოვნა საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანის თაობაზე დამოკიდებული იყო ძირითად მოთხოვნაზე და დამოუკიდებლად ვერ განიხილებოდა. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ საქმეში როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე იყვნენ ფიზიკური პირები და მათ შორის არსებული ურთიერთობა არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული დავის საგანს.

საქმე სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

3. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული სააპელაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადს წარმოადგენდა შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოტივაცია, რომ არც სარჩელსა და არც სააპელაციო საჩივარში არ იყო დაყენებული ბინის პრივატიზების ხელშეკრულების გაუქმების ან ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნა. ამიტომაც სასამართლო განხილვის საგანს არ წარმოადგენდა ბინის პრივატიზების ხელშეკრულების კანონიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავა შეეხებოდა იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, შესაბამისად, დავის საგანი არ მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულ დავათა ჩამონათვალს.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, გაიზიარა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის არგუმენტი, რომ მოცემულ საქმეში მოსარჩელეს და მოპასუხეს მხოლოდ ფიზიკური პირები წარმოადგენდნენ და მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული დავის საგანი.

**10. სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება (კონტრაქტი) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს და მისი დარღვევის შედეგების თაობაზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.<sup>12</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის №ბს-248-238 განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე კ. გ-ძის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ კ. გ-ძე კონტრაქტის საფუძველზე დაინიშნა საცეცხლე ჯგუფის მეთაურად, სამხედრო წოდების მინიჭებით.

კ. გ-ძე კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან.

<sup>12</sup> ეს დებულება ცალსახად გაზიარებულია დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით, ამიტომაც მის საილუსტრაციოდ, მხოლოდ მოყვანილი განჩინებით ვკმაყოფილდებით.



მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეს ეკისრებოდა ვალდებულება, აენაზღაურებინა მისთვის, კონტრაქტით გათვალისწინებული სამსახურის დარჩენილი ვადის თანხა, ხოლო მის დაგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების გადაცილების შემთხვევაში თანხებს დაერიცხებოდა პირგასამტეხლო.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა, კ. გ-ძეს დაეკისრებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 14000 ლარის გადახდა.

ხონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი კ. გ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით.

ადმინისტრაციული პალატის მოსაზრებით, სარჩელის საფუძველი განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და უკავშირდება სამართალურიეროების მონაწილე სუბიექტების უფლებამოსილების წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას, სარჩელის საფუძველი, ასევე, განაპირობებს დავის განსჯადობასაც.

პალატის განმარტებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოთხოვნა დაკავშირებულია ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან, ვერ განაპირობებს დავის ადმინისტრაციულ ხასიათს.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი იყო და საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობის განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. გ-ძეს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ფიზიკური პირისათვის დაკისრება.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა შორის წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას. რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია იმ ნორმათა ანალიზი, რომლებიც იძლეოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებული იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მონესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მონესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფდა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარე იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დაიდო სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად. იმავდროულად, ხელშეკრულების მონაწილე ფიზიკური პირი იღებდა ვალდებულებას, ეტვირთა საჯაროსამართლებრივი მოვალეობები და უზრუნველყო მათი შესრულება.

ყოველივე აღნიშნულმა საკასაციო სასამართლოს მისცა საფუძველი დასკვნისათვის, რომ წინამდებარე კონტრაქტი წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით დავა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განსახილველად ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ექვემდებარებოდა.

### **§ 3. შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული დავების განსჯადობა**

**1. სარჩელი შსს აკადემიის მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზნაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2010 წლის 24 თებერვლის №ბს-22-21 (გ-10) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

1. ნ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიმართ და მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ნ. გ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საქართველოს შსს აკადემიის მიმართ განსახილველად განსჯადობით გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ადმინისტრაციულ ორგანოებად განიხილებიან მმართველობის, ადმინისტრირების ფუნქციის განხორციელებისას, რადროსაც შებოჭილები არიან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით დადგენილი პრინციპებითა და პროცედურებით. ამასთანავე, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებისათვის წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მოცემულ შრომით დავას არ განაკუთვნებდა ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეებს, რადგან დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმს სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენდა. სასამართლომ მიუთითა საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლ პუნქტსა და ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე. მათში მოცემულია იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომლებში მუშაობაც საჯარო სამსახურად ითვლება, ამ ჩამონათვალში სსიპ შსს აკადემია არ არის მითითებული, რის გამოც სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელისათვის, როგორც სსიპ-შსს აკადემიის თანამშრომლისათვის, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას არ გამოიყენება საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ დებულებები, ხოლო ის საჯარო დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობით არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, ისევე რო-

გორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ კერძოსამართლებრივი საკანონმდებლო აქტის – შრომის კოდექსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით ნ. გ-ის სარჩელი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისა და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო სასამართლომ** ჩათვალა, რომ ნ. გ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოდგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. განსახილველი დავის საგანს წარმოდგენდა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, ხოლო მოპასუხეს – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დებულებით“ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. მოცემული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკადემიაში დაწესებულია კანონმდებლობით დადგენილი პოლიციის

სპეციალური წოდებები, ხოლო დებულების მე-10 მუხლის მიხედვით აკადემიაში სამუშაოდ მიიღებიან პოლიციელები და სამოქალაქო პირები. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელეს მინიჭებული ჰქონდა წოდება – პოლიციის კაპიტანი, და მუშაობდა სსიპ შსს აკადემიის კათედრის უფროს მასწავლებლად. ნ. გ. ლი აკადემიის რექტორის 2005 წლის 12 დეკემბრის № 12/104 პ/შ ბრძანებით სამსახურიდან დაითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში საჯარო კანონმდებლობის – საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის №139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 67-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (ავადმყოფობის გამო).

აკადემიის რექტორი, აკადემიის დებულების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი რექტორი, დადგენილი წესის შესაბამისად, ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის თანამშრომლებს, ხოლო პოლიციის თანამშრომლებს ითხოვს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე რექტორის ბრძანებით დაითხოვეს შსს ორგანოებიდან თადარიგში. საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ მე-19 მუხლის თანახმად პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას პოლიციელი არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი.

მართალია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური ითვლება საჯარო სამსახურად და ამ ჩამონათვალი სსიპ საქართველოს შსს აკადემია გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მოსარჩელე, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მოსამსახურეს, პოლიციელს, რომელიც საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის თანახმად იყო საჯარო მოხელე და მასზე,

როგორც საჯარო მოსამსახურეზე, ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი. ამ გარემოებას ასევე ადასტურებდა საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად პოლიციის თანამშრომლები საჯარო მოსამსახურეებს წარმოადგენენ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი – დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და სარჩელი აღძრული იყო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზე იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე ქმედების განხორციელებაზე. ამავე კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია რა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, სარჩელი განსჯადობის მიხედვით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დაუქვემდებარა.

**2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის მუშაკები (გარდა ხელმძღვანელისა) არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს, ამიტომაც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული ფილიალის თანამშრომლის განთავისუფლების ბრძანების, ბათილად ცნობაზე დავა სამოქალაქო სამართალ-წარმოების წესით განსახილველია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის №ბს-1007-971(გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე ბრძანების გაუქმება, საუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება*

## რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. დ. ნ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წინააღმდეგ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენდა ადმინისტრაციულ გარიგებას ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის წარმოშობილ საჯარო შრომითი სამართლებრივ ურთიერთობას. განჩინებაში აღინიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი საართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შრომითი ხელშეკრულებით წარმოიშვა საჯარო სამართლებრივი შრომითი ურთიერთობა, რომელიც შეწყდა მოსარჩელის გათავისუფლების ბრძანებით. ადმინისტრაციულ გარიგებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, როგორც საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, ასევე შრომის კანონთა კოდექსის სა-



ფუძველზე ფიზიკურ პირთან დადებული საჯარო შრომითი ხელშეკრულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობის არსისა და დავის საგნის მიხედვით, მოცემული სარჩელი წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსჯად საქმეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დ. ნ-შვილის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ დავა გამომდინარეობდა არა ადმინისტრაციული, არამედ შრომის კანონმდებლობიდან. მოსარჩელის თანამდებობა არ იყო მითითებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში.

4. **საკასაციო სასამართლომ** ჩათვალა, რომ დ. ნ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო განსახილველი დავა არ განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ კატეგორიის დავათა რიგს.

განსახილველ სადავო სამართალურთიერთობაში მოპასუხედ დ. ნ-შვილმა საჯარო სამართლის იურიდიული პირი: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი დაასახელა, რომელიც გაუქმდა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად მის უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური სუბსიდიების სააგენტო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-საბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება, მათ შორის, ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მხოლოდ ის ბრძანება, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და იწვევს სამართლებრივ შედეგს. განსახილველ შემთხვევაში დ. ნ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბრძანება არ იყო გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და არც სადავო ურთიერთობა წარმოადგენდა თავისი შინაარსით ადმინისტრაციულ-სამართლებრივს. სადავო აქტი შრომის კანონთა კოდექსის, კონკრეტულად კი შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის 1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოიცა.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ შესაბამისად, საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტია და, იმავდროულად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოდ განიხილება, სსიპ-ის თანამშრომლის მიმართ ყოველთვის ვერ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმები. მითითებული კანონის პრეამბულაში განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო, კერძოდ, მითითებულია, რომ აღნიშნული კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და განსაზღვრავს საჯარო

მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კა-ნონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალში საჯარო სამართლის იურიდიული პირი გათვალისწინებული არ არის. მოსარჩელის თანამდებობა, როგორც საჯარო მოხელისა, არ არის მითითებული არც საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. ამასთან, მოსარჩელის თანამდებობა, რომელიც არ განეკუთვნება უშუალოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელ თანამდებობას, არც ფუნქციურად შეიძლება გაუთანაბრდეს საჯარო მოსამსახურეს. ამიტომაც, მოსარჩელე არ შეიძლება მიჩნეულიყო საჯარო მოსამსახურედ და, შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სუბიექტად. მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება არ შეიძლება მიჩნეულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლში მითითებულ ადმინისტრაციულ აქტად.

სადავო შრომის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებულ ხელშეკრულებას.

დ. ნ-ის სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერება უნდა დადგენილიყო კერძო სამართლებრივი სფეროს კანონმდებლობის – შრომის კოდექსის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ წესრიგდება სხვა სპეციალური კანონით. სადავო ბრძანებისა და ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველიც სწორედ შრომის კოდექსის ნორმები იყო. სადავო აქტითა და ხელშეკრულებით შეწყდა კერძო სამართლებრივი შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოსა და, მეორე მხრივ, ფიზიკურ პირს შორის და ამ ურთიერთობაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

საკასაციო სასამართლომ განსახილველი დავის განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით მიუთითა ჩამოყალიბებულ ერთიან სასამართლო პრაქტიკაზე, რაც დადასტურებული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 10 ივლისის №ბს-132-123 (კ-07) განჩინებითაც.

**3. სსიპ ხელმძღვანელის, „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის ბრძანება მუშაკის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და მის თაობაზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის №ბს-309-301 (2კ-08) განჩინება  
დავის სავანი: სსიპ თავმჯდომარის ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება და სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ჯ. ვ-ქმ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სსიპ „საქტელერადიო-მაუწყებლობის“ მიმართ, მესამე პირი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის პროფესიულ კავშირი და მოითხოვა სსიპ თავმჯდომარის ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება და სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ჯ. ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ჯ. ვ-ძის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ვ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ჯ. ვ-ქმ და სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“.

2. **საკასაციო სასამართლომ**, ნაწილობრივ დააკმაყოფილა რა საკასაციო საჩივრები და გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

სააპელაციო სასამართლომ ჯ. ვ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვისას საერთოდ არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან ჯ. ვ-ძის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებული საქმე ექვემდებარებოდა განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლილია, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში, ანუ კონკრეტულად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები და დადგენილია, თუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია სწორედ დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში ჯ. ვ-ძესა და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან სამსახურიდან ჯ. ვ-ძის გათავისუფლების შესახებ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 2 ივლისის №515-კ ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვე-

პუნქტზე, რომელშიც მოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება. მისი ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, ანუ თუ სამართლებრივი აქტი გამოცემულია კერძო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, იგი არ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურიდან ჯ. ვ-ძის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლის, გათავისუფლების შესახებ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის ბრძანება არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და არც მოცემული დავა შეიძლება მიჩნეულიყო თავის იურიდიული ბუნებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივად.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-2, მე-9 მუხლებზე, მე-10 მუხლის მე-2 მე-3-ე პუნქტებზე, მე-11–12-ე მუხლებზე მითითებით დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმებში ორგანულადაა ჩადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის მმართველობითი ხასიათი, ასევე, სახელმწიფო კონტროლისა და შესაბამისი სახის საქმიანობაზე ხელმძღვანელის სახელისუფლებო შეზღუდვის ელემენტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, მართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ერთპიროვნულად უძღვება მის საქმიანობას და განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. ამ ნიშნით იგი განსხვავდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან განსხვავებით, ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამიტომაც, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავა წარმოადგენს

ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დანესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად. აღნიშნულ ჩამონათვალში საერთოდ არ არის ნახსენები საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში, საერთოდ არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ჯ. ვ-ძე, მუშაობდა რა სსიპ „საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში“ პროგრამა „...“ ხელმძღვანელად, არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და, შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა არა „საჯარო სამსახურის შესახებ“, კანონი, არამედ იმჟამად მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი. ამასთან, იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიო-მაუწყებლობის“ თავმჯდომარის ბრძანებით, შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც დასახელებული ბრძანება წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ, სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემული საქმე წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც საქმე განსახილველად გადაეცემოდა განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

**4. სსიპ შემოსავლების სამსახურის რაიონული სერვისის ცენტრის მთავარი ოფიცერი არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურე**

**რეს, მასზე არ გავცელებდებ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, ამიტომაც დავა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის  
№ბს-150-149 (გ-12) განჩინება

#### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მ. ჯ.ის სარჩელი, მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ.-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, მ. ჯ.-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, იმ მოტივით, რომ სახეზე იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, დავაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, დავის საგანი იყო ბრძანების ბათილად ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ მ. ჯ.-ის სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:



საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განისაზღვრება იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალი, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს აღნიშნული კოდექსით დადგენილი საპროცესო წესებით. ამასთან, არსებითი კრიტერიუმი, რომლის შედეგადაც დავა მიჩნეული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმედ, არის დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სსიპ შემოსავლების სამსახურის ბრძანების მ. ჯ-ის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ კანონიერების საკითხს, ასევე ითხოვდა სამუშაოზე აღდგენასა და განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება და აღნიშნა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, მართლაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა, აღნიშნული არ იძლევა იმის საფუძველს, რომ შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლის 1-ლ ნაწილზე დაყრდნობით აღნიშნა შემდეგი: სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად

ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ყურადსაღებია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურში საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, რადგანაც ეს დაწესებულება ნუსხაში დასახელებული არ არის.

საქართველოს პრეზიდენტის „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა რეესტრი, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც მუშაკის საჯარო მოხელედ მიჩნევის კიდეც ერთი ნორმატიული დადასტურებაა. შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად იგი განხილული ვერ იქნება საჯარო მოსამსახურედ.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №257 ბრძანება, რომელიც მოსარჩელის თანადებობიდან განთავისუფლების საფუძველად იყო დასახელებული არ ეყრდნობოდა საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 29–36-ე და ამავე კანონის 81–87-ე მუხლებს. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცეოდა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში, მ. ჯ-ის სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეწყდა კერძოსამართლებრივი – შრომითი ურთიერთობა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოსა და მეორე მხრივ – ფიზიკურ პირს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რადგანაც საქართველოს ტერიტორიაზე შრომით-სამართლებრივ და მის თანმდევ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს შრომის კოდექსი, თუ შრომითი ურთიერთობა განსხვავებულად არ არის მოწესრიგებული სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

**5. საარჩელი დარგობრივი პროფკავშირის ყრილობის შედეგების (პრეზიდენტის არჩევის ტაოაზზე) და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2012 წლის 16 თებერვლის  
№ბს-107-106 (გ-12) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: პროფკავშირის ყრილობის შედეგების და  
საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის წერილის  
ბათილად ცნობა

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (შემდგომ, „პროფკავშირი“ – ფ.რ.) რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიმართ.

მოსარჩელების განმარტებით, „პროფკავშირის“ ყრილობაზე პრეზიდენტი აირჩიეს პროცედურული დარღვევით. კერძოდ, კენჭის ყრის დროს პროტესტის ნიშნად ყრილობა დატოვა დელეგატთა ნაწილმა, რის შემდეგ ყრილობა უფლებამოსილი არ იყო გაეგრძელებინა სხდომა. მიტომაც, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ბათილია, რადგან დარბაზში დარჩენილ დელაგატთა ხმათა რაოდენობა არ იყო საკმარისი. რიგგარეშე საარჩევნო ყრილობის დატოვების შემდგომ მოწვეულ იქნა „პროფკავშირის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრთა საგანგებო სხდომა. მასზე საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა ყრილობის ლეგიტიმურობის საკითხი და მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროცედურული დარღვევების გამო ყრილობის არჩევნების შედეგების გასაჩივრების თაობაზე.

„პროფკავშირების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრთა საგანგებო სხდომამ პროფკავშირის რიგგარეშე ყრილობის საარჩევნო-საპროცედურო კომისიას მიმართა საჩივრით, რომლითაც ითხოვდნენ პრეზიდენტის არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას. კომისიამ უარი განაცხადა მის განხილვაზე იმ მოტივით, რომ საჩივრის ავტორები ითხოვდნენ არჩევნების შემაჯამებელ ოქმს, რომლის გამოთხოვისა და გასაჩივრების უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რიგგარეშე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგებისა და „პროფკავშირის“ საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის წერილის ბათილად ცნობა მოითხოვეს.

სარჩელის შეტანის შემდეგ პროფკავშირის სხვა წევრებმაც ანალოგიური სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იგივე მოპასუხის მიმართ. სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული და მისი განხილვა დადგინდა ძირითად სარჩელთან ერთად.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლზე და მიიჩნია, რომ „პროფკავშირის“ საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის წერილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა, რის გამოც სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, მისი 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილში დასახელებულია ის კონ-

კრეტული საქმეები, რომლებიც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს „პროფკავშირის“ რეგარეშე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგებისა და „პროფკავშირის“ საარჩევნო-საპროცესო კომისიის თავმჯდომარის წერილის ბათილად ცნობა წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე

მითითებით განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პილიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების დაკისრების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ კანონი ან კანონქვემდებარე აქტი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კანონის „პროფესიული კავშირების შესახებ“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პროფესიული კავშირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით – საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია თავისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა. ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დამსაქმებელთა, დამსაქმებელთა გაერთიანებების (კავშირების, ასოციაციების), პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისაგან, არ არიან მათ წინაშე ანგარიშვალდებულნი და არ ექვემდებარებიან მათ კონტროლს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ განსახილველი დავის სუბიექტები არ წარმოადგენდნენ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებს. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ქონდა საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების დელეგირებას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო საკითხის შეფასებისას არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზე იყო დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. საკასა-

ციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დავის მთელი არსი მდგომარეობდა იმაში, თუ რამდენად კანონიერად ჩატარდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის არჩევნები და რამდენად კანონიერად მოხდა მისი არჩევა.

„პროფკავშირის“ ყრილობის ჩატარების წესი და პროცედურები მონესრიგებული იყო საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წესდებით, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო დებულებით. ამასთან, საქართველოს კანონის „პროფესიული კავშირების შესახებ“ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) მიზნებსა და ამოცანებს, წევრად მიღებისა და გასვლის წესს, წევრთა უფლება-მოვალეობებს, სტრუქტურას, უმაღლესი და ხელმძღვანელი ორგანოების კომპეტენციასა და უფლებამოსილების ვადებს, შემოსავლისა და ქონების შექმნის წყაროებსა და გამოყენების წესს, წესდებაში ცვლილებების შეტანის პირობებს, საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებს, სახელწოდებას, ადგილსამყოფელსა და სამოქმედო ტერიტორიას) აგრეთვე, მათთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს განსაზღვრავს მათი წესდებები კანონმდებლობის შესაბამისად. „პროფკავშირის“ წესდების მე-5 მუხლით მონესრიგებული იყო მისი ყრილობის უფლება-მოვალეობები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ყრილობა წარმოადგენდა მართვის უმაღლესი ორგანოს, ხოლო ამავე მუხლის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა „პროფკავშირის“ წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, პრეზიდენტის არჩევა. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ყრილობის რეგლამენტის 1-ლი პუნქტის თანახმად, რეგლამენტი განსაზღვრავდა „პროფკავშირის“ ყრილობის მუშაობის წესებს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენდა „პროფკავშირის“ რიგგარეშე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგების შესაბამისობა მისივე წესდებასა და საარჩევნო დებულებასთან. აღნიშნული საკითხების გადანყევტა კი არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ მატერიალური სამოქალაქო კანონმდებლობის – საქართველოს კანონის „პროფესიული კავშირების შესახებ“, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის

წესდებისა და მისი საარჩევნო დებულებების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება სადავო საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი თავისი არსით კერძო სამართლებრივი ხასიათის იყო.

საკასაციო სასამართლო, ასევე, დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „პროფკავშირის“ საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის წერილი არ წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან არ შეიცავდა აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით რეგლამენტირებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ნიშანს, კერძოდ, იგი გამოცემული იყო არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც თავისი საქმიანობისა და უფლებამოსილებათა განხორციელების ფარგლებში ხელმძღვანელობს წესდებისა და სამოქალაქო მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

**6. დავა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების კანონიერებაზე, იმისდა მიუხედავად, რომ იგი საჯარო მოსამსახურეს არ წარმოადგენს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 თებერვლის



**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. მ. ბ-ქემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა მისი თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბრძანების ბათილად ცნობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით მ. ბ-ძის, სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, იმ მოტივით, რომ დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი თანამშრომლების მიმართ არსებული ნებისმიერი ურთიერთობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივს და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა თავისი შინაარსით არ წარმოადგენდა ასეთს.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული იყო იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელ-

შიც საქმიანობა ითვლებოდა საჯარო სამსახურად და ამ ჩამონათვალში საჯარო სამართლის იურიდიული პირი გათვალისწინებული არ იყო. მოსარჩელის, როგორც საჯარო მოხელის თანამდებობა, ასევე, არ იყო მოხსენებული არც საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №86 ბრძანებულებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში, ამიტომაც, იგი ვერ მიიჩნეოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სუბიექტად.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობის მოწესრიგებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო კერძო სამართლის კანონმდებლობა – შრომის კოდექსი, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობას, თუ ისინი განსხვავებულად არ წესრიგდება სხვა სპეციალური კანონმდებლობით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, არ დაეთანხმა რა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნას საქმის განსჯადობის თაობაზე, იგი განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილისთანამხად ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამრიგად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-2 ნაწილებში დასახელებული კონკრეტული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მი-

თითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-3 ნაწილებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრება, რომ მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან დავის საგანს წარმოადგენდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. ბრძანება გამოცემული იყო „საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის და შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დებულების საფუძველზე. თავის მხრივ, ბრძანებას საფუძველად დაედო შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბრძანება მ. ბ-ძისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ, რომელიც გამოცემული იყო საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“, საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების, შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებების შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტში მოცემულ დეფინიციიდან გამომდინარე, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას სადავო ბრძანების ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევის შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-4 მუხლი იძლევა საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯე-

ტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დანესებულება, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო ხელისუფლების განხორციელება, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დანესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურში საქმიანობად. საჯარო სამართლის იურიდიული პირიდაცვის პოლიცია არ არის დასახელებული ამ ჩამონათვალში, ამიტომაც მასში საქმიანობა ვერ მიიჩნევა საჯარო სამსახურად და, შესაბამისად, მისი თანამშრომელი – საჯარო მოხელედ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა თავისი იურიდიული ბუნებით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებელმა საჯარო შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგა საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით – საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“. სწორედ მითითებული საკანონმდებლო აქტით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა, ამასთან, პირის მიერ დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და ფუნქციონალური შინაარსის გათვალისწინებით, მისი საჯარო მოხელესთან გაიგივება, მაშინ, როდესაც იგი საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლში მოცემულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციის მიხედვით, დაუშვებელია.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით“, განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა ნუსხა, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელის სტატუსის ნორმატიული ფორმით დადგენას ნიშნავს. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, მითითებული თანამდებობა ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

მ. ბ-ძე არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რადგანაც არ აკმაყოფილებდა საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ ამგვარ სუბიექტად მიჩნევისათვის დადგენილ პირობას, ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებით, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას.

საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბრძანებით, „საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების შესაბამისად, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სსიპ – შემოსავლების სამსახურის ობიექტების დაცვის ინსპექტორი, მ. ბ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაითხოვეს შს ორგანოებიდან.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მ. ბ-ძე, საჯარო დაწესებულებიდან გათავისუფლებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბრძანების საფუძველზე. მართალია, ეს უკანასკნელი, არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში მისი გათავისუფლებისას გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ისარგებლოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული პროცედურით, ადმინისტრაციული წარმოების გზით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, გათავისუფლების მატერიალური კანონიერების შეფასება, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით.

საკასაციო სასამართლომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განმარტა, რომ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა გამოიყოს შემთხვევები, როდესაც:

1. პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა, არჩევა) ხდება ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სასამართლოში სწორედ ამ საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტებთან შეჯერებით უნდა განხორციელდეს;

2. პირი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, სამსახურში მისი მიღება (დანიშვნა) ხდება შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე და შესაბამისად, სწორედ მითითებული კერძოსამართლებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს მისი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების პირობებს;

3. პირი არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ამიტომაც, მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა განხორციელდეს. საჯარო დაწესებულების თანამშრომლის გათავისუფლება განაპირობა საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით დადგენილი დანაწესის უგულებელყოფამ და სწორედ ეს ნორმები შეეფარდა მის მოქმედებათა კვალიფიკაციის განსაზღვრას. გათავისუფლება მხოლოდ შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე, დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყდეს შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე და ამგვარი მსჯელობის საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დავა მიაკუთვნა სამოქალაქო კატეგორიის საქმეს.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებას, რომ სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველს წარმოადგენდა მოსარჩელის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდება, რაც მოწესრიგებლი იყო საქართველოს კანონით „პოლიციის შესახებ“, საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდებით, „შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებებით.

საკასაციო სასამართლო დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის №ბს-713-300(კ-05) განჩინებაში ჩამოყალიბებულ განმარტებას, რომლის თანახმად:

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის

ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – ადმინისტრაციული აქტის ავტორი;
2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;
3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ;
4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება – „აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს“ / მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია ზემოთდასახელებულ საჯარო სამართლებრივ აქტების საფუძველზე, როლებიც განსაზღვრავენ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურში მიღების, სამსახურის გავლის, სამსახურიდან დათხოვნის წესს, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს.

ამრიგად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რადგანაც დავის საგანს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებანარმოადგენს, ხოლო დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობაა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნდა საჯარო-სამართლებრივისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, სადავო ბრძანება შეიცავდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ნიშანს, სარჩელი აღძრული იყო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გა-

მოც არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის პირობები.

**7. სარჩელი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ იგი საჯარო მოსამსახურეს არ წარმოადგენს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის №ბს-1392-1329 (გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერება, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. კ-იანმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა, მისი სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლით:

გ. კ-იანი 2008 წლის 23 აპრილამდე მუშაობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. . . საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. 2008 წლის 23 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც ადგენს სამუშაოდან გათავისუფლების წესს და არა საფუძველს. ბრძანებაში ასევე მიეთითა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ხოლო ამავე კანონის 56-ე მუხლის თანახმად, სკოლისგარეშე დაწესებულების ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შემსრულებელს 2006-



2007 სასწავლო წლის დაწყებამდე ბრძანებით ნიშნავდა და ათავისუფლებდა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული ნორმის საფუძველზე იგი 2005 წელს გათავისუფლდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით და დაინიშნა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. შესაბამისად, მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია იმავე საფუძველზე მისი ხელმეორედ გათავისუფლება.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მისი გათავისუფლებისას დაირღვა საქართველოს შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, სოციალური ქარტიის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს შრომის კოდექსის 44-ე, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 411-ე მუხლი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, სარჩელი განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით გ. კ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ასევე, მოპასუხეს დაევალა გ. კ-იანისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გათავისუფლებიდან ახალი აქტის გამოცემამდე.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება გ. კიანის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ არ იყო გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მის გამოცემის საფუძველად საქართველოს შრომის კოდექსთან ერთად დასახელებული იყო საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, არ წარმოადგენდა დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის პირობას, რადგან მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უშუალო საფუძველი კერძო სამართლის საკანონმდებლო ნორმატიული აქტი – საქართველოს შრომის კოდექსი და არა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 მუხლით და მიუთითა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში საქმიანობა არ წარმოადგენს საჯარო სამსახურში საქმიანობას. ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი იძენს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განიხილება კერძო სამართლის სუბიექტად. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიმართ ვერ გავრცელდება საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მოქმედება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნდა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: – დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ასევე, დავის საგანი არ იყო დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან. შესაბამისად, არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის და იგი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო სამართლის საკანონმდებლო ნორმატიული აქტების საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა არ დაეთანხმა დმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას დავის განსჯადობის თაობაზე და საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

5. **საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად ჩათვალა საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსახილველ ადმინისტრაციულ დავად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა და მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ამ მუხლის 1-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამრიგად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-2 ნაწილებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა საქმეები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. შესაბამის-

სად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-3-ე ნაწილებში. ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრება, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რადგანაც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელე გათავისუფლდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ . . . საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის არგუმენტაციას, რომ სადავო სამართალურიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ დადგენილი ნორმები, რადგან გ. კ-იანი, როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. . . საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-4 მუხლზე, რომელიც ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას და რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ანაზღაურებად საქმიანობას ეწევა სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიან-

ნობად, ხოლო ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის დირექტორი ვერ მიიჩნევა საჯარო მოსამსახურედ.

შრომითსამართლებრივი ურთიერთობა სამართლებრივი ბუნებით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებლმა საჯარო შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგა საჯარო შრომით-სამართლებრივი ნორმატიული აქტით – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით. სწორედ მითითებული საკანონმდებლო აქტით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და, შესაბამისად, იმ შეღავათების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის. ამასთან, პირის მიერ დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და ფუნქციონალური შინაარსის გათვალისწინებით, მისი საჯარო მოხელესთან გაიგივება, მაშინ, როდესაც იგი საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლში მოცემულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციაში არ თავსდება, დაუშვებელია.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით“ განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა ნუსხა, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელის სტატუსის ნორმატიული ფორმით დადგენას ნიშნავს. საჯარო სკოლის დირექტორი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, მითითებული თანამდებობა ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გ. კ-იანი არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რადგანაც ის არ აკმაყოფილებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით ამგვარ სუბიექტად მიჩნევისათვის დადგენილ პირობას, თუმცა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ . . . საჯარო სკოლა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-2 მუხლის „ჯ“ პუნქტისა და 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენდა საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ზოგადსაგანმანათლებლო, საჯარო დაწესებულებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითა, რომ გ. კ-იანი ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. . . . საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დაინიშნა და გათავი-

სუფლდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო მისი სამსახურში დანიშვნის ნორმატიულ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი. მითითებული ნორმის თანახმად, საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ ამოქმედება გახდა ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც ახორციელებდა ზო-გადსაგანმანათლებლო პროგრამის ერთ საფეხურს მაინც, ხელმძღვანელის (დირექტორის) გათავისუფლების საფუძველი, რაც ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. ამავე კანონის შესაბამისად, დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. კიანი, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებული იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. მართალია, ეს უკანასკნელი, არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, მაგრამ მისი გათავისუფლების დროს დაუშვებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კერძო სამართლის ნორმატიული აქტის – შრომის კანონთა კოდექსის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ცალმხრივი შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენება.

მოსარჩელის, როგორც საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გათავისუფლების საკითხი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა გადანეცილებულიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული პროცედურით, ადმინისტრაციული წარმოების გზით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, გათავისუფლების მატერიალური კანონიერების შეფასება, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა განეხორციელებინა საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ ნორმათა გამოყენებით.

საკასაციო სასამართლომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განმარტა, რომ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა გამოიყოს შემთხვევები, როდესაც:

1. პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა, არჩევა) ხდება ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სასამართლოში სწორედ ამ საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტებთან შეჯერებით უნდა განხორციელდეს;

2. პირი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, სამსახურში მისი მიღება (დანიშვნა) ხდება შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე და, შესაბამისად, სწორედ მითითებული კერძო-სამართლებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს მისი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების პირობებს.

3. პირი არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ამიტომაც, მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა განხორციელდეს. საჯარო დაწესებულების თანამშრომლის, გათავისუფლება განაპირობა საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით დადგენილი დანაწესის უგულებელყოფამ და სწორედ ეს ნორმები შეეფარდა მის მოქმედებათა კვალიფიკაციის განსაზღვრას. გათავისუფლება მხოლოდ შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე, დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყვეტილიყო შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემული საქმე სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას წარმოადგენდა, რადგანაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელ ერთ-ერთი ნიშანი სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან მისი გამომდინარეობა იყო. შესაბამისად, განსახილველი დავა მიეკუთვნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი – დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის ყველა წინაპირობა.

**8. საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობითი საბჭო, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე, გადაწყვეტილებას იღებს მისთვის მინიჭებულ საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, ამიტომაც დავა ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის №ბს-372-357 (გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა ი. ფ-იამ და აღნიშნა, რომ არჩეული იყო სსიპ „...“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. სსიპ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან ვადამდე გადაყენების შესახებ. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ გადაყენეს უსაფუძვლოდ, რის გამოც მოითხოვა მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება ადმინის-



ტრაციის ხელმძღვანელის ი. ფ-იას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე; მოპასუხეს დაევალა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის და შეფასების შედეგად მოსარჩელის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრა სსიპ „...“-ამ. 2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია განსჯადობის საკითხზე. სადავო საკითხი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას, ვინაიდან საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლით განსაზღვრულ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნებაში და სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალში, რომლებში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად, არ არის მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში ასევე არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

ადმინისტრაციულმა პალატამ მიიჩნია, რომ ი. ფ-იას განთავისუფლების კანონიერების შეფასებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დებულებები, არამედ ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი.

ადმინისტრაციული პალატის მოსაზრებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი არ ასრულებს საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას, ის კერძო სამართლის სუბიექტად განიხილება, რადგანაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურის ცნება

და პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი იძენს საჯარო მოსამსახურის სტატუსს და ასრულებს საჯარო უფლებამოსილებას. მოცემულ შემთხვევაში ი. ფ-იას სამსახურიდან განთავისუფლების დროს შეწყდა კერძოსამართლებრივი, შრომითი ურთიერთობა, ერთი მხრივ, სსიპ-ის ადმინისტრაციასა და მეორე მხრივ – ფიზიკურ პირს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნდა სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენდა სსიპ, ხოლო დავის საგანს – დაწესებულების წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პალატის მოსაზრებით, საქმე არ განეკუთვნებოდა დავათა ადმინისტრაციულ კატეგორიას და გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა პალატამ დაასკვნა, რომ სადავო საკითხი განეკუთვნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შრომის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას მოქალაქესა და იურიდიულ პირს შორის, რის გამოც იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად სამოქალაქო საქმეთა პალატას გადაეცა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განჩინებით საქმე განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რადგან პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა განეკუთვნება ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ

სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სსიპ „...“-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ი. ფ-იას ადრე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სარჩელზე მოპასუხე მხარედ მითითებული იყო სსიპ „...“.

საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლის გზით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით შეიძლება არსებობდეს. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 5 ნოემბერი №464 ბრძანებულების თანახმად, მოპასუხე – სასწავლო დაწესებულება წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

მოსარჩელე სადავოდ ხდიდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის, 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 41-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევას. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სსიპ „...“-ის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება „უმაღლესი

განათლების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით, ხოლო მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის – იგივე კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტით. საქმის მასალების მიხედვით წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, კენჭისყრით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ი. ფ-იას უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ამავე კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ადგენს აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის წესს, ხოლო 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დამატებით საფუძვლებს, კერძოდ: წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებით უარს წლიური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცებაზე, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებულ გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭო მოქმედებდა საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, ვინაიდან იგი მინიჭებული ჰქონდა საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომელიც საჯარო სამართლის კანონმდებლობის სფეროს განეკუთვნებოდა.

სამართალსუბიექტურობის მიხედვით, სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე იყო ადმინისტრაციული ორგანო, სამართალურთიერთობა გამომდინარეობდა საჯარო კანონმდებლობიდან, ვინაიდან დავის საგანი ეხებოდა საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ დანაწესის განხორციელების მართლზომიერების შემოწმებას. ამრიგად, განსახილველ სარჩელთან დაკავშირებით სახეზე იყო საქმის განსჯადობისათვის მნიშვნელობის მქონე ორი პირობა, კერძოდ, დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა და სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდა. ამიტომაც, სადავო საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ უნ-

და ემსჯელა წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების ადმინისტრაციული კანონმდებლობისადმი შესაბამისობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველი დავა ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

**9. გასული პერიოდის სახელფასო დავალიანების თაობაზე დავის განსჯადობა განისაზღვრება სადავო პერიოდში მხარეთა შორის არსებულ სამართალურთიერთობის შინაარსით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის №ბს-604-599 (გ-11) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ზ. დ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიმართ სახელფასო დავალიანების . . . ლარის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1978 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში, სხვადასხვა თანამდებობაზე და მოპასუხე ორგანიზაციას მის მიმართ ერიცხება 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ზ. დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგი მოტივაციით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისა და მისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის განმსაზღვრელია დავის საგანი და ურთიერთობის შინაარსი.

სი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ამავე კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა სხვა საქმეებიც, იმ სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, ასევე, გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მრიგად, დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის არსებობა, რომელიც სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ იყო.

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას და ასეთად მიიჩნევს საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში და საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის შესაბამისად, მას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 14 იანვრის №9 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 დეკემბრის №227 დადგენილება. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია ლიკვიდაციის პროცესში იმყოფებოდა და გასული წლების სახელფასო დავალიანებები ინვენტარიზებული იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას და წესრიგდებოდა საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმებით, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსახილველ საქმეს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზ. დ-ს საჩივრის განხილვისას, რომლითაც მან მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციით. ამავე სასამართლოს განჩინებით ზ. დ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ზ. დ-ის სასარჩელო განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომელიც შეიცავს იმ დავათა კონკრეტულ ჩამონათვალს, რომელიც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს, ხოლო ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო კოლეგიამ განმარტა, რომ მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-2 ნაწილებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-3 ნაწილებში, ამასთან დაადგინა, რომ აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება და საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. დ. იმ პერიოდში, როდესაც მის მიმართ წარმოიშვა სახელფასო დავალიანება და რომლის ანაზღაურებასაც იგი ითხოვდა ანუ 1998-2003 წლებში, შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციასთან იყო, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ექვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო და ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო, ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზ. დ. 1998-2003 წლებში მუშაობდა რა საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში და შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, იგი საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-6 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას მასზე უნდა გავრცელდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება.



ამრიგად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან იყო წარმოშობილი, რადგანაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 14 იანვრის 9 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 დეკემბრის 227 დადგენილება და საქმის სასამართლოში განხილვის დროისათვის მოპასუხეს წარმოადგენდა სსიპ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია, ვერ განაპირობებდა დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, რა დროსაც მოსარჩელე მუშაობდა ადმინისტრაციულ ორგანოში – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში და იგი წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო სადავო სამართალურთიერთობა წესრიგდებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზე იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ყველა პირობა დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის.

**10. სარჩელი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ იგი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არის გამოცემული, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის  
№ბს-726-702 (გ-10) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორებთან  
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების ბათილად  
ცნობა, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებითი განაცდური  
ხელფასის ანაზღაურება*

## რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

ნ. ჯ-ძემ, და სხვ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ სამუშაოზე აღდგენის თაობაზე.

მოსარჩელები ითხოვდნენ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №17.13.598 დადგენილების „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქ. თბილისის . . . საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორების თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების ნაწილში, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №20.01.1654 დადგენილების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქ. თბილისის . . . საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნაწილში, ბათილად ცნობას, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა ჩამონათვალი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მე-2 მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს – თბილისის მერიის . . . დადგენილება, რომლითაც ცვლილება შევიდა თბილისის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების საბავშვო ბაგა-ბაღის დაფუძნების შესახებ თბილისის მთავრო-

ბის . . . დადგენილებაში არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რადგან იგი არ შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ აუცილებელ ელემენტს, კერძოდ, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობდა არა საჯარო, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობიდან და სწორედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე იღებს ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას არასამეწარმეო პირის დირექტორის დანიშვნის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ ნ. ჯ-ძის და სხვ. სარჩელი ქ. თბილისის მერიის მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ საქმეებს იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში საქალაქო სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავრობის . . . დადგენილება, რომლითაც არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, კერძოდ, . . . ბაგა-ბალებში დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი და იმავე ქ. თბილისის მთავრობის . . . დადგენილება, რომლითაც მოსარჩევეებს შეუწყდათ შრომითი ხელშეკრულება და მათ ადგილზე დაინიშნენ სხვა პირები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებები არ წარმოადგენდნენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და, შესაბამისად, დავა თავისი შინაარსით არ ატარებდა ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთი მხარე, მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობა უდავოდ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, მაგრამ დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა თავისთავად მას ვერ აქცევდა ადმინისტრაციული სასამართლოს ქვემდებარედ. სამართალსუბიექტობასთან ერთად სავალდებულოა, რომ დავა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი ემყარებოდეს სწორედ ამ უკანასკნელს და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურსამართლებრივი აქტი. ამიტომაც, განსჯადობის თაობაზე დავის მართებულად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია დადგინდეს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცემული აქტები ემყარებოდა და გამომდინარეობდა თუ არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ერთი მხრივ, ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით გამოცხადდა კონკურსი კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად, ხოლო მეორე მხრივ, მოხდა მითითებული იურიდიული პირების მოქმედ დირექტორებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და ახალი დირექტორების დანიშვნა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, მისი ფილიალი უნდა შეიქმნას საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დავას არ ინვევდა, რომ ბაგა-ბალები ჩამოყალიბდა არასამეწარმეო იურიდიულ პირებად, რომლის დამფუძნებელსაც წინამდებარე შემთხვევაში წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავრობა. მიტომაც, ქ. თბილისის მთავრობა საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებდა როგორც დამ-

ფუძნებელი, რომელსაც წესდების საფუძველზე მინიჭებული ქონ-  
და არასამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორის დანიშვნის  
უფლება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითება იმის თაო-  
ბაზე, რომ ქ. თბილისის მთავრობა გასაჩივრებული დადგენილებე-  
ბის მიღებისას ხელმძღვანელობდა საქართველოს ორგანული კა-  
ნონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართვე-  
ლოს კანონით „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“,  
ქ. თბილისის მერიის დებულებით, საქართველოს კანონით „ზოგა-  
დი განათლების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №126 დად-  
გენილებით, ვერ იმოქმედებდა განსახილველი დავის საგნობრივ  
განსჯადობაზე, რადგან ყველა ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტში  
საუბარი იყო თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებულ უფ-  
ლებაზე შექმნას სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო  
დანესებულებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული  
პირების ფორმით და დამტკიცოს მათი წესდებები, მიიღონ არსე-  
ბული სკოლამდელი დანესებულებების ქონება, მოახდინონ მათი  
ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია. აღნიშნული, საკასაციო სასა-  
მართლოს მოსაზრებით, თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა  
ის აქტი, რომელიც მიღებული იქნება თვითმმართველი ორგანოს,  
როგორც დამფუძნებლის და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ  
პირს შორის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ან  
მათ შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, წარმოადგენს  
ადმინისტრაციულ აქტს.

საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზების სამარ-  
თლებრივ საფუძვლებს, საჯარო სამსახურის განხორციელებასთან  
დაკავშირებულ ურთიერთობებს და საჯარო მოსამსახურის სამარ-  
თლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს საქართველოს კანონი „სა-  
ჯარო სამსახურის შესახებ“. მითითებული კანონის მე-2 მუხლის  
მე-2 პუნქტი განსაზღვრავს იმ სახელმწიფო დანესებულებათა ჩა-  
მონათვალს, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად.  
მათში არაკომერციული იურიდიული პირები გათვალისწინებული  
არ არის. ამასთან, მოსარჩელეთა თანამდებობა დასახელებული არ  
არის საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286  
ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებო-  
ბათა რეესტრში. მოსარჩელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილე-  
ბა არ უტოლდება საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას და

არ წესრიგდება საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. ამიტომაც, კონკურსი, რომელიც გამოცხადდა ბაგა-ბაღების დირექტორთა თანამდებობის დასაკავებლად, ვერ დაეყრდნობა საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 29-ე – 36-ე მუხლებს და არ შეიძლება მოექცეს მითითებული ნორმების რეგულაციებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლომ გადაწყვიტა, რომ დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, არ შეეხებოდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, რის გამოც წინამდებარე სარჩელი არ შეიძლება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილულიყო.

**11. სარჩელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნისა და მის საფუძველზე გამოცემული მინისტრის ბრძანების, საჯარო სკოლის გაფრთხილების ბათილად ცნობის თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის, 2010 წლის 9 ნოემბრის  
№ბს-1217-1184 (გ-10) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
მინისტრის ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ე. ჯ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ ქ. თელავის . . . საჯარო სკოლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა:

ა. ბათილად ეცნოთ: მოსარჩელის მაძიებელ მასწავლებლად დანიშვნის შესახებ სსიპ ქ. თელავის . . . საჯარო სკოლის და მისი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანებები, საჯარო სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების გამოცხადების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი ნაწილი; ბ. გადაწყვეტილების მიღება . . . სკოლის დირექტორის ნ. ვ-ის დაკავებული თანამდებობიდან

გათავისუფლების შესახებ; გ. სსიპ თელავის . . . საჯარო სკოლის დავალებულია ე. ჯ-ის სამუშაოზე მიღების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე; დ. მოსარჩელისათვის ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურება; ე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის სარეკომენდაციო ნაწილის 1-ლი პუნქტის ბათილად ცნობა; ვ. მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2007 წლის 17 სექტემბრიდან 2008 წლის 17 სექტემბრამდე იგი დასაქმებული იყო ქ. თელავის . . . საჯარო სკოლაში შემცვლელ მასწავლებლად, რეზერვად ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ახალ სასწავლო წელს სკოლის დირექტორის მიერ ვაკანტურ ადგილზე მოხდა სხვა პედაგოგების დასაქმება, ხოლო იგი გაანთავისუფლეს.

მოსარჩელემ წერილობით მიმართა თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რის შედეგადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანებით თელავის . . . საჯარო სკოლას არსებული დარღვევების გამო მხოლოდ წერილობითი გაფრთხილება გამოეცხადა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავა გამომდინარეობდა კერძო სამართალური თვითობიდან და განხილულ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რადგანაც „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2010 წლის 16 ივლისის №3442 კანონით მე-12 მუხლის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ და-

ვებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“.

3. სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას სასარჩელო მოთხოვნების სრულად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის თაობაზე. სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ აღძრული მოთხოვნების: მინისტრის ბრძანების, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობისა და სამინისტროს დავალდებულების ქ. თელავის . . . საჯარო სკოლის დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ნაწილში, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში:

საქალაქო სასამართლოს მითითებით, დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნები საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად წარმოადგენდა სამოქალაქო წესით განსახილველ დავას და იგი დამოუკიდებელ წარმოებად გამოიყო.

**4. საკასაციო სასამართლომ** ჩათვალა, რომ ე. ჯ-ის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, განსჯადობის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ აღძრული მოთხოვნების ნაწილში სარჩელის განსჯადობის საკითხი, კერძოდ, სამინისტროს ბრძანების, შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობისა და სამინისტროს დავალდებულების ნაწილში ქ. თელავის . . . საჯარო სკოლის დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების სასარჩელო მოთხოვნების განსჯადობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ ე. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნები სრულად მიჩ-



ნეული იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად და განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა. ამ უკანასკნელმა მიიჩნია, რომ მოთხოვნათა მხოლოდ ნაწილი განეკუთვნებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას, კერძოდ, სსიპ თელავის . . . საჯარო სკოლის მიმართ აღძრული მოთხოვნები, ხოლო სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 49-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას. ამრიგად, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განსჯადობის შესახებ დავა წამოიწყო სასარჩელო მოთხოვნების – საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანების, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობისა და საჯარო სკოლის დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამინისტროს დავალდებულების ნაწილში, რაც საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალური თვითობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამრიგად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-2 ნაწილებში დასახელებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობის კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ზემოთ დასახელებულ ნორმებში.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ სასარჩელო მოთხოვნები, რომელთა ნაწილშიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ და რა ნაწილშიც საკასაციო სასამართლო წყვეტს დავას განსჯადობის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება. კერძოდ, ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ უნდა ყოფილიყო განხილული სასარჩელო მოთხოვნები: 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, რომლითაც წერილობითი გაფრთხილება მიეცა სსიპ ქ. თელავის . . . საჯარო სკოლას და დაევალა რეაგირება მოეხდინა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში მითითებულ დარღვევებზე და გატარებული ღონისძიებების თაობაზე დეპარტამენტისათვის წარედგინა ინფორმაცია; 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობის თაობაზე, რომლითაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების გამოცხადება, დასკვნაში დაფიქსირებულ დარღვევებზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ დისციპლინური ზომების გატარება და, აღნიშნულის შესაბამისად, გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის წარდგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

საკასაციო სასამართლომ, აღნიშნულთან დაკავშირებით, განმარტა, რომ გასაჩივრებული აქტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოსცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების – ქ. თელავის . . . საჯარო სკოლის მიმართ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ჩარჩოებში, რაც საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინ-

დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებაზე ზედამხედველობას. ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია სკოლას მისცეს წერილობითი გაფრთხილება ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავა და ანიშნულთან დაკავშირებით მან არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დავის სამოქალაქოდ მიჩნევის შესახებ. მითითებული ნორმის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს, აგრეთვე, საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის საფუძველზეც გამოიცა მინისტრის ბრძანება, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რადგანაც იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალური თვითობას გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი – დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი

აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზე იყო დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ყველა წინაპირობა.

**12. სარჩელი რექტორის მოადგილის და უნივერსიტეტის უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე რექტორის ბრძანებების ბათილად ცნობის შესახებ სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის №ბს-142-138(გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებების გაუქმება, კომისიის დასკვნის ბათილად ცნობა, დისციპლინური სასჯელის გაუქმება და მორალური ზიანის ანაზღაურება*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ა. ტ-მა და დ. ლ-მა გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრეს მოპასუხე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ. მოსარჩელებმა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებების გაუქმება, უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კომისიის დასკვნის ბათილად ცნობა, დისციპლინარული სასჯელის გაუქმება და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ წარმოადგენენ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამფუძნებლებს ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის მომენტში და მის შემდეგ მუშაობდნენ სხვადასხვა თანამდებობებზე. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე მითითებით ყოვლად უსაფუძვლოდ და კანონის უხეში დარღვევით გაათავისუფლა დ. ლ. პედაგოგიური ფაკულტეტის უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან, ხოლო ა. ტ. რექტორის მოადგილეობიდან აკადემიურ დარგში და სრული პროფესორის არჩევითი აკადემიური თანამდებობიდან.

ა. ტ-ის განთავისუფლების საფუძვლად გამოყენებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი სა-

განმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 38-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 7.1. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კომისიის დასკვნა. დ. ლ-ის გათავისუფლების საფუძველად კი მიეთითა საქართველოს პრეზიდენტის ზემოთდასახელებული ბრძანებულების მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი და საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

მოსარჩელების მოსაზრებით ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანებები არ არის კანონიერი, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულებით განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება და არა პროფესორ-მასწავლებლების, რექტორის მოადგილეების უსაფუძვლო გათავისუფლება. მართალია, უნივერსიტეტში მოსალოდნელი სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ მართლაც გაფრთხილდნენ თანამშრომლები, მაგრამ აღნიშნული გაფრთხილება არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო სამუშაოდან მათი გათავისუფლების შესახებ გაფრთხილებად, რადგან იმ დროისათვის არ მომხდარა უნივერსიტეტის არც ლიკვიდაცია და არც თანამდებობების შემცირება, გაფრთხილება ეხებოდა მხოლოდ მოსალოდნელ რეორგანიზაციას. მოსარჩელეთა განცხადებით, უნივერსიტეტში არ შემცირებულა შტატებით გათვალისწინებული თანამდებობები, მხოლოდ რეორგანიზაცია ჩატარდა. საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. ამასთან, თუ მოხდებოდა სტრუქტურული ცვლილება და მას მოჰყვებოდა შტატების შემცირებაც, ამავდროულად, ყველა თანამდებობა უნდა გამხდარიყო ვაკანტური და გამოთავისუფლებული ადგილების დაკავება უნდა განხორციელებულიყო კონკურსის წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელების მოსაზრებით, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებები ეწინააღმდეგებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის

მოთხოვნებს, არასწორად იყო გამოყენებული „უმალესი განათლების შესახებ“ კანონის და შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის დებულებებიც.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანებები და ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიის დასკვნა, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელმაც მოსარჩელების მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება მოითხოვა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით, სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანების გამო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, აპელანტი – სსიპ „ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით – სსიპ „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ სააპელაციო საჩივარი, განსჯადობით განსახილველად გადასცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საქმე განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე

სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელების ა. ტ-ის და დ. ლ-ის მოთხოვნას წარმოადგენდა: ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებების, ასევე, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიის დასკვნის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება. გასაჩივრებული ბრძანებებით ა. ტ. გათავისუფლდა რექტორის მოადგილის და სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობებიდან, ხოლო დ. ლ. უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან. პალატამ აღნიშნა, რომ გორის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ზემოაღნიშნული ბრძანებები, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, საკითხი მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს არ გადაუწყვეტია და მისი ხელახალი განხილვა ახალი აქტების გამოცემით დაავალა ცხინვალის უნივერსიტეტს.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ რაიონულმა სასამართლომ განჩინებით განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გაირკვეოდა, ითვლებიან თუ არა ისინი უნივერსიტეტის თანამშრომლებად. ამრიგად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და მისი განმარტების შესახებ განჩინებით, მოსარჩელები სამსახურში აღდგენილები არ ყოფილან. ამასთან გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმება არ წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში გასაჩივრდა. ამიტომაც, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სააპელაციო პალატის განხილვის სა-

განს წარმოადგენდა აქტის გამოცემისას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სამართალურთიერთობა ემყარებოდა საჯარო კანონ-მდებლობას, რაც ადასტურებდა საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებას.

**4. საკასაციო სასამართლომ** ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა სსიპ „ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებები, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიის დასკვნა, სამსახურში აღდგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დავის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ბრძანებები, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიის დასკვნა და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაევალა. გადაწყვეტილება ნაწილობრივ, კერძოდ, დ. ლ-ის პედაგოგიური ფაკულტეტის უფროსი ბიბლიოთეკარის ხოლო ა. ტ-ის რექტორის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების ნაწილში გაასაჩივრა სსიპ „ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ბრძანებები არ წარმოადგენდნენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და შესაბამისად, არც მოცემული დავა იყო თავისი შინაარსით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე, სსიპ „გორის უნივერსიტეტი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იუ-



რიდიული პირის შესახებ“ მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება, მათ შორის, ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მხოლოდ ის ბრძანება, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და იწვევს სამართლებრივ შედეგს.

განსახილველ შემთხვევაში სსიპ „გორის უნივერსიტეტის“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო, პედაგოგიური ფაკულტეტის უფროსი ბიბლიოთეკარი დ. ლ. და რექტორის მოადგილე ა. ტ. გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ის გარემოება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ შესაბამისად, საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტია და, იმავდროულად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოდ უნდა იქნეს მიჩნეული, არ ადასტურებს სსიპ თანამშრომლის მიმართ საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ ნორმების გამოყენების საჭიროებას. დასახელებული კანონის პრეამბულაში განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო, კერძოდ, აღნიშნული კანონი

ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავდროულად კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური ითვლება საჯარო სამსახურად. მასში საჯარო სამართლის იურიდიული პირი (საქართველოს ეროვნული ბანკის გარდა) გათვალისწინებული არ არის. მოსარჩელეთა მიერ დაკავებული თანამდებობები არ არის მითითებული აგრეთვე არც საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. ამასთანავე, ა. ტ.-სა და დ. ლ.-ის სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უტოლდება საჯარო მოსამსახურეებისას და არ წესრიგდება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“. ამრიგად, ა. ტ. და დ. ლ. ვერ ჩაითვლებიან საჯარო მოსამსახურეებად და, შესაბამისად, მათი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება არ უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 127-ე მუხლში მითითებულ ადმინისტრაციულ აქტად.

საკასაციო სასამართლომ შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ ა. ტ.-ისა და დ. ლ.-ის სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას გამოყენებულ უნდა ყოფილიყო კერძო სამართლის კანონმდებლობა – საქართველოს შრომის კოდექსი, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულიად არ წესრიგდება სხვა სპეციალური კანონით.

სადავო ბრძანებაში საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მითითება არ ცვლის განსახილველი დავის ხასიათს. მითითებული აქტი არ აწესრიგებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლების წესს ან პროცედურას. აღნიშნული აქტის სადავო ბრძანებაში მითითებული ნორმა, კერძოდ, მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ სსიპ უმაღლესი სა-

განმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს, ამდენად, დასახელებული დანაწესი ვერ ზემოქმედებს განსახილველი დავის დარღობრივი განსჯადობის საკითხზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო საქმეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადი იყო.

### **13. სსიპ – ინსტიტუტის დირექტორის მიერ თანამშრომელთა მიმართ გამოცემული ბრძანების ბათილობის თაობაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის №ბს-527-503 (გ-07) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: სამსახურიდან გათავისუფლების, საყვედურის გამოცხადების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება*

#### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ლ. ს-იძემ და ნ. ჭ-აიამ სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე – სსიპ „... ინსტიტუტის“ მიმართ, და მოითხოვეს ლ. ს-ძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების და ნ. ჭ-აიასთვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების თაობაზე ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდური ხელფასისა და მორალური ზიანის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელები მუშაობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ... ინსტიტუტში, რომლის უფლებამონაცვლეც გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „... ინსტიტუტი“ და დამტკიცდა მისი დროებითი წესდება.

მოსარჩელეთა მითითებით, ხელმძღვანელებს მათ არაერთი საჩივრით მიმართეს იმის გამო, რომ დროებითი წესდებით, ფაქტობრივად, დაცვის გარეშე დარჩა საქართველოს კულტურული ძეგლები – ხელნაწერები, რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა არა საერთო მდგომარეობის შესწავლა, არამედ ინსტიტუტის ერთ კონკრეტული ოთახში არსებული სიტუაციის დადგენა. კომისიამ შემოწმების შედეგად შეადგინა დასკვნა, რომელიც რეალობას არ შეესაბამებოდა. კომისიის დასკვნის საფუძველზე და მასში განცხადებული რეკომენდაციების შესაბამისად, ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებით, არსებული დარღვევების შესწავლის მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

ჯგუფმა იმუშავა 5 დღე და რეკომენდაცია მისცა ინსტიტუტის დირექციას მიეღო გადამწყვეტი ზომები არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად. სწორედ აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე გამოიცა ბრძანება, რომლითაც მხატვარ-რესტავრატორი ლ. ს-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რესტავრატორ ნ. ჭ-იას კი გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

მოსარჩელებმა უკანონოდ მიიჩნიეს ბრძანება და მოითხოვეს მისი ბათილად ცნობა, განაცდური ხელფასის და მორალური ზიანის ანაზღაურება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“ დებულება, საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-2 მუხლი და მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ვინაიდან მოპასუხე, წარმოადგენდა რა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, აქტის გამოცემისას ახორციელებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. სასამართლოს მოსაზრებით, წარმოდგენილ სარჩელთან მიმართებაში სახეზე იყო ორი პირობა, რაც არსებითი და გადამწყვეტია საქმის

ადმინისტრაციულ დავად მიჩნევისათვის, კერძოდ, იგი გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, არ დაეთანხმა რა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის განსჯადობის თაობაზე, საკითხის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სამსახურიდან გათავისუფლებისა და სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს.

კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. ხოლო ამავე კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძ-

ლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „... ინსტიტუტი“ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობა ან მმართველობა, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ადმინისტრაციულ ორგანოებად განიხილებიან სწორედ მმართველობის, ადმინისტრირების ფუნქციის განხორციელებისას, რადროსაც შებოჭილნი არიან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით დადგენილი პრინციპებითა და პროცედურებით, თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის დირექტორის მიერ გამოცემული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის ბრძანება – წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტა, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლში მოცემულია საჯარო მოსამსახურის ცნება, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელი-

სუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად. საჯარო სამართლის იურიდიულ პირ „... ინსტიტუტში“ როგორც ამ ნუსხაში არმყოფ დაწესებულებაში საქმიანობა ვერ მიიჩნეოდა საჯარო სამსახურად.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულების „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ შესაბამისად, რომლითაც დამტკიცდა რანგირების მიხედვით საჯარო სამსახურის თანამდებობათა თანდართული რეესტრი, განმარტა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, მითითებული თანამდებობა ვერ იქნება მიჩნეული საჯარო სამსახურად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელების, როგორც სსიპ „... ინსტიტუტის“ თანამშრომელთა გათავისუფლებისა და დისციპლინური დასჯის ღონიძიებების კანონიერების შეფასებისას არ გამოიყენება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დებულებები, რადგანაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის სუბიექტებს, შესაბამისად, სამართლის ნორმის გავრცელება ამგვარ პირებზე დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ლ. ს-ძის სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეწყდა კერძო სამართლებრივი, შრომითი ურთიერთობა ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოსა და მეორე მხრივ – ფიზიკურ პირებს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნია სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს, რადგანაც სწორედ კერძო სამართლის კანონმდებლობა არეგულირებს მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან.

პალატამ აღნიშნა, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ, სამართლებრივ ურთიერთობის ხასიათს, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყე-

ნებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილს წარმოადგენდა და მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს ადმინისტრაციული ორგანო იყო, მოცემულ შრომით დავას არ მიაკუთვნებდა ადმინისტრაციულ კატეგორიას, რადგანაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო.

**14. სარჩელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიმართ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სახელფასო დავალიანების გადახდის შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის №ბს-1719-1675 (გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მერიისათვის სახელფასო დავალიანების ვადაგადაცილებული დროისათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. ჩ-მა, მ. ხ-ემ და გ. მ-მა სარჩელი აღძრეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ქ. ქუთაისის მერიის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეს მოსარჩელების სასარგებლოდ, დაკისრებოდა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაება სს „...“.

მოსარჩელებმა დააზუსტეს სარჩელი და მოითხოვეს, ქ. ქუთაისის მერიას სს „...-თან“ ერთად დაკისრებოდათ არსებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, ვინაიდან, ქ. ქუთაისის მერიამ მისი დაფარვის მოვალეობა იკისრა საკუთარი ბრძანებით.



ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „...-ს“ მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ჩ-მა, მ. ხ-ემ და გ. მ-მა და მოითხოვეს გადაწყვეტილების გაუქმება სახელფასო დავალიანების მხოლოდ სს-ის დაკისრების ნაწილში გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სახელფასო დავალიანების ანაზღაურების სს „...-ს“ და ქ. ქუთაისის მერიისათვის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სამოქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების შესრულებასთან ერთად დავის საგანს ქ. ქუთაისის მერიისათვის ვადაგადაცილებული დროისათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებაც წარმოადგენდა. ამიტომაც, სასამართლოს დასკვნით დავა განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქმის მასალების მიხედვით, მხარეთა შორის დავის საგანს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების შესრულება წარმოადგენდა. სამოქალაქო საქმეთა პალატამ დავა ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილვე-

ლად მიიჩნია იმ არგუმენტით, რომ მოსარჩელები ითხოვდნენ ქ. ქუთაისის მერიისათვის ხელფასის დაყოვნებისათვის (ვადაგადაცილებული დროისათვის) ზიანის ანაზღაურებასაც, რაც განაპირობებდა დავის არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ბუნებას.

საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07%.

სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველი საქმე დავის არსის გათვალისწინებით, წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველს, რადგანაც მოსარჩელები, რომლებიც შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ სს „...“-ან“, ითხოვდნენ სახელფასო დავალიანების გადახდასა და გადახდის დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურებას შრომით სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით.

სასამართლოს მოსაზრებით, თავისი შინაარსით ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება (რომლის საფუძველზეც ქ. ქუთაისის მერიამ მიიღო სს „...“ მთელი ქონება, და, იმვადროულად იკისრა მისი საგადასახადო და სახელფასო დავალიანებების დაფარვის ვალდებულება) წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის შესრულების თაობაზე დავასაც ადმინისტრაციული წესით განსჯად საქმეებს მიაკუთვნებენ, მაგრამ სააპელაციო პალატის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავად. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა და მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა

ნა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საქმის მასალებით დადგენილი იყო ქ. ქუთაისის თვითმმართველ ერთეულსა და სს „...“ შორის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების არსებობა, რომლითაც თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადავიდა სს-ის მთელი ქონება. ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისისათვის გადაცემული ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტში ჩამოთვლილი ქონების პრივატიზებისას, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიამ იკისრა სს „...“ საგადასახადო და სახელფასო დავალიანების დაფარვა.

ასევე დადგენილი იყო, რომ ქ. ქუთაისის მერია, როგორც სს „...“ ქონების მესაკუთრე, ხელშეკრულების შესაბამისად, არ წარმოადგენდა პასუხისმგებელ პირს იმ დავალიანებაზე, რომელიც საწარმოს წარმოშობილი აქვს ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. აღნიშნულ ხელშეკრულებამდე მოსარჩელეთა მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხე ქ. ქუთაისის მერიას არ გააჩნდა გადაცემული ქონების აუქციონის წესით რეალიზების ფაქტის არარსებობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სს „...“ მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების, მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე დავალიანების თანხის 0,07%-ის, ასევე შვებულების კომპენსაციის და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების გადახდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, განსჯადობის თაობაზე დავის ობიექტს წარმოადგენდა მოსარჩელების სააპელაციო საჩივარი, რომლის შესაბამისად, აპელანტები ითხოვდნენ ქ. ქუთაისის მერიასა და სს „...“ სოლიდარულად დაკისრებოდათ სახელფასო დავალიანებისა და გადახდის დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურება, ანუ სააპელაციო დავის საგანს, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების შესრულებასთან ერთად ქ. ქუთაისის მერიისათვის ვადაგადაცილებული დროისათვის ზიანის ანაზღაურებაც წარმოადგენდა. მოთხოვნას საფუძვლად ედო ის გარემოება, რომ ქ. ქუთაისის მერიამ იკისრა სახელფასო და საგადასახადო ვალდებულებების დაფარვის ვალდებულება. იგი ადმინისტრაციული კატეგორი-

ის დავას წარმოადგენდა, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილი იყო იმ სამართალურთიერთობიდან, რომელსაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა აწესრიგებს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საწარმოსა და, ადმინისტრაციული ორგანოსათვის – ქ. ქუთაისის მერიისათვის სოლიდარულად სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების შესრულება და, ამასთან, ქ. ქუთაისის მერიისათვის ვადაგადაცილებული დროისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენს მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედების მეშვეობით პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად,

სარჩელი შეიძლება აღიძრას ქმედების განხორციელების მოთხოვნით, რაც მოცემულ შემთხვევაში იყო სახეზე.

საპელაციო საჩივრის ობიექტს წარმოადგენდა არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოსათვის – ქ. ქუთაისის მერიისათვის სახელფასო დავალიანების გადახდის დაკისრება, არამედ მისი დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურებაც, რაც, ასევე, მოწესრიგებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, კერძოდ, მისი 207-208 მუხლებით, რომლითაც განსაზღვრულია მოპასუხე სუბიექტი – სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა, მოცემულ შემთხვევაში კი ქ. ქუთაისის მერია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნდა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, კერძოდ, დავა დაკავშირებული იყო იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, მოსარჩელების საპელაციო საჩივრის მოთხოვნა ქ. ქუთაისის მერიისა და სს-ის მიმართ სახელფასო დავალიანების სოლიდარულად გადახდის და გადახდის დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მოწესრიგებულია საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით და სარჩელი აღძრული იყო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის ყველა წინაპირობა.

#### **§ 4 სამენარმოე საქმიანობასთან დაკავშირებულ დავების განსჯადობა**

**1. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის მონაცემების რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოების (შემოსავლების სამსახური, რეგიონალური ცენტრი) ბრძანებებზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის №ბს-181-174 (გ-10) განჩინება  
*სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, ამხანაგობა (იბა) მონაცემების რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოების ბრძანებების ბათილად ცნობა*

1. ზ. ჯ-ქემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), (შემდგომ, თბილისის რეგიონალური ცენტრი – ჯ.რ.), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და მესამე პირის – ზ. თ-შვილის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა 2008 წლის 18 თებერვლის №305 ბრძანების მე-3 პუნქტის საფუძველზე, თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა გამოსცა 2008 წლის 26 სექტემბრის ბრძანება, რომლითაც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის თავმჯდომარედ დაფიქსირდა ზ. თ. თბილისის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 26 სექტემბრის ბრძანებით კი ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის ბრძანება და აღდგენილ იქნა აღნიშნული ბრძანების გამოცემამდე არსებული მდგომარეობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ თბილისის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 26 სექტემბრის ბრძანების საფუძველი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის №305 ბრძანება სასამართლოში იყო სადავო, რის გამოც თბილისის რეგიონალურ ცენტრს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 183-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფლება არ ჰქონდა განეხილა აღნიშნული საკითხი იგი ვალდებული იყო საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე შეეჩერებინა.

მოსარჩელემ დამატებით აღნიშნა, რომ თბილისის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 26 სექტემბრის ბრძანება მის მიერ ადმინისტრაციული საჩივრით იქნა გასაჩივრებული, თუმცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 24 აგვისტოს ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ თბილისის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 26 სექტემბრის და საქართველოს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 24 აგვისტოს №2602 ბრძანებების ბათილად ცნობა მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ზ. ჯ-ძის სარჩელი, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ზ. ჯ-ძის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოტივაციას და აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობა საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ ნორმების შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირს არ წარმოადგენდა. ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობის შექმნისა და საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ასახული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე და 940-ე მუხლებში, ამასთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ამხანაგობა იურიდიულ პირს არ წარმოადგენდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა თბილისის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 26 სექტემბრის ბრძანებას, რომლის მიხედვით, ინდივიდუალური ბინათმენაშენეთა ამხანაგობის „...“ თავმჯდომარედ საგადასახადო სამსახურში დაფიქსირდა ზ. თ. ასევე სადავო იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 24 აგვისტოს ბრძანება, რომლითაც მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადავო ბრძანებების ბათილად ცნობას ითხოვდა არა კერძო სამართლებრივი ნორმების დარღვევის საფუძველზე, არამედ ფორმალური მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 182-ე მუხლებით დადგენილი წესის დარღვევის გამო.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავის განმხილველ სასამართლოს ზ. ჯ-ძის სარჩელის განხილვისას კერძო სამართლებრივი კანონმდებლობით არ უნდა ეხელმძღვანელა, რადგან განსახილველ შემთხვევაში დავის არსი არმდგომარეობდა

ამხანაგობა „...“ წევრთა საერთო კრების ან ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის კანონიერების შემოწმებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა დაშინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ბრძანებები არ წარმოადგენენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან არ შეიცავენ აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში მოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ, ისინი გამოცემულია არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 26 სექტემბრის ბრძანების საფუძველი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის №305 ბრძანება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის განჩინებით განსჯადობით განსა-



ხილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას<sup>13</sup>.

ისევე, როგორც დასახელებული საქმის განხილვისას, მოცემულ შემთხვევაშიც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, ფორმალური თვალსაზრისით გასაჩივრებული აქტები გამოცემული იყო ადმინისტრაციული აქტის (ბრძანების) ფორმით, მაგრამ შინაარსობრივად დავის მთელი არსი მდგომარეობდა იმაში, რამდენად კანონიერად ჩატარდა ამხანაგობა „. . .-ის“ წევრთა საერთო კრება, რამდენად კანონიერად მოხდამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევა და რამდენად კანონიერად შეიცვალა ამხანაგობის სარეგისტრაციო მონაცემები; აღნიშნული საკითხების შესწავლა კი არაადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ მატერიალური სამოქალაქო კანონმდებლობის – საქართველოს კანონის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ და ამხანაგობის დებულების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. ამრიგად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ სადავო ბრძანებებს არ გააჩნდა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელი მეორე ელემენტი: სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდა არა საჯარო, არამედ, კერძო სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, სარჩელი აღძრული იყო თბილისის რეგიონალური ცენტრის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლებიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ, მაგრამ საქმეში მხოლოდ მათი მონაწილეობა საკმარისი არ იყო დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის, ამისათვის ძირითადი, არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნდა სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამარ-

<sup>13</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის №ბს-203-197 (გ-08) განჩინება, რომელშიც საკასაციო სასამართლომ მიუთითა: იმის გათვალისწინებით, რომ სადავო საგადასახადო ორგანოთა ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლებრივი, საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ და ამხანაგობის დებულება. სასარჩელო მოთხოვნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველს წარმოადგენდა.

თლის რომელი დარგის ნორმებზეა დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულისადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11

მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად წარმოადგენდა.

## **2. სარჩელი საგადასახადო ორგანოს წინაღმდეგ შპს-ის ლიკვიდაციის რეგისტრაციის და სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის I ივნისის №ბს-383-368 (გ-09) განჩინება  
დავის სგანი: შპს-ს ლიკვიდაციის რეგისტრაცია

### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. შპს „...-ს“ ლიკვიდატორმა ზ. გ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიმართ. მან მოითხოვა შპს „...“ ლიკვიდაციის რეგისტრაციასთან და სამეწარმეო რეესტრიდან მის ამოშლასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე, სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის – სამეწარმეო რეესტრიდან შპს „...-ს“ ამოშლის მოპასუხისათვის დავალება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით შპს „...“ ლიკვიდატორის – ზ. გ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით, წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილებოდა სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დავა გამომდინარეობდა საქართველოს კანონის „მენარმეთა შესახებ“ შესაბამისი ნორმებიდან და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციიდან „გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის წესის შესახებ“ მოსარჩელის პირველი მოთხოვნა იყო ადმინისტრაციული ორგანოსთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ხოლო მეორე – ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოქმედების განხორციელების დავალება. მათი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა შეუძლებელი იყო და წარმოიშვებოდა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო ნორმების, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 24-ე მუხლების გამოყენების აუცილებლობა.

4. საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი. იმავდროულად, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ანალოგიურად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი ადგენს სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას. მისი 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი დაქვემდებარების განსაზღვრის პრინციპად დავის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობას აღიარებს.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შპს „...ს“ სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა შეუძლებელია. საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მატერიალური თვალსაზრისით, კერძო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით შემოწმებას დაქვემდებარებულ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებაზე მითითება. სარჩელის, აღძვრის მოტივად მოსარჩელე ასახელებდა მოპასუხე ორგანოს – ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიუღებლობას, ე.ი. სახეზე არ იყო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს რაიმე გადაწყვეტილება, ისევე როგორც – შპს „...“

ლიკვიდატორის სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შეუძლებლობა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. არსებითი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, სახეზე იქნება სამოქალაქო სამართლის იურისდიქციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმე. ამასთან, მართალია, შპს-ის სარჩელზე მოპასუხეს ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) წარმოდგენდა, მაგრამ დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ მონაწილეობა არ არის საკმარისი მის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის. ამისათვის ძირითადი, არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზეა ძირითადად დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის, რეგისტრაციის საკითხები სამართლებრივად რეგულირდება საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტს, ანუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება-ლიკვიდაციის რეგისტრაციის საკითხები უშუალოდ, პირდაპირ გამომ-

დინარეობს მატერიალური, კერძო სამართლის კანონმდებლობიდან და რეგულირდება ამ კანონმდებლობით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საწარმოს რეგისტრაციის საკითხების განმსაზღვრელი მატერიალური სამართლის ნორმები მოცემულია საქართველოს კანონში „მენარმეთა შესახებ“, რომლის მე-4 მუხლი ითვალისწინებს საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ დებულებებს. დასახელებული მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად, საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო (მარეგისტრირებული ორგანო), თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება ერთდროულად, სამენარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით. ერთიანი სამენარმეო რეესტრის ელექტრონულ ვერსიას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო, სამენარმეო რეესტრის წარმოების პირობები, სამენარმეო რეესტრის ფორმულარები, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის განცხადების, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებათა რეგისტრაციის განცხადების, სარეგისტრაციო მოწმობის და რეესტრიდან ამონაწერების ფორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. საქართველოს კანონის „მენარმეთა შესახებ“ მე-5 მუხლი მთლიანად ეთმობა საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პირობებს – წარსადგენ დოკუმენტებსა და საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების შინაარსს. მითითებული კანონის 51-53-ე მუხლები, ასევე, შეეხება საწარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „...-ს“ მიერ სარჩელის აღძვრის მოტივაცია მდგომარეობდა მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციასა და სამენარმეო რეესტრიდან ამოშლაში, ანუ დასახელებული სარჩელის აღძვრით ამ საქმის მხარეებს შორის წარმოშობილი დავის საფუძველში დევს სწორედ კერძო სამართლის ბაზისური მატერიალური ელემენტი – საქართველოს კანონის „მენარმეთა შესახებ“ ზემოთ მითითებული ნორმები.

საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მართალია, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება ადგენს გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის წესს, სახელმწიფო, მათ შორის, სამეწარმეო რეესტრის წარმოებას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მოცემული დავა გამომდინარეობდა დასახელებული ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციიდან, ბრძანება გამოცემული იყო სწორედ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სწორად მიიჩნია შპს „...-ს“ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადად.

**3. არაკომერციული იურიდიული პირის სარჩელი საგადასახადო ორგანოს მიმართ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის №ბს-1583-1538 (გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სამეწარმეო რეესტრის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელება*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულმა კლუბმა (შემდგომ „კლუბი“ – ჯ.რ. ) სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, მოსარჩელისათვის სახელმწიფო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით აიბ „კლუბის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და აიბ „კლუბის“ სარჩელი განსჯადობის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საკასაციო სასამართლოში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადავო აქტი წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მას გააჩნდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ყველა ნიშანი, მათ შორის, ადმინისტრაციული აქტის ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლობების) და გადასახადის სხვა გადამხდელის სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ“ წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და ის მიჩნეულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო ადმინისტრაციული კანონმდებლობის – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მითითებული ინსტრუქციის საფუძველზე. ამიტომაც, სამოქალაქო კოლეგიის მოსაზრებით, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის საქმიანობა – სახელმწიფო რეესტრში ცვლილებების განხორციელება მის სახელმწიფოებრივ, ანუ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და, შესაბამისად, მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებას ექვემდებარებოდა.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „კლუბის“ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. საქართველოს



ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს – ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც „კლუბს უარი ეთქვა სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელების და მოპასუხისათვის სახელმწიფო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის დავალდებულებაზე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი იძლევა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს. ამ კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რადგანაც სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ბრძანება –სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებაზე უარის შესახებ არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს, რადგან იგი არ პასუხობდასაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილ ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის აუცილებელ ნიშანს, კერძოდ – სადავო სამართალურითიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. შესაბამისად, მოცემული დავა ექვემდებარებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას, რადგანაც იგი რეგულირდებოდა კერძო სამართლის კანონმდებლობით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლობების) და გადასახადის სხვა გადამხდელის სახელ-მწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ“ საფუძველზე ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციას, რა დროსაც დასტურდება საწარმოს დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებთან. ამიტომაც, სადავო ბრძანება მატერიალური თვალსაზრისით შემონეშებას ექვემდებარება კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო სადავო სამართალურთიერთობას აწესრიგებს გადაწყვეტილების – ბრძანების გამოცემის გზით, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას, რადგანაც ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან. ამასთან ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილების მიღების დროს კერძო სამართლის კანონმდებლობის – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ეს გარემოება არ წარმოადგენს განსახილველი დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის საფუძველს. სადავო ბრძანება გამოცემულია არა საჯარო სამართლის, არამედ, კერძოსამართლებრივი ნორმატიული აქტის საფუძველზე, შესაბამისად, სამოქალაქო სასამართლოს უნდა ემსჯელა ბრძანების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მითითება სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გაცემაზე არ ქმნიდა განსახილველი დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს. ამავე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის გაცემა ხდება რეგისტრაციის შემდეგ, უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის მიმართ, ხოლო განსახილველი დავა ეხებოდა ცვლილებების რეგისტრაციას (სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლი), რომელიც კერძო-სამართლებრივი სფეროს სამართალურთიერთობებით არის დეტერმინირებული. უფლებამოსილი მარეგისტრირებელი ორგანოსათვის რეგისტრაციის მოთხოვნა

ნის უფლების არსებობის პირობებს, რეგისტრაციაზე (ცვლილებების რეგისტრაციაზე) უარის თქმის საფუძვლებს, სამოქალაქო კოდექსის ნორმები განსაზღვრავენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სახეზე არ იყო დავა, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ექვემდებარებოდა განხილვას. საკასაციო სასამართლო დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიიჩნია, რომ მოცემული დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, იგი წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

**4. სამინისტროს (ადმინისტრაციული ორგანოს) სარჩელი გაკოტრების რეჟიმში მყოფ სს-ის (კერძო სამართლის იურიდიული პირი) მიმართ ქონების დაბრუნების და ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი დავაა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის №ბს-133-132 (გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ქონების მესაკუთრისათვის დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სს „ა. . -ის“ მიმართ, მესამე პირი – სს „. . -ის“ დირექტორი მ. დ-ძე. და მოითხოვა მისი კუთვნილი ტექნიკის სს-ის ბალანსიდან გამოყოფა და მოსარჩელისათვის დაბრუნება; აგრეთვე, ზიანის ასანაზღაურებლად სს „. . -ის“ გაკოტრების მმართველისათვის . . . ლარის დაკისრება.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სს „. . .ის“ გაკოტრების მასიდან დაუბრუნდა სარჩელში მითითებული ტექნიკის ნაწილი.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეები განსაზღვრული იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, კერძოდ, აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ყოფილიყო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება, შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოპასუხეს შორის განვადება-ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოსა და იურიდიულ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებას. მოსარჩელე სოფლის მეურნეობის სამინისტრო იყო ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ამოცანა – სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა, წარმოადგენდა მის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხესთან გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულს, დადებული იყო ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირთან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და დავაც, შესაბამისად, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი ქუთაისის სააპელაციო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად დავას წარმოადგენს და განსახილველად მას უნდა დაქვემდებარებოდეს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი და მისი 1-ლი ნაწილი შეიცავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეების ჩამონათვალს. ანალოგიურად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარჩელით მიმართა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე -სს „...“-ის მიმართ, მესამე პირი – სს „ავტოტრანსპორტის“ დირექტორი მ. დ-ძე, ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სა-

მართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატას სააპელაციო საჩივრის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნია, რომ სახეზე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაცემოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრების, რომ მოცემული დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან პასუხად, საკასაციო სასამართლომ ყურადღებას გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, სარჩელი აღძრული იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი აღძრული იყო ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. მოსარჩელე სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა „გაკოტრების შესახებ“ კანონზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 400-ე, 402-ე-404-ე და 414-ე მუხლებზე. შესაბამისად, ნათელია, რომ სასარჩელო მოთხოვნები მთლიანად დაფუძნებული იყო სამოქალაქო კოდექსის მატერიალურ ნორმებზე და დავის საგანს წარმოადგენდა ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელის გამო მოპასუხე -სს „...“-ის“ მიმართ, მესამე პირი -სს „...“-ის“ დირექტორი მ. დ-ძე, ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურე-

ბის თაობაზე, წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადი იყო.

**5. გაკოტრების მასაში შემავალი ქონების საგადასახადო ყადაღისაგან განთავისუფლების კანონიერებაზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის №ბს-180-176 (გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: გაკოტრების მასაში შემავალი ქონების საგადასახადო ყადაღისაგან განთავისუფლება*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. შპს „...-ის“ დირექტორის განცხადების საფუძველზე ქედის რაიონული სასამართლოს განჩინებით გაიხსნა შპს „...-ის“ გაკოტრების საქმის წარმოება; შპს-ის დირექტორს აეკრძალა საზოგადოების ქონების განკარგვისა და მართვის უფლება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა ს. შ-ძე.

რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა ბათუმის საგადასახადო ინსპექციის განცხადება და შპს „...-ის“ გაკოტრების ტაბულაში შეტანილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 47 963,46 ლარის გადახდა.

ქედის რაიონული სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა „...-ის“ გაკოტრების მმართველის განცხადება და ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული შპს „...-ის“ მიმართ გაკოტრების საქმის გახსნამდე გამოყენებული ყველა სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიება. კერძოდ ყადაღა მოეხსნა საკონსერვო ქარხნის შენობასა და მიწის ნაკვეთს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა კერძო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით კერძო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული იყო, რომ ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილებოდა დავები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის, არსებითი და გადამწყვეტი იყო სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. პალატის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის თაობაზე, რამდენად კანონშესაბამისი იყო განმცხადებლის მოთხოვნა – ყადაღისა და საგადასახადო გირავნობისგან შენობის გათავისუფლების თაობაზე, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, სახელდობრ, საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარეობდა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით კერძო საჩივარი, განსჯადობის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად, წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვა.

საქართველოს კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (1996 წლის რედაქციით) მე-3 მუხლის მიხედვით, გაკოტრების საქმეს, მიუხედავად მოვალის ქონების ღირებულებისა და კრედიტორების მოთხოვნის ოდენობისა, განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო (გაკოტრების სასამართლო) მოვალის საცხ-



ოვრებული ადგილის ან მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. იმავე კანონის მე-4 მუხლით, გაკოტრების სასამართლოში საქმის წარმოებისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები. სამოქალაქო საპროცესო ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონით დადგენილი არ არის შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. სამოქალაქო საპროცესო ნორმების გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონის მიზნებს. საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ (რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი), მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, იგი არეგულირებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების, სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საკითხს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს იმ საქმეების პირობით ჩამონათვალს, რომლებიც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს. ამასთანავე, მისი მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ქედის რაიონული სასამართლოს განჩინებით შპს „...“-ის“

დირექტორის განცხადების საფუძველზე გაიხსნა შპს-ის გაკოტრების საქმის წარმოება. ამ აქტით გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალა დაკარგა შპს „...“-ის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებულმა, მაგრამ დაუსრულებელმა იძულებითმა ღონისძიებებმა; საკასაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ ბათუმის საგადასახადო ინსპექციის განცხადების საფუძველზე ქედის რაიონული სასამართლოს მიერ ბათუმის საგადასახადო ინსპექცია შეტანილი იქნა შპს „ქედის საკონსერვო ქარხნის“ გაკოტრების ტაბულაში.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოთხოვნა ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემული დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და ყურადღებას გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: მართალია, კერძო საჩივარი აღძრული იყო ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა. კერძო საჩივრის ავტორი ითხოვდა რაიონული სასამართლოს განჩინების გაუქმებას, რომლითაც ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული შპს „...“-ის მიმართ გაკოტრების საქმის გახსნამდე გამოყენებული ყველა სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებული იყო საქართველოს კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების“

შესახებ ნორმებზე და დავის საგანს წარმოადგენდა შპს „...-ის“, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის მიმართ გაკოტრების საქმის გახსნამდე გამოყენებული ყველა სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიების გაუქმება. ამიტომაც, საქმე წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველს და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადი იყო.

**6. გაკოტრების რეჟიმში მყოფ სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველ სარჩელზე არ ვრცელდება საქართველოს კანონით „გადახდის უუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ დადგენილი განსაკუთრებული განსჯადობა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის №ბს-330-319 (გ-09) განჩინება  
დავის სგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. სს „ს-მა“ სარჩელი აღძრა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამტრედიის განყოფილების მიმართ და მოითხოვა მოპასუხესა და ბ. ნ-ძეს შორის გაფორმებული რკინიგზის ჩიხის გაყიდვის ნაწილში ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ბ. ნ-ძისათვის რკინიგზის ჩიხის 309-მეტრიანი მონაკვეთის დაბრუნების დავალება.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მოპასუხეებად ჩაებნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის სამხარეო სამმართველო (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამტრედიის განყოფილების უფლებამონაცვლე), ხოლო მესამე პირად – შპს „საქართველოს რკინიგზა“.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული საქმეებისათვის დადგინდა სპეციალური განსჯადობა, ხოლო იმავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა, განსახილველად გადაეცემოდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სასამართლოებს.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დასტურდებოდა, რომ სს „ს-ის“ მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით სამტრედიის რაიონულ სასამართლოს მიმართა საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ ძალაში შესვლის შემდეგ.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარეთა განმარტება სამტრედიის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვის გაგრძელების თაობაზე, ვინაიდან საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი ამ კანონით გათვალისწინებული საქმეებისათვის ადგენდა სპეციალურ განსჯადობას, შესაბამისად, აღნიშნული საქმე სააქციო საზოგადოების სარჩელის გამო, განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმე მას გადაეცა მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ე.წ. სპეციალური განსჯადობა და საქარ-

თველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე მისი განხილვა უნდა მომხდარიყო გაკოტრების საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ.

კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავდა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული დავის საგანი. იმავე კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად ადგენდა საქმის განხილვას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, კერძოდ, სარჩელი უნდა წარდგენოდა იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილი იყო განეხილა და გადაეწყვიტა ადმინისტრაციული საქმე. ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიც, მოსამართლე არ მიიღებდა სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ იყო. სამოქალაქო სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების ჩამონათვალს კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეიცავდა და უთითებდა, თუ რა დავებს განიხილავდა სამოქალაქო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმების ანალიზი სასამართლოს სრულ საფუძველს აძლევდა ემტკიცებინა, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაგზავნილი ადმინისტრაციული საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ვერ მოხდებოდა, რადგან სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არაუფლებამოსილი იყო განეხილა სხვა სასამართლოს (ადმინისტრაციულ სასამართლოს) დაქვემდებარებული საქმე და მიეღო გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი ნორმა არ უნდა ყოფილიყო გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით და მისი იმგვარი განმარტება, რომელიც კონსტიტუციურ, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს (კანონიერი და უფლებამოსილი სასამართლოს უფლება) ეწინააღმდეგებოდა, არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გან-

მარტებით, დასახელებული ნორმის განმარტება უნდა მომხდარიყო იმგვარად, რომ მისი არსი შესაბამისობაში ყოფილიყო კანონმდებლობით დადგენილ მართლმსაჯულების განხორციელების ზოგად პრინციპებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, კანონით განმარტებულ „ნებისმიერ დავაში“ იგულისხმებოდა მხოლოდ მოვალის ქონებასთან დაკავშირებული, ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა, რომელიც შეიძლებოდა განხილულიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად და არა ნებისმიერი სამართლებრივი საფუძველიდან წარმოშობილი (სისხლის ან ადმინისტრაციული) საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის საქმის გადაგზავნით დარღვეული იყო, ასევე, ტერიტორიული განსჯადობის პრინციპიც.

**3. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სამტრედიის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საფუძველზე სს „ს-ის“ მიმართ მიმდინარეობდა გაკოტრების წარმოება. საქმის მასალებით ასევე დადგენილი იყო, რომ დასახელებული დავა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში იხილებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაიგზავნა მხოლოდ საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე იმ მოტივით, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს სს „ს-ის“ გაკოტრების წარმოება და აღნიშნულ შემთხვევებზე სპეციალურ განსჯადობას ითვალისწინებს კანონი.

საკასაციო სასამართლო დაეთანხა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, მართალია, საქართვე-

ლოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა, განსახილველად გადაეცემა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სასამართლოებს, ხოლო იმავე მუხლის მე-6 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დავებს განიხილავენ და გადაწყვეტილებას გამოიტანენ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სასამართლოები. ამასთანავე, დასახელებული, ე.წ. სპეციალური განსჯადობის საკითხი არ უნდა გადაწყდეს ამ ნორმის მხოლოდ სიტყვასიტყვითი განმარტების საფუძველზე და მისი შინაარსის გარკვევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართალწარმოებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა დებულებებიც.

საკასაციო სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურიდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე, მიუთითა საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-15 მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განიხილავს ერთპიროვნულად ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით. ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი (სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები) განსაზღვრავს, ადმინისტრაციული დავის საგანს და მათ კონკრეტულ ჩამონათვალს იძლევა. ამავე კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კი ადგენს საქმის განხილვას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, კერძოდ, და-

სახელმწიფო ნორმა ითვალისწინებს, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ანალოგიურად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. სამოქალაქო სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების რეგლამენტაციას კი ადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, რომელიც განმარტავს, თუ რა დავებს განიხილავს სამოქალაქო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის მე-3 თავი განსჯადობის საკითხს ეხება და სამოქალაქო სასამართლოს ქვემდებარე საქმეების საერთო, განსაკუთრებული, ნივთობრივი თუ სხვა პრინციპით საქმეთა გადანაწილებას ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით და მისი იმგვარი განმარტება, რომელიც კონსტიტუციურ, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს (კანონიერ და უფლებამოსილი სასამართლოს უფლება) ეწინააღმდეგება, არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის იმპერატიულ დებულებებს. ამ ნორმის განმარტებაც იმგვარად უნდა მოხდეს, რომ მისი არსი შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მართლმსაჯულების განხორციელების ზოგად პრინციპებს და, რომ კანონით განმარტებულ „ნებისმიერ დავაში“ იგულისხმება მხოლოდ ნებისმიერი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალის ქონებასთან დაკავშირებული დავა, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად და არა ნებისმიერი სამართლებრივი (სისხლის ან ადმინისტრაციული) საფუძვლიდან წარმოშობილი საქმე.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ამ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაც ვერ იქნებოდა აღნიშნული საქმის განმხილველი სასამართლო, რადგან ამით არა მხოლოდ დაირღვეოდა ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი, ასევე, ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი თავად კანონის მიზანი დავის სწრაფად და ეფექტურად დამთავრებისა.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე, სს „ს-ის“ სარჩელის გამო, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის სამხარეო სამმართველოსა და ბ. ნ-ძის მიმართ, მესამე პირი – შპს „საქართველოს რკინიგზა“, სამტრედიის რაიონული სასამართლოს განსჯადს წარმოადგენდა.

**7. სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ ბრძანება შპს-ს წესდებაში ცვლილების შეტანის და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის შეცვლის შესახებ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს და სარჩელი მისი ბათილობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 იანვრის №ბს-1341-916 (გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: შპს-ის წესდებაში ცვლილების შეტანა და სამეთვალყურეო საბჭოს შეცვლა

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თ. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ მიმართ. სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა შპს „თ-სი“. ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილის საფუძველზე სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტომ“ გამოსცა ბრძანება, რომლითაც შეიცვალა შპს-ს წესდება და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა.

მოსარჩელემ, საქართველოს კანონის „მენარმეთა შესახებ“ 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 22-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, მოცემული დავა განხილული უნდა ყოფილიყო არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ, ვინაიდან განსახილველი

დავა შეეხებოდა ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე დარეგისტრირებული მოპასუხე შპს „თ-სის“ წესდებაში ცვლილებების შეტანას, იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ქუთაისის სასამართლოს განსჯადს წარმოდგენდა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინებით მოსარჩელე თ. გ-ეს უარი ეთქვა მოპასუხე სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ მიმართ სარჩელის მიღებაზე.

განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა თ. გ-ემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის წარმოებაში მიღება.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად მიუთითა მოცემული დავის მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით ანუ ქ. ქუთაისის სასამართლოს განსჯადობაზე, რადგან მოპასუხე სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ ადგილსამყოფელი იყო ქ. თბილისი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით თ. გ-ეს უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე დაუსაბუთებლობის გამო და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს<sup>14</sup>.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით თ. გ-ის კერძო საჩივარი, საქმის მასალებთან ერთად, გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას იმ მოტივით, რომ მოცემული დავა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული კატეგორიის დავებს. მოპასუხე სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტო“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს და დავის საგანიც ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა იყო.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გან-

<sup>14</sup> საქმის განხილვისას მოქმედ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415-ე, 419-ე მუხლების რედაქციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

ჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**3. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მოცემული საქმე განხილულ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა იყო სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ ბრძანების ბათილად ცნობა, რომელიც არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. საკასაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მთავარია არა აღნიშნული აქტის ფორმა, არამედ მისი შინაარსი, ხოლო, ვინაიდან ბრძანების შინაარსი, რომლის საფუძველზე დამტკიცდა შპს „თ-ის“ წესდების ახალი რედაქცია, აგრეთვე შეიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა მიუთითებს, რომ სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“, როგორც შპს-ს 100% წილის მფლობელი, მოქმედებდა არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე და არა, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, არამედ, როგორც კერძო პირი – საზოგადოების პარტნიორი. აღნიშნულის გამო, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული კანონმდებლობით მოწესრიგებადი სამართალური თეორთობა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მოცემული საქმე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული კატეგორიის დავებს, რადგან მოპასუხე სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს და დავის საგანიც ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა იყო.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, რომელიც ადმინისტრაციული დავების განსჯადობას განსაზღვრავს, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის საჭიროა შემდეგ პირობათა არსებობა: 1. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილისა ან ადმინისტრაციული დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქმეები; 2. სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო (სამართალსუბიექტობის პრინციპი), თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ დავაში მონაწილეობა არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციულ საქმედ მიჩნევის აბსოლუტურ კრიტერიუმს, არამედ უმთავრესია თავად სადავო სამართალურთიერთობის არსი და დავის საგანი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, ისევე, როგორც კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირების დაფუძნება-რეგისტრაციის, პარტნიორთა უფლება-მოვალეობებისა და საზოგადოების მართვის საკითხები, სამართლებრივად წარმოადგენს კორპორაციულ ურთიერთობას, რომელიც მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „მენარმეთა შესახებ“.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ გასაჩივრებული ბრძანება შეეხებოდა შპს „თ-ის“, როგორც საქართველოს კანონით „სამენარმეთო საქმიანობის შესახებ“ გათვალისწინებული ფორმით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანას. აქედან გამომდინარე, მან განმარტა, რომ სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ ბრძანება არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტომ“ ბრძანების გამოცემით გადაწყვეტილება მიიღო, როგორც საზოგადოების – შპს „თ-ის“ დამფუძნებელმა პარტნიორმა, რაც ვერ ჩაით-

ვლება სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებად და შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევად. ამიტომაც, სადავო სამართალური თვითობის არსისა და დავის საგნის მიხედვით, მოცემული დავა განეკუთვნებოდა სამოქალაქო საქმეთა კატეგორიას და განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

## **§ 5. გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული დავების განსჯალობა**

**1. ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების მოთხოვნით აღძრული სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის №ბს-805-769 (გ-09) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ქონების დაყადაღების შესახებ აღმასრულებლის აქტის ბათილად ცნობა*

### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. დ. მ-მა და ხ. გ-მა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მ. წ-აიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ და მოითხოვეს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომლის თანახმად რ. მ-ს, ლ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა, აღმასრულებლის მიერ ყადაღა დაედო ქონებას, რომელიც მოსარჩელეთა მითითებით, ეკუთვნოდა არა რ. მ-ს, არამედ მოსარჩელებს. შესაბამისად, აღმასრულებელმა არასწორად მიიჩნია ქონება რ. მ-ის საკუთრებად, და არ უნდა მოეხდინა მოსარჩელეთა კუთვნილი ნივთების დაყადაღება.

მოსარჩელებმა დააზუსტეს სარჩელი და მოითხოვეს მოვალის ქონების აღწერის და დაყადაღების შესახებ აღმასრულებლის აქტის ბათილად ცნობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც დასაბუთებული იყო შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ექვემდებარებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას, რადგან სარჩელი მიმართული იყო ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს მიმართ და დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, კერძოდ, საქართველოს კანონიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას და სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ დ. მ-სა და ხ. გ-ის სარჩელი განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავად და არ გაიზიარა ამ უკანასკნელის დასკვნა.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომ მოცემული საქმე არ განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული დავათა კატეგორიას და უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, დ. მ-სა და ხ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლება, ხოლო სასარჩელო მოთხო-

ოვნა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ აღმასრულებლის მიერ ქონების დაყადაღების აქტში არასწორად აღირიცხა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონება, ნაცვლად რ. მ-ის ქონებისა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილავს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამრიგად, კანონმდებელმა საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის კრიტერიუმად განსაზღვრა სწორედ დავის საგანი. ის გარემოება, რომ სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა დაედგინა, რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელეთა მოთხოვნა ყადაღის აქტში შესული ქონებაზე მოსარჩელეთა საკუთრების არსებობის თაობაზე, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მე-2. მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად იძულებითი აღსრულება აღმასრულებლის მიერ დაწყებული იყო კერძო სამართლებრივ დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულია მესამე პირის მიერ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა, სხვისი ვალების გამო აღწერილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ. კანონის მითითებული დანაწესი ადგენს მესამე პირის სარჩელის განსჯად სასამართლოს, სარჩელის სახეს (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ, მათ შორის უკვე რეალიზებულ ქონებაზე) და სარჩელზე მოპასუხე სუბიექტებს.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა რომ აღნიშნული ნორმით განსაზღვრულია მესამე პირების სარჩელის სასამართლო წესით განხილვის წესი, შესაბამისად, დავის განხილვაზე უფლებამოსილმა სასამართლომ – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სარჩელის განხილვისას უნდა შეამოწმოს დ. მ-ისა და ხ. გ-ის სარჩელის მითითებულ ნორმასთან შესაბამისობა, კერძოდ, მოსარჩელენი რამდენად უფლებამოსილნი არიან იდავონ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით დავის არსს არ ცვლიდა ის გარემოება, რომ მოსარჩელებმა დააზუსტეს სარჩელი და მოითხოვეს მოვალის ქონების აღწერის (და დაყადაღების) შესახებ

აღმასრულებლის აქტის ბათილად ცნობა, რათა არ მოხდარიყო მოსარჩელეთა კუთვნილი ქონების მიქცევა აღსასრულებლად.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ აღძრული სარჩელი განეკუთვნება სამოქალაქო დავების კატეგორიას, რადგანაც საკუთრება კერძო-სამართლებრივი, კონკრეტულად, სამოქალაქო კოდექსის ინსტიტუტია, რომლის თაობაზე დასაშვებია სამოქალაქო სარჩელის აღძვრა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე ექვემდებარება სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურიერთობას არ გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი, კერძოდ, დავა არ იყო დაკავშირებული იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო მხოლოდ ის გარემოება, რომ ერთ-ერთ მოპასუხეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო – თბილისის სააღსრულებო ბიურო, არ წარმოადგენდა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის საკმარის საფუძველს.

## **2. მესამე პირის სარჩელი სააღსრულებო ორგანოს მიმართ, მის ქონებაზე არასწორად დადებული ყადაღის გაუქმების შესახებ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის №ბს-477-454 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ქონების დაყადაღების აქტის გაუქმება*

### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ო. ბ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, აღმასრულებლის დაყადაღების აქტის ბათილად ცნობის და მის საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი ბინის ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით.



მოსარჩელემ აღმასრულებლის მიერ შედგენილ დაყადაღების აქტის გაუქმების საფუძველად მიუთითა მასზე, რომ დაყადაღებული ბინა წარმოადგენდა მის საკუთრებას. აღმასრულებლის სიტყვიერი შეტყობინებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ბინა უნდა გაიყიდოს აუქციონზე და შესაბამისი განკარგულება გადაცემული აქვს მის ყოფილ რძალს როგორც მის წარმომადგენელს. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ დაირღვა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 25-ე, 28-ე, 48-ე, 71-ე და 74-ე მუხლების მოთხოვნები, რის გამოც აღმასრულებლის მიერ განხორციელებულ სააღსრულებო მოქმედება არამართლზომიერია.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგი მოტივაციით:

ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას, რადგან იძულებით აღსრულება დაწყებული იყო კერძოსამართლებრივ დავაზე საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხების გადახდევინებაზე; საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულია სარჩელის წარდგენა ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ, რაც წარედგინება მოვალესა და კრედიტორს, ასევე დაყადაღების აქტი შედგენილია კერძოსამართლებრივ დავაზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ გაიზიარა მოსაზრება დავის სამოქალაქო კატეგორიისათვის მიკუთვნების თაობაზე და საქმე განსაჯდობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ო. ბ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე, რადგანაც საქართველოს ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მონესრიგებული.

პალატის მოსაზრებით მოცემული საქმე განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული კატეგორიის დავას და იგი ექვემდებარებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას, რადგანაც, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ო. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება და იგი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო მოქმედების განხორციელების დროს დაირღვა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მოთხოვნები.

კანონმდებელმა საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის კრიტერიუმად განსაზღვრა სწორედ დავის საგანი, რასაც ადმინისტრაციულმა სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, რადგანაც ის გარემოება, რომ სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, დავას არ განაკუთვნებდა სამოქალაქო კატეგორიას. მოცემულ შემთხვევაში სადავო იყო არა მოსარჩელის საკუთრების უფლება დაყადაღებულ ქონებაზე, არამედ მოსარჩელის საკუთრებაში მყოფი ქონების დაყადაღების მართლზომიერება.

საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულია მესამე პირის მიერ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა, სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონებაზე მისაკუთრების უფლების შესახებ. კანონის მითითებული დებულება ადგენს მესამე პირის სარჩელის განსჯად სასამართლოს, სარჩელის სახეს (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ, მათ შორის უკვე რეალიზებულ ქონებაზე) და სარჩელზე მოპასუხე სუბიექტებს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმით განსაზღვრულია მესამე პირების სარჩელის სასამართლო წესით განხილვის წესი, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე, როგორც მესამე პირი ითხოვდა არა ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებას, არამედ როგორც ქონების მესაკუთრე, მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის აქტის არაკანონიერად აღიარებას, მიაჩნდა რა, რომ ყადაღის დადების აქტი აღმასრულებლის მიერ შედგენილი იყო საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მოთხოვნათა დარღვევით. შესაბამისად, სარჩელის საგანს წარმოადგენდა სააღსრულებო მოქმედების არაკანონიერად აღიარების გამო მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის გაუქმება. ამასთან, სარჩელი აღძრული იყო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტში, მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მსჯელობა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრული იყო არა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 32-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე კრედიტორისა და მოვალის წინააღმდეგ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით, არამედ ერთადერთი მოპასუხის – თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ. ამასთან, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა აღმასრულებლის მოქმედებას – ქონების დაყადაღების აქტს იმ საფუძველით, რომ აქტით აღმასრულებელმა აღსრულების მიზნით დააყადაღა, სააღსრულებო მოქმედება განახორციელა, არა მოვალის, არამედ სხვა, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის – მესაკუთრის ქონებაზე. ამრიგად, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო არა ტიპური სარჩელი საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 32-ე მუხლის საფუძველზე ქონების ყადაღისგან გათავისუფლების თაობაზე, არამედ აღმასრულებლის დაყადაღების აქტი, როგორც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მოთხოვნათა უგულებელყოფით განხორციელებული მოქმედება, რომლის არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში იურიდიულ შედეგს სწორედ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონების ყადაღისგან გათავისუფლება წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელი აღმასრულებლის მოქმედების არაკანონიერად აღიარების შესახებ განე-

კუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, რადგანაც მოცემულ სამართალურიერთობას გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ელემენტი, კერძოდ, დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ. ამიტომაც სარჩელი სრულად პასუხობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის განსაზღვრული პირობებს.

**3. შპს-ს სარჩელი სააღსრულებო ბიუროს მიმართ, საქართველოს კანონიდან „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ გამომდინარე მოქმედების განხორციელების თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 მაისის №ბს-1064-1017 (გ-07) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სააღსრულებო ბიუროს მიერ სასამართლოსათვის გადაცემული სააღსრულებო ფურცლების უკან დაბრუნება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. შპს „... კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიერ საქართველოს კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ მე-5 და მე-20 მუხლების შესაბამისად, სასამართლოსათვის დაბრუნებული სააღსრულებო ფურცლების სააღსრულებო ბიუროსათვის უკანვე გადაცემა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაება ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „... კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობის წესით განსახილვე-

ლად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოების მიერ სამოქალაქო სა-მართალწარმოების წესით განიხილება პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები. დავის ადმინისტრაციულსამართლებრივად მიჩნევისათვის უმთავრესია, თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს დავა, რა არის დავის არსი და საგანი, ვინ არიან მოდავე მხარეები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. მოცემულ შემთხვევაში რუსეთის საქალაქო სასამართლოს საოქმო განჩინებით მოპასუხედ ჩაბმული იქნა ადმინისტრაციულ ორგანო – ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო. სააპელაციო პალატის მითითებით, აპელანტი სააღსრულებო ფურცლების ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნების მოთხოვნით ასაჩივრებდა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მოქმედებას, რის გამოც, სააპელაციო პალატის აზრით, სახეზე იყო ადმინისტრაციული დავისთვის დამახასიათებელ მეორე ნიშანიც – დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა რა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას აღნიშნული საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე, საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ შპს „... კომპანიის“ გენერალური დირექტორის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის საგანია სააღსრულებო ფურცლების ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნება. სასარჩელო განცხადების, ასევე, სააპელაციო წესით გასაჩივრებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები ემყარება საქართველოს კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ ნორმებს. აპელანტი თავის მოთხოვნას ამყარებდა იმ გარემოებას, რომ სადავო ქონება წარმოადგენდა აპელანტის საკუთრებას და სს „...-ის“ გაკოტრების მასაში არ შედის.

საქართველოს კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ 13.3. მუხლით დადგენილია, რომ ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სა-სარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცემა გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს. ამავე კანონით არის განსაზღვრული გაკოტრების მასის მოცულობა. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობდა საქართველოს კანონიდან „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, რომელიც კერძო სამართლის კანონმდებლობის სფეროს განეკუთვნება. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვის აუცილებლობას ადასტურებდა, აგრეთვე, საქართველოს კანონიდან „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ წარმოშობილ საქმეთა განხილვის კანონმდებლობით დადგენილი პროცესუალური წესი, რომლის თანახმად, სასამართლო სამართალწარმოებას ახორციელებს ამავე კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე. კერძოდ, საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ მე-4 მუხლი ადგენს, რომ სასამართლოში გაკოტრების საქმის წარმოებისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები, სამოქალაქო საპროცესო ნორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კანონით შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა დადგენილი არ არის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოები ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით განიხილავენ სამოქალაქო საქმეებს. საქართველოს კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ მე-4 მუხლის იდენტურ ნორმას შეიცავს აგრეთვე საქართველოს კანონის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ მე-5 მუხლიც.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განსახილველი საქმე საქართველოს ადმინისტრაციულ-

ლი საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნებოდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები. სადავო სამართალურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ ქმნის საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის საფუძველს. საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ის, რომ სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს. განსახილველ შემთხვევაში დავა კერძო სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა, შესაბამისად, მოქმედების შესრულების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა კერძო და არა საჯარო სამართლის კანონმდებლობა, რის გამოც იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

**4. აღმასრულებლის უმოქმედობის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 27 მარტის №ბს-146-138 (გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: აღმასრულებლის უმოქმედობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ა-მა მოპასუხე თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ ზიანის ანაზღაურების სახით მის სასარგებლოდ... ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, მან თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად, ამისათვის აღმასრულებელმა არანაირი მოქმედება არ განახორციელა რის შედეგადაც მას (მოსარჩელე-

ლეს) მიადგა ზიანი. მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის, 33-ე მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის საფუძველზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, როგორც უფლებამოსილ სასამართლოს, შემდეგი მოსაზრებით:

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება, რაც რეგულირდებოდა სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. აღნიშნული საქმე არ ექვემდებარებოდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განსახილველად, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სასამართლოში განიხილებოდა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას და საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ა. ა-ის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ რეგულირების საგნის სადავო სამართალურთიერთობის, საფუძვლის და შინაარსის გათვალისწინებით მოცემული საქმე ადმინისტრაციული კატეგორიის დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი დამოუკიდებლად აწესრიგებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის. მისი 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებ-



ბისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. სახელმწიფო, თავის მხრივ, ამ შემთხვევაში მოქმედებს თავისი ორგანოების – ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით. ამასთან, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოხელის მიერ მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ მოხელის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დროს ზიანის მიყენების შემთხვევაში. თავის მხრივ, ეს დებულება ადმინისტრაციულ საპროცესო სასამართლოში გამოხატულებას პოულობს შესაბამისი დავის საგნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობის არსებობაში, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანი შესაძლებელია იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული შემთხვევა ასევე მოიცავს თანამდებობის პირის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელის საგანი იყო აღმასრულებლის მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა. ამასთან, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას, რაც უკავშირდება აღმასრულებლის მიერ მისი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას – კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, ითხოვდა სააღსრულებო ბიუროსაგან.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობა, რომ სარჩელის საგანს ანესრიგებდნენ სამოქალაქო კოდექსის ნორმები. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს სასამართლო აღმასრულებლის სამსახურებრივ უფლებამოსილებებს, რომ იგი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსასრულებლად, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. თავის მხრივ, სააღსრულებო დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშიც სააღსრულებო ბიურო შედის, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურ-

რულ ერთეულს<sup>15</sup>. ამრიგად, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლის მიერ მის სამსახურებრივ უფლებამოსილებათა შეუსრულებლობას და აღნიშნულის შედეგად ზიანის მიყენებას. ამასთან, ის გარემოება, რომ მოსარჩელე სარჩელის საფუძვლად ასევე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე, არ გამორიცხავდა საქმის ადმინისტრაციული სამართლის წესით განსჯადობას, ვინაიდან რეალურად, სარჩელის სამართლებრივი საფუძველი იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ ჩათვლა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, სადავო სამართალურთიერთობა პირდაპირ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც სახეზე იყო ადმინისტრაციული შინაარსის დავა, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საქმე.

**5. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე დავის განსჯადობა განპირობებულია იმ გადანყვეტილების იურიდიული ბუნებით, რომლის საფუძველზეც სააღსრულებო ფურცელიყო გაცემული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 30 მაისის №ბს-166-14- (გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სააღსრულებო ფურცლის გაცემა

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადანყვეტილებით საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის სასარგებლოდ პურპროდუქტების კორპორაციის სალიკვიდაციო კომისიას დაეკისრა ტვირთის ფრახტისა და დემერეჯის თანხის გადახდა. გადანყვეტილების შესაბამისად გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც აღსასრულებლად ქ. თბილისის კრწანისის რაიონის

<sup>15</sup> იგულისხმება საქმის განხილვის მომენტისათვის, როდესაც სააღსრულებო დეპარტამენტი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სსიპ-ის ფორმით.

საგადასახადო ინსპექციას გადაეგზავნა. ვინაიდან, მთანმინდა-კრწანისის საგადასახადო ინსპექციაში და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტში სააღსრულებო ფურცლის დედანი არ აღმოჩნდა, საქართველოს საზღვაო სანაოსნო დეპარტამენტის რწმუნებულმა ახალი სააღსრულებო ფურცლის ამონერა მოითხოვა.

ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა განცხადება და საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

განჩინება სააღსრულებო დოკუმენტის გაცემის შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს პუბლიკური უფლებების სახელმწიფო სააქციო კომერციული კორპორაციის სალიკვიდაციო კომისიამ და ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს განჩინებით იგი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს განჩინება.

მასზე კერძო საჩივარი შეიტანა საქართველოს საზღვაო სანაოსნო დეპარტამენტმა, რომელიც არ დაკმაყოფილდა და ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს მიერ საქმე თბილისის საოლქო სასამართლოს გადაეგზავნა.<sup>16</sup>

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით კერძო საჩივარი განსჯადობით განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას გადაეცა.

3. ეს უკანასკნელი არ დაეთანხმა ადმინისტრაციული პალატის მოსაზრებას და კერძო საჩივრის განსჯადობის შესახებ და დავის გადასაწყვეტად საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარიმართა.

---

<sup>16</sup> საქმის განხილვისას მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივარი შეიტანებოდა უშუალოდ განჩინების გამომტან სასამართლოში, ხოლო მის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში – კერძო საჩივარი საქმესთან ერთად გადაიგზავნებოდა ზემდგომ სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნო დეპარტამენტის კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის ქვემდებარეს წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ განმარტა, რომ სააღსრულებო წარმოება არის კანონით მოწესრიგებული იურისდიქციული ორგანოების კანონიერ ძალაში შესული აქტების იძულებითი რეალიზაციის წესი. სააღსრულებო წარმოების საფუძველს წარმოადგენს იურისდიქციული აქტების ძალაში შესვლა, რაც განაპირობებს სააღსრულებო წარმოებას, რომელიც, თავის მხრივ, დაუშვებელია სააღსრულებო ფურცლის გარეშე. სააღსრულებო ფურცელი არის საპროცესო დოკუმენტი, რაც განაპირობებს მის ფორმალურ ხასიათს. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი არის თავდაპირველი დოკუმენტის სანაცვლოდ გაცემული დოკუმენტი, რომელსაც თავდაპირველი დოკუმენტის თანაბარი ძალა გააჩნია. ამიტომაც, სააღსრულებო დოკუმენტის ბუნება არ იძლევა განსჯადობის შესახებ დავის გადანაცვების შესაძლებლობას. კერძო საჩივრის განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა კატეგორიის საქმეთა რიგს განეკუთვნება აღსასრულებელი გადანაცვები.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით პურპროდუქტების სახელმწიფო სააქციო-კომერციულ კორპორაციას ეკისრებოდა სახელმწიფო მმართველობის ფუნქციების განხორციელება. პურპროდუქტების სისტემის ძირეული რეფორმის პროცესის ორგანიზებულად წარმართვისა და დროულად დასრულების მიზნით შექმნილ კომისიას დაევალა კორპორაციისათვის დაკისრებული სახელმწიფო მმართველობის ფუნქციების ორგანიზებული გადაცემა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისათვის. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შექმნილი საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო სააქციო კომერციული კორპორაციის სალიკვიდაციო კომისია წარმოადგენდა სახელმწიფო დაწესებულებას, რომლის მუშაობის ვადა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბრძანებებით იყო გაგრძელებული.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო დეპარტამენტის განცხადება და კერძო საჩივარი ეხებოდა საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო სააქციო კომერციული კორპორაციის სალიკვი-

დაციო კომისიას, ანუ სახელმწიფო დაწესებულების მიერ გარკვეული ქმედების (ფულადი ვალდებულების შესრულების) განხორციელების მოთხოვნას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კერძო საჩივარი უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

**6. სააღსრულებო ფურცლის გაცემა უნდა განხორციელდეს იმავე სამართალწარმოების წესით, რა წესითაც მიღებულ იქნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ამიტომაც სამოქალაქო საქმეზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე განცხადება სამოქალაქო სასამართლოს მიერ განიხილება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოპასუხედ ადმინისტრაციული ორგანოა დასახელებული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის №ბს-82-82(გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სააღსრულებო ფურცლის გაცემა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს რ. გ-ძისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა . . . ლარის გადახდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით დაკმაყოფილდა რ. გ-ძის განცხადება: სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა მოვალე – საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის დეპარტამენტის უფლებამონაცვლის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

საქალაქო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ,

რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და რ. გ-ძის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობის წესით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სამოქალაქო პალატამ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავა არ გამომდინარეობდა მასში დასახელებული ურთიერთობებიდან.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ამიტომაც, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, განსახილველ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებოდა განცხადება საალსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რის გამოც დავა ადმინისტრაციული სამართალურთიერთობიდან გამომდინარედ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად კერძო საჩივარი წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რ. გ-ძე განცხადებით ითხოვდა ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემას თავდაპირველი მოპასუხის უფლებამონაცვლის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ. განცხადება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს არ გააჩნდა მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს – თავდაპირველი მოპასუხის უფლებამონაცვლის მიმართ. იგი ითხოვდა, სააღსრულებო ფურცლის გაცემას თავდაპირველი მოპასუხის უფლებამონაცვლის მიმართ. ანუ, მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო არა დავა, არამედ მოთხოვნა საპროცესო მოქმედების შესრულების თაობაზე: კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლებამონაცვლე ორგანიზაციის მიმართ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ ურთიერთობიდან, რომელსაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა ანესრიგებს.

საკასაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია სამოქალაქო სასამართლოს მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რადგან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებული დავა. მოსარჩელემ სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა განცხადების ფორმით, მაშინ, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოება აგებულია სასარჩელო წარმოებაზე, ამასთან, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სარჩელი აღიძვრება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებული მოთხოვნით; რ. გ-ძეს განცხადებაზე მოპასუხე არ ჰყავდა მითითებული შესაბამისი მოთხოვნის (სადავო საგნის) არარსებობის გამო. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სასამართლომ განჩინება გამოიტანა რ. გ-ძის განცხადებაზე იმ სა-

ფუძვლით, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემა განხორციელდებოდა უფლებამონაცვლე ორგანიზაციის მიმართ.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ კერძო სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას. ამავე კანონის მე-20 მუხლის თანხმად, სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაიცეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა მიმართ.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე მოვალეს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი, ხოლო სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წერილის თანხმად, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის 2006 წლის 30.05 №16 შემაჯამებელი საოქმო გადაწყვეტილებით განსაზღვრულია სამოქალაქო ავიაციის უფლებამონაცვლე ორგანიზაცია – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საკასაციო სასამართლომ, დასკვნის სახით განმარტა, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემა უნდა განხორციელდეს იმავე წესით, რა წესითაც მიღებული იქნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ხოლო მოცემულ შემთხვევაში საბურთალოს რაიონის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღებამდე. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე კერძო საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

**7. სარჩელი სააღსრულებო ორგანოს მიმართ, სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილების აღსრულებისაგან თავის შეკავების მოთხოვნაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ნოემბრის №ბს-992-949 (გ-07) განჩინება



რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ვ. გ-მასარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – თბილისის სა-  
აღსრულებო ბიუროს აღმასრულებელის მიმართ, მესამე პირის – მ.  
ჭ-იას მონაწილეობით, და მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება  
თავი შეიკავოს ქმედების განხორციელებისაგან.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის განჩინებით, სარჩელი განსჯადობით განსახილვე-  
ლად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა კოლეგიას შემდეგ მოსაზრებათა გამო:

ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ად-  
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და განმარ-  
ტა, რომ მოსარჩელე ვ. გ-ს სარჩელი დაკავშირებული იყო სამოქა-  
ლაქო დავაზე გამოტანილ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-  
ლების აღსრულებასთან, რის გამოც დავა განხილული უნდა ყოფი-  
ლიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციული სასამართლოს მსჯე-  
ლობას დავის სამოქალაქოდ მიჩნევის თაობაზე და საქმე განსჯა-  
დობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენა-  
ეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ვ. გ-ის სარჩელი  
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემ-  
დეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას  
წარმოადგენდა მოპასუხე თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის  
ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების დავალდებულე-  
ბა, კერძოდ, არ აღასრულოს კანონიერ ძალაში შესული სასამარ-  
თლო გადაწყვეტილება, რაც ადმინისტრაციული კატეგორიის და-  
ვას წარმოადგენდა, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამასთან, სარჩელი აღძრული იყო თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელსაც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა აწესრიგებს.

საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომლის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თავის საქმიანობაში სააღსრულებო დანესებულება – სააღსრულებო ბიურო, ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს ნორმატიული აქტებით და სააღსრულებო ბიუროს დებულებით. ანალოგიურად, ამავე კანონის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო აღმასრულებელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ ინსტრუქციითა და სხვა ნორმატიული აქტებით. მითითებული აქტებით, სააღსრულებო წარმოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დადგენილია სპეციალური პროცედურა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სააღსრულებო მოქმედებები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლის მიერ სავსებით ლოგიკურად დადგინდა რა ადმინისტრაციული წარმოების სპეციალური სახე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოთა საგამონაკლისო საქმიანობათა ჩამონათვალში მიუთითა სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საქმიანობაც. იგი გულისხმობს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეები არ გამოიყენება სააღსრულებო მოქმედება-

თა განხორციელების სტადიებზე შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას. ეს დათქმა არ შეიძლება გაგებული იქნას იმგვარად, რომ სააღსრულებო დანესებულებების მიმართ საერთოდ არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების მოქმედება, რადგანაც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ყველა ადმინისტრაციული ორგანოს, მათ შორის, სააღსრულებო დანესებულების, როგორც სახელმწიფო ორგანოს, საქმიანობაზეც<sup>17</sup>.

ამასთანავე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით „ადმინისტრაციული წარმოება“ განმარტებულია, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, აგრეთვე, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის მიზნით. შესაბამისად, ამ კოდექსით დადგენილი, ადმინისტრაციული წარმოების ინსტიტუტის ნორმების მოქმედება ვერ გავრცელდება სასამართლო აქტების აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო წარმოების საფუძველზე სააღსრულებო მოქმედებების ჩატარება ემსახურება არა ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემას, არამედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს. მოქმედი კანონმდებლობით სასამართლო აქტების აღსრულების კომპეტენცია არ არის სასამართლო სისტემის იურისდიქცია, იგი განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის – თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის, ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების დავალება, კერძოდ, აღმასრულებლის დავალდებულება, თავი შეიკავოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისაგან. ეს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა მოთხოვნ-

<sup>17</sup> სააღსრულებო წარმოებაზე, როგორც ადმინისტრაციული წარმოების ნაირსახეობაზე იხ. – საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 19 მაისის №ბს-174-135-(კ-05) გადაწყვეტილება.

ნას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელები-საგან თავის შეკავების თაობაზე, სარჩელი კი აღძრული იყო საქარ-თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ და-ვის არსს არ ცვლიდა ის გარემოება, რომ აღსრულება მიმდინარეობ-და სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გა-დანყვეტილებაზე, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა აღმასრულებლის მიერ გადანყვეტილების აღსრუ-ლების მიზნით განხორციელებულ მოქმედებებს, მიაჩნდა რა, რომ აღმასრულებლის მოქმედებით შეილახება მისი უფლებები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზო-გადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის სწორი განმარტების შედეგად, სააღსრულებო ბიუროს მიერ გან-ხორციელებული მოქმედებების მიმართ აღძრულ სარჩელებზე სა-მართალწარმოება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული მარ-თლმსაჯულების მეშვეობით. სააღსრულებო წარმოება ხორციელ-დება ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილის – საქართვე-ლოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საფუძველზე. შესაბამისად, სააღსრულებო ორგანო, თავისი ფუნქციების გან-ხორციელებისას იყენებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღო-ნისძიებების ნაირსახეობებს: ადმინისტრაციულ აქტს, რეალაქტს, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ხოლო თითოეული მათგანის კანონიერება უნდა გადამოწმდეს ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების მეშვეობით..

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ად-გენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსახორციელებელი ფაქტობრივი მოქმედებებისაგან პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარ-ჩელი შეიძლება აღიძრას როგორც ქმედების განხორციელების ასევე, ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხო-ვნით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართა-ლურთიერთობას გააჩნდა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, კერძოდ, დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ასევე, სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის დადგენილი, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის წინაპირობები.

**8. სარჩელი სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების აკრძალვის შესახებ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის №ბს-1036-990 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესრულების აკრძალვა*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. სს „...-მ“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბორჯომის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროსა და შპს „...ის“ მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით სს „...-ს“ შპს-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალტერნატიული ვალდებულების შესრულება: 80000 ცალი 0,5 ლიტრი ტევადობის ბოთლის ნატურით გადაცემა ან მისი ღირებულების გადახდა. გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

მხარეთა შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება გადაწყვეტილების აღსრულების პირობების შესახებ, რომელიც სააქციო საზოგადოებამ შეასრულა. ამისდა მიუხედავად, მან სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროდან მიიღო დოკუმენტი, რომლითაც სასამართლო აღმასრულებელი წინადადებას აძლევდა, საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს სააღსრულებო ფურცელზე მითითებით, საარბიტრაჟო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წარედგინა ქონების ნუსხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სააღსრულებო ფურცელი გაცემული იყო ამ სახის აქტისათვის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. მან მოითხოვა საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა და სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროსათვის დასახელებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სააღსრულებო მოქმედებათა განხორციელების აკრძალვა.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „. - მ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის საოქმო განჩინებით სს-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას.

პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილებოდა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციულმა პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი საქმე სამართლებრივად არ წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დავას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ახორციელებდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, აღნიშნული საქმიანობა დაკავშირებული იყო მართლმსაჯულების განხორციელებასთან და სპეციალური კანონით იყო მოწესრიგებული. ამავე დროს, დავის იურიდიულ ბუნებას არ ცვლიდა ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო – საქართვე-

ლოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიურო, რადგანაც სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა და დავის საგანი არ იყო დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით სს „...-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...-ამ“, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებით სს „...-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინება სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თაობაზე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, ხოლო დანარჩენ (სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებულ მოქმედებათა აკრძალვის) ნაწილში სააპელაციო პალატის განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას წარედგინა აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სს „...-ის“ სააპელაციო საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

4. საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით – ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას, რომელიც სს „...“-ამ დაზუსტებული სარჩელით დააყენა, წარმოადგენდა სააღსრულებო ბიუროსათვის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სააღსრულებო მოქმედებათა განხორციელების აკრძალვა. აღნიშნული წარმოადგენდა ადმინისტრაციული სახის დავას, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებით უცვლელად დარჩა ქვემდგომი სასამართლოების გააწყვეტილებები სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში სააპელაციო პალატის აღნიშნული განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. მართალია, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინების ის ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა აპალანტის მოთხოვნა სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის შესახებ, შესულია კანონიერ ძალაში, მაგრამ სასამართლოში განხილვის საგანს წარმოადგენდა სააღსრულებო ბიუროსათვის სააღსრულებო მოქმედებათა აკრძალვა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე-



ობს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრება, რომ აპელანტის მოთხოვნა მოცემულ საქმეზე არ გამომდინარეობდა პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობებიდან. სახეზე იყო საჯარო-სამართლებრივი დავა კერძო სამართლის იურიდიულ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და მიმართული იყო განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს (სააღსრულებო ბიუროს) სააღსრულებო მოქმედებების აკრძალვისკენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე სს „...-ის“ სააპელაციო საჩივრის გამო ბორჯომის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადი იყო.

**9. სამოქალაქო დავაზე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცლის გაუქმების და სააღსრულებო მოქმედების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 27 ოქტომბრის №ბს-977-563 (გ-05) განჩინება

## რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ვ. ბ-მა და ვ. კ-მა სარჩელი აღძრეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“, თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და მ. წ-ძის მიმართ და მოითხოვეს შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. წ-ძის საარბიტრაჟო პრეტენზია და დადგინდა ვ. კ-ისა და ვ. ბ-ის იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით, მ. წ-ძის მიმართ არსებული ვალის გადახდა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მითითებულ გადაწყვეტილებაზე გამოწვეული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წინადადების ბათილად ცნობა.

მოსარჩელის განმარტებით, მ. წ-ძესა და ვ. ბ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ვ. ბ-ის კუთვნილი, თბილისში, ... მდებარე საცხოვრებელი სახლის ნაწილი.

ხელშეკრულების მე-9 პუნქტის თანახმად, სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით, იპოთეკარი განცხადებით მიმართავდა რაიონულ სასამართლოს იპოთეკის საგნის ადგილმდებარეობის მიხედვით. ხელშეკრულებით ასევე დეტალურად განისაზღვრა სამართლებრივი გარანტიები, რაც შესაძლებლობას მისცემდა მესაკუთრეს, თავიდან აეცილებინა ნივთის რეალიზაცია.

მოსარჩელის მითითებით, მ. წ-ძეს იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნით შეეძლო მიემართა მხოლოდ სასამართლოსათვის. შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ არ უნდა მიეღო მისი საარბიტრაჟო პრეტენზია, რადგან მხარეებს შორის საარბიტრაჟო შეთანხმება არ არსებობდა. გარდა ამისა, შპს გასცდა საარბიტრაჟო პრეტენზიის საგანს, რითაც უგულებელყოფილ იქნა საარბიტრაჟო სასამართლოს დებულების 17.6 მუხლი. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, მოვალედ არასწორად დასახელდა ვ. კ.

მოსარჩელის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, სააღსრულებო ფურცელი უნდა გაუქმდეს, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება ასეთ შემთხვევაში წყდება, თანახმად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა, ხოლო გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის გაუქმების შემდეგ აღარ იარსებებს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

საქმის განხილვის პროცესში დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეებად მიეთითა ქ. თბილისის საღსრულებო ბიურო და მ. წ-ძე, ხოლო მესამე პირად – შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ გადაწყვეტილება, მის საფუძველზე გაცემული საღსრულებო ფურცელი და ბათილად იქნა ცნობილი სააღსრულებო ბიუროს წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. წ-ძემ.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის საოქმოდ განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, 26-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 182-ე მუხლების, 279-ე მუხლის „დ“ პუნქტისა და 282-ე მუხლის შესაბამისად, მ. წ-ძის სარჩელის მე-3 მოთხოვნა თბილისის სააღსრულებო ბიუროს წინადადების გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე ბათილად ცნობის შესახებ ცალკე წარმოებად გამოეყო საქმეს. სარჩელის 1-ლი და მე-2 მოთხოვნები შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის გაუქმების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას, საქმის წარმოება სარჩელის მესამე მოთხოვნაზე შეჩერდა მხარეთა დავის სარჩელის სამოქალაქო მოთხოვნების ნაწილში გადაწყვეტამდე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თავდაპირველი გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა სამოქალაქო საქმეზე, ამასთან, მესამე მოთხოვნა მთლიანად დამოკიდებულია პირველი და მეორე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. დავის უმთავრეს საგანს წარმოადგენდა შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ გადაწყვეტი-

ლების გაუქმება და ამავე არბიტრაჟის მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა, რაც შინაარსობრივად სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნები იყო და ისინი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, რადგან შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ გადაწყვეტილება გამოტანილი იყო სამოქალაქო დავაზე, კერძოდ, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მესამე მოთხოვნა, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წინადადების ბათილად ცნობის თაობაზე, წარმოადგენდა ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეს, რომელიც დამოკიდებული იყო იმაზე, დაკმაყოფილებოდა თუ არა სარჩელის წინა ორი სამოქალაქო ხასიათის მოთხოვნა.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის საოქმო განჩინებაში მოცემული მოსაზრებანი და აღნიშნა, რომ საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოებისა და კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომელიც საჯარო სამართლებრივი კანონია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააღსრულებო ფურცლის გაუქმების შესახებ დავა განხილულ უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმე შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ გადაწყვეტილების გაუქმებისა და მის მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის გაუქმების ნაწილში სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადს წარმოადგენდა.

საქმის მასალების თანახმად, ვ. ბ-ლი და ვ. კ-ლი ითხოვდნენ შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. ნ-ძის საარბიტრაჟო პრეტენზია და დადგინდა ვ. კ-ისა და ვ. ბ-ის იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით, მ. ნ-ძის მიმართ არსებული გადახდა, მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს მითითებულ გადაწყვეტილებაზე გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის გაუქმება და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წინადადების ბათილად ცნობა.

საკასაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მოსარჩელეთა ძირითადი მოთხოვნა, რომლის გადაწყვეტაზეც დამოკიდებული იყო დანარჩენი ორი მოთხოვნის გადაწყვეტა, კერძოდ, სააღსრულებო ფურცლისა და აღმასრულებლის წინადადების ბათილად ცნობა, წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სადავო ურთიერთობის ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიასათვის მისაკუთვნებლად იგი უნდა გამოდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

აღნიშნულის შესაბამისად, მოთხოვნა შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული დავის საგანს, რადგან შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ დებულების პირველი მუხლის 1.1 ნაწილის თანახმად, არბიტრაჟი იხილავს მხარეთა შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავას. საქმის მასალებითაც დადგენილი იყო, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა“ განიხილა სამოქალაქო სამართლებრივი დავა, კერძოდ, სესხის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად, შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება სცილდება ადმინისტრაციული დავის სფეროს და იგი განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. არბიტრაჟის გადაწყვეტილების შესაბამისად, გამოწერილი სააღსრუ-

ლებო ფურცლის გაუქმებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მოსაზრება აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის შესახებ, რადგან იგი არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და არ ხვდებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალში.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 21 -ე მუხლის საფუძველზე, სააღსრულებო ფურცელი გადაეცემა კრედიტორს, რომლის სადავოობის შემთხვევაში, მოპასუხეს წარმოადგენს კრედიტორი შესაბამისად, დავის სუბიექტებს ფიზიკურ პირები წარმოადგენდნენ, რის გამოც იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

**10. სპეციალისტის მიერ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ნივთის აუქციონზე რეალიზაცია, კერძო აღმასრულებლის საქმიანობისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილების განხორციელებას და მის თაობაზე დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის №ბს-216-214 (გ-12) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: სპეციალისტის მიერ ჩატარებული აუქციონის ოქმების და განკარგულების ბათილად ცნობა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. კ.-მა და მ. ბ.-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – შპს „...-ის“ მიმართ და მოითხოვეს შპს-ის მიერ ჩატარებული აუქციონის სხდომის ოქმების და განკარგულების ბათილად ცნობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილვე-

ლად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსარჩელებმა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და, საბოლოოდ, თავდაპირველი ფორმით განსაზღვრულ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად ითხოვეს მორიგების აქტის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად სარჩელი წარიმართა საკასაციო სასამართლოში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული საქმე დავის საგნისა და არსის, სადავო ურთიერთობის მიხედვით, უნდა განხილულიყო არა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, არამედ იგი ადმინისტრაციული წესით განსახილველი იყო. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“, ლიკვიდირებულ იქნა ქ. თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო სპეციალიზებულ, ადმინისტრაციულ, სისხლის და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებით. საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-16 მუხლით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესებით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლები, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის დასახელებულ მუხლით დავა, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

1. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ სარჩელი განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „...-ის“ ... მიერ ჩატარებული აუქციონის

სხდომის ოქმის, განკარგულების და . . მორიგების აქტის ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, ხოლო მისი მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, მათ შორის – სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს შორის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დაფარვის მიზნით მსესხებელმა, სს ბანკმა „...-მ“, თავდებებმა ი/მ „მ. ბ-მა“, „...-მა“ და იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრეებმა ა. კ-მა და ე. ზ-მა გააფორმეს მორიგების აქტი. მისი მე-6 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ იპოთეკის საგნის რეალიზაციის ფორმაზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მხარეებმა იპოთეკის საგნის რეალიზაციის მიზნით სპეციალისტად დანიშნეს შპს „...“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლი ითვალისწინებს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გაყიდვის შესაძ-



ლებლობას მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე სპეციალისტის დანიშვნის გზით. სპეციალისტის მიერ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ნივთის აუქციონზე რეალიზაცია არ ითვლება იძულებით აღსრულებად, რადგანაც, მისი დანიშვნა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის განსაზღვრის მოცემული წესი სრულად ემყარება კერძო პირთა ნების ავტონომიას. საკასაციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლზე, რომლის თანახმად აუქციონის ჩატარების მოცემულ წესზე არ ვრცელდება საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მოთხოვნები, იგი წესრიგდება მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის მე-6 ნაწილის, 3061-ე – 3063-ე მუხლების, 3065-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 307-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

ამრიგად, შპს „...-ის“ დირექტორის მიერ ნივთის აუქციონზე რეალიზაცია ემყარებოდა კერძო სამართლის ნორმებს და მის მიერ განხორციელებული მოქმედებები არ წარმოადგენდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილების განხორციელებას, განსხვავებით კერძო აღმასრულებლის საქმიანობისაგან, რომელიც საქართველოს კანონის „სააღსრულებო საქმიანობის შესახებ“ 146-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს ფიზიკურ პირს და რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე.

შესაბამისად, სპეციალისტის მიერ უძრავი ქონების რეალიზაციის წესები და პირობები განისაზღვრება მხოლოდ კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტის – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, რომელთა გამოყენებით უნდა იქნეს შემოწმებული სასარჩელო მოთხოვნათა საფუძვლიანობა და განისაზღვროს სამართლებრივი შედეგი.

გარდა ამისა, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სასარჩელო მოთხოვნები მიმართული იყო მოპასუხე – კერძო სამართლის იურიდიული პირის – შპს „...-ის“ მიმართ. შესაბამისად, რადგან მოსარჩელე, ფიზიკური პირების სასარჩელო მოთხოვნები თავისი არსით სამოქალაქო-სამართლებრივია, ისინი წარდგენილი აქვს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, დავა განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**11. აღმასრულებლის გაცხადება უდავო სამართალწარმოების წესით განკარგულების გაუქმების თაობაზე, იმისდა მიუხედა-**

**ვად, რომ იგი ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება. დავა ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი გახდება მხოლოდ შესაბამისი მოთხოვნის სასარჩელო განცხადების ფორმით წარდგენისას.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის  
7 ივლისის №ბს-678-265- (გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: აუქციონის შედეგების თაობაზე  
განკარგულების გაუქმება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა განცხადებით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 76-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელის მიერ გამოცემული განკარგულების ბათილად ცნობა.

სასარჩელო განცხადების მიხედვით, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, ჩატარდა აუქციონი გ. რ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე, მდებარე თბილისში . . . , რომელიც შეიძინა ნ. გ-ძემ. ამ უკანასკნელმა მთლიანი თანხის 10% შეიტანა სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი თანხა ლარი უნდა გადაეხადა ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადაში მან ნაცვლად . . . ლარისა, გადაიხადა . . . ლარი, რითაც დაირღვა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 71-76-ე მუხლები და აუქციონის პირობები. მოგვიანებით, მაგრამ 7 დღიანი ვადის დარღვევით ნ. გ-ძემ, სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე შეიტანა სხვაობა.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის განკარგულება, რომლითაც აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა ნ. გ-ძე. ამ უკანასკნელმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და სასამართლო აღმასრულებლის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, რაიონულმა სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რადგან არ გაითვალისწინა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სააღსრულებო ბიუროს მიმართა კრედიტორმა განცხადებით მოთხოვნის ნაწილზე – მის მიერ დროულად გადაუხდელობაზე ფულად თანხაზე უარის შესახებ, ხოლო საბოლოოდ მან შეავსო დოლარის კურსის ცვლადობით გამოწვეული დანაკლისი. გარდა ამისა, განცხადებით აცნობა სააღსრულებო ბიუროს დარჩენილი თანხის გადახდაზე მზადყოფნის თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით სასამართლო აღმასრულებელმა შემძენს შეძენილი ქონების საფასურის გადასახდელად ძალიან მცირე ვადა დაუდგინა, თუმცა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 75-ე მუხლის შესაბამისად, შეედლო უფრო ხანგრძლივი ვადის განსაზღვრა. ამასთან, აუქციონზე შეთანხმებული ფასის სრულად გადაუხდელობა არ წარმოადგენს სააღსრულებო განკარგულების გაუქმების საფუძველს და აღნიშნული მხოლოდ აბრკოლებს შეძენილ ქონებაზე შემძენის კანონიერი უფლებების გამოყენებას.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით ნ. გოცირიძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით კერძო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას იმ მოტივით, რომ დავის საგანს წარმოადგენდა სააღსრულებო ბიუროს განკარგულების ბათილად ცნობა, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, რის გამოც კონკრეტული დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა არ და-

ეთანხმა ამ მოსაზრებას და ნ. გ-ძის კერძო საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადს წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება კერძო საჩივრის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ აღმასრულებლის განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს და ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოება გულისხმობს მოდავე სუბიექტებს შორის არსებული დავის სასარჩელო წარმოების წესით გადაწყვეტას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაუშვებელია უდავო წარმოება, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ ფაქტის დადგენას სასამართლოს მიერ, როდესაც ამ ფაქტს არავინ სადავოდ არ ხდის. ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს კი სასარჩელო წარმოების წესით იხილება დავა იმ სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ აღმასრულებელმა სასამართლოს მიმართა არა სარჩელით, არამედ განცხადებით.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ვინაიდან თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა მის მიერ გამოცემული განკარგულების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა არა სარჩელით, არამედ განცხადებით, კერძო საჩივარი განსახილველად სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადს წარმოადგენდა, რომელმაც სათანადოდ უნდა შეაფასოს ის გარემოება, რომ აღმასრულებლის განკარგულების კანონიერება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის

საგანი გახდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელი სასამართლოს მიმართავდა არა განცხადებით, არამედ სარჩელით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

**12. გადაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის მოვალისათვის ფულადი ჯარიმის გადახდევინების შესახებ საკითხი საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ შესაბამისად, განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 თებერვლის №ბს-1067-1018 (გ-06) განჩინება  
*განმცხადებლის მოთხოვნა: გადაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის დაჯარიმება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიუთითა, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში იყო კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომლის შესაბამისად, დ. ბ-ს დაევალა ქ. თბილისში რუსთაველის გამზ. №23-ში მდებარე ნ. შ-ძისა და ვ. ა-ნის საცხოვრებელი ბინების შეკეთება-აღდგენა, დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობაში მოყვანით, სათანადო წესით შედგენილი და დამტკიცებული პროექტის საფუძველზე. აღნიშნული მოქმედების ხარჯები ეკისრებოდა მოვალეს.

მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, მოვალე არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს და თავს არიდებდა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააღსრულებო ბიურო ითხოვდა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 87-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს მიერ შესაბამისი ზომების მიღებასა და მოვალისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრებას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 87-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თუ მოქმედება არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე, მაშინ სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები, რათა აიძულოს მოვალე შეასრულოს მოქმედება, კერძოდ, დააკისროს მას ფულადი ჯარიმა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ფულადი ჯარიმის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დადგენას წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი განკარგულება, თუ ამ განკარგულებას არ შეიცავს ის სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებს მოვალეს, მაშინ მას კრედიტორის განცხადების საფუძველზე გამოსცემს სასამართლო. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, ფულადი ჯარიმა გადაიხდევის იმ წესების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია ფულადი მოთხოვნების აღსრულებისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს განმარტებით, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ სასამართლოში წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვეოდა, რომ დავა, რომელზეც გამოწერილი იყო სააღსრულებო ფურცელი, გამომდინარეობდა ფიზიკურ პირებს შორის არსებული ურთიერთობებიდან და განხილული იყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, გადაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის მოვალეზე ფულადი ჯარიმის გადახდევინების შესახებ საკითხი საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 87-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განხილულ უნდა ყოფილიყო ფიზიკურ პირებს შორის ფულადი მოთხოვნების აღსრულებისათვის დადგენილი წესების მიხედვით, ანუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას საქმის სამოქალაქო წესით განხილვის თაობაზე და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართალწარმოების წესებით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის – მე-11 და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლები, ხო-

ლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლით დავა, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს ან თუ მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მხრივ რაიმე ვალდებულების შესრულებას ან ქმედების განხორციელებას და სხვას შეეხება, ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ აღძრული სარჩელით განსახილველი დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, კერძოდ, საქართველოს კანონიდან „სააღსრულები წარმოებათა შესახებ“, შესაბამისად, სარჩელიც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სპეციალიზებული კოლეგიის განხილვას ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადების გამო განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვეოდა, რომ სააღსრულებო ბიუროს მოთხოვნა ემყარებოდა საქართველოს კანონის „სააღსრულები წარმოებათა შესახებ“ 87-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის შესაბამისადაც, თუ მოქმედება არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე, მაშინ სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები, რათა აიძულოს მოვალე შეასრულოს მოქმედება, კერძოდ, დააკისროს მას ფულადი ჯარიმა.

განმცხადებელის მითითებით მას აღსასრულებლად გადაეცა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომელიც მოვალეს ავალდებულებდა ნივთის დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობაში მოყვანას და რასაც მოვალე, მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, არ ასრუ-

ლებდა, რის გამოც განმცხადებელს მიაჩნდა, რომ მოვალის მიმართ გატარებული უნდა იყოს საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 87-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლომ სასამართლოთა ყურადღება მიაქცია ზემოაღნიშნული მუხლის დისპოზიციას, რომელიც შეიცავს უშუალო მითითებას მოვალის იძულებაზე, შეასრულოს მოქმედება, ე.ი. ნორმის მიზანს წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, სახეზეა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. საგულისხმოა, რომ ანალოგიურ შესაძლებლობას კანონმდებელი ითვალისწინებს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტშიც, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ისეთი გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რაც დაკავშირებული არ არის ქონების ან ფულადი თანხის გადაცემასთან, სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაში შეუძლია მიუთითოს, რომ თუ მოპასუხე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს დადგენილ ვადაში, მოსარჩელეს უფლება აქვს ეს მოქმედება შეასრულოს მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით.

ამრიგად, საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 87-ე მუხლის დანიშნულებას წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, რისი რეალიზაციის შედეგადაც, ფაქტობრივად, სახეზეა გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების შეცვლა.

გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების შეცვლის საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილიც შეიცავს პირდაპირ მითითებას იმ სასამართლოსადმი მიმართვის სავალდებულობაზე, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ გადაწყვეტილება, რომლის აღსრულების საკითხსაც ეხებოდა წინამდებარე განცხადება, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეზე იყო მიღებული.

საკასაციო სასამართლომ „რაიონული სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიის მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებაში 2005 წლის 12 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის №213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლი-



ლებების გათვალისწინებითა და ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმების მხედველობაში მიღებით მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადება განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

**13. სააღსრულებო ორგანოს მიმართ წარდგენილი თავდაპირველი სარჩელის (სააღსრულებო წარმოების შეჩერება და ბინის ყადაღისაგან განთავისუფლება), კერძო სამართლებრივი მოთხოვნით (ბინის წილზე მესაკუთრედ ცნობა) შეცვლის შემთხვევაში და-ვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 24 სექტემბრის №ბს-548-471-(კ-04) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: აღსრულების შეჩერება და წილის ყადაღისაგან განთავისუფლება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოში ბათუმის სააღსრულებო ბიუროს მიმართ სარჩელი აღძრეს რ. და ა. ჟ-მა და მოითხოვეს ქ. ბათუმში, . . . მდებარე ბინაზე აღსრულების შეჩერება და ამ ბინაში მათი კუთვნილი 2/3 წილის ყადაღისაგან განთავისუფლება იმ საფუძველით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემულ ბინაში ისინი წარმოდგენდნენ თანამესაკუთრეებს და თითოეული მათგანის წილი, შეადგენდა 1/3-ს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელების მოთხოვნა და შეჩერდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილების აღსრულება მოცემული დავის გადაწყვეტამდე. მოსარჩელებმა დამატებითი სასარჩელო განცხადებით ითხოვეს თავდაპირველი მოპასუხის, ბათუმის სააღსრულებო ბიუროს, სათანადო მოპასუხეებით – კრედიტორ ვ. ჟ-ითა და ბინის მესაკუთრე რ. ჟ-ით ჩანაცვლება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ჟ-მა, რომელმაც მისი გაუქმება მოითხოვა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით კერძო საჩივარი, როგორც დაუსაბუთებელი, არ დაკმაყოფილდა და განსახილველად

გადააგზავნა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოში. აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით ვ. ჟ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებდა საქმე არსებითად განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით რ. და ა. ჟ-ს სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებისა და ბინის ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელები მოთხოვნას საფუძვლად უდებდნენ იმ გარემოებებს, რომ სადავო ბინაში საკუთრების უფლებით ეკუთვნით წილი და რომ სასამართლოში შეიტანდნენ განცხადებას მათი კუთვნილი წილის სადავო ბინიდან გამოყოფის შესახებ. რადგან ამ სახის სარჩელი არ ყოფილა წარდგენილი, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დგინდებოდა სადავო ბინიდან რაიმე წილის მოსარჩელებისადმი კუთვნილება. რ. და ა. ჟ-მა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს აპელაციის წესით და მოითხოვეს მისი, ასევე უმაღლესი სასამართლოს გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სარჩელის დაკმაყოფილება.

დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარში აპელანტებმა მიუთითეს, რომ მათი სარჩელი მოიცავდა შემდეგ მოთხოვნებს: შეჩერებულიყო სახლის მესაკუთრე რ. ჟ-ს ბინაზე ხელახლა დანიშნული აუქციონი, დაყადაღებული ბინიდან გათავისუფლებულიყო მათი კუთვნილი 2/3 წილი და ამ წილთა თაობაზე მიღებულიყო კანონიერი გადაწყვეტილება.

3. აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათუმის საქალაქო გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. და ა. ჟ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვინაიდან ბინა პრივატიზებულ იქნა სახლის მესაკუთრე რ. ჟ-ის მიერ, სააღსრუ-

ლებო ბიუროს თანახმად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, ამის უფლებამოსილება გააჩნდა. საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ 61-ე მუხლის თანახმად სააღსრულებო სამსახურის მიერ სწორად იქნა დაყადაღებული მოვალის საქმეზე მესამე პირის უძრავი ქონება, რომელიც აღნიშნული კანონის 45-ე და 50-ე მუხლების შესაბამისად უნდა ყოფილიყო რეალიზებული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღსრულების შეჩერებისა და ბინის ყადაღისაგან განთავისუფლების შესახებ მოთხოვნები უსაფუძვლოდ მიიჩნია.

4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს რ. და ა. ჟ-მა, რომლებმაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

**5. საკასაციო პალატის** განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და საქმე განსჯადობით განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამითა იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, კასატორების თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სააღსრულებო წარმოების შეჩერება და ბინის ყადაღისაგან განთავისუფლება, მაგრამ შემდგომ, სააპელაციო საჩივარში მათ მოითხოვეს სადავო ბინის 2/3 წილის თაობაზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღება, რადგან ამ ბინის თანაბარუფლებიანი თანამესაკუთრენი ისინი იყვნენ.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 32-ე მუხლის თანახმად მესამე პირის სარჩელი წარედგინება მოვალეს, გადამხდევინებელსა და ქონების შემძენს და ამ კატეგორიის დავაში აღმასრულებელი არ არის მოპასუხე, შესაბამისად, სამართლებრივად მოცემული საქმე არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს და იგი, როგორც ფიზიკურ პირებს შორის

ქონებრივი დავა, უნდა განხილულიყო სამოქალაქო წესით სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატისმიერ, რაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ მოხდა. საქმე განიხილულა არა განსჯადმა სასამართლომ – ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ.

**14. უფლებამოსილი სასამართლო ვალდებულია თვით, განმცხადებლის მოთხოვნის ტრანსფორმაციის შემდგომ, გასცეს მისთვის განსჯადობით განსახილველად გადაცემული განცხადების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელი.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის №ბს-62-62 (კ-08) განჩინება  
*განმცხადებლის მოთხოვნა: სააღსრულებო ფურცლის გაცემა*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. საკასაციო სასამართლოს წარმოებაში განსახილველად იყო ადმინისტრაციული საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებაზე საქმე ი. მ-ის სარჩელის გამო, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ი. მ-ის წარმომადგენელმა და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

2. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის

თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სააღსრულებო ფურცელს გასცემს გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელს გასცემს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, რომელმაც არსებითად გადაწყვიტა დავა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქმე არსებითად გადაწყვიტა თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით.

ამრიგად, მოცემული საქმე არსებითად გადაწყვეტილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და საქართველოს კანონის “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” 21.2 მუხლის თანახმად, წარმოადგენს სააღსრულებო ფურცლის გაცემისათვის უფლებამოსილ სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე და მას საქმე არსებითად არ გადაუწყვეტია, ამიტომაც იგი არ წარმოადგენს სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უფლებამოსილ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან განმცხადებლის მიზანს წარმოადგენდა კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, ამ უკანასკნელმა უნდა მოახდინოს განმცხადებლის მოთხოვნის ტრანსფორმაცია, რადგან განმცხადებელი ითხოვდა სააღსრულებო ფურცლის გაცემას საკასაციო სასამართლოს განჩინებაზე. შესაბამისად, განმცხადებლის მიერ მოთხოვნის დაზუსტების შედეგად, უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

**15. სააღსრულებო ორგანოს მიმართ წარდგენილი სარჩელი, თუ მოთხოვნის საფუძველს სამოქალაქო კანონმდებლობა წარმოადგენს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. დ. ჯ-ძემ სარჩელი აღძრა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების: მ. ვ-ის, თ. ქ-ძის, თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისში, . . . მდებარე ბინაზე მისი იპოთეკის უფლების გაუქმების შესახებ ჩანაწერის ბათილად ცნობა და ამ უფლების ჩანაწერის აღდგენა საჯარო რეესტრში, ასევე, მ. ვ-სა და თ. ქ-ძეს შორის დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თაობაზე შედგენილი სანოტარო აქტის ბათილად ცნობა და შესაბამისი ჩანაწერის შეტანა საჯარო რეესტრში.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით დავით ჯამაგიძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული დავა განეკუთვნება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეს, რადგან მოპასუხეებს წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირები – თბილისის მიწის მართვის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად ისინი ადმინისტრაციული ორგანოებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისათვის დადგენილი საპროცესო წესების შესაბამისად.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. ჯ-ძის სარჩელი წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავას, რის გამოც, საქმე განსახილველად მას უნდა დაქვემდებარებოდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც გამომდინარეობს საიჯარო კანონმდებლობიდან. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება სამართალსუბიექტურობის პრინციპს, რომელზეც უთითებდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა იპოთეკის უფლების გაუქმების შესახებ ჩანაწერის ბათილად ცნობა, ამ უფლების აღდგენა და ფიზიკურ პირებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დავის საგანი ემყარებოდა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, რის გამოც აღნიშნული არ მიეკუთვნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ დავათა კატეგორიას.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ არცერთი ზემოაღნიშნული სასამართლოს მიერ არ მოხდა სარჩელის დაზუსტება, კერძოდ, მოპასუხეებად, სასარჩელო განცხადების საფუძველზე, დასახელებული იყვნენ ადმინისტრაციული ორგანოები, თუმცა, იმავე სარჩელის საფუძველით შეუძლებელია იყო განსაზღვრა, თუ რა მოთხოვნაა მათ მიმართ მიმართული და რა ნაწილში არიან მოპასუხეები ეს ორგანოები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა: მოთხოვნის დაზუსტების შემთხვევაში წინამდებარე დავა, შესაძლოა, გადაიზარდოს ადმინისტრაციულ კატეგორიის დავაში, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე საკასაციო სასამართლო ვალდებულია განსჯადობის თაობაზე წარმოჭრილი დავა განიხილოს საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. ემყარებოდა რა ამ უკანასკნელს, მიჩნეულ იქნა, რომ სარჩელი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეს წარმოადგენდა.

**16. სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის შესახებ  
სარჩელზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების (სააღ-  
სრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება) თაობაზე დავა სა-  
მოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის  
22 მარტის №ბს-38-38 (გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით  
სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა განმცხადებლების: ლ. ქ-ძის, ა. ფ-ვას, ნ. ვ-ის შუამდგომლობა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და შპს „ჯ. კ-ძეს“ აეკრძალა ქ. თბილისში, . . . . ქ. 21-ში სამშენებლო სამუშაოების წარმოება. ამავე განჩინებით შეჩერდა მშენებლობის ნებართვის მოქმედებაც.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის განჩინებით ჯ. კ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და მშენებლობის შეჩერების შესახებ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინება გაუქმდა.

სარჩელის წარდგენის შემდეგ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინებით კვლავ დაკმაყოფილდა მოსარჩელების შუამდგომლობა მშენებლობის შეჩერების შესახებ და გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

ჯ. კ-ძემ სააღსრულებო ფურცლის ბათილობასთან დაკავშირებით სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში, მაგრამ მანამდე, იმავე შინაარსის სარჩელი შეიტანა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოშიც, რომელიც წარმოებაში იქნა მიღებული.

ჯ. კ-ემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მიუთითა, რომ მას ამავე სასამართლოში შეტანილი ჰქონდა სასარჩელო განცხადება სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე. სასამართლოს მიერ სარჩელი მიღებული იყო წარმოება-



ში. განმცხადებლის მისაზრებით, საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 36-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ სახის სარჩელის შეტანის შემთხვევაში უნდა შეჩერებულიყო აღსრულება დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, ამიტომაც, განმცხადებელმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 193-ე მუხლების და 198-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერება მოითხოვა.

2. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინებით ჯ. კ-ძის განცხადება აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ იგი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მოთხოვნებს და მასში არ იყო მითითებული აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისთვის აუცილებელი წინაპირობები.

ჯ. კ-ძემ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა, მოითხოვა მისი გაუქმება და სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერება.

3. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და, საქმის მასალებთან ერთად, თბილისის საოლქო სასამართლოს გადაეგზავნა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯ. კ-ძის კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის განსჯადი იყო და იგი განახილველად მას გადაეცა.

4. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. კ-ძის სარჩელი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე იმყოფებოდა თბილისის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში, ამიტომაც სარჩელის

უზრუნველყოფის შესახებ განცხადება ამ კოლეგიის ზემდგომ პალატას უნდა განეხილა.

ჯ. კ-დის კერძო საჩივარი, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარიმართა.

**5. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია რომ ჯ. კ-დის კერძო საჩივარი განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლები, რომლებიც კერძო საჩივარს ეხება, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას საკასაციო სასამართლოში არ ითვალისწინებს, მაგრამ საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ კერძო საჩივარზე წარმოშობილი განსჯადობის შესახებ დავის არსებობისას საართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>18</sup>

კერძო საჩივრის განსჯადობის თაობაზე საკითხის არსებითად გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო მოიუთია საქმის შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინებით მოსარჩელების: ლ. ქ-დის, ნ. ვ-სა და ნ. ლ-დის შუამდგომლობა მშენებლობის შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდა, მის საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის შესაბამისადაც შეჩერდა ი.მ. „ჯ. კ-ის მიერ“ თბილისში, . . . ქ. 21-ში წარმოებული მშენებლობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ჯ. კ-მ თებერვალს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მესამე პირების: ლ. ქ-დის, ნ. ვ-სა და ნ. ლ-დის მიმართ და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად

<sup>18</sup> ამ საკითხზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 20 აპრილის №ბს-143-135 (გ-06) განჩინება – კრებულის გვ. 430.

ცნობა მოითხოვა. აღნიშნული სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული და განხილვის სტადიაშია თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს უფლებამონაცვლე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოგვიანებით, ჯ. კ-დემ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის ბათილობის მოთხოვნით სარჩელი ასევე შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, ჯ. კ-დის სარჩელი სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ჯ. კ-დის სარჩელი მოპასუხე თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და მესამე პირების: ლ. ქ-დის, ნ. ვ-სა და ნ. ლ-დის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია, ე.ი. სარჩელი, რომლის უზრუნველყოფის მიზნითაც კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერებას, განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

დადგენილი იყო და დავას არ იწვევდა ის გარემოებაც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი ჯ. კ-დის სარჩელი იმავე პირების მიმართ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის საფუძველზე დაუშვებლობის მოტივით არის შეწყვეტილი.

საკასაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ ამა თუ იმ ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად გაცემული სააღსრულებო ფურცელი არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულებაზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინე-

ბის) აღსრულებას ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს) დაწესებულებანი.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრება იმის თაობაზე რომ დავის იურიდიულ ბუნებას არ ცვლის მოსარჩელის მიერ მოპასუხედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს დასახელება.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ჯ. კ-ძის კერძო საჩივარი არ წარმოდგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადს და იგი განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო, მით უფრო, რომ სარჩელი, რომლის უზრუნველყოფასაც ითხოვდა კერძო საჩივრის ავტორი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში იმყოფებოდა.

ამასთან საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იგი შეზღუდული იყო განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის ფარგლებით და ვერ იმსჯელებდა ჯ. კ-ძის სარჩელის (კერძო საჩივრის) დასაშვებობაზე, კერძოდ იმაზე, თუ რამდენად ექვემდებარებოდა აღნიშნული სარჩელი სასამართლო განხილვას.

**17. კერძო საჩივრის განხილვის მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლები განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას საკასაციო სასამართლოში არ ითვალისწინებს, მაგრამ კერძო საჩივრის განსჯადობის თაობაზე დავის არსებობისას, ანალოგიით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>19</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის

<sup>19</sup> წინამდებარე განჩინება მოტანილია მის სათაურში მითითებული დებულების – კერძო საჩივრის განსჯადობის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის საპროცესო წესის საილუსტრაციოდ, ამიტომაც არსებითად, მოცემული დავის განსჯადობის განმსაზღვრელ სხვა კრიტერიუმზე აღარ ვამახვილებთ ყურადღებას, იგი დასახელებულია მოცემული კრებულის სხვა განჩინებებში – იხ. მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 7 მარტის, №ბს-1592-1166 (გ-05) განჩინება.

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რაიონული გამგეობის სარჩელი უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და მინის ნაკვეთის მოიჯარეებისათვის მ. ზ. და ო. ფ-ვის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემის თაობაზე. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

მოიჯარეების წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის და აღსრულების შეჩერების მოთხოვნით.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განჩინებით განცხადება აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

2. განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა განმცხადებლების წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და აღსრულების შეჩერების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გადაიგზავნა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოში.

3. აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში ხელვაჩაურის რაიონ-

ნის გამგეობა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, დავის საგანი კი ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ დავა ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესების თანახმად უნდა გადაწყვეტილიყო.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, მიიჩნია, რომ დავა გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან და კერძო საჩივარი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წრიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

5. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი წარმოადგენდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად დავას, და საქმე განსახილველად მას დაუქვემდებარა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. საკასაციო სასამართლომ განმარტა: მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლები, რომლებიც კერძო საჩივარს ეხება, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას საკასაციო სასამართლოში არ ითვალისწინებს, მაგრამ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო საჩივარზე წარმოშობილი განსჯადობის შესახებ დავის არსებობისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლი ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული.

დასახელებული მოსაზრებიდან გამომდინარე, არსებითად, კერძო საჩივრის განსჯადობის განსაზღვრისას საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქმის შემდეგი ფაქტობრივ გარემოებები:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის სარ-

ჩელი; მოპასუხეებს ნ. ჯ-ს და სხვ. დაევაღათ მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლება და თავისუფალ მდგომარეობაში თანამოსარჩელებისათვის ჩაბარება.

მოპასუხეების წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ მისი მარწმუნებლები სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მინვეული არ ყოფილა. აქვე განმცხადებელმა მოითხოვა მითითებულ გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შეჩერება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განჩინებით სააღსრულებო ფურცლის შეჩერებაზე განმცხადებლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით, რომლის განსჯადობის თაობაზეც წარმოიშვა წინამდებარე დავა.

საკასაციო სასამართლო გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრება და ჩათვალა, რომ დავის იურიდიულ ბუნებას არ ცვლის ის გარემოება, რომ გადაწყვეტილებაში, რომლის ბათილობასაც განმცხადებელი ითხოვდა, მოსარჩელეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატამ სასამართლოების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილი უნდა იყოს სამართალურთიერთობიდან, რომელიც გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და მიწის ნაკვეთის მოიჯარეებისათვის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარება. აღნიშნული ურთიერთობები დარეგულირებულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით და წყდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე, რის გამოც სარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობდა არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან.

გადაწყვეტილება, რომლის ბათილობასაც ითხოვდა განმცხადებელი, განხილული იყო სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოე-

ბის წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, რომელსაც წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესების დაცვით საქმის განმხილველი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო. ამიტომაც, მოცემულ საქმესთან დაკავშირებული კერძო საჩივარი განხილულ უნდა იქნას იმავე სასამართლოს მიერ, იმავე განსჯადობის წესის დაცვით, რომლითაც განხილული უნდა იყოს განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ კერძო საჩივარი განსჯადობით განსახილველად ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას ექვემდებარებოდა.

## **§ 6. სასჯელალსრულების დაწესებულებებთან დავების განსჯადობა**

**1. სარჩელი სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიმართ, მარჩენალის დაკარგვის გამო სარჩოს დანიშვნის თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 3 ივნისის №ბს-480-68 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მარჩენალის დაკარგვის გამო სარჩოს დანიშვნა*

### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ნ. ბ-შვილმა სარჩელით მიმართა ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა, შვილის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურება ყოველთვიურად სარჩოს სახით.



მან მიუთითა, რომ მისი შვილი დაიღუპა მოპასუხის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დროს, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლით წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ, რომელშიც საქმე განსახილველად შევიდა, მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული დავა სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის იყო და იგი, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას უნდა განეხილა.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით საქმე უფლებამოსილი სასამართლოს დასადგენად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს და დავა მის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საკასაციო პალატა უფლებამოსილი არ იყო განეხილა დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, დავა სასამართლოებს შორის განსჯადო-

ბის შესახებ არ დაიშვება. ხოლო მოცემულ შემთხვევაში სამართლის ანალოგიის გამოყენება დაუშვებელი იყო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ასეთი კანონის არარსებობისას კი სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია). მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო პალატის აზრით, აღნიშნული ურთიერთობა მოწესრიგებული იყო კანონით, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით, რის გამოც არც კანონის და არც სამართლის ანალოგიის გამოყენება არ შეიძლებოდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის იყო და მისი განხილვა სცილდებოდა მის უფლებამოსილებას, საქმე უფლებამოსილი სასამართლოს დასადგენად წარმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატაში.

**4. საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ ნ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ, ვინაიდან მოცემულ საქმეში სახეზე არ იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დდგენილი კრიტერიუმი – დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენდა საჯარო დაწესებულება – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ვერ გახდებოდა საქმის ადმინისტრაციულად მიჩნევის საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაი-

მე ქმედების განხორციელების თაობაზე. მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოსაგან, კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტისგან, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ანუ დავის საგანი სრულად შეესაბამებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დასახელებული მუხლის მოთხოვნებს. შესაბამისად, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ვინაიდან კონკრეტული საქმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის იყო, იგი ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდა და განსჯადობით განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის ქვემდებარეს წარმოადგენდა.

## **2. სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის შესახებ დავა ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის №ბს 1069-1027 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სასჯელის მოხდის საპრობილის რეჟიმზე გადაყვანის შესახებ ბრძანების გაუქმება*

### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. გ. ჯ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი საპრობილის რეჟიმზე გადაყვანის შესახებ ბრძანების გაუქმება.

2. მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით გ. ჯ-ძის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოიშველია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს განჯადი ადმინისტრაციული საქმეები და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად, კოდექსის დებულებები არ

ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ მე-4 მუხლით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. იმავე კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული სასჯელს იხდის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 25-ე მუხლის მიხედვით, მსჯავრდებულის გადაყვანა ერთი რეჟიმის დაწესებულებიდან სხვა რეჟიმის დაწესებულებაში ხდება დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით.

სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით იცვლება სასჯელის მოხდის რეჟიმი, შესაბამისად, იგი უკავშირდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას და რადგანაც წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისს, არ ხვდება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიაში.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის წარმოდგენდა მოთხოვნას სასჯელის მოხდის პირობების შეცვლის თაობაზე, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადი იყო, რადგან მოსარჩელე ითხოვს ფაქტობრივად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას და დაბრუნებას იმ დაწესებულებაში, სადაც მანამდე იმყოფებოდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის დადგენილებით, მოსარჩელის განცხადება გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განსჯადობის საკითხის გასარკვევად.

სასამართლოს მითითებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გასაჩივრებული ბრძანება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს წარმოადგენდა მისი გაუქმება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის დადგენილებით, სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, განსჯადობის საკითხის დასადგენად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიებს, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლი ადგენს გამოწვევებს, საქმეებს, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება. მათგან ერთ-ერთია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება ცვლის რა სასჯელის მოხდის რეჟიმს, პირდაპირ უკავშირდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართალწარმოების წესით განსახილველად განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადი იყო.

**5. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ გ. ჯ-ძის სარჩელი განსჯადობით განსა-ხილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა საჯარო სამართლის კანონმდებლობის ნაწილია, რადგან მმართველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობაში წარმოშობილი კონფლიქტები ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იყოს განხილულნი. კანონმდებლობით დადგენილი წესით სასჯელის აღსრულების განხორციელების ორგანიზება, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის №8 დადგენილებით დამტკიცებული

„საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს“ დებულების მე-3 მუხლის თანახმად, მმართველობის სფეროს განეკუთვნება. ამავე დებულების მე-10 მუხლის თანახმად, სამინისტროს სისტემაში შემავალი სასჯელაღსრულების დეპარტამენტი – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა. საკასაციო სასამართლო აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ „ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების აღსრულებასთან“ არ გამორიცხავს გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას და ადასტურებს იმას, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეები და პროცესუალური წესი. აღსრულების ორგანოების საქმიანობა, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღება და რეალაქტის განხორციელების პროცედურა სპეციალური საკანონმდებლო აქტებით (საქართველოს კანონებით „პატიმრობის შესახებ“, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოების შესახებ“) წესრიგდება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება სასჯელაღსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროს, შესაბამისი სამართლებრივი საშუალების – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, რაც დასტურდება დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლით და არ აქვს კავშირი სასჯელაღსრულებითი ორგანოს იმ საქმიანობასთან, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით წესრიგდება და შესაბამისად, სისხლის სამართალწარმოების წესით უნდა გადანყდეს.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ ადრინდელი რედაქციის (მე-19 მუხლი) მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისა და მოხდის რეჟიმს განსაზღვრავდა სასამართლო. „პატიმრობის შესახებ“ კანონში 2008 წლის 28 პრილის კანონით ცვლილება-დამატებების შეტანის შედეგად, ეს ფუნქცია გადაეცა დეპარტამენტის თავმჯდომე-

რეს. აღნიშნული ხდება არა განაჩენის, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. კანონის 25-ე მუხლის მიხედვით მსჯავრდებულისათვის სასჯელალსრულების რეჟიმის პირობების შეცვლა, კერძოდ, შედარებით მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დანესებულებაში გადაყვანა ხორციელდება დანესებულების დირექტორის წარდგინების საფუძველზე სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის გადაყვანა შედარებით მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში მოხდა სასჯელალსრულების დანესებულების დირექტორის წარდგინების საფუძველზე სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით.

პალატამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ორივე ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურეები საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მიხედვით საჯარო მოსამსახურეებს წარმოადგენენ.

საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს მის მიმართ გამოყენებული ზომები. ამავე კანონის VII თავის დებულებები ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიმართ ადმინისტრაციული, დისციპლინური და აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებების გატარებას. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის შედარებით მკაცრ რეჟიმზე გადაყვანა განხორციელდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა სასჯელის სახის შეცვლას, რაც საქართველოს კანონის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის X-XI თავების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს აქტის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს, არამედ სასჯელის მოხდის რეჟიმის დროებით შეცვლას, რაც აღმასრულებელი ორგანოს მიერ აქტის გამოცემით ხორციელდება. ორგანიზაციული და ფუნქციონალური თვალსაზრისითაც, დეპარტამენტი, მოცემულ შემთხვევაში, მოქმედებდა, როგორც ადმინისტრაციული ორგანო. სასჯელალსრულების ორგანოს მიერ ადმინისტრირების პროცესში განხორციელებული საქმიანობა შესაბამის სამართლებრივ ფორმებში (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რეალაქტი,

ადმინისტრაციული ხელშეკრულება) ხორციელდება და დავის შემთხვევაში სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს.

**3. სასჯელაღსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროში შემავალ საკითხზე დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ სხვა საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება, ამიტომაც სარჩელი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების გაუმჯობესების თაობაზე ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ნოემბრის №ბს-1118-1074 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, ადვოკატთან შესახვედრი ოთახის გახსნის დავალების თაობაზე აქტის გამოცემა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. დ. კ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მიმართ და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, ადმინისტრაციის შენობაში ადვოკატთან შესახვედრი ოთახის გახსნის დავალების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით დ. კ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება და შესაბამისად, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გა-



მოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან. მოსარჩელის მოთხოვნა პირდაპირ უკავშირდება და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების გაუმჯობესებას, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადს წარმოადგენდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის დადგენილებით მსჯავრდებულ დ. კ.-ის სასარჩელო განცხადება განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ამ უკანასკნელის დადგენილებით იგი განსჯადობით განსაზღვრულად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს მსჯავრდებულის უზრუნველყოფას ამავე კოდექსით გათვალისწინებული საკითხების დროს და, შესაბამისად, დ. კ.-შვილის სარჩელი უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციული წესით განხილვას.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემდეგ გარემოებებზე მიუთითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; ასევე სხვა დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასარჩელო

მოთხოვნა წარმოადგენდა არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადს, ვინაიდან დ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილით, განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადი იყო. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საკითხი, რომლის გადაჭრასაც ითხოვს მოსარჩელე, ვერ მოწესრიგდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით.

**5. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ დ. კ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. საკასაციო სასამართლომ არსებითი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნია, კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დავის შესაბამისი სამართალ-წარმოების წესებით განხილვა. სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სწორად გადასაწყვეტად საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია თვით განესაზღვრა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი ადგენს, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი, იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ასევე სხვა საქმეებიც, რომლებიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლით დადგენილია გამონაკლისი შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები. მათ შორისაა ზემოაღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ „ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიან-

ნობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების აღსრულებასთან“ არ გამოორიცხავს გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას და ადასტურებს იმას, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეები და პროცესუალური წესი. აღსრულების ორგანოების საქმიანობა, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღება და რეალაქტის განხორციელების პროცედურა სპეციალური საკანონმდებლო აქტებით (საქართველოს კანონებით „პატიმრობის შესახებ“, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოების შესახებ“) წესრიგდება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება სასჯელაღსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროს, შესაბამისი სამართლებრივი საშუალების – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, რაც დასტურდება დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლით და არ აქვს კავშირი სასჯელაღსრულებითი ორგანოს იმ საქმიანობასთან, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით წესრიგდება და შესაბამისად, სისხლის სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

მოსარჩელის მოთხოვნა ეხებოდა რა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ემყარებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის და „პატიმრობის შესახებ“ კანონის დებულებებს. დადგენილი რეჟიმის პირობებთან სასჯელის მოხდის არსებული პირობების შესაბამისი დაცვა აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება. ორგანიზაციული და ფუნქციონალური თვალსაზრისით შრომაგასწორების დაწესებულება მოქმედებს როგორც ადმინისტრაციული ორგანო. სასჯელაღსრულების ორგანოს მიერ ადმინისტრირების პროცესში განხორციელებული საქმიანობა შესაბამის სამართლებრივ ფორმებში ხორციელდება და დავის შემთხვევაში სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით ადმინისტრაციული კოლეგიის არგუმენტი იმის შესახებ, რომ სადავო საკითხი – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორია-

ზე, კერძოდ ადმინისტრაციის შენობაში, ადვოკატთან შესახვედრი ოთახის გახსნის დავალება, ვერ გადაწყდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემით, არ ცვლის დავის განსჯადობის საკითხს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო საამართლომ მიუთითა, რომ სადავო სამართალურთიერთობის სისხლის სამართალწარმოების წესით განხილვას არ ადასტურებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითება იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების შეცვლის გადაწყვეტის შესახებ.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილი ცხადად მიანიშნებს, რომ ამ ნორმაში მოცემული მსჯავრდებულის უფლებები უკავშირდება მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტის სფეროს. მოცემულ შემთხვევაში კი სადავო საკითხი სცილდებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მონესრიგებულ საკითხთა წრეს. მხედველობაში მისაღები იყო აგრეთვე ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის სათაურის თანახმად, მუხლის შინაარსი ეხება მხოლოდ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე მსჯავრდებულის უფლებათა უზრუნველყოფის საკითხს, ამიტომაც, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ პატიმრობის პირობების შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები, უკეთეს ისინი არ ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მონესრიგებულ ურთიერთობათა სფეროს (მაგ., განაჩენის აღსრულების გადავადება, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, პირობით ვადამდე განთავისუფლება, სასჯელის ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა), ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს. ვინაიდან სადავო საკითხი უკავშირდება კანონიერ ძალაში შესულ, აღსასრულებლად უკვე მიქცეულ სასამართლოს განაჩენს.

**4. პატიმრობის რეჟიმის შეცვლის შესახებ სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსის გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის №ბს-1204-1149 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: პატიმრობის რეჟიმის შეცვლის უკანონოდ ცნობა*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. პ. ბ-ძემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა პატიმრობის რეჟიმის, 9 თვით საპყრობილეში იზოლირების, შეცვლა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებით პ. ბ-ძის განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სისხლის სამართლის კოლეგიის მოსაზრებას დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, შემდეგი დასაბუთებით:

ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტზე და განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც სადავო აქტი უკავშირდება სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, განმცხადებლის მოთხოვნა სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის თაობაზე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავას, რის გამოც აღნიშნული სადავო საკითხი არ იეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კანონით „პატიმრობის შესახებ“ წესრიგდება საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, აღსრულების პრინციპები და წესები. აღნიშნული კანონით დადგენილი წესით აღსრულება პატიმრობასთან დაკავშირებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება და მოსამართლის ბრძანება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოდ. ამავე მუხლის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია, სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან; სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით მოცემულ საქმეში დავის საგანსწარმოდგენდა სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განმარტება – ვინაიდან მსჯავრდებული საპყრობილეში გადაყვანილია 2009 წლის 12 თებერვლის ბრძანებით, საქართველოს კანონით „პატიმრობის შესახებ“ დადგენილი წესით, შესაბამისად, რეჟიმის შეცვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს და მისი გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხი უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით არ წარმოადგენდა საკმარის და გადამწყვეტ წინაპირობას კონკრეტული დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის. ამისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დავის საგნის არსს და ფაქტობრივ შინაარსს, ანუ იმ გარემოებას, თუ მოქმედი კანონმდებლობის რომელი დარგიდან გამომდინარეობდა მოთხოვნები და შესაბამისად, სამართალურთიერთობა.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პ. ბ.-ძის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტა, რომ 1999 წლის 22 ივლისის კანონის „პატიმრობის შესახებ“ 1-ლ მუხლში მიეთითა, რომ ეს კანონი აწესრიგებდა საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, აღსრულების პრინციპს და წესებს. ამავე კანონის მე-2 მუხლში მოცემულია სასჯელაღსრულების ქვემდებარე გადაწყვეტილებათა ნუსხა, კერძოდ, ამ საკანონმდებლო აქტით დადგენილი წესით აღსრულდება პატიმრობასთან დაკავშირებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება და მოსამართლის ბრძანება, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება. საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ მე-6 მუხლის მიხედვით სასამართლოს განაჩენით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთას აღსრულებენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დანესებულებები.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასჯელაღსრულების ორგანოების საქმიანობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც მმართველობითი ფუნქცია, ვინაიდან ისინი საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში, ახორციელებენ ადმინისტრირებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასჯელაღსრულების ორგანოები ადმინისტრირების პროცესში შესაბამის სამართლებრივ ფორმების (ადმინისტრაციული აქტი, რეალაქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება) მეშვეობით ახორციელებენ საქმიანობას და მათი სადავოობის პირობებში ექვემდებარებიან სასამართლო კონტროლს ადმინისტრაციული მართლმსაჯულებასთან შესაბამისობის თვალთახედვით.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით: „ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების აღსრულებასთან“, განმარტა, რომ აღნიშნული დათქმა გაგებულ უნდა იქნას იმ კონტექსტში, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეების გა-

მოყენების ვალდებულება. სასჯელალსრულების ორგანოებს გადაწყვეტილებათა მისაღებად და რეალაქტის განსახორციელებლად საკუთარი, სპეციალური პროცედურა გააჩნიათ. ეს უკანაკნელნი ამ ორგანოთა საქმიანობის მომწესრიგებელი საპეციალური კანონმდებლობით არის დადგენილი. სასჯელალსრულების ორგანოების მიმართ ასეთს წარმოადგენს საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“. ამასთანავე, ეს სრულიადაც არ ნიშნავს რომ სასჯელალსრულების ორგანოები არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისათვის დადგენილი ზოგადი პრინციპები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების საკანონმდებლო წესები. შესაბამისად, საქართველოს კანონით „პატიმრობის შესახებ“ რეგლამენტირებული პროცედურის მიხედვით, სასჯელალსრულების ორგანოების მოქმედებების ან გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას, სასამართლოების მიერ გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასჯელალსრულების ორგანოების მოსამსახურეები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით საჯარო მოსამსახურეებს წარმოადგენენ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კანონის „პატიმრობის შესახებ“ 26-ე მუხლით განსაზღვრულია მსჯავრდებულის უფლებები. იმავდროულად, მსჯავრდებულს ევალება დაიცვას სასჯელალსრულების დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნა. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის VII თავის დებულებები ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიმართ ადმინისტრაციული, დისციპლინური და აღმზრდელობითი ზემოქმედების გამოყენებას.

პალატამ საგულისხმოდ მიიჩნია, რომ ამავე კანონის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმით – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს და საქმე განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.



საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების შეფარდება მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უნდა მოხდეს, რაზეც დასაშვებია სასარჩელო წარმოება, რომელზეც შესაბამისი დარგის – ადმინისტრაციული სამართალწარმოება უნდა შედგეს. ამიტომაც განსახილველი დავა წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს.

**5. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილება მსჯავდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებით განსახილველი დავას წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის №ბს-1442-377 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მოსარჩელისთვის ვადამდე გათავისუფლებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დავალდებულება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. რ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ და მოითხოვა კომისიის მიერ მოსარჩელისთვის ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და მისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლების დავალება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის დადგენილებით რ. ა-ის განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიამ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

„რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებაში 2005 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით, ლიკვიდირებული იქნა თბილისის რაიონული სასამართლო და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო, სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიებით – ადმინისტრაციული, სისხლის, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიები. საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოთა შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ რადგანაც სადავო აქტი უკავშირდებოდა სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, განმცხადებლის მოთხოვნა პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავას, შესაბამისად, მას ვერ განიხილავდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, კოდექსის დებულებები არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან. დავის საგანი არ იყო მოცემული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის ჩამონათვალში. ამიტომაც სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა განხილულიყო არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართალწარმოების წესით.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ რ. ა-ვის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის ფორმირების, როტაციის, კომპეტენციის ფარგლები განისაზღვრება საქართველოს კანონით „პატიმრობის შესახებ“ (67<sup>1</sup>-68-ე მუხლები), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (610-ე მუხლი), საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 17 სექტემბრის №585 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით (1-ლი, მე-4 მუხლები.) ამ ნორმატიული აქტების შესაბამისად, სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია წარდგინებით მიმართოს სასამართლოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე.

მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე, 73-ე, 98-ე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 610-ე მუხლები) თანახმად, მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინება, სისხლის სამართალწარმოების წესით იხილება. თავად მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩათვალა, რომ აღნიშნული ადმინისტრირების სფეროს განეკუთვნება. თავისი არსით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს ასრულებს და მიზნად ისახავს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ „ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან“, არ გამოირიცხავს გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას და ადასტურებს იმას, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეები და პროცედურები აღსრულების

ორგანოების საქმიანობის, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების და რეალაქტის განხორციელების პროცედურის სპეციალური საკანონმდებლო აქტით („პატიმრობის შესახებ“ კანონით) მოწესრიგების გამო. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება სასჯელაღსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროს, შესაბამისი სამართლებრივი საშუალების – წარდგინებით სასამართლოსადმი მიმართვის ან – მიმართვაზე უარის თქმის, საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების გამოყენებით. ის გარემოება, რომ მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინება სისხლისმართალწარმოების წესით იხილება, არ გამორიცხავს კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

**6. სასჯელის გადავადების თაობაზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის დავალდებულება, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის  
2009 წლის 19 ნოემბრის №ბს-1205-1150 განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის  
მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებასათვის  
სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. უ. ქ-ვამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას დავალებოდა სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის თანახმადაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მიმართავდა სასამართლოს შუამდგომლობით უ. ქ-ვას მიმართ სასჯელის გადავადების თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, უ. ქ-ვას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის დადგენილებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაიგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით უ. ქ-ვას სარჩელთან დაკავშირებით აღძრული საქმე, სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

**5. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსახილველად უნდა გადაცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილება დავა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა საჯარო სამართლის კანონმდებლობის ნაწილია, კონკრეტულად კი მმართველობით სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობებს აწესრიგებს. სწორედ მმართველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობაში წარმოშობილი კონფლიქტები წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავებს და მათი განხილვის კომპეტენცია მხოლოდ ადმინისტრაციულ სასამართლოს გააჩნია. დავის განსჯადობის განსაზღვრის ძირითადი პრინციპია, გაირკვეს, სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განისაზღვრება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეები.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, საქმის მასალებზე, რომლებითაც ირკვეოდა, რომ უ. ქ-ვამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას სამართლებრივი აქტის გამოცემა დავალებოდა, რომლითაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

მიმართავდა სასამართლოს შუამდგომლობით უ. ქ-ვას მიმართ სასა-  
ჯელის გადავადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია თბილისის  
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის  
მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავ-  
რცელებულიყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო  
კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ამ ნორმის თანახმად, მსჯავ-  
რდებულს უფლება აქვს, მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამარ-  
თლოს განცხადებით განაჩენის აღსრულების გადავადებისა და ამ  
კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტის შე-  
სახებ, რის გამოც დასახელებული საქმე სისხლის სამართლის წე-  
სით განსახილველს წარმოადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით,  
საკასაციო სასამართლომ მიუთითა რომ აღნიშნული მუხლი არ  
ეხება განსახილველ დავას, რადგან მოცემულ შემთხვევაში მსჯავ-  
რდებულს არ მიუმართავს განაჩენის დამდგენი სასამართლოსათ-  
ვის სასაჯელის გადავადების თხოვნით. მოცემულ შემთხვევაში,  
ასევე, არ იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კო-  
დექსის 607-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მი-  
ღების საფუძველი, ვინაიდან არ არსებობდა შუამდგომლობა სას-  
ჯელის გადავადებაზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვე-  
ვაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს სას-  
ჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სა-  
კითხთა სამინისტროს სასაჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის  
სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, რაც საქარ-  
თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის  
1-ლი ნაწილის საფუძველზე, ადმინისტრაციული სამართალწარმო-  
ებით განსახილველ დავას წარმოადგენდა, ვინაიდან იგი გამომდი-  
ნარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გან-  
მარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიუკუთვნებოდა ადმინისტრა-  
ციული კატეგორიის დავას, რადგან საქართველოს ადმინისტრაცი-  
ული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის “გ” ქვე-  
პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება  
იყოს ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება ადმინისტრა-  
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების  
განხორციელების თაობაზე.

## **§ 7. საქმის წარმოების განახლების მოთხოვნებზე საქმეების განსჯადობა**

**1. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსჯადია მხოლოდ მის მიერ გამოტანილ განწყვეტილებაზე და იგი არ დაიშვება ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ განჩინებაზე.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
16 თებერვლის №ბ-129-3 (ა-09) განჩინება

### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით ს. კ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც მან საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 3 ივნისის განჩინებით ს. კ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმებაზე უარის ნაწილში ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება გაუქმდა და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქმე არაერთგზის განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ და ბოლოს, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით ს. კ-ს სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. კ-მ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 20 ივლისის განჩინებით ს. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად

დარჩა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.

2. ს. კ-მა 2009 წლის 5 თებერვალს განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, რომლითაც თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 23 მაისის და 2005 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებების, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 3 ივნისის და 2005 წლის 20 ივლისის განჩინებების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

3. **საკასაციო პალატამ** აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ მითითებულ საკითხზე საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 3 ივნისის განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საოლქო სასამართლოს, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 20 ივლისის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სა-ოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას იხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.



**2. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში, რომელიც მას განიხილავს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.<sup>20</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის №ბ-593-4(ა-09) განჩინება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა, ა. ლ-ს სარჩელი მოთხოვნა მას უარი ეთქვა სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დავალდებულებაზე, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის უმუშევრად დარეგისტრირების (რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭების) და შემწეობის გაცემის თაობაზე.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ა. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანაზე უარის შესახებ.

<sup>20</sup> ეს დებულება ცალსახად გაზიარებულია უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, რის საილუსტრაციოდ იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 17 იანვრის № ბს-17-1(ა-06), 18 დეკემბრის № ბს-2024-31(ა-06) განჩინებები.

2. ა. ლ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

3. **საკასაციო პალატამ** აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ მითითებულ საკითხზე საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, რომელიც, ასევე, უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით და საქმის წარმოება დასრულდა.

საკასაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ჩათვალი, რომ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას იხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

3. **ზემდგომი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების და ხელახლა განსახილველად დაბრუნების, ხოლო დანარჩენ ნაწილის უცვლელად დატოვების შემთხვევაში, ამ ნაწილში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვისათვის განსჯადს გადაწყვეტილების დამდგენი სასამართლო წარმოდგენს, ხოლო გაუქმებულ და ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ ნაწილში ის სასამართლო. რომელიც არსებითად გადაწყვეტს დავას (გამოიტანს გადაწყვეტილებას).**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
8 ივლისის №ბ-1982-18 განჩინება

1. სს „. . .“ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ბრძანებების ბათილად ცნობა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის სს „. . .“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებით სს „. . .“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ბრძანებების ბათილად ცნობაზე უარის ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

2. სს „. . .“ წარმომადგენლმა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და დიდი პალატის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის, რომლითაც უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილი, გაუქმება და ამ ნაწილში საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

**3. საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ სს „. . .“ წარმომადგენლის განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღ-

მოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებით სს „. . .“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის (ამჟამად ეკონომიკური განვითარების) მინისტრის ბრძანებების ნაწილის ბათილად ცნობაზე უარის ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, ხოლო გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად. ამრიგად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ მითითებულ საქმეზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა და საკასაციო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არ გააჩნდა განცხადების განხილვის უფლებამოსილება.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი ითხოვდა განჩინების იმ ნაწილის გაუქმებას, რომლითაც თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილი დარჩა უცვლელად, ამიტომაც განცხადება განსახილველად უნდა გადაცემოდა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

**4. დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათი არ გამორიცხავს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას, თუ მოთხოვნა ეხება სამოქალაქო პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვას.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის №ბს-540-126-კ-05 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. კ. ქ.-ძე მუშაობდა მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მთავარი მრჩეველის თანამდებობაზე, საიდანაც იგი გაათავისუფლეს, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებით

აღადგინეს თანამდებობაზე. მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის განკარგულებით სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში შემცირდა რწმუნებულის მთავარი მრჩეველის ერთი სამტატო ერთეული, რის გამოც კ. ქ-მ კვლავ გათავისუფლდა თანამდებობიდან, რაც მან უკანონოდ მიიჩნია და სარჩელი აღძრა სასამართლოში მთავარი მრჩეველის თანამდებობაზე აღდგენის, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით კ. ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, იგი აღდგენილ იქნა სამუშაოზე და მოპასუხეს დაევალა მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს კ.-მ და მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით კ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

კ. ქ-მ განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით, რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, კ. ქ-ძის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა:

2. კ. ქ-მ კვლავ მიმართა განცხადებით თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით კ. ქოქოსაძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას.

სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილება, რომლის გაუქმებასაც ითხოვდა კ. ქ-მ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მიღებული იყო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის გათვალისწინებით, სწორად ეს უკანასკნელი წარმოადგენდა განსჯად სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრებას და სასამართლოთა შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

3. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

თავდაპირველად, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით კ. ქ-მ განცხადება მიჩნეულ იქნა ხარვეზიანად და განმცხადებელს მის შესავსებად მიეცა ვადა. ხარვეზად მიჩნევის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ განმცხადებელს უნდა დაეზუსტებინა თუ სასამართლოს რომელი გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას ითხოვდა იგი. კ. ქ-მ აღმოფხვრა რა განჩინებაში მითითებული ხარვეზი, მიუთითა, რომ იგი ითხოვდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების წესსა და საფუძვლებს, ამიტომაც ამავე კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებანი, კერძოდ, მე-11 კარის ნორმები,

რომლის 424-ე მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობას.

აღნიშნული ნორმის თანახმად, განცხადება შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომლის გაუქმებას და წარმოების განახლებასაც ითხოვს განმცხადებელი. ვინაიდან კ. ქ-ძე განცხადებით ითხოვს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას, ამიტომ განცხადება ზემოთ მითითებული ნორმის (424-ე მუხლი) შესაბამისად, უნდა განეხილა იმ პალატას (სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა), რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება. ის გარემოება, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, არ ცვლიდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობას. იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატა დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევდა კ. ქ-ძის განცხადებას, მას უნდა შეემოწმებინა, შესაბამისი სამართალწარმოების წესებით იყო თუ არა განხილული საქმე რაიონულ სასამართლოში. თუ სასამართლო დაადგენდა, რომ რაიონულმა სასამართლომ შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე განიხილა დავა, მაშინ კ. ქ-ძის და მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის სააპელაციო საჩივრები განსჯადობით განსახილველად უნდა გადაცემოდა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას, ხოლო თუ მიიჩნევდა, რომ რაიონული სასამართლოს მიერ საქმე განხილული იყო სამართალწარმოების წესების დარღვევით, მაშინ საქმე აღნიშნული საფუძველით ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნებოდა რაიონულ სასამართლოს.

**5. ადმინისტრაციულ წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნის დასაშვებობის და დასაბუთებულობის საკითხს ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს და მხოლოდ საქმის წარმოების განახლების შემთხვევაშია შესაძლებელი საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად წარმართვა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 16 ნოემბრის №ბს-1298-875(გ-05), განჩინება

1. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოსარჩელე 1991 წლიდან ცნობილი იქნა 70 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მფლობელად. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2. ქ. თბილისის მთავრობამ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე იმ მოტივით, რომ ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი არ იყო მიწვეული საქმის განხილვაში.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ქ. თბილისის მთავრობის განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იმ მოტივით, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის საგანი გამომდინარეობდა კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან, ამიტომაც სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული.

4. საქმის სამოქალაქო წესით განხილვას არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგია შემდეგი მოსაზრებებით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობა, რომ გადაწყვეტილება, რომლის გაუქმებასაც ქ. თბილისის მთავრობის განცხადება ითხოვს, გამოტანილია სამოქალაქო საქმეზე და განცხადებაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, არამართებულია. იგი ეხება არა სარჩელს, როგორც ასეთს, არამედ კანონიერ ძალაში შესულ და უკვე აღსრულებულ გადაწყვეტილებას, როდესაც არ გაქარ-



წყლებულა ვარაუდი განცხადების დასაშვებობის ან საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მისი კვლავაც ძალაში დატოვების თაობაზე. ამიტომაც სამოქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულ კოლეგიას ჯერ უნდა ემსჯელა განცხადების დასაშვებობასა და საფუძვლიანობაზე და მხოლოდ საქმის წარმოების განახლების შემდეგ ემსჯელა თავდაპირველი სარჩელის რაობაზე, მის სამართლებრივ ბუნებაზე და, აქედან გამომდინარე, მის განსჯადობაზე. ვინაიდან არსებობს გადაწყვეტილება და არა სარჩელი, დაუშვებელია არაგანსჯადობის მოტივით საქმის გადაგზავნა სხვა კოლეგიაში ან სხვა სასამართლოში, რადგანაც განსჯადობასთან დაკავშირებულ ურთიერთობების მომწესრიგებელი არც ერთი ნორმა საკითხის ამგვარ გადაწყვეტას არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, განსჯადობის თაობაზე დავის გადაწყვეტის მიზნით საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**5. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის განცხადება განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ ყურადღებას მიაქცია იმ გარემოებას, რომ განსჯადობის თაობაზე წამოწყებული დავა ეხებოდა არა სარჩელს, არამედ განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

განცხადების საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობა ითხოვდა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილობას, რომელიც, თავის მხრივ, განხილული იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მსჯელობა და ჩათვალა, რომ ადმინისტრაციულ კოლეგიას, როგორც ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განმხილველ სასამართლოს, ჯერ უნდა განესაზღვრა განცხადების დასაშვებობისა და საფუძვლიანობის საკითხი და მხოლოდ საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში ემსჯელა საქმის განსჯადობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ რადგანაც ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაი-

ონული სასამართლოს გადაწყვეტილება განხილული იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, შესაბამისად, განცხადებაც ამ უკანასკნელის ბათილობის თაობაზე განხილული უნდა იყოს იმავე სამართალწარმოების პრინციპების დაცვით, რის გამოც, ქ. თბილისის მთავრობის განცხადება განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეს წარმოადგენდა.

**6. საქმის წარმოების განახლების მოთხოვნაზე უარის შესახებ განჩინების თაობაზე განცხადება მხოლოდ მაშინ მიიჩნევა კერძო საჩივრად და ზემდგომი სასამართლოს განსჯადად, თუ იგი შეიცავს განჩინების გაუქმების მოთხოვნას და არა მხარის მოსაზრებას განჩინების უსწორობის შესახებ.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ნოემბრის №ბს-616-202 (კს-05) განჩინება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. და ა. ნ-ის და მ. მ-ის რწმუნებულმა განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს სახელით აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად საქმის წარმოების განახლება, სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება და მოსარჩელეთა იმ უფლებების აღდგენის უზრუნველყოფა, რომელთა დარღვევაც დადასტურებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

განმცხადებლის მითითებით, საოლქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წ. 21 აპრილის განჩინება საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს სამართლებრივ აქტებს, რომლებიც არ შეესაბამებიან საქართველოს კონსტიტუციას, ხოლო მათი კონსტიტუციურობის შემოწმება შედის საერთო სასამართლოთა კომპეტენციაში.

განმცხადებლის აზრით, გასაჩივრებული სასამართლოს აქტები არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და 1997 წლის 28 ივლისის კონვენციას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, რომელთა შესაბამისად, ნ. ნ-სა და მ. მ-ს უფლება ეძლეოდათ, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე იძულების გამომწვევი ფაქტორის აღმოფხვრის შემდეგ. სადავო აქტებით კი განმცხადებლებს შეეღაზათ იძულებამდე საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლება.

განმცხადებელმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები, რომლებიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ნ. და ა. ნ-ის, მ. მ-ის წარმომადგენლის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა არ იყო უფლებამოსილი, მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილების მიღებაში, რადგან აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეები მივლინებულნი იყვნენ თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ამასთან, თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ გამოიყენა საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ 22-ე მუხლის „ე“ პუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და გამოსცა ბრძანება, რომლითაც თბილისის საოლქო სასამართლოში მივლინებულ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებს დაევაღათ ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებული საქმეების განხილვა. ამრიგად, სასამართლო კოლეგიის ზემოაღნიშნული შემადგენლობა უფლებამოსილი იყო მიეღო სადავო გადაწყვეტილება.

3. განმცხადებლების რწმუნებულმა ზ. ი-მა განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვა წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დროულად განხილვა.

მისი მითითებით, განცხადების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“, „ე“ და „ვ“ პუნქტების შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. საქმის წარმოების დროს მან გაზარდა მოთხოვნა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. სასამართლო კოლეგიამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ჯერ უნდა იმსჯელოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნაზე, რის შემდეგაც უნდა იქნეს განხილული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საკითხი.

განმცხადებლის განმარტებით, თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინებით, რომლითაც უარი ეთქვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე, მხარეებს განემარტათ კერძო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. განმცხადებელმა უკანონოდ მიიჩნია განჩინება და მას არ დაეთანხმა, მაგრამ მიუთითა, რომ განჩინებას კერძო საჩივრით არ ასაჩივრებდა, რადგან ეს გამოიწვევდა საქმის განსახილველად უზენაეს სასამართლოში გადაგზავნას, რითაც გაჭიანურდებოდა ძირითადი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ მოთხოვნის განხილვა. ამრიგად, განმცხადებლის განმარტებით, იგი განჩინებას არ ასაჩივრებდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის აპრილის განჩინებით ნ. და ა. ნ-ის, მ. მ-ის წარმომადგენლის განცხადება მიჩნეულ იქნა კერძო საჩივრად და იგი განსახილველად წარიმართა უზენაეს სასამართლოში.

4. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნ. და ა. ნ-ისა და მ. მ-ის რწმუნებულ ზ. ი-ის განცხადება განსახილველად უნდა გადაცემო-

და უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ნ. და ა. ნ-ისა და მ. მ-ის რწმუნებულს უარი ეთქვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადანყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ამავე განჩინებით მხარეებს განემარტათ განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. საქმის მასალების თანახმად, ნ. და ა. ნ-ისა და მ. მ-ს აამ უფლებით არ უსარგებლიათ და განჩინების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსათვის კერძო საჩივრით არ მიუმართავთ. მათმა რწმუნებულმა სასამართლოს მიმართა განცხადებით, რომელიც სასამართლო კოლეგიამ, მისი შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნია კერძო საჩივრად, რაც საკასაციო პალატის აზრით, არასწორი იყო. განცხადებაში მოთხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინების გაუქმების შესახებ მხარეს არ დაუყენებია. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში დააფიქსირა თავისი პოზიცია იმის თაობაზე, რომ არ იზიარებდა და არ ეთანხმებოდა განჩინებას, მიიჩნევდა მას უკანონოდ, განმცხადებელი განმარტავდა, რომ მითითებულ განჩინებას არ ასაჩივრებდა და კერძო საჩივარი სასამართლოში წარდგენილი არ ჰქონდა. სასამართლო კოლეგიამ კი აღნიშნულის გაუთვალისწინებლად, წარდგენილი განცხადება სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია კერძო საჩივრად და იმსჯელა მის დასაბუთებულობაზე.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნულით სასამართლო კოლეგიამ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განსაზღვრულ მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპი, რომელიც მხარეს ანიჭებს სრულ თავისუფლებას, თავად გადანყვეტოს, ისარგებლოს თუ არა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით და სასამართლო მხოლოდ მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში არის უფლებამოსილი, განახორციელოს სამართალწარმოება.

მხარეთა რწმუნებული განცხადებით ითხოვდა მხოლოდ წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებას და ახლად აღმოჩე-

ნილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დროულად განხილვას, რაზედაც სასამართლო კოლეგიამ არ იმსჯელა.

საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სასამართლომ იმსჯელა არარსებულ მოთხოვნაზე, უსაფუძვლოდ მიიჩნია ნ. და ა. ნ-ისა და მ. მ-ის რწმუნებულის განცხადება კერძო საჩივრად და არასწორად გადაგზავნა იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს განცხადებაზე. ამიტომაც, იგი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიას, რომელიც საქართველოს კანონის “საერთო სასამართლოების შესახებ” მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად წარმოადგენს განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს.

## **§ 8. სხვა სახის დავათა განსჯადობა**

**1. პატენტის გაუქმების შესახებ დავა, სამართლებრივად, ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს და განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალ-წარმოების წესით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის  
22 თებერვლის №ბს-1580-1154(გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: პატენტის ბათილად ცნობა და  
ზიანის ანაზღაურება*

### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ი. გ.-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების „საქპატენტისა“ და ზ. ბ-ის მიმართ და მოითხოვა „საქპატენტის“ მიერ ზ. ბ-ის სახელზე გაცემული პატენტის ბათილად ცნობა დაზიანის ანაზღაურება რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ზ-მა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას განსჯადობისამებრ განსახილველად, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ „საქპატენტი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას და, შესაბამისად, დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესითა უნდა განხილულიყო.

3. ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ რიგი პროცესუალური მოქმედებების შესრულების შემდეგ საქმე განსჯადობის თაობაზე საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ საქმე წარმოადგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას.

საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად პირობად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. განსახილველ შემთხვევაში კი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა „საქპატენტის“ მიერ ზ. ბ-ის ს სახელზე გაცემული პატენტის ბათილად ცნობა, რაც ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავას განეკუთვნებოდა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პატენტი არის სახელმწიფოს („საქპატენტის“ სახით) მიერ გაცემული გამოგონების დამცავი დოკუმენტი და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-3 მუხლების შესაბამისად, პატენტი ადასტურებს ავტორობასა და პრიორიტეტებს, ასევე, პატენტმფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას გამოგონება-

ზე. მართალია, პატენტის დეფინიციას კანონი არ იძლევა, მაგრამ მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, იგი არის განაცხადის საფუძველზე სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლების შესაბამისად, „საქპატენტის“ მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც აღწერს გამოგონებას და მფლობელს ანიჭებს მის გამოყენებაზე განსაკუთრებულ უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს პატენტით დაცული ობიექტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1100-ე მუხლის მიხედვით, პატენტი სამრეწველო საკუთრებას წარმოადგენს და როგორც საკუთრების ობიექტი, სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს. პატენტის გაუქმების შესახებ დავაც სამართლებრივად ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავაა და იგი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**2. სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოების (ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს) მიმართ საავტორო უფლების დარღვევის გამო კომპენსაციის გადადახდის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გაიხილება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის №ბს-477-450 (გ-09) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: საავტორო უფლების დარღვევისათვის კომპენსაციის ანაზღაურება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 6. ა-მა და საქართველოს ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის, კინემატოგრაფისტთა კავშირის, დ. ო-ის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ე. შ-იას მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეებს აეკრძალოთ მოსარჩელების მიერ დაპატენტებული გამოგონების შემდგომი დამზადება ან სხვა უფლებადამრღვევი ქმედებანი, ასევე ნაწარმოების „...“, გამოყენება ნებისმიერი სახეშეცვლილი ფორმით; მოსარჩელები მოითხოვდნენ, რომ საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნა-



ვე უფლებების შესახებ“ 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად მათ აღიარებას სადავო საგანზე უფლების მფლობელად; ასევე მოპასუხეებისათვის: ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურსა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროსათვის სოლიდარულად მათი საავტორო უფლებების დარღვევის გამო კომპენსაციის დაკისრებას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმე უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და იგი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** ჩათვალა, რომ ნ. ა-სა და ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ნ. ა-მა და საქართველოს ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდმა სარჩელით მოითხოვეს მოპასუხეებს აეკრძალოთ მოსარჩელების მიერ დაპატენტებული გამოგონების შემდგომი დამზადება ან სხვა უფლებადამრღვევი ქმედებანი, მოპასუხეებს აეკრძალოთ ნაწარმოების „...“, ასევე ბულვარის ან სხვა სახით მოწყობა, ასევე აეკრძალოთ დაპატენტებული ლოგოს „ვარსკვლავი“-ს გამოყენება ნებისმიერი სახეშეცვლილი ფორმით; მოსარჩელები ასევე ითხოვდნენ, რომ საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად მოსარჩელე აღიარებული ყოფილიყო სადავო საგანზე უფლების მფლობელად და მოპასუხეებს სოლიდარულად დაკისრებოდათ მათი საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ დავის საგნის შინაარსიდან გამომდინარე, მისი შესაძლო დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, რომელიც განეკუთვნებოდა კერძო სამართლის სფეროში მოქმედ საკანონმდებლო აქტებს.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ეს ნორმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეების განსაზღვრის მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევს დავის საგანს, რომელიც წარმოშობილია საჯარო ადმინისტრაციული სამართალურთიერთობიდან; ამიტომ საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავა წარმოშობილი იყო კერძო სამართალურთიერთობიდან და მისი მოწესრიგება შესაძლებელი იყო კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტის – საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ნორმათა მეშვეობით.

**3. ადმინისტრაციული აქტებიდან (არქიტექტურის სამსახურის ბრძანება, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის აქტი) გამომდინარე დავა მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტის, კანონდარღვევით გადაკეთებული შენობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის დავალდებულების თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის №ბს-584-561 (გ-08) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანების, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის წერილის ბათილად ცნობა, გადაკეთების მოშლა და ნაგებობის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

1. თ. ჟ-ანმა, თ. ლ-ძემ, ნ. გ-ანმა და სხვ. სარჩელი აღძრეს სასამართლოში ჟ. ხ-ძის, თბილისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის, თბილისის არქიტექტურის სამსახურის, შპს „ა-ის“ და ინდ. საწარმო „კ-ოს“ მიმართ და მოითხოვეს: არქიტექტურის სამსახურის ბრძანებისა და სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის წერილის ბათილად ცნობა, ჟ. ხ-ძისათვის სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტის, კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების და ფანჯრის ღიობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის დავალდებულება.

რაიონული სასამართლოს განჩინებებით: საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა არქიტექტურის სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, მის განხილვამდე და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა თბილისის მერიის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის წერილის ბათილად ცნობის და სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტისა და კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების შესახებ სარჩელის განხილვა.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე საქმე დამოუკიდებლად იქნა განხილული და სარჩელი დაკმაყოფილდა.<sup>21</sup>

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ (რომელსაც საქმე სასამართლოთა რეორგანიზაციის შედეგად გადაეცა) განაახლა საქმის წარმოება სარჩელზე თბილისის მერიის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის წერილის ბათილად ცნობის, ჯ. ხ. ძ-ის კუთვნილ ფართში სასურსათო მაღაზიის შეწყვეტის და კანონდარღვევით გაჭრილ მაღაზიის კარების გაუქმების შესახებ და იგი განსჯადობით განსახილველად გადასცა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – სახელმწიფო სანიტა-

<sup>21</sup> ამ საქმის შემდგომ მსვლელობას განჯადობის საკითხთან შემხებლობა არ აქვს და მას აღარ შეეხებოდა.

რული ზედამხედველობის ინსპექციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – წერილი, რომლითაც ფ. ხ-ძეს სასურსათო მაღაზიის მოწყობის ნება დაერთო.

ამავე სასამართლოს განჩინებით დამოუკიდებელ წარმოებად გამოყოფილი საქმე განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოში.

**4. საკასაციო პალატამ** ჩათვალა, რომ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის, მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტის, კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ ადმინისტრაციულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მოსარჩელების მოთხოვნა ფ. ხ-ძის მიმართ სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტისა და კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების, ფანჯრის ლიობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავა სამოქალაქო კოლეგიის განსჯადი იყო, ვინაიდან დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე იმ სამართალურთიერთობებთანდაკავშირებული დავები, რომლებიც წარმოშობილი იყო არქიტექტურის სამსახურის, აგრეთვე, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის წერილის ბათილად ცნობასთან, გადაწყდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით, საქართველოს უზენაესი **სასამართლოს** ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით.

საკასაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასარჩელო განცხადების დანარჩენი მოთხოვნები, რომელიც უკავშირდებოდა სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტას და მაღაზიის კარების გაუქმებას, ფანჯრის ლიობის პირვან-

დელ მდგომარეობაში მოყვანას არ განეკუთვნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, მათ შორის, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს შორის.

სასარჩელო მოთხოვნები ემსახურებოდა მოსარჩელების, როგორც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრების, სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების (საკუთრების უფლების, ჯანმრთელობისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების) დაცვას, სასარჩელო მოთხოვნები მიმართული იყო მოპასუხე ფიზიკური პირის – ჟ. ხ-ძის მიმართ. საქმეში მონაწილე მხარეს არ წარმოადგენდა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, რადგან სასარჩელო მოთხოვნები თავისი არსით სამოქალაქო-სამართლებრივია, ისინი წარდგენილი აქვს ფიზიკურ პირს, დავა უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა. რომ მრავალბინიან სახლებში ქონების გამოყენების წესები და პირობები, თანამესაკუთრეთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტების – სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს კანონის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“, ნორმებით, რომელთა გამოყენებითაც უნდა შემოწმებულიყო სასარჩელო მოთხოვნათა საფუძვლიანობა და განსაზღვრულიყო სამართლებრივი შედეგი.

**4. კერძო სამართლის პირებს შორის დავა მშენებლობის აკრძალვისა და უნებართვო ნაგებობის დემონტაჟის თაობაზე, საქმეში ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობისა და მიუხედავად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 თებერვლის №ბს-33-10-(გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: უკანონო ნაგებობის დემონტაჟი და მშენებლობის აკრძალვა

1. მ. ფ-მა, ვ. ს-ქემ, და სხვ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოს ინდბინათმშენებლობის ამხანაგობა „...“, არქიტექტურის საქალაქო სამსახურის, შპს „თბილქალაქპროექტის“, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი-სა და მთავარი არქმშენინსპექციის მიმართ და მოითხოვეს შპს ინდბინათმშენებლობას „...-ს“ აკრძალვოდა მრავალბინიანი-მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რადგან აღნიშნული მათ პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა.

კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს – ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...-ს“ დაეკისრა მისივე სახსრებით განხორციელებული, მშენებლობისათვის კანონით დადგენილი ნებართვებისა და შეთანხმებების გარეშე, პროექტის დარღვევით ქ. თბილისში, ... ქ. №. . -ში აშენებული დაუმთავრებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მთლიანი დანგრევა (დემონტაჟი). მოსარჩელების მეორე მოთხოვნას სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების შესახებ უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...-ის“ თავმჯდომარემ.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით დავა განსჯადობით განსახილველად გადაეცა სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას იმ მოტივით, რომ, მოცემული საქმის მხარეები კერძო სამართლის სუბიექტები იყვნენ, დავა თავისი ხასიათით სამოქალაქო სამართლებრივი შინაარსის იყო, ამიტომაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაე-

სი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებით დადგინდა, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა თბილისში, ჯანაშიას ქ. . . -ში უნებართვოდ აშენებული მრავალბინიანი სახლის დანგრევა, ანუ აღნიშნული მოთხოვნა ეფუძნებოდა მშენებლობის უნებართვოდ წარმოებასა და საქართველოს კანონს „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ ამ კანონის მე-2 თავის მე-3 მუხლის და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტს ეფუძნებოდა და შესაბამისად, დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა.

**4. საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „. . .-ის“ სააპელაციო საჩივარი განსახილველად განსჯადობით უნდა დექვემდებარებოდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო მე-2 ნაწილში მოცემულია სასამართლოს განსჯად კონკრეტულ ადმინისტრაციული დავათა ჩამონათვალი.

დასახელებულ მუხლის საფუძველზე საკასაციო პალატამ ჩათვალა: იმისათვის, რათა დავა მიჩნეული იქნეს ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველად, ერთობლიობაში უნდა არსებობდეს შემდეგი პირობები: საქმეში მხარეს, ანუ მოსარჩელეს ან მოპასუხეს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო დავის საგანს – ზემომითითებული მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამართალურითიერთობები. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთი-

ერთობებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო. მხოლოდ ამ პირობის არსებობა კერძო სამართლის პირებს შორის მიმდინარე დავაში არ შეიძლება დაედოს საფუძვლად საქმის ადმინისტრაციულ დავად გარდაქმნას. საქმეში არც მესამე პირის სტატუსით ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ცვლის დავის არსს. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ დავაში მოთხოვნილი იქნებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რაიმე ქმედების განხორციელება ან მისთვის აქტის მიღების დავალდებულება, დავა ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა კატეგორიის იქნებოდა, მაგრამ აღნიშნულს ადგილი არ აქვს. მიტომაც, სახეზეა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის დავა, რომელიც თავისი შინაარსით არის სამოქალაქო სამართლებრივი ბუნების და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა იქნეს განხილული.

**5. განცხადება გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ, განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული სამართალწარმოებით იგი განიხილება მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი პროტესტის (შესაგებლის) საფუძველზე საქმის სასარჩელო წარმოებაში გადაზრდის შემთხვევაში.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის №ბს-165-155 (გ-06) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. სს „ . . . “ დირექტორმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიუთითა, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სს „ . . . “ მიმართ გააჩნია . . . ლარის დავალიანება, რომელიც წარმოიქმნა სასტუმრო „ . . . “ განსახლებულ ლტოლვილთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების შედეგად. სს „ . . . “ დი-  
480



რექტორმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე, 303-ე და 306-ე მუხლებით გათვალისწინებული გამარტივებული სამართალწარმოების წესით მოითხოვა გადახდის ბრძანების მიღება, რომლითაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სს-ის მიმართ დაეკისრებოდა დავალიანების თანხის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადახდის ბრძანებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სს „ბრიზის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადახდის ბრძანებაზე შესაგებელი (პროტესტი) შეიტანა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, რომელმაც უარყო სს „...“ მიმართ დავალიანების არსებობა და მოითხოვა საქმის საერთო სასარჩელო წარმოების წესით განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით გაუქმდა იმავე სასამართლოს გადახდის ბრძანება და დადგინდა საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველი საქმე არ წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დავას. მოცემულ საქმეში დავის საგანი იყო თანხის დაკისრება, რაც სამოქალაქო სამართლის ნორმებით წესრიგდება და, შესაბამისად, დავა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, არ დეთანხმა ადმინისტრაციულ კოლეგიის ამ მოსაზრებას და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სასამართლომ მიუთითა, რომ სს „...“ დირექტორის მიერ აღძრული დავა საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა და გამომდინარეობს საჯარო სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან მოთხოვნა მიმართულია კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს წი-

ნააღმდეგ და გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ქმედების განხორციელების ვალდებულებას. ამასთან, მხარეთა შორის დავალიანების წარმოშობის საფუძველი არის არა მხარეთა შორის დადებული სამოქალაქო ხელშეკრულება, არამედ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 15 დეკემბრის №860 დადგენილება.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ სს „. .“ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენდა და განსახილველად მას უნდა დაქვემდებარებოდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაუშვებელია დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის გამარტივებული წესით განხილვა, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სასამართლო განიხილავს მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დავებს, ანუ ისეთ დავებს, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის გამარტივებული წესით განხილვა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV თავით. ამ სახის, ისევე როგორც უდავო წარმოებაში, არა გვაქვს დავა უფლებაზე, ვინაიდან დავის წარმოშობის, ე.ი. მონიშნაღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის (პროტესტის) წარდგენის შემთხვევაში გამარტივებული წარმოება გადაიზრდება სასარჩელო წარმოებაში. დავის არარსებობა ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპს, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავს დავას იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ე.ი. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სასამართლო განიხილავს დავებს და არა უდავო (გამარტივებული) სამართალწარმოების საქმეებს. მართალია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლი ითვალისწინებს გამარტივებულ სამართალწარმოებას, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორივე მხარე წერილობით მოითხოვს საქმის განხილვას მათი დასწრების გარეშე, რაც პრინციპულად განსხვავდება სამოქალაქო

ლაქო საპროცესო წესით განსახილველი დავალიანების გადახდევინების გამარტივებული სამართალწარმოებისგან, სადაც მხოლოდ ერთი მხარეა და არ არის დავა უფლებაზე.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეები განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, მაშინაც კი, როდესაც თვითონ საქმე, დავის შინაარსიდან და მონაწილე სუბიექტებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეს მიეკუთვნება. ამ შემთხვევაში, თუ სასამართლო გამარტივებული (სამოქალაქო) სამართალწარმოების წესით განიხილავს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებას, ხოლო შემდეგ მონინალმდევე მხარის პროტესტის (შესაგებლის) საფუძველზე საქმე გადაიზრდება სასარჩელო წარმოებაში და აღმოჩნდება, რომ დავა ადმინისტრაციული კატეგორიისაა, მაშინ სასარჩელო წარმოების ეტაპზე დავა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

მოცემულ კონკრეტულ საქმეში, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაგებლის (პროტესტის) გამო გაუქმდა სს „...“ განცხადების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადახდის ბრძანება და დადგინდა საქმის სასარჩელო წარმოების წესით განხილვა. ამიტომაც, ამ ეტაპზე დავის საგანს წარმოადგენდა არა სს „...“ განცხადების გამარტივებული წესით განხილვის, არამედ სს „...“ სარჩელის თაობაზე განსჯადობა, ანუ სს „...“ სარჩელი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ დავალიანების გადახდევინების თაობაზე მიეკუთვნება სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს. შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული ნორმის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება

წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალური თიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემული დავა საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა და გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სს „...“ სარჩელი აღძრული იყო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, ვინაიდან იგი კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, კერძოდ, უზრუნველყოფს ლტოლვილთა სოციალურ დაცვას. გარდა ამისა, მოცემულ საქმეში დავის საგანი წარმოადგენდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ სს „...“ სასარგებლოდ დავალიანების გადახდას, რაც, როგორც საქმის მასალებიდან ირკვეოდა, წარმოიშვა არა მხარეთა შორის დადებული სამოქალაქო ხელშეკრულებიდან, არამედ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 15 დეკემბრის №860 დადგენილების საფუძველზე.

**6. უდავო წარმოების წესით წარდგენილი განცხადების განსჯადობა შესაძლოა არ დაემთხვეს სარჩელის განსჯადობას, ამიტომაც, სარჩელის აღძვრამდე განცხადების სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა არ გამოირიცხავს დავის წარმოქმნის შედეგად აღძრული სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის  
№ბს-824-808 (გ-12) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის  
კუთვნილების დადგენა

1. ლ. ჩ-მა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იურიდიული მნიშვნელობის მქონე – უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენის თაობაზე. საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს საქმეში მესამე პირად ჩაება თბილისის მერია, რომლის წარმომადგენელიც არ დაეთანხმა განმცხადებლის მოთხოვნას და აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელიც მითითებული იყო 1993 წლის 5 მარტის მიღება-ჩაბარების აქტში და რომლის კუთვნილების ფაქტის დადგენასაც ითხოვს განმცხადებელი, თვითმმართველობას ქონდა დარეგისტრირებული საკუთრებაში და მასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობდა დავა თბილისის მერიასა და განმცხადებელს შორის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის დადგენილებით ლ. ჩ-ის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე – უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენის თაობაზე დარჩა განუხილველი. მაგისტრმა მოსამართლემ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეში დაინტერესებული პირი არ იყო თანახმა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის, კერძოდ 1993 წლის 5 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის ლ. ჩ-სადმი კუთვნილების დადგენაზე. ვინაიდან დაინტერესებულმა პირმა აღძრა დავა უდავო წარმოებით საქმის განხილვისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის საფუძველზე, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე – უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენის თაობაზე დარჩა განუხილველად. ამასთანავე, განმცხადებელს განემარტა, რომ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით, სასარჩელო განცხადებით.

ლ. ჩ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, სადაც მოპასუხედ – ქ. თბილისის მერიასთან ერთად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა დაასახელა და 1993 წლის 5 მარტის ლ. ჩ-ის სახელზე გაცემული №134 მიღება-ჩაბარების აქტის, როგორც უფლების დამდგენი დოკუმენტის, ლალი ჩ-ის კუთვნილ დოკუმენტად აღიარება მოითხოვა.

სარჩელში აღნიშნული იყო, რომ ლ. ჩ. სოფელ თხინვალაში საკუთრების უფლებით ფლობს 1500 კვ.მ. მიწის ფართობს, რომელიც საკუთრებაში გადაეცა 1993 წლის 5 მარტს, მიწების რეფორმის მსვლელობისას გაცემული №134 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და რომელიც ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის №06-8/5107 მიმართვის საფუძველზე 2011 წლის 19 მაისს დარეგისტრირდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში.

ლ. ჩ-მა. 2012 წლის 13 იანვარს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაზუსტებული მონაცემებით დარეგისტრირება მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და მის საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ: 1) წარმოდგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება; 2) მიწის ნაკვეთზე უფლების დამდგენი დოკუმენტი, მიღება-ჩაბარების აქტი, გაცემულია ლ. ჩ-ის სახელზე, ხოლო პირადობის მოწმობის მიხედვით, მოსარჩელე არის ლ. ჩ.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა საკითხის ამგვარ გადაწყვეტას და საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

სასამართლომ მიუთითა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითი-

თებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპების გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და ნათლად განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელით დგინდება უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის ფაქტი და მათი დადგენა მოიაზრება საჯარო სამართლის ნორმიდან გამომდინარე. სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო უფლების დამდგენი დოკუმენტი, მიღება-ჩაბარების აქტი და მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა უფლების დამდგენი დოკუმენტის მისდამი კუთვნილების დადგენა და სადავოს არ წარმოადგენდა უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის ფაქტი.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ლ. ჩ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას. საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. უკეთეს ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა მოცულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან სხვა საჯარო სამართლის წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის ინტერესს შეადგენს ლ. ჩ-ის სახელზე გაცემული №134 მიღება-ჩაბარების აქტის, როგორც უფლების დამდგენი დოკუმენტის, მოსარჩელის კუთვნილ

დოკუმენტად აღიარება, რის საფუძველზეც მას სურდა 1993 წლის 5 მარტის მიწის რეფორმის გატარების შედეგად გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დაზუსტებული მონაცემებით საკუთარ სახელზე დარეგისტრირება. ლ. ჩ-ის ინტერესის დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უდავო წარმოების წესით. დასახელებული პროცესუალური ფორმით საქმის განხილვისას საქმეში დაინტერესებულ პირად ჩაბმული მერია არ დაეთანხმა ლ. ჩ-ის მოთხოვნას, განცხადება დარჩა განუხილველი და მხარეებს განემარტათ, რომ მათ ჰქონდათ სარჩელის საერთო საფუძველზე წარდგენის შესაძლებლობა. საკასაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უდავო წარმოების წესით განცხადების განსჯადობა შესაძლოა არ დაემთხვეს სარჩელის განსჯადობას, ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში სარჩელის აღძვრამდე განცხადების სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ განხილვა არ გამორიცხავს დავის წარმოქმნის შედეგად აღძრული სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უფლების დამდგენი დოკუმენტი – მიღება-ჩაბარების აქტი თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული ხელშეკრულება. იგი ადმინისტრაციულს წარმოადგენს თუ ადმინისტრაციული ნორმების შესრულებას ემსახურება, მისი დადების შედეგად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოეშობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან რეალაქტის განხორციელების ვალდებულება.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არის მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის გაცემის ძირითადი საფუძვე-



ლი. ამრიგად, სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სავალდებულო ნიშანს, მისი საჯარო-სამართლებრივი მიზნის გარდა, წარმოადგენს, აგრეთვე, ხელშეკრული მხარის სტატუსი. განსახილველი სამართალურთიერთობის მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით შეადგენდა მიღება-ჩაბარების აქტებს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მის საფუძველზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან, სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო. ამრიგად, სახეზე იყო დავის ადმინისტრაციული წესებით განხილვის ყველა პირობა. უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელის სახეობას. ამასთანავე, გასათვალისწინებელი იყო, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესებით განიხილებოდა, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები (25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი).

სასარჩელო განცხადებით მოსარჩელე ითხოვდა არა მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის მის კუთვნილ დოკუმენტად აღიარებას, არამედ, ასევე, აქტის საფუძველზე უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დაზუსტებული მონაცემებით დარეგისტრირებას. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის მიმართვის საფუძველზე ნაკვეთი. დარეგისტრირდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში. უძრავი ქონების დაზუსტებული მონაცემებით დარეგისტრირების მოთხოვნაზე სარეგისტრაციო წარმოება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით შეჩერდა და მის საფუძველად მიეთითა წარმოდგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდების არსებობა და მიღება-ჩაბარების აქტის

ლ. ჩ-ის სახელზე გაცემის დამადასტურებელი სასამართლო აქტის წარმოდგენის საჭიროება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დაზუსტებული მონაცემებით დარეგისტრირების, ფართზე ახალი რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნა, ასევე, ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიათა რიგს განეკუთვნებოდა, ვინაიდან სხვადასხვა დროს მოქმედი უძრავი ქონების რეგისტრაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობა ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან წარმოშობილი დავა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული წესით გასახილველ დავის საგნად უნდა მიჩნეულიყო.

**7. დოკუმენტის ნამდვილობის თაობაზე გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივარი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება, თუნდაც მოპასუხეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდეს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 12 ოქტომბრის №ბს-1150-726 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ბინის ჩამორთმევა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თ. დ-ქმ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისულ ცენტრ „ფ-ის“ მიმართ და მოითხოვა დოკუმენტის ნამდვილობის აღიარება შემდეგი საფუძვლებით: მიწისძვრის შედეგად დაინგრა საცხოვრებელი სახლი, რომელშიც იგი ცხოვრობდა. სახლის მდგომარეობა შეამოწმა სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა და დაადგინა, რომ იგი არ ექვემდებარებოდა გამაგრებას.

დასკვნის საფუძველზე, მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდმა გამოუყო სხვა საცხოვრებელი ფართი. ბინით დაკმაყოფილებისას ფონდის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა საბინაო პირობების შემოწმების შესახებ, რომელშიც აღნიშ-

ნული იყო, რომ . . . მდებარე ბინა ეკუთვნის გ. დ-ეს და მასთან ერთად ცხოვრობენ ე. დ-ე, თ. დ-ე და მ. ი.

მინისტვრით დაზარალებულთა ფონდის ხელმძღვანელობამ ეჭვქვეშ დააყენა საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისულ ცენტრ „ფ-ის“ მიერ გაცემული ცნობა-საბინაო პირობების შემოწმების შესახებ, რის გამოც წარმოიშვა ფონდის მიერ დროებით სარგებლობაში გადაცემული ბინის ჩამორთმევის საშიშროება.

საქართველოს სამოქალაქო საროცესო კოდექსის 180-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელემ მოითხოვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისულ ცენტრ „ფ-ის“ მიერ გაცემული ცნობის ნამდვილობის აღიარება.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა თ. დ-ის სარჩელი. ამავე სასამართლოს განჩინებით დასაშვებად იქნა მიჩნეული დ. ა-ის საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით თ. დ-ის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ, რადგან მოპასუხე – მინისტვრით დაზარალებულთა ფონდი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმე უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოსაზრებას და საქმე განსჯადობის თაობაზეა დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ სარჩელი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას თ. დ-ის სასარჩელო განცხადების ადმინისტრაციულ დავად მიჩნევის თაობაზე, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლო-

ბიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. აღნიშნულით კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დავის განხილვის ძირითად პირობად დაადგინა დავის საგანი, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული /საჯარო სამართლის/ კანონმდებლობიდან.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით არ იყო დასაბუთებული თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ მინისძვრით დაზარალებულთა ფონდი ადმინისტრაციულ ორგანოდ და არ მიუთითა, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რომელ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა მოსარჩელის მოთხოვნა დოკუმენტის ნამდვილად აღიარების თაობაზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, საქმე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველად, რადგან განსჯადი სასამართლოს განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით სამართალურთიერთობას, იგი – უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ადმინისტრაციული ორგანოს მართოდენ მონაწილეობა საქმეში არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

განსახილველ შემთხვევაში თ. დ-ქმ სარჩელი აღძრა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის საფუძველზე – დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, როდესაც მხარის მოთხოვნის საფუძველად მიეთითა ზემოთ დასახელებული ნორმა, გაუგებარი იყო სასამართლოს მოსაზრება დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის (დაუსწრებელი გადაწყვეტილება) დებულებანი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავა იქნებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი (რასაც ადგილი არ ქონდა), რაიონული სასამართლოს ნაწარმოები საქმის მასალები არ იძლეოდა საქმის ადმინისტრაციული კოლეგიისათვის გადაცემის საფუძველს, ვინაიდან არსებობდა სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და და-

საშვებად იქნა მიჩნეული მასზე შეტანილი საჩივარი. შესაბამისად, თ. დ-ის სარჩელის თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსებობისას, გაურკვეველი იყო, თუ რომელი სარჩელი გადასცა სამოქალაქო ადმინისტრაციულ კოლეგიას.

საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ თ. დ-ის როგორც სასარჩელო განცხადება, ისე განცხადების თაობაზე მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შესული საჩივარი წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სამოქალაქოსამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო.

**8. სარჩელი გამგეობის მიმართ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე სახლის კეთილსინდისიერ მფლობელად ცნობის თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 იანვრის ბს-1356-931 (გ-05) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სახლის კეთილსინდისიერ მფლობელად ცნობა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. ი-ის რწმუნებულმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მიმართ სახლის კეთილსინდისიერ მფლობელად ცნობის თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას იმ საფუძველით, რომ მოცემული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეს, რადგან თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელე ა. ი-ს აღძრული ჰქონდა დავა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე და დავის საგანს წარმოადგენდა კეთილსინდისიერ

მფლობელად ცნობა, რაც არ იყო დაკავშირებული ადმინისტრირებასთან, ადმინისტრაციული აქტის მიღებასთან, დავა კერძო-სამართლებრივი ხასიათის იყო და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში წარიმართა.

**4. საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ, რადგან მოსარჩელე ა. ი-ს აღძრული აქვს სარჩელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე და მის საგანს წარმოადგენდა კეთილსინდისიერ მფლობელად ცნობა, რაც არ არის დაკავშირებული ადმინისტრირებასთან, ადმინისტრაციული აქტის მიღებასთან, დავა კერძო-სამართლებრივი ხასიათის იყო და განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და არ შედოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა ჩამონათვალში.

**9. სარჩელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარებისა და საკომლო წიგნსა და საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივნისის

№ბს-630-608 (გ-10) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარება და შესაბამისი ცვლილების შეტანა საკომლო წიგნსა და საჯარო რეესტრში*

## რედაქტირებული ამონარიდი

1. ი. ხ-ძემ სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ და მოითხოვა, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახინჯაურში მდებარე . . . ჰა მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად აღიარება და შესაბამისი ცვლილების შეტანა საკომლო წიგნსა და საჯარო რეესტრში

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ი. ხ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ხ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკომლო წიგნის ჩანაწერების რეალობა, რასაც კავშირი არა აქვს ადმინისტრაციულ დავასთან.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობით გნსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ განმარტა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა საკომლო წიგნსა და საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესაბამისი ცვლილების შეტანა. მოსარჩელემ მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თუმცა ამ უკანასკნელს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ სოფლის საკრებულოს ან გამგეობის კომპეტენციას არ მიაკუთვნებს კომლის რეგისტრაციას და საკომლო წიგნის ჩანაწერში ცვლილების შეტანას, რაც ი. ხ-ძის სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა. სარჩელის ძირითადი მოთხოვნა საკომლო წიგნის ჩანაწერებში ცვლილების შეტანა სამოქალაქო კანონმდებლობით რეგულირდება, ამიტომაც, სასამართლოს დასკვნით დავა განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა სასამარ-

თლოს მსჯელობას დავის სამოქალაქო წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე და საქმე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ ი. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ნაწილსა და მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის სავალდებულო პირობად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-3-ე ნაწილებში.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტში მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე, მოპასუხე – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა პალატამ ზედმინევნით ზუსტად უნდა გაარკვიოს დავის საგანი, კერძოდ, სამოქალაქო საქმეთა პალატის სასამართლო სხდომაზე დაფიქსირებული იყო, რომ მოსარჩელე, მართლზომიერი მფლობელობის საფუძვლით, ითხოვდა მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას, ხოლო სარჩელი ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ საკომლო წიგნებში არსებული ჩანაწერების თანახმად, მისი წინაპრები ფლობდნენ სადავო მიწის ნაკვეთს.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გადანაცვებილას სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრება-



ში გადაცემის შესახებ იღებენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფო მიწის განკარგვის ორგანიზება, სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო მიწის განკარგვის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან დადგენილი იყო, რომ სადავო მიწა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის განხილვისას, თუკი დადგინდებოდა მოსარჩელის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სადავო მიწის მართლზომიერად ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, საქართველოს კანონის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საფუძველზე, სახეზე იყო ამ ნორმატიული აქტით მონესრიგებული ურთიერთობის შესაბამისი, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავა და იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყვეტილიყო.

**10. კომლთან დაკავშირებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს აქტი – საკომლო წიგნის ჩანაწერი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი გაუქმების თაობაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 31 ოქტომბრის №ბს-358-342 (გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: კომლის სტატუსის აღდგენა და საკომლო ჩანაწერის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. ფ-მა სარჩელი აღძრა ყვარლის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების – ყვარლის რაიონის სოფ. შილდის საკრებულოსა და ი. ფ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა კომლის სტატუსის აღ-

დგენა და ყვარლის რაიონის სოფ. შილდის საკრებულოს ჩანაწერის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

მოსარჩელემ მიუთითა რომ ყვარლის რაიონის გამგეობის გადწყვეტილებით ი. ფ-მა და მისმა მეუღლე მ. ფ-მა შეილად აიყვანეს მოსარჩელე. ეს უკანასკნელი ჩაენერა კომლში, რომელიც დარეგისტრირდა ყვარლის რაიონის სოფ. შილდის საკრებულოში. კომლში ასევე ჩაენერნენ მ. ფ-ის შვილები. კომლის უფროსად აღრიცხული იყო ი. ფ., რომელზედაც რეგისტრირებული იყო კომლის ქონება, მათ შორის, საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთები. მშობლებთან დაძაბული ურთიერთობის განმუხტვის მიზნით, მოსარჩელე დროებით საცხოვრებლად გადავიდა მეუღლის ბინაში. მოპასუხემ ისარგებლა ამ გარემოებით და საკრებულოში გააუქმა კომლი, მათ შორის, მოსარჩელისა და მისი შვილების თაობაზე ჩანაწერი.

მ. ფ-მა მოითხოვა კომლის სტატუსის აღდგენა იმ საფუძვლით, რომ საქართველოს კანონის „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკომლე მეურნეობა იყო ამ მუხლით გათვალისწინებული საადგილმამულო მეურნეობა, რომელიც ერთი ფიზიკური პირის, აგრეთვე, მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრთა საკუთრებას წარმოადგენდა. საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო საადგილმამულო წიგნში. საქართველოს კანონის „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სარეგისტრაციო ბარათის ჩანაწერის გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით დაშვებული იყო ოჯახის კომლის წევრთა თანასაკუთრებაში არსებული მიწის ან სხვა უძრავი ქონების რეგისტრაციის გრაფაში აღრიცხულიყო ოჯახის უფროსი. სარეგისტრაციო ბარათზე ასეთი ასახვა ტექნიკური ხასიათის იყო და არ ზღუდავდა რომელიმე თანამესაკუთრის კანონიერ უფლებას. ყვარლის რაიონის სოფ. შილდის საკრებულო არ იყო უფლებამოსილი გაეუქმებინა ჩანაწერი ი. ფ-ზე აღრიცხული კომლის შესახებ. საკრებულოსათვის ცნობილი იყო, რომ კომლი შედგებოდა 5 წევრისაგან. კომლის ჩანაწერის გაუქმებაზე სავალდებულო იყო კომლის წევრთა თანხმობა. საკრებულოს მოქმედებით შეილახა მოსარჩელის ქონებრივი უფლებები: იგი არ იყო უფლებამოსილი ერთპიროვნულად მოეთხოვა კომლის გაუქმება. მას შეეძლო მოეთხოვა მხოლოდ კომლიდან გამოყოფა. მოსარჩელის მოსაზრებით, ყვარლის რაიონის სოფ. შილდის საკრებულოს მოქმედება არასწორი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ კომ-

ლის გაუქმება ხდებოდა არა ჩანაწერში ხაზის გადასმით, არამედ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

ყვარლის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ფ-მა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის განჩინებით მ. ფ-ის სააპელაციო განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებას და სააპელაციო საჩივარი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა კომლის სტატუსის აღდგენას და ჩანაწერის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანას. იგი სადავოდ ხდიდა და უკანონოდ მიიჩნევდა ყვარლის რაიონის სოფ. შილდის საკრებულოს მოქმედებას. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის სადავოდ ქცეული უფლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა რიგს არ მიეკუთვნებოდა და იგი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების მეშვეობით. აღნიშნული დავის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა გამოერკვია, მოქმედებდა თუ არა კანონიერად ყვარლის რაიონის სოფ. შილდის საკრებულო საკომლო წიგნში ჩანაწერის გაუქმებისას. ამ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს, სოფ. შილდის საკრებულოს მოქმედების კანონიერება.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურსამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. კომლთან დაკავშირებით სოფლის საკრებულოს მოქმედების სადავობის დროს სარჩელის განსჯადობის საკითხის განსაზღვრისათვის, შესაბამისად, ამოსავალია სადავო მოქმედების შინაარსის უშუალო მატერიალურ სამართლებრივი საფუძველი – კერძო სამართლის თუ საჯარო სამართლის კანონმდებლობა.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა კომლის სტატუსის აღდგენა და ყვარლის რაიონის სოფ. შილდის საკრებულოს საკომლო ჩანაწერის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. მოსარჩელის მოსაზრებით, კომლიდან გასვლა საჭიროებდა კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობით თანხმობას, რასაც ადგილი არ ჰქონია. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებითად, სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა კომლის ქონებაზე უფლებას, რაც თავისი ბუნებით წარმოადგენს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განიხილება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყვარლის რაიონის სოფ. შილდის საკრებულოს მიერ კომლის გაუქმება და საკომლო დავთარში (საკომლო წიგნში) სათანადო ჩანაწერის შეტანა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ თანახმად არ განეკუთვნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის კომპეტენციის სფეროს. საკომლო დავთარს (საკომლო წიგნს) აწარმოებდა რაისაბჭოს აღმასკომი, რომელიც საქართველოს 1968 წლის 25 დეკემბრის კანონის „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ“ 22-ე მუხლის თანახმად, დადგენილი წესით ახდენდა მოქალაქეთა ჩანერა-ამოწერას, რეგისტრაციაში ატარებდა საკოლმეურნეო (გლეხთა) კომლის საოჯახო ქონებრივ გაყოფას, ამასთანავე, საქართველოს მიწის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლი გაყრილად ან გაუქმებულად ითვლებოდა მხოლოდ აღმასკომში რეგისტრაციის მომენტიდან.

მოქმედი საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ პირთა რეგისტრაციას და რეგისტრაციიდან მოხსნას ახორციელებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები.

საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან კოლმეურნეობების გაუქმებასთან დაკავშირებით შეიცვალა საკოლმეურნეო კომლის იურიდიული სტატუსი და იგი ჩამოყალიბდა საკოლმეურნეო მეურნეობად, რომელიც საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავებით წარმოადგენს ფერმერულ მეურნეობას. საქართველოს კანონის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას; მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იყოს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი თანამესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული. ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. აღნიშნული იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და საადგილმამულო მეურნეობაზე კომლის წევრთა თანასაკუთრების არსებობა მოწესრიგდეს სამოქალაქო კანონმდებლობის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე, 1463-ე, 1514-ე მუხლების) შესაბამისად, საადგილმამულო წიგნში რეგისტრაციით, რაც საფუძველი იქნებოდა სოფლად მცხოვრები ოჯახის (რომელიც ფლობს სა-

სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და ამ მიწაზე ეწევა საერთო საქმიანობას) კომლად მიჩნევისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ მ. ფ-ის. კომლის გაუქმება ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელდა, სასამართლოს უნდა ემსჯელა განსახილველი ურთიერთობების მიმართ აღნიშნული კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობაზე, რომლებიც ეხება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციას. ამასთანავე, მხედველობაში იყო მისაღები სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონის „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ მე-3 მუხლი, რომლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიწის რეგისტრაციას ახდენდა რეგისტრაციის სახელმწიფო სამსახური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნია რომ კომლთან დაკავშირებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს აქტი, საკომლო ნიგნში (დავთარში) ჩანაწერი, თავისი ბუნებით არ პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, საკრებულოს გასაჩივრებულ ჩანაწერს არ აქვს უფლებანარმოქმნელი მნიშვნელობა, დავთარში რეგისტრაციის სამართლებრივი შინაარსი დეტერმინირებულია უფლების ნარმოქმნელი კერძოსამართლებრივი ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი, ქონებრივ-საოჯახო ურთიერთობებით, რის გამო უმართებულო იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა. საქმის განხილვისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მატერიალური ნორმების რეალიზაციის შესაბამისი პროცესუალური, კერძოდ კი სამოქალაქო სამართალწარმოების ნორმებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მიიჩნია, რომ სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო.

**11. სარჩელი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღრიცხვის, მასზე განლაგებული შენობის ექსპლუატაციაში მი-**

**ღების და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 ოქტომბრის №ბს-500-475 (გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღრიცხვა, მასზე განლაგებული შენობის ექსპლუატაციაში მიღება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ვ. ტ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის, თბილისის არქიტექტურისა და სივრცითი განვითარების სამსახურის, საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე 28 კვ.მ მიწის ფართის მის სახელზე აღრიცხვა და სადავო მიწაზე მის მიერ აშენებული ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, მან აუქციონზე თბილისში, . . . მიმდებარედ საკუთრების უფლებით შეიძინა ორი ერთმანეთის მომიჯნავედ განლაგებული მიწის ნაკვეთი, თითოეული 50 კვ.მ (საერთო ფართი 100 კვ.მ). ამასთან, იგი თბილისში, . . . მიმდებარედ კანონიერად ფლობდა 30 კვ.მ მიწის ფართს, სადაც სავაჭრო ობიექტის მშენებლობას აპირებდა, თუმცა მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, ისანი-სამგორის რაიონის მაშინდელი გამგებლის დაპირების საფუძველზე, მან ამ მიწაზე მშენებლობა შეწყვიტა და სანაცვლოდ, მისი კუთვნილი 100 კვ.მ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე 28 კვ.მ ფართი დაიკავა. მოსარჩელის მითითებით, ამის თაობაზე, ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი იყო, თუმცა უკვე დამთავრებული შენობის ექსპლუატაციაში მიღებაზე შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ მას უკანონოდ ჰქონდა დაკავებული სადავო მიწის ნაკვეთი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიდან არ გამომდინარეობდა და იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვისას ვ. ტ-ამ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და განმარტა, რომ მისი მოთხოვნის საფუძველს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება წარმოადგენდა, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო კისრულობდა ვალდებულებას, სადავო მიწის ნაკვეთი მისთვის საკუთრებაში გადაეცა. მოსარჩელე აქვე მოითხოვდა ქ. თბილისის მერიას, თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას, თბილისის არქიტექტურისა და სივრცითი განვითარების სამსახურს, საჯარო რეესტრს დავალებოდათ მათი კომპეტენციის ფარგლებში მოეხდინათ მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად აღრიცხვა, სადავო მიწაზე განლაგებული შენობის ექსპლუატაციაში მიღება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ვ. ტ-ას სარჩელი განსჯადობის საკითხის გასარჩევად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში წარიმართა.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ვ. ტ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეს წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად დავის საგანი განსაზღვრა, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კერძოდ კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი მათ კონკრეტულ ჩამონათვალს იძლევა.

მოცემულ შემთხვევაში ვ. ტ-ას სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა: 1. ქ. თბილისის მერიის დავალდებულება ქ. თბილისში, . . . ქუჩაზე მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე 28 კვ.მ მიწის ნაკვეთის მისთვის გადაცემა; 2. ქ. თბილისის მერიის, თბილისის ისანი-სამგორის გამგეობის, თბილისის არქიტექტურისა და სივრცითი განვითარების სამსახურის, საჯარო რეესტრის დავალდებულება მათი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ სადავო მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად აღრიცხვა, სადავო მიწა-



ზე განლაგებული შენობის ექსპლუატაციაში მიღება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ მოსარჩელის ძირითად მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოსარჩელის მხრიდან ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის მისთვის გადაცემა და მის საკუთრებად აღრიცხვა წარმოადგენდა. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ მოსარჩელე სადავო მიწაზე მისი საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლად არა სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ წინაპირობებს, არამედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ „ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებასა“ და, შესაბამისად, მისი მხრიდან „კანონიერი ნდობის უფლებაზე“ მიუთითებდა. ამრიგად, ეჭვს არ იწვევდა ის გარემოება, რომ სადავო მიწაზე საკუთრების უფლების გადაცემის ნაწილში სარჩელის საფუძვლად არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობა გვევლინებოდა, რაც საქმეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიაკუთვნებდა.

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის დანარჩენ მოთხოვნებთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ისინი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უდავოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობდნენ და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის კონკრეტული ქმედებების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნას წარმოადგენდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვ. ტ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო.

## **12. სარჩელი უკანონო ნაგებობის დაკანონებაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის №ბს-720-686 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: უკანონო ნაგებობის დაკანონება*

1. ფ. ჭ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1994 წლის 22 სექტემბრის და 1997 წლის 25 სექტემბრის დადგენილებების შესაბამისად, 1994 წლამდე მიტაცებული მიწის ნაკვეთები და მათზე უნებართვოდ აშენებული ინდივიდუალური სახლები ექვემდებარებოდა სამართლებრივ რეგისტრაციას. მოსარჩელემ აღნიშნულის თაობაზე ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას მიმართა და ქ. თბილისში, . . . მდებარე მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე 1990-1991 წლებში დაშენებული მეორე სართულის დაკანონება მოითხოვა, რაზეც თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ წერილით უარი უთხრა იმ მოტივით, რომ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ ფ. ჭ-იას საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე განხორციელებული მეორე სართულის მიშენება აღრიცხული იყო 2000 წელს, რაც მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია და მოითხოვა ქ. თბილისში, . . . მდებარე, მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის დაკანონება და მის სახელზე რეგისტრაცია.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ფ. ჭ-იას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ფ. ჭ-იას სარჩელთან დაკავშირებული საქმის დავის საგანი არ განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას, კერძოდ, სარჩელი არ იყო მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ, არ შეიცავდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათაგან რომელიმეს, სარჩელის მოთხოვნა იყო სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნა არ იყო მიმართული სარჩელში მოპასუხედ მითითებული თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამ-

გეობის მიმართ, რის გამოც, მის განხილვისათვის უფლებამოსილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სასამართლო სხდომაზე ფ. ჭ-იას წარმომადგენელმა მოითხოვა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობისათვის ფ. ჭ-იას საკუთრებაში არსებულ ნაგებობაზე უკანონოდ დაშენებული მეორე სართულის დაკანონების შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალებულება.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ფ. ჭ-რიას სარჩელი მოპასუხე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიმართ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილებოდა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილი იძლეოდა მათი ნაირსახეობების ჩამონათვალს.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას, რომელიც ფ. ჭ-იამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – უკანონო ნაგებობის დაკანონებაზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის უარის გაუქმება და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც მოხდება შესაბამისი უკანონო ნაგებობის დაკანონება. ეს კი ადმინისტრაციუ-

ლი კატეგორიის დავას განეკუთვნებოდა, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის განმსაზღვრელად მიიჩნია დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის დიდუბეჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებული დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან ფ. ჭ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაფუძნებული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1994 წლის 22 სექტემბრის და 1997 წლის 25 სექტემბრის დადგენილებებზე, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას განეკუთვნებოდა. ამასთან, მოსარჩელემ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოითხოვა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობისაგან, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ფ. ჭ-იას მიერ გასაჩივრებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს – თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის უარი უკანონო ნაგებობის დაკანონების თაობაზე, რომელიც წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, ფ. ჭ-იას სასარჩელო მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა მოპასუხისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, რომლითაც მოხდებოდა ნაგებობის დაკანონება. აღნიშნული მოთხოვნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე ფ. ჭ-ის სარჩელის გამო თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიმართ უკანონო ნაგებობის დაკანონების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო.

**13. სარჩელი საკრებულოს მიმართ, სასოფლო (საჯარო) გზის აღდგენის თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება, რადგან დაუშვებელია საჯარო-სამართლებრივი დავის მიჩნევა კერძო-სამართლებრივად იმის გამო, რომ მოსარჩელე თავის საჯარო-სამართლებრივ მოთხოვნას კერძო სამართლის ნორმების მეშვეობით ასაბუთებს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის №ბს-305-298 (გ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაში გატარება, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა და სასოფლო (საჯარო) გზის აღდგენა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. შ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს ე. მ-ის, ს. ა-ის, თეთრი წყაროს მიწის მართვის სამმართველოსა და თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ასურეთის საკრებულოს აგრარული გარემოს დაცვისა და სადავო საკითხთა კომისიის წინააღმდეგ. მოსარჩელემ 1992 წლის მიწის რეფორმის შედეგად მიკუთვნებული . . . კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის დაკანონება, საჯარო გზის დადგენა და მისი გზის გამოთავისუფლება მოითხოვა.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით შ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თეთრიწყაროს რაი-

ონის მინათმონყობის სამმართველოს, სარეგისტრაციო სამსახურ-სა და ასურეთის საკრებულოს დაევაღათ შესაბამისი ზომების მი-ღება და შ. მ-ისათვის მინის ნაკვეთზე საკუთრების მოწმობის გა-ცემა. შესაბამისად, მინათმონყობის რაიონულ და სასოფლო კომი-სიებს დაევაღათ ს. ა-ისა და ე. მ-ის მინის ნაკვეთების საკონტრო-ლო აზომვების შესრულება და აღურიცხავი მინის ფართის საერთო გადასახადისათვის დაქვემდებარება, აგრეთვე, კანონით დადგე-ნილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი მინის ნაკვეთის ჩამორთმევა და მისი მიზნობრივად გამოყენება. შ. მ-ს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი მო-ითხოვდა ს. ა-ისა და ე. მ-ის მინის ნაკვეთების მომიჯნავედ სასოფ-ლო გზის დადგენას.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. მ-მა და გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც მინათმონყობის რაიონულ და სასოფლო კომისიებს დაევაღათ ს. ა-ისა და ე. მ-ის მინის ნაკვეთების საკონტროლო აზომვები და აღუ-რიცხავი მინის ფართის საერთო გადასახადისათვის დაქვემდებარება და რომლითაც შ. მ-ს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, სასოფლო გზის აღდგენის თაობაზე.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გა-დაეცა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას იმ მოტივით, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს საკრებუ-ლოს მიერ სასოფლო გზის აღდგენა შეადგენდა, რაც ადმინისტრა-ციულ დავას წარმოადგენდა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადა-საწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

პალატამ აღნიშნა, რომ შ. მ-ის სასარჩელო განცხადება მოი-ცავდა ორ მოთხოვნას: 1. მისთვის სასოფლო-სამეურნეო მინის რე-ფორმის შედეგად გამოყოფილი მინის ნაკვეთის რეგისტრაციაში გატარებას და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას 2. ადრე მის სარგებლობაში არსებული, საკარმიდამო ნაკვეთთან დამაკავშირებელი, აუცილებელი გზის აღდგენას, რომელიც გადა-კეტილი ჰქონდათ მეზობელი ნაკვეთების მესაკუთრეებს – ე. მ-სა და ს. ა-ის. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი

მოთხოვნა, რომელიც დაკმაყოფილდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ და აღნიშნულის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში, წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს. მეორე სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან და მიმართული იყო ფიზიკური პირების წინააღმდეგ. მის თაობაზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, რის გამოც განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით შ. მ. სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა რეფორმის შედეგად მიკუთვნებული საკარმიდამო ნაკვეთის საკუთრების უფლებით დამტკიცებას და გზის აღდგენას, რომელიც, აპელანტის განმარტებით, მოპასუხეებმა გააუქმეს თავიანთი მიწის ნაკვეთების უკანონო გაფართოების შედეგად. შ. მ-მა სააპელაციო საჩივრით გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც მიწათმოწყობის რაიონულ და სასოფლო კომისიებს დაევალებათ ს. ა-ისა და ე. მ-ის მიწის ნაკვეთების საკონტროლო აზომვები და აღურიცხავი მიწის ფართის საერთო გადასახადისათვის დაქვემდებარება, აგრეთვე მისი მიზნობრივად გამოყენება. სააპელაციო საჩივრის საგანს წარმოადგენდა ასევე გადაწყვეტილების ის პუნქტი, რომლითაც შ. მ-ს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ს. ა-ისა და ე. მ-ის მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ სასოფლო გზის დადგენის თაობაზე. აპელანტის მოთხოვნას სასოფლო (საჯარო) გზის აღდგენა შეადგენდა, ხოლო მოპასუხედ ამ საკითხთან დაკავშირებით დასახელებული იყო ასურეთის სოფლის საკრებულო, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 65-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო პალატის საოქმო განჩინებით შეიცვალა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტით. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოში განხილვის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება იმ ქმედების განხორციელებაზე, რომელიც განეკუთვნებოდა მის უფლებამოსილების სფეროს, კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობ-

რივი თვითმართველობის შესახებ“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა, ამავე კანონის 47-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმართველი ერთეულის საკუთრებაშია თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, სკვერები და ა.შ.), გარდა კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული მიწებისა, აგრეთვე ის მიწები, რომლებიც ექვემდებარება დასახლებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ითხოვდა არა მეზობლის ნაკვეთის დატვირთვას, საკუთრების შეზღუდვას, თმენის ვალდებულების დაკისრებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი), არამედ გზის აღდგენას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ამ სახის სარჩელის წარდგენის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელების დავალდებულება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო რეალაქტის გამოცემისაკენ, რომელიც უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. განსახილველ შემთხვევაში შ. მ-ის მოთხოვნა წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების დავის საგანს, რის გამოც საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით უნდა ყოფილიყო განხილული. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრება, რომ სააპელაციო საჩივრის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს ქმნის შ. მ-ის მიერ სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთება სამოქალაქო კოდექსის ნორმების მოშველიებით. *Jura novit curia* პრინციპიდან გამომდინარე (სასამართლოსათვის ცნობილია სამართლებრივი პრინციპები), მოსარჩელის და მოპასუხის სამართლებრივ შეხედულებებს საქმის



განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით არ აქვს მნიშვნელობა. დაუშვებელია საჯარო-სამართლებრივი დავის მიჩნევა კერძო-სამართლებრივად იმის გამო, რომ მოსარჩელე თავის საჯარო-სამართლებრივ მოთხოვნას კერძო სამართლის ნორმების მეშვეობით ასაბუთებს. მით უფრო, რომ მოსარჩელემ სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ კანონმდებლობას არ იცნობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობის და დავის საგნის არსის, სამართალსუბიექტურობის მიხედვით დავა ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ქვემდებარეს წარმოადგენდა.

**14. შპს-ის მიერ შედგენილი მშენებლობის პროექტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, მაგრამ არქიტექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ პროექტი იძენს ადმინისტრაციული აქტის ბუნებას, რომლის ბათილობის თაობაზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის №ბს-1291-51-(გ-04) განჩინება  
დავის საგანი: პროექტის ბათილად ცნობა

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. ნ.-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების მ. თ.-ს და ვ. ო.-ის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისში, . . . ქ. №7-ში მდებარე საერთო სარგებლობის ფართის გამოყოფა, პროექტის გაუქმება, უკანონოდ აშენებული კიბის, აივნისა და კანალიზაციის სისტემის მოშლა, აგრეთვე კომპენსაციის სახით 5000 ლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება და 2000 ლარის ოდენობით, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის საოქმო განჩინებით საქმეზე თანამოპასუხედ ჩაება ქ. თბილისის არქიტექტურის საქალა-

ქო სამსახური. იმავე სხდომაზე სასამართლომ მიიღო განჩინება საქმის ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატისათვის განსჯადობით გადაცემის შესახებ.

სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან მ. ნ. როგორც სარჩელით, ისე სააპელაციო საჩივრით, სხვა მოთხოვნებთან ერთად, სადავოდ ხდიდა თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული პროექტის კანონიერებას და ითხოვდა მის გაუქმებას, აღნიშნული დავა კი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა რიგს განეკუთვნებოდა.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში საქმის განხილვის დროს აპელანტმა დააზუსტა მოთხოვნა და განმარტა, რომ ითხოვდა პროექტის ბათილად ცნობას და არა მშენებლობის ნებართვის გაუქმებას. ამასთანავე პროექტი, რომლის ბათილად ცნობასაც ითხოვდა აპელანტი, გაცემული იყო შპს „...“ მიერ და მიიჩნია, რომ საქმეზე მოპასუხედ დასახელებული არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ნაცვლად, მოპასუხე უნდა ყოფილიყო შპს „...“. რადგანაც დაკონკრეტდა დავის საგანი, სააპელაციო სასამართლომ სადავოდ გახადა პროექტის ბათილად ცნობის თაობაზე დავის ადმინისტრაციული წესით განსჯადობა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ გასაჩივრებული პროექტი შესრულებული იყო კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ, იგი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს და ამიტომაც სასამართლოთა შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ მ. ნ. სააპელაციო საჩივარი პროექტის ბათილად ცნობის ნაწილში ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მშენებლობის პროექტი, ზოგადად, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რადგან საქართველოს კა-

ნონის „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, არქიტექტურული პროექტი არის არქიტექტურული შემოქმედების შედეგად დოკუმენტურად დაფიქსირებული ავტორისეული ჩანაფიქრი, სადაც ჩამოყალიბებულია არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურა და მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების პრინციპი, რომელიც ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, კომპლექსურად წყვეტს ქალაქთმშენებლობის, მხატვრულ-ესთეტიკურ, ფუნქციურ და ტექნიკურ საკითხებს, წარმოადგენს საავტორო უფლებათა ობიექტს და არ საჭიროებს ლიცენზირებას. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ზოგადად პროექტი, ვის მიერაც არ უნდა იყოს იგი შესრულებული, ფიზიკური პირის, კერძო სამართლის იურიდიული პირის თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მ. ნ. ასაჩივრებდა შპს „...-ის“ მიერ შედგენილ პროექტს, რომელიც „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე შეთანხმებული და დამტკიცებული იყო ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადების თანახმად ადმინისტრაციული აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. მითითებული ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მას შემდეგ, რაც შპს „საქარქფონდის“ მიერ შედგენილი პროექტი დაამტკიცა ქ.თბილისის მთავარმა არქიტექტორმა, მან შეიძინა ადმინისტრაციული აქტის ბუნება, რადგან მას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი: არქმშენისპექციის მიერ მშენებლობის დაწყების ნებართვის გაცემის შემდეგ, განხორციელდეს მშენებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ქალაქის მთავარი არქიტექტორის მიერ სადავო პროექტის დამტკიცების შემდეგ, იგი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

**15. ქ. თბილისის მერიისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ რემონტის ჩატარების მოვალეობიდან გამომდინარე სარჩელი კონკრეტული ბინის შეკეთების თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ივნისის №ბს-522-498 (გ-07) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: ქ. თბილისის მერიისათვის სარემონტო სამუშაოების ჩატარების დავალდებულების ან ამისათვის აუცილებელი თანხის დაკისრება*

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. მ. ლ-მა სარჩელი აღძრა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ქ. თბილისის მერიის მიმართ ბინაში წარმოქმნილი დეფექტების აღმოსაფხვრელად სარემონტო სამუშაოების ჩატარების დავალდებულების ან ამისათვის აუცილებელი თანხის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ქ. თბილისის კრწანისი-მთან-მინდის რაიონული სასამართლოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით მისი სარჩელი დაკმაყოფილდა: ქ. თბილისის მერიას დაევალა, გამოეყო სახსრები ქ. თბილისში, . . . მდებარე საცხოვრებელი სახლის სარემონტო-გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად, ქ. თბილისის მერიის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობ ცენტრს დაევალა საცხოვრებელი სახლის სარემონტო-გამაგრებითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის და გეგმის შედგენა, ასევე შესაბამისი სამუშაოების ჩატარებაც. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, დაიწყო კორპუსის საძირკვლის გამაგრებითი სამუშაოები. მოსარჩელეს განუმარტეს, რომ მის ბინაში სარემონტო სამუშაოები არ ჩატარდებოდა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათლად იყო განმარტებული მხოლოდ კორპუსის გამაგრებასთან დაკავშირებული ვალდებულებები და არ იყო მითითებული კონკრეტული ბინის რემონტზე. მოსარჩელის აზრით, ეს გამოწვეული იყო საქმის განხილვის დროს მისი ადვოკატის მიერ დაშვებული შეცდომით.

მოსარჩელის განმარტებით, მის ბინაში კორპუსის ავარიულობით წარმოიქმნა მნიშვნელოვანი დეფექტები, ამიტო კი მის საკუთრებას მიაღდა ზიანი. კორპუსის ავარიულობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ქ. თბილისის მთავრობას, რომელმაც ააშენა იგი ტექნიკური ნორმების დარღვევით, ხოლო შემდეგ თავისი უმოქმედობით მიიყვანა ავარიულობის უკიდურეს, მესამე კატეგორიამდე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომაზე მოპასუხეებმა ცნეს სარჩელი, აღიარეს პასუხისმგებლობა და, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყეს კორპუსის გამაგრებითი სამუშაოები, საჭირო დოკუმენტაციის შედგენასა და სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი მერიის საბინაო ფონდის რეაბილიტაციისა და განითარების ცენტრი კატეგორიულ უარს აცხადებდა მოსარჩელის ბინაში კორპუსის ავარიულობით წარმოქმნილი დეფექტების სათანადო ფორმით დაფიქსირებასა და რემონტზე, ამიტომაც, მოსარჩელემ მოითხოვა, ქ. თბილისის მერიას დავალებოდა მის ბინაში კორპუსის ავარიულობით წარმოშობილი დეფექტების აღმოსაფხვრელად, სარემონტო სამუშაოების ჩატარება ან მისი ღირებულების გადახდა.

საბოლოოდ, დაზუსტებული სარჩელით მ. ლ-მა მოითხოვა მის ბინაში ავარიული დეფექტების აღმოსაფხვრა ან კომპენსაცია, სარემონტო სამუშაოების დასრულება პროექტის მიხედვით და სამუშაოთა შესრულების ვადების განსაზღვრა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით მ. ლ-ის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, იმ მოტივით, რომ სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით რეგულირებულ სამართლებრივ ურთიერთობას, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვდა ქ. თბილისის მერიისათვის თანხის დაკისრებას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით მ. ლ-ის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ მ. ლ-ის სარჩელი წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით მ. ლ-ის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდებოდა რომ სხვა საქმეზე ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. ღ-ის სარჩელი. ამავე გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიას დაევალა, ქ. თბილისში, . . .მდებარე საცხოვრებელ სახლზე სარემონტო-გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად სახსრების გამოყოფა, საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობი ცენტრის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად; ხოლო, ქ. თბილისის მერიის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობ ცენტრს დაევალა მითითებული საცხოვრებელი სახლის სარემონტო-გამაგრებითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის, გეგმის შედგენა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.

წინამდებარე სარჩელით მ. ღ. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით წარმოშობილი ვალდებულებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერიისაგან ითხოვდა, კორპუსის ავარიულობით გამოწვეული დეფექტების აღმოსაფხვრელად მის ბინაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას ან აღნიშნული სამუშაოების ღირებულების გადახდას, სარემონტო სამუშაოების პროექტის შესაბამისად დასრულებას და სამუშაოთა შესრულების ვადების განსაზღვრას.

ქ. თბილისის მერია „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერიის დებულების“ მე-2 მუხლის თანახმად, მიეკუთვნება სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. ამიტომ, ქ. თბილისის მერია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქმეში წარმოდგენილი სარჩელი ცხადყოფდა, რომ მოთხოვნა ამ შემთხვევაში მიმართული იყო ადმინისტრაციული ორგანოს – ქ. თბილისის მერიის მიმართ, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქმედების განხორციელება მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს ისეთ საჯა-

რო-სამართლებრივ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ, რა სახის სარჩელის აღძვრის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო სწორედ მითითებული მუხლით აღძრული სარჩელი, რაც იძლეოდა განსახილველად საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის დაქვემდებარების საფუძველს.

#### **16. სარჩელი ზედმეტად დარიცხული პენსიის თანხის დაკავების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 აპრილის №ბს-214-203 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ზედმეტად დარიცხული პენსიის დაკავება*

#### **რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნაძალადევის ფილიალმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე თ. ხ-ძის მიმართ ზედმეტად დარიცხული პენსიის დაკავების მოთხოვნით.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მოპასუხემ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნაძალადევის ფილიალში წარადგინა ცნობა მუშაობის შესახებ, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ იგი, როგორც პენსიონერი მუშაობის პერიოდში იღებდა პენსიას. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 სექტემბრის №634 დადგენილებით 1994 წლის 11 სექტემბრიდან კი შეჩერებული იყო მომუშავე პენსიონერებზე პენსიის გაცემა.

მოსარჩელის განმარტებით, თ. ხ-ძეს უნდა ეცნობებინა მათთვის მუშაობის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც მოხდებოდა პენსიის გაცემის შეწყვეტა, მაგრამ მან დამალა ეს ფაქტი და ზედმეტად მიიღო . . . ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის პენსიის დაკავება ეტაპობრივად, ყოველთვიურად 20%-ის ოდენობით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იმ მოტივით, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნაძალადევის ფილიალის სარჩელი არ განეკუთვნებოდა იმ დავათა კატეგორიას, რომელიც განსაზღვრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, რის გამოც იგი არ უნდა იქნეს განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნაძალადევის ფილიალის სარჩელი მოპასუხეთ. ხ-ძის მიმართ ზედმეტად დარიცხული პენსიის დაკავების თაობაზე მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნაძალადევის ფილიალის სარჩელი წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ სასამართლოთა ყურადღება მიაქცია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ ნაწილს და განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის განმსაზღვრელად მიიჩნია დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამიტომაც, განსჯა-



დობის საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კანონმდებლობას, რომლის საფუძველზეც დავაა აღმოცენებული, დავის არსს და საგანს, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათს.

საკასაციო სასამართლომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას არსებითად მიიჩნია ზემოაღნიშნული ელემენტების არსებობა, რაც ცალსახად განსაზღვრავდა აღნიშნულ დავასთან მიმართებაში სასამართლოთა კომპეტენციის საკითხს. მოცემული საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენდა ზედმეტად დარიცხული პენსიის დაკავება. სახელმწიფო პენსიის მიღების საფუძველს, მის ოდენობას, პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, შეწყვეტისა და განახლების წესსა და პირობებს კი განსაზღვრავს და არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ წინამდებარე საქმე უნდა გადაწყდეს ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე და მიიჩნია, რომ სახეზეა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავა, რომელიც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო.

**17. ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობაში წევრობასთან დაკავშირებული დავა, როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს მათთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს აქტის ბათილობა, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.<sup>22</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის №ბს-1218-1185 (გ-10) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ამხანაგობის წევრობიდან გაყვანა*

<sup>22</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალოგიური პოზიცია არის გამოხატული ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის №ბს-1261-1205(გ-09) განჩინებაში, რომელშიც საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „ამხანაგობის კრების ოქმის თაობაზე მიღებული მერიის დადგენილება კერძო ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება, იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამიტომაც, მისი შემოწმება სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი არ შეიძლება იყოს“.

1. თ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თსა“ და ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიქმნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „... .“ და . . . ქუჩაზე. მცხოვრებ მოქალაქეებს პირადი საკუთრების ტერიტორიაზე სახლების აღებისა და საკუთარი სახსრებით მრავალსართულიანი სახლის აშენების უფლება მიეცათ. გადაწყვეტილებით მრავალბინიანი სახლის ასაშენებლად ამხანაგობას გამოეყო . . . კვ.მ მიწის ფართი. ქონება წარმოადგენდა ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას, რომელიც მათ უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მოსარჩელის მითითებით, თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით მოსარჩელე თ. ბ-ის მეუღლე – გ. ბ. თვითონ და მათი შვილი ამხანაგობა „თ-ში“ ოთხოთახიანი ბინის მიღების უფლებით განეწიანდნენ. განისაზღვრა მათი ბინის ფართობი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შეიტანეს მისაღები ბინის ღირებულების პროპორციულად საპაიო შენატანი. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ იგი მონაწილეობდა იბა „თ. . . -ის“ კრების მუშაობაში, რომელზედაც განიხილებოდა ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევისა და ახალი დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები.

მოსარჩელის განმარტებით, . . . ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღირიცხა, როგორც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის საკუთრება, მის რეგისტრაციის საფუძვლად, სხვასთან ერთად მიეთითა კრების ოქმზე, რომელსაც ამხანაგობის სხვა წევრებთან ერთად ესწრებოდა მოსარჩელეც. სიაში წარმოდგენილი პირები (მათ შორის თ. ბ-იც), საჯარო რეესტრის ჩანაწერებიდან გამომდინარე, ცნობილ იქნენ ამხანაგობის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული მშენებარე შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებად.

მოსარჩელის განმარტებით, კუთვნილი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნით ამხანაგობისათვის არაერთი მიმართვის შემდეგ, მას სიტყვიერად აცნობეს, რომ იგი გამგეობის გადაწყვეტი-

ლებით გაირიცხა ამხანაგობიდან რაც დადასტურდა თბილისის ცენტრალური არქივის ცნობით, რომლის თანახმად ამხანაგობის წევრობიდან გ. ბ-ის გირიცხვის საფუძველად მიეთითა თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის №3.20.55 გადაწყვეტილება.

მოსარჩელემ მოითხოვა თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის №3.20.55 გადაწყვეტილების, საბინაო საკითხთა კომისიის დასკვნის და ამხანაგობა „თ. . .-ის“ კრების ოქმის ბათილად ცნობა, მისი გ. ბ-ის უფლებამონაცვლის ამხანაგობის წევრად აღდგენა, ამხანაგობისათვის მის სასარგებლოდ ფართის გამოყოფის დავალდებულება და საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობის განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი საბურთალოს რაიონის გამგეობის გადაწყვეტილება შეეხებოდა ამხანაგობა „თ. . .-ის“ საერთო კრების დადგენილებას, რომლის საფუძველზეც გამგეობის გადაწყვეტილებით ამხანაგობიდან წევრთა გაყვანა განხორციელდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობები, ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ამხანაგობა „თ. . .-ის“ კრების ოქმს, რომლისგანაც გამომდინარეობდა და რომლის თანმდევ შედეგსაც მოსარჩელის დანარჩენი მოთხოვნები წარმოადგენდნენ.

საქმის განხილვის პროცესში თ. ბ-სა და ტ. დ-ს შორის გაფორმდა მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე – თ. ბ. შეიცვალა სათანადო მოსარჩელით – ტ. დ-ით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ტ. დ-ით სარჩელიდან ცალკე წარმოებად

გამოიყო სასარჩელო მოთხოვნები, მოპასუხეების – ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თ. . . –ის“ მიმართ, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის №3.20.55 გადაწყვეტილების და საბინაო საკითხთა კომისიის დასკვნის ბათილად ცნობის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში განსჯადობასთან დაკავშირებული დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ გამგეობის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 1993 წლის 9 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მარეგლამენტირებული ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილში კონკრეტულად მოცემულია ამ სახის დავების ჩამონათვალი. მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების

წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტები არ წარმოადგენენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რადგან არ გააჩნიათ აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ძირითადი ნიშანი, კერძოდ, ისინი გამოცემულია არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებულ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებას და საბინაო საკითხთა კომისიის დასკვნას საფუძველად დაედო ამხანაგობა „თ. . . -ის“ წევრთა საერ-

თო კრების ოქმი. შესაბამისად, შინაარსობრივად დავის არსი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად კანონიერად ჩატარდა ამხანაგობის წევრთა საერთო კრება და რამდენად კანონიერად მოხდა გ. ბ-ის ამხანაგობის წევრობიდან გაყვანა. აღნიშნული საკითხების შესწავლა კი არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ მატერიალური სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ სადავო აქტებს არ გააჩნდა დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივად მიჩნევისათვის განმსაზღვრელი მეორე ელემენტი: სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდა არა საჯარო, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, სარჩელი აღძრული იყო ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში, მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, მაგრამ დავაში მარტოოდენ მისი მონაწილეობა საკმარისი არ არის დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის, ამისათვის არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზეა დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

საკასაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა.

**18. მემკვიდრეობით მიღებული პრივატიზებული ბინის თაობაზე მემკვიდრეთა შორის დავა, თუ სარჩელის საგანს არ წარმოადგენს პრივატიზაციის ხელშეკრულება, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 29 იანვრის №ბს-497-62- (გ-03) განჩინება  
დავის სგანი: მემკვიდრეობით მიღებული პრივატიზებული ბინის გაყოფა

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ვ. ლ-მა სარჩელი აღძრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში ე.ლ-ას მიმართ და მოითხოვა სამკვიდრო ქონებიდან – პრივატიზებული ბინიდან მისი კუთვნილი წილის გამოყოფა. შეგებებული სარჩელით ე. ლ-ამ და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ლ. გ-მა ასევე მოითხოვეს კუთვნილი წილების გამოყოფა.

სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ“ საფუძველზე გაფორმებულ პრივატიზაციის ხელშეკრულებიდან.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ვ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ე. ლ-ას შეგებებული სარჩელის ხოლო ლ. გ-ანს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქვათ უარი.

სასამართლოს გადაწყვეტილება ე. ლ-ამ და ლ. გ-ანმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატაში.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით, სააპელაციო საჩივრები განსჯადობით განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას იმ საფუძველით, რომ აპელანტები სადავო ბინიდან სამკვიდრო წილის გამოყოფას აფუძნებ-

დნენ საკუთრების უფლებას, ხოლო ეს უკანასკნელი გამომდინარეობდა პრივატიზების ხელშეკრულებიდან. ამიტომაც დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული გარიგება – პრივატიზების ხელშეკრულება და საქმე ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადი იყო.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით საქმე სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა.

4. **საკასაციო სასამართლო** მივიდა დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივრები თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადს წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში დავა ადმინისტრაციული წესით განიხილება იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოტივაცია, რომ სასარჩელო განცხადების, შეგებებული სარჩელისა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, დავის საგანს წარმოადგენდა მამკვიდრებლის საკუთრებაში არსებული სახლიდან წილების გამოყოფა, ხოლო პრივატიზების ხელშეკრულება არცერთ მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფის აუცილებელ თანმდევ შედეგს არ წარმოადგენს პრივატიზების ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. მხარეებმა სარჩელით, შეგებებული სარჩელით და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მოითხოვეს მხოლოდ სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული დავა, როგორც



მემკვიდრეობით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საკუთრების უფლების თაობაზე წარმოშობილი დავა შეეხებოდა იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც არ გამომდინარეობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიდან და, შესაბამისად, წარმოადგენდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯად დავას.

**19. ქ. თბილისის მერიის მიმართ აღძრული სარჩელი ქონებრივი რესტიტუციის თაობაზე, ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის №ბს-1005-963 განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ქონებრივი რესტიტუციის საფუძველზე საკუთრების უფლების აღდგენა

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. მ. ვ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – ქ. თბილისის მერიის მიმართ საკუთრების უფლების რესტიტუციის თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მის პაპას – მ. ვ-ძეს, საკუთრებაში ჰქონდა მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული ორი საცხოვრებელი სახლი: ... ქ. №3-სა და ქ. №4-ში. (მ. ვ-ძეს უცხო ქვეყნის საოკუპაციო რეჟიმმა უკანონოდ ჩამოართვა საკუთრება. მოგვიანებით მას დაუბრუნეს ... №3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ხოლო ... ქ. №4-ში (ამჟამად ... ქ. №4) მდებარე ქონება მისთვის არ დაუბრუნებიათ; მ. ვ-ძე გარდაიცვალა 1947 წლის 19 თებერვალს. მიუთითებელი ქონება არ დაუბრუნებიათ არც მ. ვ-ძის მემკვიდრეებისათვის. მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1921-1991 წლებში, უცხო ქვეყნის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების არაერთი პრეცედენტი შეიქმნა.

მოსარჩელის განმარტებით, მის პაპას უკანონოდ ჩამოერთვა ქონება, რითაც მას მიაღმა ზიანი, რომელიც არ ანაზღაურებულა არც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით და არც კომპენსაციით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ვ-ძე ითხოვდა მისი პაპისათვის უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრების – ქ. თბილისში, ამჟამად ... ქ. №4-ში მდებარე უძრავი ქონების მისთვის დაბრუნებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ვ-ძის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ – სა და ხანდაზმულობის გამო.

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ვ-ძემ.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რაც წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

ადმინისტრაციული პალატის განმარტებით, მოცემულ საქმეში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საკუთრების უფლების აღდგენა და საკუთრების უკან დაბრუნება, საკუთრება კი წარმოადგენს

კერძო პირებთან არსებულ ქონებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავა არ მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას, რადგანაც დავა თავისი არსით სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის სფეროს მიეკუთვნებოდა, კერძოდ, იგი მონესრიგებული იყო სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, რის გამოც ეს სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობდა არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ მ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილისთანხმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი შეიცავს იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპების დაცვით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან უკანონოდ ჩამორთმეული ქონების კანონიერი მესაკუთრის მემკვიდრისათვის დაბრუნება.

სარჩელის შინაარსი ცხადყოფდა, რომ სახეზე იყო ქონებრივი რესტიტუციის მოთხოვნა. რაც გულისხმობს ჩამორთმეული ან დაკარგული საცხოვრებელი ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნებას. მოთხოვნა მიმართული იყო ქ. თბილისის მერიისადმი, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინის-

ტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოდგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამრიგად, მოთხოვნა მიმართული იყო ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნება. შესაბამისად, სახეზე იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადებით განსაზღვრული მოთხოვნა, აღნიშნული კი იძლევა განსახილველი საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპებისადმი დაქვემდებარების საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრება და მიუთითა: ის გარემოება, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ემყარებოდა კერძო სამართალს არ იძლევა დავის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ დავათა კატეგორიისათვის მიკუთვნების საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, საქმის განსჯადობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია სარჩელის ელემენტებისა და სამართალურთიერთობის ცალკეული კომპონენტების განსაზღვრა. დაუშვებელია საჯარო-სამართლებრივი დავის კერძო-სამართლებრივ დავად მიჩნევა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯარო-სამართლებრივ მოთხოვნას ასაბუთებს კერძო-სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. ასეთ პირობებში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დავის არსით, შეაფასოს და განსაზღვროს მხარის მოთხოვნა და დაადგინოს ვისგან ითხოვს მხარე და რა საფუძველით. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსჯადობის აღრევა გამოიწვევდა საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოებით. ყოველივე ზემოაღნიშნულმა საკასაციო სასამართლოს მისცა საფუძველი დასკვნისათვის, რომ სარჩელი თავისი არსით მიეკუთვნება ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო.

**20. საქართველოს კანონით „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ დადგენილი კომპენსაციის მიღების შესახებ ადმინისტრაციუ-**

**ლი ორგანოს წინააღმდეგ აღძრული სარჩელი, სამოქალაქო სა-  
მართალწარმოების წესით განიხილება.<sup>23</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის  
14 სექტემბრის №ბს-537-508 (გ-09) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სარგებლობის უფლების დათმობის  
სახელმძღვანელო კომპენსაციის მიღება

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. ზ. და გ. ფ-ძეებმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხეების –  
ქ. თბილისის მერიისა და მ. ჯ-შის მიმართ და საქართველოს კანო-  
ნის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი  
ურთიერთობის შესახებ“ შესაბამისად, სახელმწიფოსაგან კომპენ-  
საციის გაცემა მოითხოვეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის განჩინებით მიჩნეულ იქნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა  
მიმართული იყო სახელმწიფოს მიმართ და შეეხებოდა ზოგადი ად-  
მინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ად-  
მინისტრა-ციული ორგანოს ვალდებულებას, განეხორციელებინა  
სხვა რაიმე ქმედება -გაეცა „საცხოვრებელი სადგომით სარგებ-  
ლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით გან-  
საზღვრული კომპენსაცია.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ჩათვალა, რომ კერძო სამარ-  
თლებრივი ურთიერთობების იმავე კანონით მოწესრიგება, რითაც  
წესრიგდება სადავო სამართლებრივი ურთიერთობა, ვერ გახდოდა  
აღნიშნულ დავას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადად. სა-  
მოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, საცხოვრებელ სად-  
გომში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-  
ტით შესახლებულ პირებსა და მესაკუთრეთა შორის ურთიერთ-  
ობების მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია (ინკორპორირებუ-  
ლია) იმავე საკანონმდებლო აქტში, რომლითაც წესრიგდება კერძო  
სამართლის სუბიექტთა მსგავსი ურთიერთობა, მაგრამ ეს გარემო-

<sup>23</sup> იხ. ასევე, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის  
2009 წლის 16 ნოემბრის №ბს-721-686(გ-09) განჩინება.

ება თავისი სამართლებრივი ბუნებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავას ვერ გადააქცევდა სამოქალაქო სამართლებრივად. ამიტომაც, ზ. და გ. ფ-ძეების სარჩელი ქ. თბილისის მერიისა და მ. ჯ-შის მიმართ, კომპენსაციის გადახდის თაობაზე, განსახილველად უნდა გადაცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით განსჯადობის თაობაზე საკითხის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზეა სასამართლოთა შორის დავა საგნობრივი განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით დადგენილი კომპენსაციის მიღების უფლებიდან. თავად კანონი წარმოადგენს კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტს. იმ დროს მოქმედი საბინაო სამართლის თანახმად, სადგომის მესაკუთრე კერძო პირსა და დამქირავებელს შორის, მიუხედავად ამ უკანასკნელის სადგომში ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესახლებისა, მყარდებოდა ქირავნობიდან მომდინარე ურთიერთობა. თავისთავად, საბინაო სამართალი ატარებდა კერძოსამართლებრივ ხასიათს, სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირება ხდებოდა მხოლოდ საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებელ პირთა აღრიცხვისა და კერძო პირის თანხმობით მის საკუთრებაში არსებულ გამონთავისუფლებულ ბინაში მათი შესახლებისას. ამიტომაც, საქართველოს კანონის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები ითვალისწინებდნენ მხარეთა შორის წარმოშობილი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებას. ამ პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვის აუცილებლობა, კომპენსაციის გადახდის გზით, განაპირობა მხოლოდ ურთიერთობის წარმოშობისას მოქმედი კანონმდებლობის თავისებურებამ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი მოიცავს იმ დავათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა განხილვაც ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაა. სასამართლო კომპეტენციის გამიჯვნისას, მხედველობაში მიიღება ის გარემოება, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული დავის გადაწყვეტისას. ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახლველი საქმე აღიძვრება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების (განუხორციელებლობის) მართებულობის დასადგენად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ურთიერთობის მარეგულირებელი კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, გასცეს კომპენსაცია, ვერ განაპირობებს დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს, ვინაიდან თავად მოქმედება (კომპენსაციის გაცემა) ემყარება კერძო სამართლის ნორმებს და არ წარმოადგენს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციაა მხოლოდ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგების მიზნით სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების აღსრულება.

**21. საჯარო უფლებამოსილებების საფუძველზე, საჯარო სკოლის მიერ უძრავი ქონების ნაწილის გამოთხოვის თაობაზე აღძრული ვინდიკაციური სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის №ბს-872-839 (კ-08) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ქუთაისის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ქუთაისის. . . ინსტიტუტის მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან სკოლის უძრავი ქონების შემადგენელი ნაწილის გამოთხოვა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის ... ინსტიტუტის წარმომადგენელმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქუთაისის საჯარო სკოლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლამ.

**2. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა:** გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაექვემდებარა იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელი იყო: სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომ არ იმსჯელა თუ რა სამართალურთიერთობა იყო სახეზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

მოცემულ შემთხვევაში ქუთაისის საჯარო სკოლის მიერ აღძრული იყო ვინდუკაციური სარჩელი უკანონო მფლობელობიდან სკოლის უძრავი ქონების შემადგენელი ნაწილის გამოთხოვის შესახებ, რაც სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენდა და გამომდინარეობდა არა ადმინისტრაციული არამედ, კერ-



ძო სამართლის კანონმდებლობიდან. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მომწესრიგებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის ნორმები შეიცავს.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლის ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი განსაზღვრავს მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლებას, კერძოდ, ამ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ აღძრული იყო ვინდიკაციური სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვაზე, ხოლო მფლობელობა წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტს, სანივთო სამართლის შემადგენელ ნაწილს. იგი წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით, მიძღვნილი აქვს ამ კოდექსის II წიგნის სანივთო (ქონებრივი) სამართლი მეორე კარი. ამიტომაც მოცემული დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან სწორედ ეს კანონმდებლობა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი, აწესრიგებს მფლობელობის უფლების საკითხებს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით ის გარემოება, რომ ქუთაისის საჯარო სკოლის სარჩელი, სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების გარდა, ეფუძნებოდა საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტს, საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 36-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმად საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, არ შეიძლება ფუნქციონირებდნენ ერთ შენობაში, არ განაპირობებდა დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს. სადავო სამართალურთიერთობა გამომდინა-

რეობს არა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონიდან, არამედ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან. სწორედ მითითებული კერძო სამართლის ნორმატიული აქტით არის რეგულირებული უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის პროცედურა და საფუძველები. ამიტომაც სარჩელის მოთხოვნის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ განსაზღვრავს ერთ შენობაში საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფუნქციონირების სტანდარტებს, რაც, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს სარჩელის აღძვრის მიზეზს, მაგრამ არა სადავო სამართალურთიერთობის საფუძველს. სადავო სამართალურთიერთობა სრულად განეკუთვნება სამოქალაქო კოდექსით დადგენილ სამართალურთიერთობას, რომლითაც განსაზღვრულია მისი მოწესრიგების სამართლებრივი მექანიზმი, უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები და სამართლებრივი შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ სწორი შეფასება არ მისცა სადავო სამართალურთიერთობას, მიიჩნია რა, რომ მოცემული დავა დაკავშირებული იყო იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება ექვემდებარებოდა გაუქმებას და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა გადაცემოდა უფლებამოსილ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

## **22. საჩივარი ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ივნისის  
№ბ-869-ს-10 განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობა*

1. ა. ბ-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა საჩივარი ადვოკატთა ასოციაციის წევრის ვ. ვ-ის მიმართ და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ვ-ის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა.

საჩივარში აღნიშნული იყო, რომ ეთიკის კომისიაში საკითხის განხილვისას კოლეგიამ, რომელმაც შეისწავლა მისი და ვ. ვ-ის ახსნა-განმარტებები, საქმის რეალურ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, ვ. ვ-მა კოლეგიას მისცა ცრუ განმარტება, როდესაც მიუთითა, რომ თითქოს საადვოკატო მომსახურებაზე ხელშეკრულება დადო მის შვილთან ი. ბ-თან, სინამდვილეში ხელშეკრულება დაიდო ა. ბ-სა და ვ. ვ-ს შორის.

საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ ვ. ვ-მა ეთიკის კოლეგიას დაუმალა ის ფაქტი, რომ გამოართვეს თანხა, რომელიც არ ასახულა ხელშეკრულებაში. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავდა, რომ ვ. ვ-მა არაკეთილსინდისიერად და არასათანადოდ შეასრულა ადვოკატის მოვალეობა, კერძოდ, არასაპატიო მიზეზით სასამართლოში დანიშნულ პროცესზე არ გამოცხადდა, რის გამოც სასამართლომ გამოიტანა მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში არ წარადგინა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს არსებითი მნიშვნელობის მქონე ცნობა. საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ კომისიამ ყურადღება არ მიაქცია იმას, თუ რა ზარალი მიადგა მას ადვოკატის უპასუხისმგებლობის გამო. საჩივრის ავტორი ასევე არ დაეთანხმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, სადაც აღნიშნული იყო, რომ „საქმის განხილვა კოლეგიას გადაეცა დაგვიანებით, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ის ვერ მოახდენს რაიმე სახდელის დაკისრებას ადვოკატზე“. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება საფუძვლად არ უნდა დაედებოდა სახდელის დაკისრებაზე უარის თქმას, ვინაიდან ვადა მისი მიზეზით არ დარღვეულა.

2. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ ა. ბ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სდისციპლინო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება და ადვოკატ ვ. ვ-ის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება. კომისიის გადაწყვეტილებით, მხედველობაში იქნა მიღებული ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.4 მუხლის დარღვევის ფაქტი მაგრამ მას სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-3 მუხლზე მითითებით სახდელი არ დაეკისრა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი, იმავე მუხლის მე-3 ნაწილით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ასევე სხვა საქმეებიც, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ VII თავი განსაზღვრავს კანონით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს, ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის უფლებამოსილება კანონით მინიჭებული აქვს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, კანონი ასევე განსაზღვრავს დისციპლინური სახდელების სახეებს, ეთიკის კომისიის მიერ სახდელის შეფარდების წესს, აღნიშნულზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურას და ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი.

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას

საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის 63-ე, 64-ე და 88-ე, 90-ე მუხლებით და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. დასახელებული კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოში იქმნება სადისციპლინო პალატა, რომლის უფლებამოსილებასაც განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი. კერძოდ, სადისციპლინო პალატა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში სახდელის გასაჩივრების უფლებამოსილებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის მეშვეობით ანიჭებს ადვოკატს. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ადვოკატის საჩივარი ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსჯადობასა დაქვემდებარებული. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო სამართალურთიერთობა, ეხება რა ადვოკატის მიერ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილების გადასინჯვას, პროცესუალური ანალოგიით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსახილველ საქმეს განეკუთვნებოდა.

**23. სარჩელი ბუნებრივი გაზის (აირის) უკანონოდ მოხმარების აქტის და დატაცების სამართალდარღვევის ოქმის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის  
11 მაისის №ბს-47-47 (გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის  
აქტისა და ოქმის ბათილად ცნობა

1. შპს „ც-ომ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ს.ს. „თბილგაზის“ მიმართ და მიუთითა, რომ ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების თაობაზე ს.ს. „თბილგაზმა“ შეადგინა აქტი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების შესახებ ოქმი, რის საფუძველზეც შპს „ც-ომ“ დაჯარიმდა 5000 ლარით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს-ს „ც-ოს“ საკუთრება – ქ. თბილისში, . . . მდებარე ფართი, კერძოდ საცხოვრებელი და სასურსათო მაღაზია, ქირავნობის ხელშეკრულებით გადაცემული ქონდა მ. ი-ს, რომელიც საგადასახადო ინსპექციაში დარეგისტრირებულია ინდ. მენარმედ. ფაქტობრივად, ეს უკანასკნელი არის აღნიშნული ფართის პირდაპირი მფლობელი, რომელსაც მითითებული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე განსაზღვრული ვადით აქვს მინიჭებული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, კერძოდ, ბუნებრივი აირის დატაცება, მოხდა მ. ი-ის მიერ ამ ფართით სარგებლობისა და მუშაობის პერიოდში, ოქმში კი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა – შპს „ც-ოს“ მიმართ, რასაც მოსარჩელე არ დაეთანხმა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მ. ი., როგორც ინდ. მენარმე ითვლება კერძო სამართლის ფიზიკურ პირად და ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა გამოვლენილია მისი მიერ ფართით სარგებლობისა და მუშაობის პერიოდში, ოქმში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო არა იურიდიული პირის, არამედ ფიზიკური პირის პასუხისმგებლობა. მოსარჩელემ მოითხოვა ს.ს. „თბილგაზის“ აქტის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის გაუქმება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით შპს „ც-ოს“ – სარჩელი მოპასუხე ს.ს. „თბილგაზის“ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და აქტის ბათილად ცნობის თაობაზე განსახილველად გადაეცა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 11-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასა-

მართლო განიხილავს საქმეებს, დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანი არ არის მოცული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილ დავათა კატეგორიით და არ ეხება საჯარო ინტერესების სფეროს. ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრებით მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი განეკუთვნებოდა სამოქალაქო კოდექსით მონესრიგებულ ურთიერთობათა სფეროს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

**4. საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ სარჩელი განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს ქვემდებარე სამოქალაქო დავების კატეგორიებს, ხოლო უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარე ადმინისტრაციული დავების რეგლამენტაცია მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საერთო სასამართლოში განიხილება იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის (საჯარო) კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია სასამართლოს ქვემდებარე ადმინისტრაციულ დავათა ჩამონათვალი.

ამრიგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, დავის განსჯადობის საკითხის სწორად გადაწყვეტისა და საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ განსახილველი დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან. სადავო ურთიერთობის სამართალსუბიექტურობა არ განსაზღვრავს დავის ხასიათს, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონ-

მდებლობას, რომლის საფუძველზეც არის აღმოცენებული დავა, დავის არსს და საგანს, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე იყო კერძო სამართლის იურიდიული პირი შპს „ც-ო“, მოპასუხეა ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირი სს „თბილგაზი“, ხოლო ფიზიკური პირი – მ. ი-ელი სარჩელის მიხედვით მესამე პირს წარმოადგენდა. მოსარჩელე, კერძო სამართლის იურიდიული პირი სარჩელით ითხოვდა შპს „ც-ოს“ მიმართ შედგენილ სს „თბილგაზის“ აქტის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის გაუქმებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239.<sup>50</sup> მუხლის თანახმად 96<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიანტი საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესით. ამრიგად, კერძო სამართლის იურიდიული პირი – სს „თბილგაზი“ აღჭურვილია საჯარო უფლებამოსილებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ნებისმიერი პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, განაწილების ქსელიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 600 ლარით, იურიდიული პირისა და დაწესებულების – 5000 ლარით. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათი და მისი სუბიექტური შემადგენლობა ნათლად ადასტურებდა საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას.

ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე შედგენილი ოქმი უნდა დადასტურდეს სასამართლოს გადანაცვლებით, რომლის გასაჩივრების უფლება აქვს მხარეს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, რაიონის (ქალაქის) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ



სამართალდარღვევათა საქმეებს, გათვალისწინებულს კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლით. ამრიგად, განსახილველ შემთხვევაში ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების შესახებ აქტი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების შესახებ ოქმი არ იწვევს სამართლებრივ შედეგს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. ამიტომაც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმე უნდა გადაეცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შპს „ც-ოს“ სარჩელის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.

**24. სარჩელი სტუდენტის უმაღლესი სასწავლებლიდან გარიცხვის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება, თუ დადგინდა, რომ იგი საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საფუძველზე არის გამოცემული.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის  
N ბს-956-930 (გ-10) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: სტუდენტი გარიცხვის  
ბრძანების ბათილად ცნობა

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ქ. ტ-ქმ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 26 სექტემბრის ბრძანებით ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 2010 წლის იანვარში მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2007 წლის 3 აგვისტოს ბრძანებით აკადემიური დავალიანების გამო, იგი გაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი ოჯახური პირობების გამო ვერ ახერხებდა ლექციებსა და სემინარებზე დასწრებას, რის შესახებაც აცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, მაგრამ მათ არ გაიზიარეს მოსარჩელის მდგომარეობა და იგი გარიცხეს უნივერსიტეტიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2007 წლის 3 აგვისტოს ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ ნაწილებზე და განმარტა, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნდა დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის აუცილებელი საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი, კანონით განსაზღვრული პირობები, რის გამოც მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა, საქმეზე უკანონო გადანაცვეტილების მიღებას განაპირობებდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ქ. ტ-ძის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი საქართველოს კანონიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“, ანუ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 1-ლი მუხლის თანახმად, აღნიშნული კანონი აწესრიგებდა საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენდა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკრედიტაციის წესს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, მოცემული დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, მოცემული საქმე განხილვის ამ ეტაპზე უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, მითითებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილში მიეთითა მათ კონკრეტულ ნაირსახეობებზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომელშიც მოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, კერძოდ, ამ ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის სა-

ფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2007 წლის 3 აგვისტოს ბრძანების ბათილად ცნობა წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-2 მუხლის „ჰ“<sup>18</sup> ქვეპუნქტის თანახმად, უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს. მოცემულ დავაზე მოპასუხე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოს მიეკუთვნებოდა, ვინაიდან, იგი საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ მონაწილეობა არ შეიძლება გახდეს საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ: 1) სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე იყოს ადმინისტრაციული ორგანო; 2) სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეში არ იყო წარმოდგენილი გასაჩივრებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2007 წლის 3 აგვისტოს ბრძანება, შესაბამისად, გაურკვეველი იყო, ადმინისტრაციული თუ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე იყო გამოცემული სადავო აქტი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა: იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დაადგენდა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2007 წლის 3 აგვისტოს ბრძანება გამოცემული იყო საჯარო კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საფუძველზე, მაშინ აღნიშნული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

**25. განცხადება მარჩენალდაკარგულად ცნობის თაობაზე არ არის მიმართული კონკრეტული მოპასუხის მიმართ, იგი უდავო წარმოების მომწესრიგებელი პროცესუალური ნორმების გამოყენებით უნდა იქნეს განხილული და სამოქალაქო სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 29 ივნისის №ბს-920-506 (კ-05) განჩინება  
*განმცხადებლის მოთხოვნა: მარჩენალდაკარგულად ცნობა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ე. ბ-ემ განცხადებით მიმართა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა არასრულწლოვანი შვილის ა. კ-ის მარჩენალდაკარგულად ცნობა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ე. ბ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-ემ.

2. ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით საქმე გადაეცა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას. სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფოსაგან პენსიის დანიშვნა და მიღება, ამასთან მისი მოთხოვნა ემყარებოდა „მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონს, ამიტომაც დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველს წარმოადგენდა.

3. ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და საქმე სასამართლოთა შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა უზენაეს სასამართლოში.

1. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება სწორია და ე. ბ-ის სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს იმ პირობებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავა, კერძოდ იგი უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული გარიგების დადება ან შესრულება, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ მითითებული მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, სწორად განსაზღვრა ე. ბ-ის სააპელაციო საჩივრის განსჯადობა, რადგან მოსარჩელის მოთხოვნა არ განეკუთვნებოდა აღნიშნული ნორმით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას. შესაბამისად, დაუსაბუთებელი იყო სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მსჯელობა განსახილველი სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე, პალატამ არ დაასაბუთა, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის ჩამონათვალით გათვალისწინებულ რომელ ადმინისტრაციულ დავას მიეკუთვნებოდა ე. ბ-ის აკურადის განცხადება მარჩენალდაკარგულად ცნობის შესახებ.

საკასაციო პალატამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შინაარსიდან გამომდინარე, განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დავის განხილვა თავისთავად გულის-

ხმოვს პროცესის მონაწილე, სულ მცირე ორი მხარის არსებობას და მის სასარჩელო წარმოების წესით განხილვას.

განსახილველ შემთხვევაში ე.ბ.უდავო წარმოების წესით ითხოვს მარჩენალდაკარგულად ცნობას, მისი მოთხოვნა მიმართული არ იყო კონკრეტული მოპასუხის მიმართ, შესაბამისად, მოთხოვნა წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო საქმეს და იგი განსჯადობით განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას ექვემდებარებოდა.

**26. მოთხოვნა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედების მონაწილედ აღიარების და შესაბამისი შედეგების გავრცელების შესახებ, განიხილება არა უდავო, არამედ სასარჩელო წარმოების წესით და ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 19 აპრილის №ბს-96-94 (გ-06), განჩინება

სასარჩელო მოთხოვნა: აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოებული საბრძოლო მოქმედებების მონაწილედ ცნობა და შედეგების გავრცელება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. ბ.-ძემ სარჩელით მიმართა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ და აღნიშნა, რომ 1992 წლის 19 აგვისტოდან 1993 წლის 23 ივლისამდე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც დასტურდება საქართველოს ეროვნული გვარდიისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირების მიერ გაცემული ცნობებით.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს კანონის „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“ მე-15 მუხლით განსაზღვრული შედეგებით იგი გათანაბრებულია დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, მაგრამ საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტმა სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის გა-

რეშე არ გაატარა რეგისტრაციაში, როგორც აფხაზეთის ომის მონაწილე. აქედან გამომდინარე, მ. ბ-ძემ მოითხოვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოებული საბრძოლო მოქმედებების მონაწილედ ცნობა და მასზე შედეგების გავრცელება.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 აპრილის №213 ბრძანებულებით საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულებაში „რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები, რის გამოც საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, მ. ბ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯად დავას. იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმე სამოქალაქო კოლეგიის მიერ უდავო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას და საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. **საკასაციო სასამართლომ** მიიჩნია, რომ მ. ბ-ძის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა



კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს. შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული ნორმის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო პალატა სრულად დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას მოცემული დავის საჯარო სამართლებრივი ხასიათის და მისი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობის შესახებ.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მ. ბ-ძის სარჩელი აღძრულია საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, ვინაიდან იგი კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, კერძოდ, უზრუნველყოფს ვეტერანების სოციალურ დაცვას და ახორციელებს კონტროლს სახელმწიფოს ხარჯზე შეღავათების მიღების კანონიერებაზე. გარდა ამისა, რადგან მოცემულ საქმეში დავის სა-

განი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედების მონაწილედ აღიარება და შესაბამისი შეღავათების გავრცელება, ამიტომ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ბ-ძის სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველს წარმოდგენდა, ვინაიდან აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, მართალია, მ. ბ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის წინააღმდეგ, მაგრამ არ წარადგინა კონკრეტული მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, რის გამოც საქმე განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უდავო წარმოების წესით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ საქმეში დავის ძირითად არსს წარმოადგენდა მოსარჩელის ომის მონაწილეობთან გათანაბრება და შესაბამისი შეღავათების მიღება, რაც შეუძლებელია განხორციელდეს საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის მონაწილეობის გარეშე, რადგანაც სწორედ მის უფლებამოსილებაში შედის ამა თუ იმ პირისათვის შეღავათის მიცემის კანონიერების განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო, ასევე, არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას მოცემული დავის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი უდავო წარმოების წესით განხილვის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი უდავო წარმოება ეს ისეთი წარმოებაა, რომელშიც არ არის დავა უფლებაზე და არ არის ერთი პირის მიერ მეორისადმი მიმართული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში შეიძლება არსებობდეს დავა ფაქტის და არა უფლების შესახებ. ამრიგად, უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში დგინდება ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები. მოცემულ საქმეში მ. ბ-ძე დავობდა არა იურიდიული ფაქტის, არამედ უფლების – ომის მონაწილეობთან გათანაბრებისა და შეღავათების მიღების თაობაზე, რაც არ შეიძლება უდავო წარმოების წესით განხილულიყო.

უდავო წარმოება არ იცნობს ურთიერთდაპირისპირებულ მხარეთა ინსტიტუტს. უდავო წარმოებით განსახილველ საქმეებში არ გვყავს მოსარჩელე და მოპასუხე, არამედ არიან მხოლოდ განმცხადებელი და დაინტერესებული მხარე. ეს განპირობებულია იმით, რომ დაპირისპირებული მხარეების არსებობა გულისხმობს დავას უფლებაზე, რაც მიუღებელია უდავო წარმოებისათვის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძვლებით, ე.ი. უფლებაზე დავის აღძვრის შემთხვევაში უდავო წარმოება გარდაიქმნება სასარჩელო წარმოებად.

განსახილველ შემთხვევაში მ. ბ.-ქმ სასამართლოს მიმართა სასარჩელო განცხადებით მოპასუხე საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ, სადაც პირდაპირ მიუთითა, რომ მოპასუხე არ ატარებს რეგისტრაციაში და უარს ეუბნება შელავათის მიცემაზე. ამრიგად, სასარჩელო განცხადებაში ცალსახად არის მითითებული, რომ საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი სადავოდ ხდის მ. ბ.-ის უფლებას, გაუთანაბრდეს იგი ომის მონაწილეებს და მიიღოს შესაბამისი შეღავათები, რაც უფლებაზე დავის ხასიათიდან გამომდინარე, ვერ იქნება განხილული უდავო წარმოების წესით.

**27. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადების განხილვისათვის განსჯად სასამართლოს წარმოდგენს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, რომელსაც უნდა გადაეცეს არაგანსჯად სასამართლოში წარდგენილი განცხადება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის №ბ-2312-7 (გან-09) განჩინება  
*განმცხადებლის მოთხოვნა: განჩინების განმარტება*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის სა-

გადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება.

ი/მ „თ. გ-მა“ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელშიც მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებაში დასაბუთებულია, რომ თ. გ. არის სადავო გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი, რომელსაც სადავო საგადასახადო მოთხოვნა წარედგინა, როგორც ფიზიკურ პირს, რის გამოც მოსარჩელე მიეკუთვნება მოქმედი საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 21-ე ნაწილის სუბიექტს და მინის გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებულ პირს.

განმცხადებლის განმარტებით საქმე 2005 წლიდან, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო სასამართლოების წარმოებაში და მისთვის გაურკვეველია, თუ რა თანხა უნდა დამატებოდა ან რამდენად მართებულია სასამართლო წარმოებაში მყოფ საქმეზე ძირითადი თანხის გაზრდა.

აღნიშნულის საფუძველზე თ. გ-მა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინების განმარტება.

**2. საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ საქმე განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღ-

სრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

აღნიშნული მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების განმარტებას ახდენს ის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც თ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იანვრის გადაწყვეტილება, თ. გ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო მოთხოვნა. ამიტომაც, ზემოაღნიშნულ საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს წარმოადგენდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, რომელსაც განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა.

**28. ადმინისტრაციულ საქმეზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილ განჩინებაზე წარდგენილი კერძო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის №ბს-853-817 (გ-06) კერძო საჩივრის მოთხოვნა: სარჩელის უმოძრაოდ დატოვება

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა სს „...“ მოპასუხე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის, მესამე პირის – ტყიბულის რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

ტყიბულის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ სს „საქმახტმშენის“, მიმართ ა. კ-ის სარჩელის განხილვისას, არ გაითვალისწინა, რომ სს წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს და არსებითად დაარღვია რა სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის

მოთხოვნა, როგორც არაგანსჯადმა სასამართლომ სს „. . -ს“ ა. კ-ის სასარგებლოდ დააკისრა თანხის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ხარვეზის შეუვსებლობის გამო სს „საქშახტმშენის“ სარჩელი დარჩა უმოძრაოდ.

განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „. . -ის“ გენერალურმა დირექტორმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სს „საქშახტმშენის“ გენერალური დირექტორის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სს „. . -ის“ გენერალური დირექტორის კერძო საჩივარი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში:

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეეძლო მხოლოდ სასამართლოს საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით. საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მართლმსაჯულება სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებდნენ საერთო სასამართლოები. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 27 ოქტომბრის №857 ბრძანებულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად, შეიქმნა თბილისის სააპელაციო სასამართლო და განისაზღვრა მისი სამოქმედო ტერიტორია. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის 1-ლი ნაწილით განისაზღვრა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული

ციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის X კარის I თავით დადგენილი იყო კერძო საჩივრის დასაშვებობისა და განხილვის წესი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებდა შესაბამისად, ამ სასამართლოებისთვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა უფლებამოსილი იყო, განეხილა და გადაეწყვიტა ამავე კოდექსის მე-2 მუხლით სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეებზე შესაბამისი საჩივრის (სააპელაციო, კერძო) საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილული და გადაწყვეტილი დავა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო საკითხი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განიხილა და გადაწყვიტა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დებულებიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, როგორც არაგანსჯადი სასამართლო, მოკლებული იყო უფლებამოსილებას, განეხილა და გადაეწყვიტა სს „...-ის“ გენერალური დირექტორის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებაზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თუკი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მიიჩნევდა, რომ სს „...-ის“ გენერალური დირექტორის სასარჩელო მოთხოვნა და დავის საგანი მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას, მაშინ მას დავის საგანთან მიმართებაში უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, უნდა გაეუქმებინა სამოქალაქო კოლეგიის განჩინება და შესაბამისი მითითებებით სარჩელის განჯადობის შესახებ საქმე უნდა დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სს „...-ის“ სარჩელი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს, რადგანაც დავის საგანია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და ქ. ტყიბულის რაიონული სასამართლოს მოსამართლის დავაღდებულება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამართლის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებების თაობაზე, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული კატეგორიის საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ რადგანაც სადავო საკითხი განხილული და გადაწყვეტილი იყო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ამიტომაც კერძო საჩივარიც სამოქალაქო სამართალწარმოებით განხილვას ექვემდებარებოდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლოს უფლებას ანიჭებს, საქმე განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნოს უფლებამოსილ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, განსჯადობის შესახებ დავის წამოწყება დასაშვებია საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, კერძო საჩივრის განხილვის სტადიაზეც. ამასთან, პროცესუალური ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხის საქმის განხილვის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე გარკვევა, რათა უზრუნველყოფილი იყოს გვარეობითი განსჯადობის მიხედვით მართლმსაჯულების სწრაფად და სწორად განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატას და მიიჩნია, რომ იგი არ წარმოადგენს მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილ სასამართლოს და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.



### თავი III. განსჯადობის თაობაზე დავების განხილვასთან დაკავშირებული საპროცესო საკითხები

1. მიუხედავად საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტისა, არაგანსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს<sup>24</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის №ბს-340-271- (კ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. ს-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის გამოსახლება ბათუმის ბოტანიკური ბაღის ლაბორატორიულ კორპუსში არსებული დროებითი სადგომიდან.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღის ლაბორატორიულ კორპუსში არსებულ დროებით საცხოვრებელ სადგომში მცხოვრები, ბაღის ყოფილი თანამშრომლის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნულ სადგომში ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად, თვითნებურად შესახლდა თ. ს-ძე. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, იგი არ ათავისუფლებდა თვითნებურად დაკავებულ სადგომს. ამიტომაც მოსარჩელემ მოითხოვა მისი კუთვნილი ფართიდან მოპასუხის გამოსახლება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა თ. ს-ძემ.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გან-

<sup>24</sup> ანალოგიურ დებულებას, რომ საქმის განხილვა საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველს, შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის № 1467-1401 (კ-09) განჩინება – იხ. კრებულის გვ. 201.

ჩინებით თ. ს.-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა თ. ს.-ძემ.

**2. საკასაციო პალატამ** ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, გაუქმდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის და 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ დავა მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად, აუცილებელია ორი ძირითადი პირობის არსებობა: სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან ან ადმინისტრაციული დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა და სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ სადავო ბინაზე არ დადებულია ადმინისტრაციული გარიგება. თ. ს.-ძე ბინას ფლობდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მას არ გააჩნდა ბინით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ბინის ორდერი. შესაბამისად, განსახილველი დავა არ გამომდინარეობდა საჯარო სამართლის კანონმდებლობიდან, დავის საგანს წარმოადგენდა კერძო სამართლებრივი დავა, კერძოდ, ვინდიკაციური სარჩელის ტიპური შემთხვევა, რომლის საფუძველზეც ბინის მესაკუთრე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაცია, ითხოვდა საკუთრების გამოთხოვას უკანონო მფლობელობიდან და კანონი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლები), რომელიც სასამართლო უნდა გამოეყენებინა, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმე განიხილა არაგანსჯადმა

სასამართლომ – ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ.

საკასაციომ სასამართლომ განმარტა, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვით დაირღვა საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი და საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი ეს დარღვევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადანაცვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

**2. სარჩელი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადია და ეს უკანასკნელი არ არის უფლებამოსილი თვით განსაზღვროს სამოქალაქო სასამართლოს მიერ განხილვის მიზანშეწონილობა.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ივლისის №ბს-557-549 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და დაბადების მონუმბის აღდგენის შესახებ ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება*

## რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ რ ი დ ი

1. დ. ა-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქართველოს არქივის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და შვილის – ა. ა-ის დაბადების მონუმბის აღდგენის შესახებ, მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2 მუხლები და განმარტა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქართველოს არქივის ცნობის

თანახმად, ა. ა-ის დაბადების შესახებ სამოქალაქო აქტების გაცემა შეუძლებელია აფხაზეთში რეგისტრირებული სამოქალაქო აქტების არქივის უქონლობის გამო, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VI კარის თანახმად, სასამართლომ უდავო წარმოების წესით უნდა დაადგინოს ა. ა-ის დაბადების რეგისტრაციის ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაბადების მოწმობის აღდგენის თაობაზე აღძრული სარჩელი გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენდა

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას საქმის სამოქალაქო კატეგორიისად მიჩნევის თაობაზე და სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

**4. საკასაციო სასამართლო** მიიჩნია, რომ დ. ა-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ იმსჯელა თუ რა სამართალურთიერთობა იყო სახეზე და რა მოსაზრებით მივიდა ამგვარ დასკვნამდე, რის გამოც დაირღვა სსსკ-ის 394-ე „ე“ მუხლის მოთხოვნები.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა: ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქართველოს არქივის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც უარი თქვა მოსარჩელეს შვილის – ა. ა-ის დაბადების მოწმობის აღდგენაზე და ადმინისტრაციულ ორგანოს დავალდებულება დაბადების მოწმობის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, წარმოადგენდა ადმინისტრაციული კატეგორიის დავას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საერთო სასამართლოები ადმი-

ნისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კი აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს.

კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელსაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა აწესრიგებს.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ 1-ლი მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ ეს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტების ჩანაწერის შეცვლის, აღდგენისა და გაუქმების, აგრეთვე, სამოქალაქო რეგისტრაციის წიგნების შენახვის წესს, ასევე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა სისტემასა და სამართლებრივ სტატუსს. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქართველოს არქივი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რადგანაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების 1-ლი მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში, ეროვნული სააგენტო) არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში, სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო მისი საქმიანობა ამავე დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს კანონებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, „სახელმწიფო

რეესტრის შესახებ“, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

ამიტომაც, ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება, მოახდინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, წარმოადგენს საჯარო, მმართველობით სფეროში მინიჭებულ იურისდიქციას, რომლის განხორციელების პირობებში კერძოსამართლებრივი აქტები იძენს საჯარო აქტების ხასიათს. შესაბამისად, პირის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის მართლზომიერების შემოწმება სარჩელის საფუძველზე, სწორედ ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქციას წარმოადგენდა.

ამასთან, დ. ა-ის ლანაკიანის სარჩელის მოთხოვნას ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელის შვილის ა. ა-ის დაბადების მოწმობის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება წარმოადგენდა, რაც, თავის მხრივ, სასამართლოს მიერ სწორ სამართლებრივ კვალიფიკაციას საჭიროებდა.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული სასამართლოს მოსაზრება, რომ საქართველოს სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VI კარის შესაბამისად, უდავო წარმოების წესით უნდა დაედგინა ა. ა-ის დაბადების რეგისტრაციის ფაქტი და ამიტომაც დავა გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ დისპოზიზურობის პრინციპიდან გამომდინარე შეიტანა არა განცხადება უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის აღდგენის თაობაზე, არამედ ნათლად განსაზღვრა მოთხოვნა – სასარჩელო წარმოების მეშვეობით ადმინისტრაციული აქტის გაუქმების და ახალი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნდა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: კერძოდ, დავა დაკავშირებული იყო იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზე იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2

მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის ყველა პირობა.

**3. სააპელაციო სასამართლოს მიერ არასათანადო მხარის შეცვლის შემდეგ საქმის განსჯადობა განისაზღვრება პროცესის ახალი მონაწილეების სტატუსის მიხედვით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 6 ივლისის №ბს-627-214 (გ-05) განჩინება  
სასარჩელო მოთხოვნა: ვალდებულების ნატურით შესრულება და ზიანის ანაზღაურება

**რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი**

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დ. ჭ-ის სარჩელი მოპასუხე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „...“ მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელისთვის გამართულ მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანა „ფოლკსვაგენ გოლფ-16“ გადაცემა; მოსარჩელეს უარი ეთქვა მის სასარგებლოდ მოპასუხეებისთვის – სსგ „...“ დაცვის სამსახურისა და სსგ „...“ სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე.

სარჩელი დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსგ „...-მ“.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით მოცემული საქმე განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე სსგ „...“ საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო, ხოლო დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს წარმოადგენდა.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა სსგ „...“ შუამდგომლობა და იგი, როგორც არასათანადო მოპასუხე, შეიცვალა სათანადო მოპასუხეებით – ფიზიკური პირებით – ს. ე-თი და ა. გ-ით, ხოლო სსგ „...“ მოცემულ საქმეში დარჩა მესამე პირად.

4. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას იმ საფუძვლით, რომ დავის საგანს აღარ წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რადგანაც ადმინისტრაციული ორგანო, როგორც არასათანადო მოპასუხე, შეიცვალა სათანადო მოპასუხე ფიზიკური პირებით.

5. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით მოცემული საქმე უფლებამოსილი სასამართლოს დასადგენად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შედეგად, აპელანტებად გვევლინებოდნენ ფიზიკური პირები, რომელთა მიმართ გადაწყვეტილება არ გამოტანილა, ხოლო ის მოპასუხე (სსგ „...“), რომელსაც დაეკისრა ზიანის ანაზღაურება, საქმეში აღარ ფიგურირებდა და ველარ დაიცავდა საკუთარ ინტერესებს.

სამოქალაქო პალატამ მიიჩნია, რომ თუ ამავე სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილება საქმეზე გამოტანილ იქნა არასათანადო მოპასუხის მიმართ, უნდა გაეუქმებინა იგი და საქმე ხელახლა განსახილველად დაებრუნებინა რაიონულ სასამართლოში, რომელსაც თვით უნდა შეეცვალა არასათანადო მოპასუხე სათანადო მოპასუხეებით, რადგანაც რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების გარეშე შეუძლებელი იყო მხარის შეცვლა საქმეში.



6. საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში საქმის ზეპირი განხილვის დროს სსგ „...“ არასათანადო მოპასუხედ მიჩნევისა და მისი სათანადო მოპასუხეებით – ს. ე-ლითა და ა. გ-ით შეცვლის შემდეგ ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ მოცემული დავა სწორად ჩათვალა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმედ და სწორად გადაეცა იგი მის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოტივაციას, რომ მოცემულ საქმეში არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლის შედეგად აპელანტის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილზე აღმოჩნდნენ ფიზიკური პირები, რომელთა მიმართაც რიონულ სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოტივაცია რომ, თუკი ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა მივიდოდა დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილება საქმეზე გამოტანილია არასათანადო მოპასუხის მიმართ, მას უნდა გაეუქმებინა ადმინისტრაციულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაებრუნებინა რაიონული სასამართლოსთვის, რომელსაც უნდა შეეცვალა არასათანადო მოპასუხე სათანადო მოპასუხით.

საკასაციო სასამართლო, ასევე, დაეთანხმა სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილების გაუქმების გარეშე შეუძლებელია საქმეში მხარის შეცვლა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაც-

ვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეების განხილვისთვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XVI თავი („საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში“) არ კრძალავს სააპელაციო ინსტანციაში ამავე კოდექსის 85-ე მუხლის („არასათანადო მოპასუხის შეცვლა“) გამოყენებას. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატას შეეძლო გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი და არასათანადო მოპასუხე შეეცვალა სათანადო მოპასუხით. არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და, შესაბამისად, მის კანონიერებაზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ არასათანადო მოპასუხე სსგ „...“ სათანადო მოპასუხეებით – ფიზიკური პირებით შეცვლის შემდეგ მოცემული საქმე სწორად გადასცა განსჯად სასამართლოს – თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას, რადგანაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოცემული დავა აღარ იყო დაკავშირებული იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან, რომლებიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და არც დავის საგანი შეესაბამებოდა დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს.

#### **4. დავაში სამოქალაქო წესით განსახილველ ძირითად სარჩელისა და შეგებებულ ადმინისტრაციულ სარჩელის არსებობისას ისინი სხვადასხვა სამართალწარმოების წესით განიხილება.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის

8 მაისის №ბს-204-194 (გ-06) განჩინება

*სასარჩელო მოთხოვნა: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა,*

*საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება*

*(ძირითადი სარჩელით), ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა*

*(შეგებებული სარჩელით)*

## რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. რ. ქ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე ვ. ს-ძის მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება.

მოპასუხე ვ. ს-ძემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოპასუხეების: რ. ქ-ის, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის „არქიმენინსპექციის“ მიმართ, და მოითხოვა ქ. თბილისის „არქიმენინსპექციის“ აქტის, ასევე, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის დადგენილებების ბათილად ცნობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქმე განსჯადობის წესით განსახილველად გადასცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი და მე-2 მუხლები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და განმარტა, რომ მოსარჩელე ვ. ს-ძე სადავოდ ხდიდა რა ადმინისტრაციულ ორგანოთა (ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის და ქ. თბილისის „არქიმენინსპექციის“) მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, მოთხოვნის დაკმაყოფილებას ითხოვდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე. ამასთან სასამართლომ ჩათვალა, რომ თავდაპირველ სარჩელსა და შეგებებულ სარჩელს შორის არსებობდა ურთიერთკავშირი, ვინაიდან ისინი ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობდნენ და სამოქალაქო კოლეგია არ იყო უფლებამოსილი, ცალკე განეხილა თავდაპირველი სარჩელი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მსჯელობას აღნიშნული საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვე-

ტად წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

კოლეგიამ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი და მიუთითა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელი სასამართლოში აღძრული იყო ფიზიკურ პირის რ. ქ-ის მიერ ფიზიკური პირის ვ. ძ-ის მიმართ, ხოლო სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, რ. ქ-ის სარჩელი არ განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავას და იგი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო.

სასამართლომ განმარტა, რომ ვ. ს-ძის შეგებებული სარჩელი ქ. თბილისის „არქიმენინსპექციის“ აქტის, ვაკე-საბუთალოს რაიონის გამგეობის დადგენილებების ბათილად ცნობის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივ წარმოადგენდა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ რ. ქ-ის სასარჩელი მოპასუხე ვ. ს-ძის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ თვით სამოქალაქო სასამართლოს უნდა განეხილა და მხოლოდ ვ. ს-ძის შეგებებული სარჩელი უნდა გადაეგზავნა უფლებამოსილი ადმინისტრაციული სასამართლოსათვის, ან/და აუცილებლობის შემთხვევაში, სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, შეერეობინა საქმის წარმოება ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვამდე.

**4. საკასაციო სასამართლომ** მიაჩნია, რომ რ. ქ-ის სარჩელი მოპასუხე ვ. ს-ძის მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთის და ზიანის ანაზღაურების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენდა, ხოლო ვ. ს-ძის შეგებებული სარჩელი ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი და, შესაბამისად, ამ უკანასკნელის განსახილველი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში რ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, საკუთრების უფლების ხელ-

შემლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვაზე, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთაზე აღძრული სარჩელი წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ქ-ის დავას არ გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი არცერთი ელემენტი, კერძოდ: იგი არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და სარჩელი აღძრული იყო მოპასუხე ფიზიკური პირის მიმართ, რის გამოც არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის განსაზღვრული წანამძღვრები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვ. ს-ძის შეგებებული სარჩელი, მოპასუხეების – რ. ქ-ის, თბილისის „არქიმენისსპექციის“ და ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ, ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განისაზღვრა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ხოლო სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ვ.ს-ძის შეგებებული სარჩელი გამომდინარეობდა იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელიც წესრიგდება ადმინისტრაციული /საჯარო/ კანონმდებლობით, ამასთან მას გააჩნდა დავის ადმინისტრაციულ კატეგორი-

ად მიჩნევისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, კერძოდ, სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რ.ქ-ის სასარჩელო მოთხოვნის /უკანონო მფლობელოდან ნივთის გამოთხოვის, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთის და ზიანის ანაზღაურების თაობაზე/ ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა თბილისის „არქიმშენისპექციის“ აქტი, რომლითაც ექსპლუატაციაში შევიდა მოსარჩელის მიერ აშენებული კაპიტალური ავტოფარეხი/ და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის დადგენილებები /თბილისის „არქიმშენისპექციის“ ზემოაღნიშნული აქტის დამტკიცების თაობაზე/, ხოლო ვ. სირაძის შეგებებული სარჩელის მოთხოვნას სწორედ ზემოაღნიშნული აქტის ბათილად ცნობა წარმოადგენს, რასაც ეფუძნებოდა რ. ქ-ის თავდაპირველი, სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განსახილველი სარჩელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ.-ის სარჩელის დაკმაყოფილება ან პირიქით, დამოკიდებული იყო ვ. ძ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლით განსაზღვრულია სასამართლოს ვალდებულება, რიგ შემთხვევებში შეაჩეროს საქმის წარმოება. მითითებული ნორმის „დ“ პუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერების საფუძველია თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.<sup>25</sup>

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმის განხილვისას უნდა ისარგებლოს ამ ნორმით მინიჭებული უფლებამოსილებით და შეაჩეროს რ. ქ-ის სარჩელზე სამოქალაქო საქმის წარმოება ვ. ს-ძის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ შეგებებული სარჩელის განხილვის დამთავრებამდე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილ-

<sup>25</sup> საქმის განხილვის დროისათვის მოქმედი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის რედაქციით.

ველ ადმინისტრაციულ დავას და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო.

**5. ადმინისტრაციული სასამართლო არ არის უფლებამოსილი ტერიტორიული განსჯადობით მისთვის სწორად დაქვემდებარებული საქმე განსჯად, სამოქალაქო პალატისათვის გადაცემის გარეშე, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად უზენაეს სასამართლოში წარმართოს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის №ბს-1099-1048 (გ-06) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, მიუღებელი ხელფასის, იძულებითი განაცდურის და მორალური ზიანის ანაზღაურება*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. გ-მა მოპასუხეების: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და აჭარის ა/რ-ის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, მიუღებელი ხელფასისა და სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ასევე, მოპასუხის უკანონო მოქმედებით მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაცია.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით აჭარის ა/რ-ის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ საქმის წარმოება შეწყდა, მოსარჩელის მიერ მის მიმართ სარჩელზე უარის გამო. ამავე განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე, საქმე მოპასუხე იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადობით განსხილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, მოსარჩელე ვერ ჩაითვლებოდა საჯარო მოსამსახურედ. საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-4 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს განეკუთვნებოდა საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით, დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, ეწეოდა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. ასეთს კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო არ წარმოადგენდა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 4 სექტემბრის №705 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მმართველობითი ფუნქცია არ გააჩნდა და დამოუკიდებლად ახორციელებდა დებულებით დადგენილ მიზნებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ამიტომაც, სასამართლოს მოსაზრებით, გათავისუფლების თაობაზე ბრძანება ვერ ჩაითვლებოდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და მხარეთა შორის არსებული დავის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო. ამასთან, სასამართლოს მითითებით, მორალური ზიანის ანაზღაურება წესრიგდებოდა სამოქალაქო კოდექსით და ეს დავაც ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსჯადს არ წარმოადგენდა.

4. **საკასაციო სასამართლოს** განჩინებით საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში დაბრუნდა შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლის – აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით განაცდური ხელფასის



ანაზღაურება. სადავო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციული კატეგორიის დავას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ხოლო მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, დავას არ განაკუთვნებდა ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას, რადგანაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის არსებობა, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო.

საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავედროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება, მათ შორის, ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ამიტომაც

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მხოლოდ ის ბრძანება, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და იწვევს სამართლებრივ შედეგს. ამ შემთხვევაში ნ. გ-შვილის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის ბრძანება არ იყო გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და არც სადავო ურთიერთობა წარმოადგენდა თავისი შინაარსით ადმინისტრაციულსამართლებრივს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობა, რომ ნ. გ-სა და მის დამქირავებელ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის შრომითი ურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ამ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონიდან და მოცემული დავაც ვერ გადაწყდებოდა აღნიშნული კანონის საფუძველზე. მართალია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საჯაროსამართლებრივი ინსტიტუტია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე, იმავდროულად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მაგრამ მის ყველა თანამშრომელზე ვერ გავრცელდება საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ ნორმები. დასახელებული კანონის პრეამბულაში განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო, კერძოდ, იგი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალში საჯარო სამართლის იურიდიული პირი გათვალისწინებული არ არის. მოსარჩელის თანამდებობა, როგორც საჯარო მოხელისა, არ არის მითითებული არც საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. ამასთან, მოსარჩელის თანამდებობა, რომელიც არ განეკუთვნება უშუალოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელ თანამდებობას, არც ფუნქციურად შეიძლება გაუთანაბრდეს საჯარო

მოსამსახურეს. ამიტომაც მოსარჩელე ვერ ჩაითვლებოდა საჯარო მოსამსახურედ და, შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სუბიექტად. აქედან გამომდინარე, ვერც მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება შეიძლება მიჩნეულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლში მითითებულ ადმინისტრაციულ აქტად.

საკასაციო სასამართლომ შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ ნ. გ-შვილის სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს კერძო სამართლის კანონმდებლობა – შრომის კოდექსი, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით ურთიერთობებს. მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანების სამართლებრივ საფუძველსაც სწორედ შრომის კოდექსის ნორმები წარმოდგენდნენ. სადავო აქტით შეწყდა კერძო სამართლებრივი შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოსა და, მეორე მხრივ, ფიზიკურ პირს შორის და ამ ურთიერთობაში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

აღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობა იმ ნაწილში, რომ საქმე საგნობრივი განსჯადობის მიხედვით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენდა. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით საქმის განხილვისათვის განსჯად სასამართლოდ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიჩნევის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებულ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და აჭარის ა/რ-ის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ საქმის წარმოება შეწყდა, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის გამო. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს სარჩელის წარდგენის მომენტშიც არ გააჩნდა მოთხოვნა ერთ-ერთი მოპასუხის მიმართ, შესაბამისად, ეს უკანასკნელი თავიდანვე არასათანადოს წარმოადგენდა საქმეზე და სარჩელიც არასწორად იქნა მოსარჩელის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენებით ამ მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოში წარდგენილი.

შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლო არ წარმოადგენდა მოცემულ საქმეზე ტერიტორიულად განსჯად სასამართლოს და

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაც არასწორად ითხოვდა მისთვის საქმის განსჯადობით განსახილველად დაქვემდებარებას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას აღნიშნული საქმე არ გადაუცია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის და ამ სასამართლოებს შორის დავა არ არსებობდა, ამიტომაც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე უნდა დაბრუნებოდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

**6. განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე უზენაეს სასამართლოში წარიმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს რომ არასწორია მისთვის საქმის გადაცემა და განსჯადს თვით საქმის გადამცემი სასამართლო წარმოადგენს.<sup>26</sup>**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის  
2 აპრილის №ბს-1079-931 (გ-07) განჩინება  
*სასარჩელო მოთხოვნა: სისხლის სამართლის  
პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის შედეგად მიყენებული მორალური  
ზიანის ანაზღაურება, მარეაბილიტირებელი შინაარსის ინფორმაციის  
გამოქვეყნება და საჯაროდ ბოდიშის მოხდა*

#### რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ზ. კ-ქმ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის შედეგად მიყენებული მორალური ზიანისათვის საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის . . . ლარის დაკისრება, საქართველოს გენერალურ პროკურატურისათვის პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მისი უდანაშაულობისა და გამართლების შესახებ საპასუხო ცნობების გამოქვეყნებისა და უკანონოდ წაყენებული ბრალდების გამო საჯაროდ ბოდიშის მოხდის დავალდებულება მოითხოვა.

<sup>26</sup> არსებითად, ანალოგიურ დებულებებს შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 ოქტომბრის №ბს-787-753(გ-06), 12 ივნისის №ბს-354-338 (გ-06) განჩინებები.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ზ. კ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ასკ-ის მეორე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მორალური ზიანის ანაზღაურებას, გავრცელებული ცნობების უარყოფას და საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვდა. მიტომაც, წარმოდგენილი სარჩელი განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას და სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ იყო უფლებამოსილი განეხილა იგი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ზ. კ-ძის სასარჩელო განცხადება განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მთავარი სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლის დადგენილებით აღიძრა საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ზ. კ-ძის მიმართ, რომელიც შემდგომ შეწყდა ზ. კ-ძის ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობების გამო და გაუქმდა მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გამომძიებლის დადგენილება ზ. კ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირის რეაბილიტაციის საფუძველს. სასამართლომ მიუთითა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღმკვეთი ღონისძიების სახით გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამარ-

თლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე, 221-ე, 222-ე, 225-ე და 227-ე მუხლებთან ერთად. რეაბილიტირებული პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღმკვეთი ღონისძიების სახით გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება და უფლების აღდგენა უნდა განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და პროცედურით და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

**4. საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ ზ. კ-ძის სარჩელი უნდა დაუბრუნდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ზ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიმართა, რომელმაც, იმ მოტივით, რომ კონკრეტული დავის საგანი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების დავის საგანს შეესაბამებოდა, საქმე განსახილველად ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადასცა. ამ უკანასკნელმა მიიჩნია, რომ ზ. კეკელიძის სასარჩელო განცხადება უნდა განხილულიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას გადასცა საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო. განსჯადობის თაობაზე დავა სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო, რომელსაც განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა კონკრეტული საქმე, არ გაიზიარებს საქმის გადმომგზავნი სასამართლოს მოსაზრებას საქმის განსჯადობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ კონკრეტული საქმე არის არა მისი, არამედ საქმის გადმომცემი სასამართლოს განსჯადი.

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ზ. კ-ძის სასარჩელო განცხადება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად საქმეს

წარმოადგენდა. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოუთითა, რომ საქმე სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო, რითიც, ფაქტობრივად, დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმ ნაწილში, რომლითაც ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ საქმე მისი განსჯადი არ იყო. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინების ის ნაწილი, რომლითაც ზ. კ-ძის სასარჩელო განცხადება სისხლის სამართლის საქმეთა განსჯადად იქნა მიჩნეული, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არ იყო მითითებული, 26-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, საქმე უნდა დაბრუნებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

**7. განსჯადობის თაობაზე დავის გადაწყვეტისას უზენაესი სასამართლო არ იხილავს საკითხს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, რაც საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
და სხვა კატეგორიის საქმეთა  
საქმეთა პალატის 2011 წლის 17 იანვრის  
№ბს-1721-1677 (გ-10) განჩინება  
*განმცხადებლის მოთხოვნა: გასაჩივრებულ საჯარო რეესტრის  
ჩანაწერის მოქმედების შეჩერება*

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაში იმყოფებოდა საქმე თბილისის საქალაქო და ხაშურის რაიონულ სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად ზ. კ-ძის სარჩელის გამო, მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე.

ზ. ქ-ქემ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მოითხოვა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება.

**2. საკასაციო სასამართლო** მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განცხადება დაუშვებლობის გამო უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო და ხაშურის რაიონულ სასამართლოებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, ზ. ქ-ქეს სარჩელზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე. ამიტომაც, საკასაციო სასამართლო ამ ეტაპზე (განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის დროს) საქმეს იხილავდა არა არსებითად, არამედ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სარჩელის თაობაზე განსჯადი სასამართლოს განსაზღვრით. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვის ამ ეტაპზე ზ. ქ-ქის განცხადება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვის ამ ეტაპზე ზ. ქ-ქის განცხადება უნდა დარჩეს განუხილველი დაუშვებლობის გამო.



რედაქტორი

კომპ. უზრუნველყოფა

გარეკანის დიზაინი

მაია ეჯიბია

ეკატერინე თეთრაშვილი

ნინო ებრაღიძე

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1  
1 Ilia Tshavtchavadze Avenue, Tbilisi 0179  
Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)